

రథదంపి

8

2016



„ჰასაკითგან სიყრმისა ჩემისაჲთ და ვიდრე სიბერედ ჩემდამდე არაოდეს უდებ ვიქმენ დათხევად სისხლთა ჩემთა და თჳსთა ჩემთასა და მრავლისა მის ერისა ჩემისასა სათნო-ყოფისათჳს მეფობისა მათისა, ვინაჲცა ვიბრძანე მსახურებად აღმოსავლეთს გინა დასავლეთს საბერძნეთისა სარგებელსა და მსახურებასა. ჰე, ნანდვლვე და ვიდრე ტყუეობათა მთავრდომადმდეცა თავით ჩემით და ჩემ თანა არა მცირედთა ნათესავთა ჩემთა ჳელსა წარმართთასა მიცემადმდე მიმსახურებია საბერძნეთისადა. და უკუეთუ ვთქუა, თუ მცირედნილა ვინ ჩვენნი მომკუდარ არიან სარეცელსა ზედა თჳსსა მჴდობით, რომელნი არაჲელთაგან საბერძნეთისა და ძელისა ცხორებისა მტერთაჲსა მახვლითა მომწყდარ არიან, არა ვტყუვი“.

1083 წელი

გრიგოლ ბაკურიანის ძე

საბერძნეთის დასავლეთის დიდი დომესტიკოსი, სევასტოსი**,
ტაოელი ერისთავთ ერისთავის ბაკურიანის შვილი*

ჩემი სიყრმიდან სიბერემდე არასოდეს დამზარებია და მრავალგზის მიღვრია სისხლი, ასევე, ჩემს სისხლისმიერ ნათესავებს, რათა მეფეს შეენყნარებინა ჩემი ხალხი, ვინც კი საბერძნეთის სასარგებლოდ მსახურობდა აღმოსავლეთითა და დასავლეთით. ერთგულად მიმსახურია საბერძნეთისათვის ისე, რომ ტყვეობაც კი გამომიცდია მეც და ჩემთან ერთად ჩემს არცთუ მცირე ნათესავებსა და ხალხსაც, წარმართთა ხელში აღმოვჩენილვართ. როგორ არ ვთქვა, რომ ჩვენთაგან მხოლოდ მცირედნი თუ გარდაცვლილან მჴვიდად თავიანთ სარეცელზე, ტყუილს ნამდვილად არ ვამბობ, მტრის ხელითა და მახვლით მომწყდარან საბერძნეთისა და ძელიცხოველისათვის.

* დომესტიკოსი — მთავარსარდალი, ამირსპასალარი

** სევასტოსი — სამოხელეო იერარქიის მიხედვით მეორე თანამდებობა კესაროსის შემდეგ

ლიტერატურული, სამეცნიერო-პოპულარული
და საზოგადოებრივი ჟურნალი

არაჰი

ჟურნალს გამოსცემს

სამცხე-ჯავახეთის

სახელმწიფო

უნივერსიტეტი

8

2016

რედაქტორი - მერაბ ბერიძე

მოადგილე - მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე

სარედაქციო საბჭო: გიორგი ბუცხრიკიძე

ლია ზაზაშვილი
ვახტანგ ინაური
მალხაზ ლომსაძე
ვასილ მამულაშვილი
ლერი ნოზაძე
ირინა ჯიშკარიანი

ირაკლი ვაშაყმაძე, თბილისი
რეზო შეროზია, ზუგდიდი
ზაირა კელოშვილი, ათენი

უცხოეთთან თანამშრომლობის

ბიურო: ლალი ბერიძე
მაია ქუეჩიშვილი

მხატვრები: ნანა ყორანაშვილი
თამარ თამარაძე


მდივანი - ზაირა გელაძე

საგამომცემლო ჯგუფი: ლია ზედგინიძე
ლარისა გურგენიძე

პოეზია

ემზარ კვიციანი

დაიბადა თბილისში. 1959 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. მისი პირველი ლექსები დაიბეჭდა 1957 წელს „ცისკარსა“ და „პირველ სხივში“. 1963 წელს გამოქვეყნდა მისი პირველი კრებული - „გზაში ნათქვამი სიმღერა“. 1956-1960 წლებში მუშაობდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კადრების უფროს ინსპექტორად, 1960-1961 წწ. ამავე გამომცემლობის რედაქტორად, 1963 წლიდან ჟურნალ „ცისკრის“ ლიტერატურული მუშაკი იყო, ხოლო შემდეგ შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ახალი ქართული ლიტერატურის განყოფილების მეცნიერ-მუშაკი. კრებული „სიზმარი ვნახე“ 1975 წელს გამოიცა, ხოლო კრებული „ნაშუადღევი“ - 1999 წელს.



შემოდგომის მიწურულზე ნათქვამი (მოკრძალებული ავტობიოგრაფი)

ადრე არ ვარ ნამყოფი, სად ცის ლურჯი გობია,
ჭრელ ფოთლებში გახვევას არაფერი ჯობია.
მებრალვიან – ჩემებრი ოხრები და ტივლები,
მონუნუნეს მიზეზიც ბევრი მაქვს დარჩივლების.
მორჩილ მოდგმას ვეკუთვნი მონანიე მგვემართა,
არასდროს დამვიწყნია – ვისი და რა მემართა.
ზოგჯერ ისე მექცევა, ვითომ არცკი ვყოლოდე,
ვის ხელშიც ვარ, ეტყობა, არ მიმეტებს ბოლომდე,
თავის მოსანონარი, გვეყვანდნენ მამა-პაპანი,
სხვა რამეს არ ვჩემულობ, ლექსში არ ვარ ჯაბანი.

გაუთავებელი

ქარ-წვიმის, შლეგის, გავექეცე შლიგინს,
ვერსად ვიპოვე მყუდრო სანავე...
მიჯობს დავწყნარდე, ჯერ შემრჩეს იგი,
უფსკრულის თავზე რაც ვიქანავე.
უძირო, უხსოვარი დროიდან
მედება ხავსი, დავალ დამფრთხალი;
წინასწარ ვიცი, ამას მოიტანს –
არყოფნათ შორის ჩემი ფართხალი.
ანთლებული, რას ყვივს ყია,
ცა გაუთენრად ჩანს ყიამეთად;
ვის დავუტოვო ქრილობა ღია,
ასე გადაბმა – დღეთა, ღამეთა?!

ასე არ ხდება წასვლა (გზა)

ზმანების თალი ვერვინ გაზომა, გადამტკავლა;
გზა დავინახე, კაცის ენატრებოდა გავლა.

ხეები იდგნენ მეჩხრად, იმ გზის იქით და აქეთ;
ზურგი არ ჰქონდა ზეგნის და ვერც ჩათვლიდი ვაკედ.

შავად მორკალულს, შიშველს, კლდეს აელესა ეშვი;
დაღმართსაც მოვკარ თვალი, ძირს ეშვებოდა, ხევში.

დაიკეცა და გაქრა, როგორც კი შევეთვისე...
მოვძებნი, დავადგები, თუ მომელანდა ისევ.

აგზნებულს გულმა მითხრა, გაელვებულმა გზამო,
მიგაგნებინოს იქნებ – ადგილი, სამუდამო.

რა არ გადავიტანე, მიტევეს ქორო ჭირთა...
თავს ვიჭერდი და მაინც – გული ამიტორდა.

სვე არ მწყალობს, ვერ ვიტყვი – ვიყო ენამჭევრი...
დაღვრემილად ყოფნისა, მაქვს მიზეზი ბევრი.

ცის მაცქერალს, რალა არ მიგერებია ლახვრად,
სისხლის, სასონარკვეთილს, კვლავ მომიწევს დაღვრა.

იოლად არ მთელდება მოტეხილი მხარი,
ნელშიც მოხრილს ცოტა რამ დამრჩა გასახარი.

სულიც გასძვრეს, შავ ბედთან ვინც რო შემატყუპა,
სხვა არსად ჩანს საშველი – მივენდობი უფალს.

სიპირის სნეულგანი ემატება

იმ ძველი ტვირთის არ გავხარ მზიდავს,
ჭირნახულიც ვერ დააბინავე,
გაირიყები სიცოცხლის ზღვიდან,
ნელ-ნელა გითრევეს მკვდართა მდინარე.

მეტის უფლებას არ გაძლევს ჯიში,
ნაცნობი, რიალებენ ლანდები;
ჟინმორეულთა შორდები ყიჟინს,
არავინ იცის, სად გაქანდები.

ჭირ-ლხინში გისვამს ჯამით და ჭიქით,
საქები, ანი, სხვაგან იქება;
ვერავინ გეტყვის, რა ხდება იქით,
აუცდენელთან ჭირს შერიგება.

მწვანე ყვავილაზე განისვენებ (რეზო ქეიშვილი მახსენდება)

წლევანდელ ღვინის ვერ შეხვდი სეზონს,
ვერ ვამხელ იმედს – შეგხვდები როდის...
ორმოცი გადაგიხადეს, რეზო,
გულზე გათლილი დაგადეს ლოდი.

მოდებულია ხავსი და ბაო,
მოგვწყინდა, ამინდებიც ცუდია...
კარგს აღარაფერს მოველით, ძმაო,
უშენოდ ვუცდით ვარსკვლავს, კუდიანს.

ადრიანი ღილა

სულს ავსებენ სურათები, გაფენილნი ზღაპრებად,
დავინახე კისერგანვდილ იხვების გადაფრენა.

გადიფრინონ, ოღონდაც კი თოფი ნუ გაქუხდება,
შემოდგომის ცას მათსავით არაფერი უხდება.

რა შორსაა დარჩენილი ტაო - ოშკი, ოპიზა...
ვნატრობდი და მოტრიალდა ჟამი ნადირობისა.

ტანში მზარავს, გავურბივარ ხმაურს – ზრიალს,
ამაზრზენს...
დაგცალდეს და ამის მეტი ნურც გინდა სილამაზე.

ზღვარს გადასცდი, მიწას, უძღებს, ეზომება მხარ-ტანი...
არა უჭირს, ჭრელ ფოთლებში თუ მოიღე ზღართანი.

კვლავაც გპირდები (ზაფხულის მადლი)

შლამში ვერ ვტოვებ მარგალიტს,
ცოდვა ვარ, ჯერ ნუ დამშლი,
რას გარგებს ქება უთქმელი,
არ მინდა, დაგრჩე ვალში.

ხმა, საგალობლის, ჩახმება,
სუნთქვა თუ შემიჩერა,
შენ ოლონდ გამაღვიძე და
რასაც ვიქმ, ნახავ მერე.

თამარაშვილის კორპუსთან ჩამოვლისას (ვიგონებ ფრიდონ ხალვაშს)

მედგა ნედლი ლობიო, ფრიდონის შეკმაზული...
შორს არიან იმისი ძე და ორი ასული.

დავსხდებოდით, ვყვებოდით იმ მთისას და ამ მთისას,
უფროს ძმისგან სიკვდილმა, ულმობელმა, გამთიშა.

კარგად მახსოვს, ქედაში, მასპინძლობა, თავაზი,
გემოც არ მავიწყდება – მსხალის, კაცისთავასი.

დღეს ტკივილი, ათასი, გულს მეყრება დანებად...
დაღლილს, მომაცოცხლებდა მასთან შეხმიანება.

ფიქრის გორიდან ვეშვები

მსგავსად თონისა, ხურს ტროტუარი,
ლეღვსა და თუთას ვხედავ დაგლესილს,
მზე ილიმება, ცეცხლად მღუარი,
მალენჩებს სიცხე, უსაძაგლესი.

ვინცებ წუხილის ლეჭვას და ლიჭინს,
ალესილია ჯავრი დანებად;
ცალფა ნაბიჯის გადადგმაც მიჭირს,
სახლამდე სულის მწაღს მიტანება.

საქეიფო აღგილი სანაპიროზე (პურიმჭამელთა მოსაზიდავად)

გამორჩეული რესტორნებს შორის,
ხეთა ჩრდილებში ჩანს „თალლაურა“;
ვერაფერს აკლებს სეტყვა და თქორი,
გადამთქერავი, აკრავს აურა.

იქვე, თალართან, ბოლავს მაყალი,
მაგიდავ, უხვო, ვგრძნობ, იძურნები,
ნაირნაირი, ახალთახალი,
მადის აღმძვრელი მოაქვთ კერძები.

სამაგალითო მომსახურება,
არც თალლითობა და არც ხმაური,
მოუბეზრებელ ხედის ყურება,
ქება ამადაც ვთქვი „თალლაურის“.

ქილი წამართვა (მუსიკის სასწაულები)

ლამიდან გათენებამდე, „მეცოს“
ჯაზის გამოჰყავს რა ანსამბლები;
არაფერს ზოგავს, გულები ლენოს,
წელში გამწყვეტი დაგცეს დამბლები.

რა გამებს, რა სიმს, რა ბაგეს სწყდება
ამდენი ტონი – წმინდა, „საგრადა“,
ალარ იღვევა წყება და წყება,
კვნესა უთვალავ ხმათა, საკრავთა.

პერის ბალი

ფიჭვებში, ჭადრის გამხმარ ტოტებში,
დაშრიალებენ ზამთრის ქარები;
ცივთა და შორთა, ყოველთვის მშურდა –
სიმაღლე ლალი, მიუკარები.

ციდან დაძრულებს, უყვართ ზეცავე,
ვერ ელევთან ქროლოვას, ვნებიანს;
მოხეტიალე ღრუბლებს წენავენ,
გათოშილ მიწას რომ გასცდებიან.

ბოგანო, დასაბუგავ გულში,
რაც შენ გინდოდა, ის თესია,
არაფერი მაქვს უკეთესი,
ცრემლებიც, ლოცვაც ქრისტესია.

ალარ მეღვევა საზრუნავი,
ჩუმად ზრიალებს, დნება ზრუნი...
მიმობნეული, ბაგეთაგან,
არავისია დასაწუნი.

მადევარს რაღას გავეცევი –
გრძელი ნახტომით, კამართა;
სვე-ბედმა, აქნილს, მწუხარება,
არ იქნა, აღარ ამარიდა.

განყდეს, საცა წვრილია (ზაფხულის სიშმაგე)

სამკაულს არ დავეძებ,
ოლონდ იყოს სამკალი,
რაა, თუ არ გადაგლო
ლექსმა ჟრჟოლა, კანკალი,
მთქმელად თუ ვერ გამოვდექ,
კაკლის ძირას დამფალი.

დაბერებას არ ვჩივი,
არც გამოცლილ არაქათს,
არ ჩანს, გაქრა, ამდენი
ვინც რო მალაპარაკა,
ბანარს დანა ვარჩიე,
შემინიროს ზვარაკად.

წუ ჩავერევი

ღამესა და სიჩუმეს არ დატოვებს მარტოს,
თვითონ იცის ბუნებამ, როდის და რა ჩართოს.

ყანას მორწყავს წყაროზე გადებული ღარი,
ვერ ვიჯერებ, არ მოხდეს – რამე გასახარი.

ზაფხულიდან გავიგებთ ჭრიჭინების ჭახჭახს,
ბრონეულად გახჩება – ვარსკვლავების თახჩა.

მაჭრის ჩხრიალს, დამბანგველს, გაიგონებს ყური,
ცაში ფრთებმოკანკალე იფრენს მოლალური.

დღეები კვლავ წარვლიან, ფარას ებმის არვე,
აცვივებას მუხლები იგრძნობს წინასწარვე.

მომიშორებს, მიმაგდებს – საზრუნავი ჩემი,
ზამთრის ძილსაც, დაღლილი, მალე მივეცემი.

შვილიშვილის გვირდით

თეთრი ტანი. ლისის ტბაზე შრიალებენ ვერხვები,
ჩვილს ვეჩვევი, აჩაჩული, იმათ ჩურჩულს ვერ ვყვები.

ნეტა საით მისრიალებს გასროლილი ისარი?!
სხვას ვერავის დავუმაძღვებ, ეს წყალობა ცის არი.

დაექანა, მზემ გორმახებს სხივი გადაამტვრია,
ლურჯ, საგორავ ეტლში მიზის უფლისწული ანდრია.

სხვებსაც დაასეირნებენ, ნიავის გაყოლებით;
აგვივლიან, ჩაგვივლიან – მისი თანატოლები.

სად არ დაგვიღვრია სისხლი, გვეყო სადარდუბალო,
საქართველო გაამრავლე, გვედრები, უფალო!

შეშენა გასაქრობად

ვინ დასწევია გასროლილ ისარს,
ბოლო ერთია – დამშლი თუ შემშლი;
დაუფლეთელო ნათელო დღისა,
რაგინდ დაბნელდე, დარჩები ჩემში.

დრო იყო, მყუდრო მფარავდა ქერი,
მეხვია, არ მეღეოდა სვავი...
აალებული მზის მიყვარს ფერი,
ბროწეულისას ვიტოვებ ყვავილს.

პროზა

კლარა გელაშვილი

დავობადე ახალციხის რაიონის სოფელ საყუნეთში. ლექსებს ვწერ ათი წლის ასაკიდან. „ვიბეჭდები“ 1990 წლიდან. ვარ ავტორი ორი წიგნისა. ვთანამშრომლობ როგორც ადგილობრივ, ისე რესპუბლიკურ პრესასთან (კრიტიკა, პუბლიცისტიკა, მეცნიერული ნაშრომები, კვლევები...). ვარ საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, პროფესიით - ფილოლოგი. ვმუშაობ დიმიტრი ყიფიანის სახლ-მუზეუმში (ფონდების მცველად). ვცხოვრობ ქვიშხეთში.



საბედისწერო ჯპრისწერა

წირვაზე მისულმა ტაძარი ჩქარა დატოვა. აფორიაქებულმა გულმა ჯერ ყურადღება გაუფანტა, მერე კი, იძულებული გახადა, სუფთა ჰაერზე გამოსულიყო. იქვე, ფიჭვების ძირში, გრძელ სკამზე ჩამოჯდა.

როგორც ყველაფერს, ამ ტაძარსაც დასტყობია კარგი მოძღვრის ხელი! მერე როგორ ჰგავს თავისი ბედ-იღბლით ეს პატარა ეკლესია საქართველოს! მასაც ასე სჭირდება კარგი გალაგანი... რკინის კარი... ერთგული მრევლი და კარგი მოძღვარი... სჭირდება, ნამდვილად სჭირდება, და მერე როგორ, მერე რა დროულად!

გელამ ხელი გულზე დაიდო და ღრმად ამოისუნთქა. რა უნდა ამ გულს, რას სთხოვს, რას ერჩის, ყველგან ეშმაკი როგორაა ჩასაფრებული?! — ქუჩაში, სახლში... ტაძარშიც კი... ღმერთო, ნუთუ შენი კალთის ქვეშაც არაა ჩემი სიმშვიდე შესაძლებელი?!

ველარც სკამზე გაჩერდა, წამოდგა და ზურგიტ გალაგანს მიეყრდნო.

— რამდენი კეთილი საქმე მოუსწრია ამ მოკლე დროში მამა ანდრეას! ერობაშიც კეთილსინდისიერი კაცი იყო, უღალატო, მართალი და აქაც კარგად აუნყვია თავისი საქმე!... თუმცა, სწორედ ასეთი ადამიანები ვერ ეგუებიან ამქვეყნიურ ქაოსს და შეძლებისგა-

რად განერიდებიან ხოლმე... ნეტარ არიან ისინი, ვინც ღვთის კალთის ქვეშ პოულობენ სიმშვიდეს...

ახლა ასე ფიქრობდა, მაშინ კი... როცა გაიგო, მისმა ბავშვობის მეგობარმა ერისკაცობაზე უარი თქვა და შეიმოსა, ხომ არ გაგიჟდაო, ისეთი ხმით შეჰყვირა, თითქოს მისი ეკლესიაში წასვლა კი არა, დაღუპვა გაეგოს! ებრალებოდა მეგობარი და მერე, როგორ! ნუთუ რწმენაში ყოფნა არ იყო საკმარისი?! ვერ წარმოედგინა, ახალგაზრდა კაცს მთელი ცხოვრება ანაფორაში დაელამებინა, გამოკლებოდა ყველას და ყველაფერს, ელოცა მხოლოდ სხვათა ცოდვების გამოსასყიდად და დიდხანს, დიდხანს დატანჯულიყო ურწმუნოთა გამჭოლი, ეჭვიანი, ქურდული მზერით!

რამდენჯერ გაუჩნდა მისი მონახულების სურვილი, მაგრამ... ვაითუ, მეგობრის თვალებში სულიერი ტანჯვა წავიკითხოო და, ალბათ მაშინაც საკუთარ გულს გაუფრთხილდა!

გადიოდა დრო და ქარს მოჰქონდა ცნობები მეგობრის შესახებ: გადააქციაო ტაძარი სულიერების სავანედ. რწმენისა და პირუთვნელობის ასპარეზად აქციაო იგი! დანგრეული გალავნის კედლებში რწმენა და სიყვარული ჩაატანაო... მრევლს ველარ იტევსო ეკლესია...

სადღა იყო ძველი ერისკაცი! ველარც კი იცნო!.. ამქვეყნიურ ცოდვებს გარიდებული, ძაძით შემოსილი მოძღვარი იდგა მის წინ! ხოლო ის ერთი ნაბიჯი კი, რომელიც მათ აშორებდა, იმ ხიდის მოლოდინში გატრუნულიყო, რომელსაც ორი, ჯერ კიდევ ამოუცნობი სამყარო უნდა დაეკავშირებინა. მოძღვრის მშვიდმა, იმედითა და რწმენით სავსე თვალებმა არა მარტო სულიერი კავშირი ალადგინა, არამედ მის სამყაროში უფრო ღრმად შეღწევის სურვილი დაბადა... დღე არ გავიდოდა, მასზე არ ეფიქრა... თუმცა კარგად იცოდა, რაც ენეოდა მისკენ... მტკივანი სული ეძებდა ნავსაყუდარს, სიმშვიდესა თუ გამოსავალს... წირვაზე დასწრება გაუჭირდა, გონება ეფანტებოდა, მუხლი ეკვეთებოდა, სამაგიეროდ, ქადაგების დროს არ გამოპარვია არცერთი სიტყვა, იმდენი რამ ენიშნა! თითქოს მის გულსა და გრძნობებში აფათურებულებო... ოჯახი, ჯვარი, მოთმინება... თითქოს თავდაყირა დადგა ყველაფერი! ჰმ, მოთმინებაო!.. კი, იცის, საუკეთესო წამალია სულისთვის, მაგრამ... მიუხედავად შინაგანი ბრძოლისა, ბოლოს მაინც დარწმუნდა, რომ მისი ბავშვობის მეგობარი არასოდეს ინანებდა, რომ უფალს შეუდგა! რამდენ რწმენაშერყეულს ესაჭიროებოდა მისი წამალი!

სულ რამდენიმე თვე და, სადღა იყო შავი ფიქრები ანაფორაზე, ფიზიკურ თავისუფლებაზე, ტოლ-სწორებში გამონყევებაზე... ახლა თვითონაც დაუნანებლად გაიხდიდა ძვირადღირებულ პიჯაკს და სადმე სანაგვეზე დაუნანებლად მოისვრიდა, ოღონდ ცხოვრების ბინძური თამაშისთვის თავი როგორმე დაეღწია და სულის სიმშვიდე ეპოვნა... რაც მეტი გაიბრძოლა, მეტად ნაგვემი აღმოჩნდა. ის კი, ვისაც არჩევანი დაუწუნა და ასგზის განიკითხა კიდეც, უფალს ისეთი მადლით დაეჯილდოებინა, რომელიც ახლა ისე ესაჭიროებოდა, რომ ველარც სული და ველარც სხეული ველარსად გაექცეოდა...

გულმა დატვირთვას ველარ გაუძლო, ჯიბიდან ნიტროგლიცერინის პატარა აბი ამოიღო და ვიდრე ენის ქვეშ დაიდებდა, წამით დახედდა:

— ჰმ, აბით შეჩერებული სიკვდილი! — გელამ გულზე ხელი ისე მიიჭირა, თითქოს უნდოდა, გადმოვარდნილი გული მუჭში მოექცია, რათა მიწაზე დაცემისაგან გადაერჩინა. ეკლესიის ეზოდან ფრთხილად გავიდა, მანქანის კარი გამოაღო და უკანა სალონში ფრთხილად წამოწვა.

მღვდელი ღვთისმსახურებას განაგრძობდა, გელა — ფიქრს...

პირველად, როცა სიყრმის მეგობარს სულიერ შვილად წარუდგა და ან უკვე მოძღვრის წინაშე სანყაული დააპირქვავა, შვებით ამოისუნთქა!

ბავშვობა, ყრმობა, სიჭაბუკე... რა კარგად ახსენდება ყველაფერი! მეთე კლასში იგრძნო გულის უცნაური ფორიაქი. ამისი მიზეზი კი, თანასკოლელი თათია იყო. ან კი აქამდე როგორ ვერ მიხვდა?! თათიას გამოხედვა, აფარკლული ღანვები, კრძალვა... ყოველივე ეს თათიას მის დანახვაზე ემართებოდა... ცოტა ხანიც და სენი მის სულსა და გულშიც გადმობარგდა და აქამდე შეუცნობი რამ აგრძნობინა. თუმცა, შეძლო, გრძნობები შეენიღბა. საღამოობით მეგობრებთან ერთად მის სახლთან გაივლიდა. ხან იქვე, ხის სკამზე ჩამოსხდებოდნენ, ხან გაისეირნებდნენ, მაგრამ ვერ იქნა და ხმა ვერ ამოიღო, თითქოს მომენტს ელოდა, თათიასთვის ეთქვა, რასაც გრძნობდა, რასაც ფიქრობდა... არც მეგობრებს არ გამოჰპარვიათ მათი შორით დაგვა... უკვე აღარავინ ახსენებდა მათ სახელებს ცალ-ცალკე. თათიას ბევრი აღმერთებდა, მაგრამ იცოდნენ, მისი გული სხვას ეკუთვნოდა. ეს „სხვა“ კი, ვერა და ვერ ახერხებდა, მისთვის ორიოდე ისეთი სიტყვა ეთქვა, რომელსაც თათია ასე მოუთმენლად ელოდა...

ამასობაში სკოლაც დაამთავრა და სტუდენტიც გახდა. არც იქ დავიწყებია თათია. თბილისიდან ჩამოსული მაშინვე მის მოსანახულებლად გარბოდა, მაგრამ მოკითხვის შემდეგ რატომღაც სასაუბრო თემას ვეღარ პოულობდა, პირველკლასელივით იბნეოდა და ისევ და ისევ მონატრებას ამხელდა, სიყვარულს — ვერა!..

ასე ილაღებოდნენ დღეები, კვირები, თვეები და თან მიჰქონდათ ულამაზესი შანსი ბედნიერების მოპოვებისა!.. ეს ის პერიოდია, როდესაც ადამიანს წამის მარადიულობა სწამს. როდესაც ჰგონია, რომ ცხოვრების სადავეებს იმორჩილებს და როცა უნდა და რაც უნდა, ყველაფერს ისე წარმართავს! სწორედ ამ დროს უშვებს ადამიანი ყველაზე დიდ, გამოუსწორებელ შეცდომას! ასე დაემართა გელასაც... სტუმრად წასული თათია შემთხვევით გაცნობილმა „ტიპმა“ მოიტაცა!..

ეს იყო პირველი ცხოვრებისეული დარტყმა, რომელმაც 19 წლის გელა დააჩოქა!

გელა მიხვდა, რომ უდიდესი შეცდომა დაუშვა. დუმილით დაკარგა ის, ვისზე ფიქრშიც ღამეებს ათევდა! ამას ვერ წარმოიდგენდა, არა, მაინც რატომ არ შეიძლებოდა რომ დაეკარგა, რა დაიფარავდა მათ გრძნობას, ფიქრი?..

რამდენიმე თვე აგონიაში ჩავარდნილი გელა სოფელშიც არ ჩამოსულა. სხვა მის ადგილზე როგორმე მოახერხებდა, ხმა მიეწვდინა, რაიმე აეხსნა... თუმცა, რალა აზრი ჰქონდა. მით უმეტეს გაიგო, რომ თათია თვითონვე არ გამოჰყოლია უკან მშობლებს...

რა დაავიწყებს გახაფხულის იმ დღეს, როცა გათხოვილ თათიას პირველად შეხვდა!..

თათიას გათხოვების შემდეგ არა თუ მეგობრებს, საკუთარ თავსაც გაურბოდა. ადრე თუ მათ გარეშე ნაბიჯს არ გადადგამდა, ახლა მარტოობაში ეძებდა სიმშვიდეს...

მაშინ დაბა სურამის ებრაელები განთქმულნი იყვნენ გასაყიდი საქონლის მრავალფეროვნებით. რა გინდოდა, სულო და გულო! საიდან აღარ მოდიოდნენ მყიდველნი! განსაკუთრებით საპატარძლოები და პატარძლები მოჰყავდათ საყიდლებზე. სხვაგან ვერსად ნახავდით ასეთ საქონელს! ებრაელებში უნდა გეპოვნა შენი გემოვნების სამოსი — ფეხიდან დაწყებული თავსაბურავით დამთავრებული!.. და აი, გელამაც ფეხსაცმლის შესაძენად სურამის ებრაელებს მიაშურა.

„სურამულას“ ბოგირს რომ გადასცდა, ხელმარჯვნივ, მესამე სახლიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და: — ხომ არაფერი გინდა ბიდიკო? — მერე წინ გაუძღვა და სახლში შეიყვანა, — შეარჩიე, მოიზომე და მოვრიგდებითო... რომც არ გდომოდა, თვალი მაინც გადარბოდა საქონლიდან საქონელზე... ქალის ფეხსაცმელი უფრო სჭარბობდა. ერთი ლამაზი საზაფხულო ფეხსაცმელი აიღო ხელში. რამდენჯერმე შეატრიალ—შემოატრიალა და ამოიხვნეშა. ებრაელი, რომელსაც მიშად უხმობდნენ, თითქოს რაღაცას მიხვდაო, მივიდა, თვალეში შეხედა და: „მოგნონს? თუ ფული არ გეყოფა, გენდობი, წაიღე!“ — თან ხელი ისე აიქნია, თითქოს იმისი თქმა უნდოდა, მე ჩემსას ვაკეთებ და ... კაცობაში მაგასაც შეველევიო ... რა იცოდა, რა აკვნესებდა გელას ... რა იცოდა, რომ თათიას გახსენებამ აუნუნა ფიქრი!.. გელას ისე ესიამოვნა ებრაელი მიშას მომენტალური თანაგრძნობა, რომ კინალამ გულის გადასაშლელად მოემზადა!..

სამსაფეხურიანი ხის კიბე, რომელიც ეზოდან სავაჭრო ოთახს აკავშირებდა, ახალი კლიენტის შემოსვლას სულ ჭრიალ-ჭრიალით ეხმაურებოდა. ამჯერად კიბე კი არ აჭრიალდა, აპაკუნდა! აშკარა იყო, ქალის მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ეხებოდა და ახმაურებდა. გელამ უნებურად გახედა კარს. საშუალო ასაკისა და სიმაღლის ქალს, რომლის ფეხსაცმელიც ასე პაკუნობდა, უკან ახალგაზრდა გოგონა მოყვებოდა...

— თათია! ნუთუ?! კი, ნამდვილად თათია ახლდა გადაპრანჭულ ქალს!.. გელამ თვალმოუშორებლად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი და ღანწებაფარკლულ თათიას დაბნეული სახით მიუახლოვდა. თათიამ დიდი თაფლისფერი თვალეები შეანათა და ხელი გაუნოდა.

— გილოცავ! — ძლივს ამოლერდა გელამ მხოლოდ იმიტომ, რომ რაღაცა უნდა ეთქვა... მარტონიც ხომ არ იყვნენ! თავდახრილმა თათიამ მადლობა გადაუხადა და აუცილებლობის გამო დედამთილი და თანასოფლელი ერთმანეთს წარუდგინა.

— სასიამოვნოაო, - ჩაილაპარაკა ქალმა და მაშინვე ტანსაცმელს მიაშურა... გელას თითქოს ცივი წყალი შეასხესო, უცებ გამოფხიზლდა. მიხვდა, სულ რაღაც წამი რჩებოდა თათიასთან პირისპირ დასარჩენად და დრო არ დაკარგა: „ბედნიერი ხარ?“ — გელას ხმაში საკუთარ თავზე გამწყრალი კაცის ტონი უღერდა. თუმცა, თამამი იყო, გაბედული!.. სურვილი კლავდა ამ პანანინა ნუთში ამოეთქვა ის, რისი თქმაც ადრე უნდა მოეხერხებინა. თათიამ ისევ იმ ღმილით შეხედა, ბედნიერების მილოცვისას რომ გაკრთა მის ჭკვიან,

ნაღვლიან თვალეებში... „თათი, იცი, როგორ მიყვარხარ?“ — გელამ თავი დაკარგა. მისი ბეჭდიანი ხელი ხელში მოიქცია და ისეთი სახით შეხედა, თითქოს ადამიანი კი არა, მტაცებელი ცხოველი იყო, რომელიც ნადავლის დაკარგვის შიშით ყველაფერს ჩაიდენდა!..

— დაიგვიანე! — თათამ მწარედ გაიღიმა და ხელი გაითავისუფლა. ცრემლით სავსე თვალეებში წყრომა გაკრთა და ზურგი აქცია, თუმცა კარგად გაიგონა უკან მიდევნებული სიტყვები: „არც ახლაა გვიან!“

გელას სუნთქვა შეეკრა. არასოდეს ყოფილა ასე განადგურებული... ასე დამარცხებული... ასე შერცხვენილი...

„დაიგვიანე!!!“ — აბა, რა გეგონა, რა პასუხს ელოდი, გელა ბიჭო?! რა კარგ დროს ამოღერლე სათქმელი! მაინც რას ელოდი ნესიერი ქალისგან? გეგონა, ხელს ჩაგჭიდებდა და სამყაროს დასალიერამდე გდევდა უკან მიდევნებული სირცხვილით?! იქნებ, საყვედურიც შეგებედა, — რად არ მიერთგულეო?!

გელა ბოგირზე შეჩერდა და „სურამულას“ პატარა ტალღებს დააჩერდა.

— ცხოვრებაში ერთადერთხელ გაბედე, გეთქვა, რასაც ფიქრობდი და მერე როდის?! როცა თვითონაც კარგად იცოდი, რა პასუხს მიიღებდი! ეს რა ჩაიდინე, გინდოდა, თავი დაგერწმუნებინა, რომ ლაჩარი არ ხარ?! ნუთუ ამდენი ხანი იმისთვის დუმდი, რომ მერე გათხოვილი ქალისთვის აგეხსნა სიყვარული?! არადა, ერთადერთხელ რომ მაინც გეთქვა, თათია იქ დამრჩენი არ იყო!.. იცი შენ ეს, იცი, რადგან სწორედ ახლა ნაიკითხე თათიას თვალეებში!.. რა ქენი, ბიჭო, ვინ გადაატარე გულზე, ვინ?! ვილაც ვიგინდარა, რომელმაც ყოველგვარი გრძნობის გარეშე ცოლად დაისვა შენი სიყვარული!!! მისთვის თათია მხოლოდ ცოლია, ჩემთვის კი... გაჯობა! უნდა აღიარო, რომ გაჯობა! თავში რომ თქმა სჯობდა დუმილს და თქმით რომ ყველაფერს ეშველებოდა, ეს უნდა გცოდნოდა, ბიჭო!

მუნჯი იყავი და ვერ ამოთქვი, ბრმა იყავი და მომავალი საფრთხე ვერ დაინახე. ყრუ იყავი და ვერ გაიგონე მისი გულის ხმა! დღეს ამოიდგი ენა, მაგრამ ნეტავ არაფერი გაგეგონა! ერთ წუთში მოინდომე შეცდომის გამოსწორება, ერთ წუთში!...

საკმაოდ დიდხანს რცხვენოდა საკუთარი თავის და როგორც ხშირად ემართებათ ხოლმე ამ ასაკში და ამ მდგომარეობაში მყოფ ახალგაზრდებს, მასაც ეგონა, რომ ყოველივე დამთავრდა!..

სასწავლებლის დამთავრებისთანავე მეორე, გამოუსწორებელი შეცდომა დაუშვა — ცოლად ისეთი გოგონა მოიყვანა, ვისთანაც არანაირი გრძობა არ აკავშირებდა. მით უმეტეს, არც ფიზიკურად მოსწონდა. გოგომ იაქტიურა და ნასვამ მდგომარეობაში მყოფ, გულგატეხილ გელას „აეკიდა“.

ადვილად შეეძლო ეს შეცდომა მაინც გამოესწორებინა, მაგრამ არც უცდია. ახლა სულ ერთი იყო, ვინ იქნებოდა მისი ცოლი... თავისი გაუაზრებელი ნაბიჯით დედასაც გული ატკინა და დასაც: „ცივი თვალები აქვს და სულიც ასეთივე რომ აღმოაჩნდეს, დავიღუპებიო!..“

სამწუხაროდ, მართალნი აღმოჩნდნენ! უკვე ორჯერ ჩახედა სიკვდილს თვალებში! ორჯერ იწვა სასიკვდილო სარეცელზე და, ალბათ ერთადერთი იყო ამ მდგომარეობაში მყოფთაგან, ვინც ღმერთს გადარჩენას არ ემუდარებოდა...

რა არ იღონა, როგორ არ სცადა, მაგრამ ამ ქალის სულში ერთი სანთელიც ვერ აანთო! უსიყვარულოდ ბევრი ოჯახი შექმნილა, მაგრამ შემდგომი ურთიერთობებით და ერთი უღლის წევით მეუღლეები ერთ სულ და ერთ ხორც ქცეულან. მათ უბეში დაფრთიანებული ბარტყებს კი, ბედნიერება გაჰყოლიათ მეგზურად!...

არავინ უწყოდა, თუ რა ხდებოდა ბუტაფორიული ბედნიერების მიღმა... იქნებ ხედავდნენ და გრძობდნენ კიდეც, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ გელა იტანდა „უხმოდ“. განსაკუთრებით შვილებისადმი მისი დამოკიდებულება ანუხებდა. ანგელოზებს ჰგვანდნენ ბავშვები, მაგრამ რა... გასაოცარი ყინული განოლილიყო დედასა და შვილებს შორის! თითქოს, სხვისი ობლები ჰყავდა სამადლოდ შეფარებული...

ისევ შეცდა! პირველი შეცდომა დაგვიანებით დაუშვა, მეორე - აჩქარებით. ეჩვენებოდა, თითქოს მთელი მისი ცხოვრება შეცდომა იყო...

...პირველი ინფარქტის მიღებისას მკურნალმა ექიმმა მის ქალვაჟს რომ შეხედა, რა უნდა მოგერიოს ამათ მამას, შენი თვალები ამათი ყურებით არ უნდა დაილალონო... რა იცოდა ექიმმა, რომ სწორედ მათ გამო სტკიოდა გული. რა იცოდა, რომ კერიის გამათბობელი ბუხარი იყო ჩანაცრული და საშინელი სიცივე დანავარდობდა სულში... სხეულში... ამათი დედის გული კი, სისხლის იმ რაოდენობას ატარებდა, რაც მხოლოდ სასიცოცხლოდ ესაჭიროებოდა. არც ერთი წვეთით მეტი, თორემ იქნებ ოდესმე დაბადებოდა სურვილი ოჯახის გაბედნიერებისა!...

მხოლოდ სოფელში ჩასული გრძნობდა თავს მშვიდად. დედის სიტბო და სურნელი ბავშვურ უდარდელობას უბრუნებდა. მშვიდად ეძინა და ისეთ ლამაზ სიზმრებში დაცურავდა, გამოღვიძებულს თვალის გახელა და რეალობაში დაბრუნება აღარ უნდოდა... თუმცა, ხშირად ჩასვლას მაინც ვერ ახერხებდა...

ერთბაშად ყველაფერი შეიცვალა. გელამ სოფელში სიარულს მოუხშირა. ამბობდნენ, მეორე ინფარქტის შემდეგ სუფთა ჰაერი ურჩიო ექიმმა. შედეგიც სახეზე იყო — გელა გახალისდა, ჭაბუკივით აუციმციმდა თვალები... მართლაც, იმედის სხივი შემოჭრილიყო მის ცხოვრებაში. ჭაბუკური შემართება დაბრუნებოდა გულდაკოდილს... რა იყო ეს, რას ებლაუჭებოდა ჩასაძირად გამეტებული იმედი?

ერთხელ, სოფელში ჩასულს ახალი ამბები დახვდა: ლევანტოს თათიას დაენგრაო ოჯახი!.. გელასთვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ძარღვებში სისხლის გაყინვა იგრძნო. აივანზე, ტახტზე გულადმა მწოლიარეს მოეჩვენა, რომ ცა თათიას სახემ დაფარა. სხვა არც ვინ და არც აღარაფერი არ ჩანდა ირგვლივ...

— ჩაულაგებია თავისი ნივთები და წამოსულა... არც ჩხუბი, არც არაფერი, გაგიჟდება კაცი! — ეს გელას დედა იყო ასე აღშფოთებული.

— იქნებ უშვილობის გამო გაჩნდა პრობლემა და ვეღარ აიტანა... - თავისი აზრი ახლა გელას დამ გამოთქვა.

— არაო, არაფერი უგრძნობინებიათ, მე თვითონ მივიღე ასეთი გადაწყვეტილებაო...

„თათია! ჩემი ტკივილი და სიხარული! ახლა ის აქაა, ოდნავ მოშორებით...“ გელას ვერ გაერკვია, რა ერქვა იმ გრძნობას, რაც ახლა დაეუფლა — თათიას უბედურებით გამონვეული ტკივილი თუ... თუმცა, რატომ უბედურება? ეს ხომ მისი არჩევანია! იქნებ პირიქით, სწორედ უბედურებას გამოექცა? უსიყვარულოდ ვერ იცხოვრა და... იმიტომ! იცნობს გელა თათიას! თათია სპეტაკია, მას არ შეუძლია თამაში... არც სხვისი მოტყუება! სწორედ ამიტომ მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას! მით უფრო, რომ შვილი არ ჰყავდა... ეჰ, თათია, არც შენ შეგხვედრია სულიერი, თორემ ამდენი წელი თავს როგორ ვერ შეგაყვარებდა!..

მას შემდეგ სოფელში ჩასულს სუნთქვა აღარ უჭირდა, რადგან გრძნობდა, ჰაერი თათიას სურნელით იყო გაჟღენთილი... ვეღარ გარკვეულიყო, რა ერქვა იმ გრძნობას, გაბზნილი გულით რომ თათიასკენ მიაქანებდა — სიყვარული? კი, იყო, მაგრამ გელა გრძნობ-

და, რომ რაღაც სხვაც იყო, იქნებ მარტოობიდან გასაქცევ გზას უერთდებოდა თათიასკენ მიმავალი გზა? მაგრამ ყველაზე მთავარი ის იყო, თუ რას ფიქრობდა თვითონ თათია!

გაზაფხულის ერთ თბილ საღამოს, სეირნობისას, დღისა და ღამის გაყრის უკან სწორედ თათიას ჭიშკართან წამოენია... იქამდე როგორ მივიდა, არ ახსოვს! ფიქრმა წაიყვანა, ფიქრმა... გზად კი გული გამოიყენა, გულზე გაიარა საკუთარი ფეხით და, უნებლიედ მივიდა იქ, სადაც არ უნდა მისულიყო! არ უნდა მისულიყო არა იმიტომ, რომ არ უნდოდა, არა, თათია წრფელი გულით უყვარდა დღემდე და ამ სისპეტაკისთვის უნდა ეცა პატივი — ღირსებისთვის, რომელიც ორივეს გააჩნდა... თათიას სიყვარულს ვერ გაუფრთხილდა და ახლა, სამაგიეროდ, მის სახელს უნდა გაუფრთხილდეს!.. უნდოდა, უხმოდ გასცლოდა იქაურობას, მაგრამ თვალი მაინც იმ სინათლისკენ გაექცა, რომელიც უზარმაზარ, მწვანე ეზოში ჩადგმული ოდის ფანჯრიდან გამოკრთოდა. თათია, თათია, რა ახლოსა ხარ და მაინც რამხელა მანძილი გვაშორებს!.. ახლა მარტოა, სულ მარტო. ობოლი, მიუსაფარი... მისი უბედურების საწყისად საკუთარი თავი მიაჩნდა და ვინ იცის, უკვე მერამდენედ ეტკინა გული... ეზოდან წყლის ხმა მოესმა. ონკანთან თათიას სილუეტი იკვეთებოდა.

— ალბათ წყალს ავსებს!.. ჭიშკართან შედგა. რა ქნას, წავიდეს?.. უნდა, წავიდეს, მაგრამ ფეხი არ გაჰყვა! გულს დაეკითხა, მაგრამ... დაიბნა, აფორიაქდა და ჭიშკარი შეალო... მხოლოდ შეხედოს, მისი სიახლოვე იგრძნოს და მერე არ დაეძებს. დაე, თუნდაც სამუდამოდ გამოთხოვოს... ჩაახველა...

თათია ზურგით იდგა და წყლის ხმაურში იქნებ ვერც ჭიშკრის ხმა გაიგონა და ვერც მისი მიახლოება იგრძნო. გელა მიუახლოვდა. თავი ვერ შეიკავა და მარჯვენა ხელი წელზე, მარცხენა კი მხარზე მოხვია და ლოყით თავზე დაეყრდნო...

— თათია! — მხოლოდ ეს თქვა და იგრძნო, რომ წამის მარადიულობას ეზიარა... ეს იყო ის, რისთვისაც სიცოცხლის გაცემაზეც დათანხმდებოდა... აღარც წინ ჩანდა რამე უკეთესი და არც უკან. აწმყოც ეს იყო და წარსულიც... მომავალზე კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა იქნებოდა. ნუთუ ის, რაც ამდენმა წელმა დაშალა, ამ პანანინა ნუთს უნდა მინდობოდა ასაშენებლად!..

თათია თითქოს ელოდაო, წამიერად გაირინდა. იქნებ ისიც, როგორც გელა, ბედნიერების ძიებაში დაღლილი ქალი, სიყვარულის საყრდენს ეძებდა და გელასთან შეხვედრაზე ოცნებობდა, მაგრამ...

— წადი! — თითქოს თავის თავს ესაუბრებო, ისე ჩაილაპარაკა და გელას ხელი წელიდან ფრთხილად მოიცილა...

— თათია, მე ვერ ვარ კარგად! — გელას ხმაში მუდარამ გაიჟღერა...

— ვიცი, ვიცი... მაგრამ შენ შვილები გყავს, გელა!.. წადი!..

— ვიცი... მაგდებ?

— ჯერჯერობით!.. ასე სჯობია!..

ჯერჯერობით!.. ასე სჯობია!.. — დიდხანს ესმოდა ეს სიტყვები. იმედის ჭია აუფუსფუსდა გულსა და სულში. იმედს იტოვდა, რომ ერთ დღესაც, როცა შვილები აღარ დაისაჭიროებდნენ, უსათუოდ შეაღებდა იმ კარს, საიდანაც კი არ დაითხოვეს, არამედ მხოლოდ დაემშვიდობდნენ!..

...და, ასე, შორეული სინათლის გზაზე მიმავალმა ეკლესიის კარიც შეალო! არც ერთი წამალი არ ყოფილა ასეთი ეფექტური, არსად უპოვნია ასეთი სიმშვიდე... ნაბიჯ-ნაბიჯ შემოდიოდა მასში რწმენა. თუმცა ხვდებოდა, რომ როგორც ყველგან, აქაც დაიგვიანა... იქნებ მერე, აღარც გული გაბზარვოდა!..

ერთ-ერთი წირვის შემდეგ, ქადაგებაში, ჯვარდაუნერელი ქორწინების ცოდვაზე ისაუბრა მამა ანდრიამ. ასეთ ქორწინებაში გაჩენილი ბავშვები ცოდვის შვილებად ითვლებიანო... მერე გელასაც რამდენჯერმე ურჩია, ამოეყვანა ოჯახი ამ ცოდვიდან, ჯვარი დაენერა შვილების დედაზე... ხელახლა აფორიაქდა გელას გული! დღემდე შეცდომად თვლიდა ამ ქორწინებას და ახლა? ახლა, ახალ მსხვერპლს სთხოვდა უფალი!... კავშირის განახლება ქალთან, რომელსაც დღეს-ხვალ უნდა დაემშვიდობოს?! მერე ასეთი იძულებითი ჯვრისწერის მომხრეა უფალი?.. მან უკვე გასცა გასაცემი! დაზარდა, გზაზე დააყენა შვილები და თითებზე დასათვლელი დღეები დარჩა ბორკილის შეხსნამდე... აი, კიდევ, რა! თურმე, ცოდვის შვილებიც ყოფილან მისი შვილები და აქედანაც მამამ უნდა დაიხსნას! თან მერე როგორ! უნდა დაუწოქოს შვილების დედას, რომ იქნებ როგორმე დაარწმუნოს ჯვრისწერის აუცილებლობაში!.. ბედის ირონია და, თანაც ასეთი?!.. და თუკი ასე აუცილებელია უფლის გვირგვინი, გელა შეძლებს ასე იოლად უგულველყოს? მერე რა უთხრას ღმერთს, რომელსაც ასე მიუახლოვდა!.. დაე, მიეცეს კეისარს კეისრისა!..

ჯვრისწერამ რადიკალურად შეცვალა მისი გეგმები. მორჩა, გათავდა, დასრულდა ყველაფერი! საკუთარ თავს თათიაზე ფიქრიც კი

აუკრძალა... ასე დაისაჯა თავი და ეს იყო ყველაზე დიდი სასჯელი იმ შეცდომებისთვის, რაც კი ოდესმე დაუშვია! არადა, რა ახლოს იყო სინათლე... იმედი...

მანქანის სალონში წამოწოლილი გელა ნაცრისფერი ცხოვრების ბურუსში გაეხვა. გულის კუნთზე ხელმიჭერილმა კიდეც ერთი აბი მიიღო, მაგრამ... მიხვდა, მოახლოებოდა ის, ვისაც ასე შესაბრალისი არ უნდა ჩაბარებოდა... არა, აქ არა, იქნებ ერთხელ მაინც... უკანასკნელად...

ეკლესიის მინიან ნიშზე ჩიტი გამაღებით ურტყამდა ნისკარტს... ისმოდა გალობა: „... იესო, ღმერთო გულისა ჩემისაო, მოველ და შემაერთე შენთანა, საუკუნოდ...“

პანაშვიდზე დიდი თეთრი თაიგულით მივიდა თათია. არავის გაჰყვირებია მისგან ბავშვობის მეგობრის გულწრფელი დატირება... გულამოსკვნილი ქვითინი...



— შენ მას ძალიან უყვარდი!.. — მამა ანდრიამ ვერ შესძლო უხმოდ გაეცილებია ეზოდან...

— ვიცი!... — თვალი ვერ გაუწნორა მოძღვარს თათიამ.


— ილოცე მისთვის!.. — უკან დაანია სიტყვები მოკვდავს, რომელიც სულ ჩქარა უფლის მხევალი უნდა გამხდარიყო!..

მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

თარგმანი

ქემალ ბილბაშარი (1910-1983)

ცნობილი თურქი მწერალი არაერთი მოთხრობის, კრებულისა და რომანის ავტორია. იგი სწავლობდა ანკარის ლაზის სახელობის განათლების ინსტიტუტში ისტორიის სპეციალობით (1932-1935). სხვადასხვა დროს მუშაობდა თურქისა და ფეხსაცმლით მოვაჭრის მოსამსახურედ, გაზეთების დამტარებლად. 1935-1961 წლებში ქ. ნაზილისა და ქ. იზმირის სკოლებში ისტორიის მასწავლებელი იყო. 1961 წლიდან აქტიურ ლიტერატურულ საქმიანობას ეწეოდა. კრიტიკოსთა და მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო რომანმა „ჯემო“, რომელიც 1967 წელს თურქული საენათმეცნიერო საზოგადოების პრესტიჟული პრიზით დაჯილდოვდა. ხსენებული რომანი ამავე სახელწოდების წარმატებულ კინოფილმს დაედო საფუძვლად. 1968 წელს ქემალ ბილბაშარის ნაწარმოებმა „მწვანე ჩრდილი“ მიიღო „მაი-ს პრიზი საუკეთესო რომანისათვის“.



წერილშილის პატრონი

მუნიციპალიტეტის ინსპექტორი სალიჰ თოქგოზი წყაროსთან, დაბის განაპირას რომ მოედინებოდა, მეხუთეჯერ იბანდა ხელ-პირს და ჩექმებს ინმენდდა. აქ ვილაეთისაკენ¹ მიმავალი მეურმეები საქონელს არწყულებდნენ, სატვირთო ავტომანქანები კი წყალს იღებდნენ. ნალბურღარის² სატვირთო მანქანა ჯერ არ ჩანდა.

ტანმორჩილი, სქელი კაცი იყო. როგორც მსმელ ადამიანებს ახასიათებთ ხოლმე, მასაც ჩასისხლიანებული თვალები და წითელი სახე ჰქონდა. ლოყებსა და ცხვირზე ლურჯი ძარღვები ეტყობოდა. ქერა წამწამები და ჩამონეული უღვაშები ამ ჩასისხლიანებულ თვალებში დასადგურებულ მრისხანებას დაუნდობელ გულცივობას მატებდა.

¹ ადმინისტრაციული ერთეულის ძველი სახელწოდება, დღეს ეწოდება „ილი“. იგივეა, რაც გუბერნია.

² ადგილის სახელწოდება.

ცხვირსახოცით სახე რომ შეიმშრალა, დაინახა, დაბიდან წყაროსაკენ სახედრით ერთი გლეხი მიემართებოდა. მუნიციპალიტეტის ინსპექტორი გლეხმაც შენიშნა და პირუტყვს კისერში კეტი ისე სდრუზა, სანყალს წყლის დაღვეის სურვილი დაეკარგა. შეშინებულ გლეხს უნდოდა, მისალმებოდა და თავისი გზა გაეგრძელებინა, მაგრამ მუნიციპალიტეტის ინსპექტორმა ჩვეულებისამებრ ჰკითხა:

– ეი, შენ, რა გაქვს მაგ კალათებში? საკვები მიგაქვს?

მუნიციპალიტეტის ინსპექტორმა გლეხისაგან, რომელსაც დაბიდან სოფელში პური კონტრაბანდით მიჰქონდა, ქრთამი — სამი ლირა — აიღო.

როგორც კი ნალბურღარის სატვირთო მანქანამ წყაროსთან ჩაიარა და მტვრის კორიანტელი დააყენა, მუნიციპალიტეტის ინსპექტორის სალიჰ თოქგოზის სასტვენის ხმაც გაისმა. მანქანამ სიჩქარე ვერ შეამცირა, ცოტა წინ გაჩერდა. მანქანა საფეხ იყო ფუთებით, კალათებითა და ბიდონებით. ერთ დიდ გალიაში ქათმები ჩაესვათ. ერთმანეთზე იდგნენ, თავები გარეთ ჰქონდათ გამოყოფილი. როგორც კი მანქანა გაჩერდა, აკრიახდნენ. მგზავრები, როგორც ყოველთვის, ერთმანეთის მუხლებზე ისხდნენ. ზოგიერთს ფანჯრიდან თავი ისე გადმოეყო, როგორც ქათმებს გალიიდან. ისინიც აყვირდნენ და ლანძღვას მოჰყვნენ, როცა მანქანა გაჩერდა. მძლოლმა ფანჯრიდან გადმოიხედა, მხოლოდ თავისი თანაშემწის გასაგონად ჩუმად თქვა:

– ვერ იქნა, ამ ყეყერს თავი ვერ დავაღწიეთ. მგზავრი თანახმაა, სივინროვე იყოს, ოღონდ კი გაემგზავროს და ამათ რალა უნდათ? აიღე ეგ ხუთი ქალაღის ფული და წაუღე, ვითომ მოწყალეობა გავიღე... ღვთის მაღლით, ექიმს მისცეს ეგებ...

თანაშემწეს კონვერტი გაუწოდა. ის ძირს ჩამოხტა:

– რა ხდება, ძმაო?.. – შეეხმიანა მუნიციპალიტეტის ინსპექტორს.

– კიდევ რა უნდა მოხდეს? – დაუყვირა სალიჰ თოქგოზმა. – სასტვენით განიშნე. იმის ნაცვლად, რომ მანქანა ათ მეტრში გაგეჩერებინათ, 30 მეტრში ძლივს შეძელით გაჩერება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თქვენი მუხრუჭები არ იჭერს. ესეც კი კმარა იმისათვის, რომ საბუთები ჩამოგართვათ. თანაც სატვირთო მანქანა სადღესასწაულო მანქანისთვის დაგიმსგავსებიათ... ყოველ შემთხვევაში, კიდევ თუ შეეცდებით და ერთ ჯერზე ორმოცდაათ ადამიანს წაიყვანთ...

მძლოლის თანაშემწე მიუახლოვდა და უთხრა:

– მუხრუჭები ახალი გამოცვლილია, ძმაო. შემონმების საბუთიც აგერაა. ოცდახუთი მგზავრის ნაცვლად ოცდაათი ავიყვანეთ. ხუთი კაცით მეტი, აბა, რას იზამს? მატარებლებში ადამიანები ისე მგზავრობენ, ლამის ერთმანეთს ასხედან. ამ ხუთი კაციდან სამი ჟანდარმერიამ ჩაგვისვა. საჯარისო გადაზიდვებიდან ყოფილან... კონტროლის გადაზიდვებს არ ნახავთ? – ჰკითხა და თვალი ჩაუკრა.

მუნიციპალიტეტის ინსპექტორმა საბუთი აიღო, გადაშალა, იქიდან კონვერტი ამოიღო. ცოტა ხანი უყურა, ხუთლირიანი ნახა, აიღო და მუჭში დამალა.

– ეს ცოტაა... – ჩაიჩურჩულა. – კარგი, ამ ჯერზე ასე იყოს!

საბუთი როცა დაუბრუნა, მძღოლს დაუყვირა:

– ეი, მემედ... ჟანდარმერიაზე ილოცე... ამჯერად არ გერჩი... რადგან საჯარისო გადაზიდვებია... კარგი... მაგრამ თვალი უნდა გაახილო... სხვა დროს მანქანას ისევ თუ აავსებ, დაისჯები... შენს მექანიკოსს უთხარი! მუხრუჭებს კარგად მოუჭიროს... თორემ, საბუთებს ჩამოგართმევ და, სულ ცოტა, ერთი კვირა სამსახურში ველარ ნახვალ... ნალბურლარი შენს გაკეთებულ ამ საქმეს ძვირად გადაგახდევინებს.

მძღოლმა ძრავა აამუშავა. გულში კი შეიგინა, მაგრამ ნაძალადე-ვად გაიღიმა და უთხრა:

– ჯანმრთელად იყავი, ძმაო!.. შენ რომ არა, ჩვენი საქმე ცუდად იქნებოდა... აბა, ბედნიერად!

მანქანა დაძრა. თავისთვის კი გაიფიქრა, „რომ არ შემხვედროდა მაგ ხუთ ლირა ქრთამს ვაჩვენებდი და ჯიბეში ჩავიდებდი“. მძღოლის თანაშემწე დაძრულ მანქანას გაეკიდა და შეახტა.

– ნახვამდის, თოქგოზ, ძმაო! – შესძახა და ხელი დაუქნია.

– ბედნიერად! – უპასუხა სალიპ თოქგოზმა და ხელი ასწია.

ეს ძლიერთა სალამი იყო, რათა თავი თავაზიანად დაეღწიათ. როცა მანქანა გზის ქვედა მხარეს ხეებს შორის გაუჩინარდა, კონვერტიდან ხუთი ლირა ამოიღო. კონვერტი დაჭმუჭნა და გადააგდო. გლახის მოცემული ფულიც შუაში ჩადო და კიტელის ზედა ჯიბეში შეინახა. „მოკლე დღის სარგებელი“ – ღიმილით გაიფიქრა. შემდეგ სტვენა-სტვენით დაბისაკენ გაემართა.

* * *

რაიფ ეფე, რომელიც მზა ხალათებს, შარვლებს, პერანგებს ყიდდა, მთელი საათი კარების წინ მუნიციპალიტეტის ინსპექტორ თოქ-

გოზს ელოდა. რაიფ ეფე ერთი ხანობა მთაში გავიდა ყაჩაღად, მერე, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის წლებში, პარტიზანულ მოძრაობაში ჩაერთო, რესპუბლიკის ამნისტია შეეხო, შეგროვებული ფულით მიწის დამუშავების საქმეები წამოიწყო, მძლოლობაც სცადა, კონტრაბანდისტობაც... ქაჩალი, უსახური კაცი იყო. ამ უთვალცანადო სხეულის მაცქერალი ადამიანი იფიქრებდა, რომ სახელი „ეფე“³ ხუმრობით შეარქვეს. რაიფ ეფე, მას შემდეგ, რაც ომი დაიწყო, ისევ მრუდე გზას დაადგა — შავ ბირჟაზე ტრიალებდა. თავისი ხალხის საშუალებით ქალაქში მცხოვრები ღარიბებისაგან, ფეხმძიმე ცოლებისა და მოხელეებისაგან შეგროვებული ჩითით, ფარაჯის ესოვილის ნაჭრებიდან ხალათებს, შარვლებს, პერანგებს, აკერინებდა. კვირაობით თავის დუქანში გლეხებზე თავად ყიდდა, სხვა დღეებში მენვრილმანე ქალების ხელით უგზავნიდა.

ორი საათის წინ მუნიციპალიტეტის ინსპექტორი სალიჰ თოქგოზი დუქანში მივიდა. სიტყვაც არ უთქვამს ისე, წერილი დატოვა და წავიდა. ბარათი რომ წაიკითხა, რაიფ ეფეს ოფლმა დაასხა. თუმცა ერთი წინადადების გარდა მასში არაფერი ეწერა: „ყურადღება, თვალყურს გადავენებენ“. რთული საქმეებით დაკავებულ ადამიანს ესეც ეყოფა და მეტი მოუვა კიდევ...

რაიფ ეფე ფიქრობდა, „თოქგოზი ჩემს დაცვას ცდილობს“, ამიტომ ინსპექტორის წერილს მისთვის გამართული წვეულებების გამო მაღლიერების გამოხატულებად მიიჩნევდა. ყოველ შემთხვევაში, უნდა მორიგებულიყვნენ. დაინახა, რომ სალიჰ თოქგოზი დაბის ქვედა მხრიდან ბაზარში მოვიდა.

მაგრამ თოქგოზი ეფესნაირი სულსწრაფი კაცი არ იყო. დაინახავდა მენვრილმანეს, რომელიც შიგნით შერბოდა და შორიდან შეეხმიანებოდა:

– გამარჯობა იბრაჰიმ ეფენდი, როდის აქეთა ხარ გაბრაზებული? მისალმება გენანება და გარბიხარ, თუ ვალი გაქვს?

შეიძლებოდა ამგვარადაც მიემართა:

– გამარჯობა, ჰაჯი ბაბა⁴, ნუ გარბიხარ რა! შესამოწმებლად არ მოვდივარ. ყველა მოხელე ამბობს, მას შემდეგ, რაც შენ ის ჰაირი აიყვანე, შენი სერვიზიცა და კერძებიც ძალიან სუფთაა. ხორციც სასაკლაოდან მოგაქვს, ხომ?... რატომ გეშინია? შენს ნისიის დავ-

³ 1) ვაჟკაცი, მამაცი; მოყმე. 2) ისტ. პარტიზანი.

⁴ მიმართვის ფორმა, რომელსაც ასაკოვანი, პატივსაცემი პიროვნების მისამართით იყენებენ

თრებს არ ვიცნობ, მათი შემონმება ჩემს უფლებამოსილებას სცილდება... აბა, ნახვამდის...

მათ აიძულებდა, გარეთ გაეყვანათ და ეპირფერათ.

როცა დუქანს მიუახლოვდა, რაიფ ეფემ უთხრა:

– გამარჯობა, ინსპექტორო, დიდი ხანია, ერთმანეთი არ გვინახავს, მობრძანდი, ჩემი ყავა დალიე.

– კარგი, კარგი... – უპასუხა თოქგოზმა, – მაგრამ მოსამსახურე ბიჭმა მერე არა თქვას, ყავა მე უნდა დამელიაო. ვნახოთ ერთი, ინსპექტორი აჰმედი თავის მუშტრებს ყავას ასმევს, ქერს, თუ მუხუდოს.

– საოცარია! შენ გაგიმარჯოს, ჩემო ინსპექტორო, მეჩვენება, რომ ტყუილუბრალოდ ვწუხდებით. ინსპექტორი აჰმედი მუნიციპალიტეტის სუნს ხუთასი ნაბიჯიდან გრძნობს ხოლმე, — გაეცინა რაიფ ეფეს.

როცა მუნიციპალიტეტის ინსპექტორი შიგნით შევიდა და სკამზე დაჯდა, რაიფ ეფეს უთხრა:

– მხოლოდ ინსპექტორი აჰმედი არა, ყველა მოვაჭრეც! შენ ნუ ჯავრობ.

რაიფ ეფემ მოსამსახურე ბიჭს დაუძახა:

– ჩვენთვის ორი დიდი ყავა შეუკვეთე, ჰასან.

როგორც კი ის გაუშვა, საკითხი გაარკვია:

– გმადლობთ, ინსპექტორო სალიჰ. ძველი მეგობარი მტერი ვერ იქნებაო, ნათქვამია. შენს ამ სიკეთეს არ დავივიწყებ...

– შეეშვი ჩემს სიკეთეს... ბოლოს და ბოლოს შენი გაფრთხილება მინდოდა, ჭკუაში ჩავარდება-მეთქი. ჟანდარმერიასა და პოლიციაში საქმეს მიხვდნენ. პოლიციელმა რეჯეფმა ამ დილას თქვა. შენ დანაშაულზე უნდა დაგიჭირონ და სასამართლოს გადაგცენ. მოახერხებენ, მამაძაღლები...

ინსპექტორ სალიჰს თუ დავეყრდნობით, ვერაფერს გააკეთებენ,— გაიფიქრა რაიფ ეფემ და ქვედა ტუჩი მოიკვნითა.

ინსპექტორს ხელკავი გაუკეთა, სალიჰმა ხელით ფული ანიშნა და უთხრა:

– შენ ამ დალოცვილს თუ თავს ანდობ, უკეთესი იქნება.

რაიფ ეფეს შუბლზე ძარღვები დაებერა:

– ისინი ბევრნი არიან... რომელ ერთს ვაჭამო განა?!

სალიჰმა მხრები აიჩერა:

– საზიდარში შებმული ცხენებიდან უფრო სუსტი ტვირთის სიმძიმესაც ეწევა და გამათრახებულიც რჩება. თუ ღონიერი ცხოველია,

„აბა, ჩემო ლომო; აბა, მიდი, ბიჭო, ვნახო ერთი, რა შეგიძლია...“
ელაქუცებიან და პირფერობენ. გაიგე, რა გითხარი? თუ გინდა, შუა-
მავალი ვიქნები.

რაიფ ეფეს ძარღვები დაუცხრა, თვალეები გაუბრწყინდა და უთ-
ხრა:

– დღევრძელობას გისურვებ, მეც შენთვის ეს უნდა მეთხოვა. გული
გულის ნილ, – ჯიბიდან ორი ხუთლირიანი ამოიღო და ჰკითხა:

– ეს ეყოფა?

სალიჰმა ტუჩები მოკუმა.

– ყოფნით ეყოფა, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, ხუთი ქა-
ლალდის ფული დაამატე. იქნებ სხვების პირებისათვის ერთი პატარა
ძვლის გადაგდება გახდეს საჭირო.

რაიფ ეფემ ორი ხუთლირიანი ისევ ამოიღო. ერთი რომ მისცა,
უთხრა:

– ამით შენი ფეხის მტვერი გაინმინდე, — მერე მეორე ხუთლი-
რიანი გაუწოდა.

ყავახანის პატრონის მოსამსახურე ბიჭმა სინით სათითაოდ თეფ-
შით თავდახურული ყავა ფრიალ-ფრიალით მოიტანა. მისი მთავარი
საზრუნავი იყო, სინი მთელ გზაზე ისე ეტრიალებინა, რომ ყავის
ერთი წვეთი არ დაღვრილიყო. ამით თავი ძალიან მოჰქონდა.

– ყავა მოვიდა, დიდი ჭიქებით! – დაიძახა და დუქანში შევიდა.
ჭიქები დახლზე რომ დაანყო, სალიჰს მიმართა:

– სალიჰ, ძმაო, ნელან ყავახანაში ინსპექტორმა ჰალილმა შე-
მოიარა, გეძებდა.

– მეძებოს, თუ საქმე არა აქვს. აუცილებლად მიპოვის, — თქვა
სალიჰმა, რადგან იცოდა, რომ ინსპექტორი ჰალილი მარტოხელა,
შრომისუუნარო მხდალი ახალგაზრდა იყო. ყავა მოხვრიპა. მოსამ-
სახურე ბიჭმა ჰკითხა, წყალს დაღვედა თუ არა და უარყოფითი პა-
სუხი რომ მიიღო, წასვლა დააპირა.

– ალბათ მუნიციპალიტეტიდან უნდოდათ... მერმა... ლაპარაკი
გავიგონე, მაგრამ არ ვიცი...

(...)

– შენ ამ საქმეზე არ იდარდო! როგორც კი მუნიციპალიტეტიდან
გამოვალ, საჭირო ადგილას აუცილებლად წავალ... აბა, ბედნიერად!

– თქვა სალიჰმა.

რაიფ ეფემ კარისკენ ტაბურეტი ისროლა და სიგარეტი სიამოვ-
ნებით მოსწია.

მუნიციპალიტეტის ინსპექტორი სამიკიტონში შევიდა, სამი თასი ღვინო დალია, ფული არ გადაიხადა. მერე მუნიციპალიტეტისკენ გაემართა.

* * *

მუნიციპალიტეტის დამლაგებელმა უთხრა, რომ უფროსს, ბატონ სადეთინს, მისი ნახვა სურდა. ზევით როცა ადიოდა, მიაძახა:

– ერთი თქვენგანის ხელფასი გაიზრდება, მაგრამ ვნახოთ, ვისი... თუ შენი მოიმატებს, ორმოცდაცხრიანი მინდა...

სალიპი ხელფასის ზრდის ამბით კმაყოფილი დარჩა. ფიქრობდა: „ეჰ, ამხანაგებში ჩემ გარდა ვინმე ხელფასის მომატების ღირსი არის? დილიდან სალამომდე დავწაწალებ... ყველაზე მეტ ჯარიმის ქვითარს მე ვწერ... ბატონი სადეთინისათვის ზოგჯერ წილს მოვიხელებ და გულის გახარების საშუალებას ვპოულობ... მაგრამ ეგ ქსოვილი რომ დაარიგეს, მაინცდამაინც ის უნდოდა, რომელიც ჩემს წილად მოდიოდა და ვერ მივეცი... იქნებ ამის მერეა ცოტა ჩემზე ნაწყენი?.. შემდეგ, დაიცა, გავიხენო, ერთი გლეხის ნაჩუქარი მწველი მალტიური თხა მთხოვა. „ვერა“-მეთქი, „არ გამოვა“... ნამდვილად! ოჯახი, წვრილშვილი ხომ მეც მყავს... მაგრამ ეს ალბათ დაიმახსოვრა... „გულღობაო“, ამბობენ, ვინ იცის? ხოო... ჩვენ შორის ჭის საკითხიცაა... თავის ბაღში წითელი სატოლმე წინაკა დაუთესვინებია... ჩვენს ჭასთან ტუმბო დაუყენებია და წყალი უნდა რომ წაიღოს. ასე როგორ შეიძლება? პატარა ჭას რა ძალა აქვს ამდენი? „უწყლოდ გვტოვებ“-მეთქი. ყველაზე მეტად ამაზე გაბრაზდა. იქნებ ჩემთვის ამ დანამატის მოცემა სულაც არ მოუნდეს... სქელ სალიმთან უკეთესი ურთიერთობა აქვს... რომ გადაწყვიტოს და მას მისცეს?.. მაგრამ სქელ სალიმს ჩემზე მეტი სამსახურებრივი სტაჟი არა აქვს... მუნიციპალიტეტში ყველაზე უფროსი და სტაჟიანი ინსპექტორი მე ვარ... შეუპოვრობის გამოჩენა ვიცი...“.

თუმცა მის კარზე ეწერა „დააკაკუნე, არ გაჩერდე, შემოდი!“ იცოდა, ბატონი სადეთინი ბრაზდებოდა, როცა მასთან ისე შედიოდნენ, რომ „შემოდი“ სიტყვის თქმასაც არ აცლიდნენ. კარზე დააკაკუნა. იქიდან მკვეთრმა ხმამ დაუყვირა: „შემოდი“. სალიპმა ქუდი მოიხადა, შევიდა. ერთობ ზრდილობიან ადამიანად გადაიქცა. იმ ქედმაღალი კაცის ნაცვლად, ცოტა ხნის წინ მოვაჭრეს რომ ესაუბრებოდა, მორიდებული, წყნარი ადამიანი გამოჩნდა.

როცა ინსპექტორი სალიპი დაინახა, ბატონ სადეთინს სახეზე ღიმილი აღებეჭდა. მისი ეს ღიმილი თითქოს ფარულ მიზნებს ისახავდა.

– აქეთ გამოდი, დაჯექი, ინსპექტორო სალიჰ, – უთხრა და ადგილზე მიუთითა.

– ეს სიკეთის მომასწავლებელი ნიშანი არ არის, — გაიფიქრა სალიჰმა.

ბატონი სადეთინი ქალაღებით იყო დაკავებული, მერე მიუბრუნდა და უთხრა:

– პირადი შემადგენლობისათვის 20 ლირის ოდენობის ერთი ახალი ინსპექტორის დაფინანსება გვაქვს, სალიჰ ეფე. ახლა ვფიქრობთ, ვის მივცეთ ეს თანხა.

სალიჰ თოქგოზმა ქუდი ხელში გადაატრიალ-გადმოატრიალა და თქვა:

– თქვენ, ცხადია, უკეთ იცით, ვინ არის ამის ლირსი. ჩემი ინსპექტორი ამხანაგები – ყველანი – ძალიან მშრომელი ადამიანები არიან. თავიანთი მოვალეობები იციან. მაგრამ უპირატესობა მაინც იმას უნდა მიეცეს, ვისაც ოჯახი ჰყავს... შემდეგ სტაჟის საკითხიც არსებობს. თუმცა თქვენ უკეთ იცით...

– დიახ, ჩვენც ამგვარადვე ვფიქრობდით... – გაულიმა ბატონმა სადეთინმა. – აი, ჩვენ ვთქვით: „უპირატესობა მივცეთ მათ, ვისაც ცოლ-შვილი ჰყავს“. მაგრამ ინსპექტორი სალიმიცა და შენც წვრილ-შვილის პატრონები ხართ... შენ კარგ საკითხს შეეხე. სტაჟი საქმეს გადაწყვეტს. თუ არ ვცდები, შენ ისა ხარ, ვინც ყველაზე მეტი შრომა გასწია... არა? რამდენი წელია, რაც ინსპექტორად მუშაობ?

– თორმეტი წელია...

– ხედავ, რამდენი გიშრომია? შენ ამ ხელფასზე ყველაზე მეტი უფლება გქონია...

„ბატონი სადეთინის ცოდვა სულ ტყუილუბრალოდ დავიდე. ის მხარს მე მიჭერს, დამიჭერს უსათუოდ... ადამიანმა თავისი ინტერესები უნდა გაითვალისწინოს“, გულში გაიფიქრა სალიჰ თოქგოზმა. შემდეგ ბატონ სადეთინს მიმართა:

– ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ჩემო ბატონო!

– დიახ, დიახ, ჩინზე ახლავე უნდა წარგადგინოთ. ქალაქის თავი როგორც კი მოვა, დავამონებინებ. თორმეტი წელი ცოტა არ არის. მთელი დღე დუქან-დუქან იარე, ბაზრობის ადგილები შემოიარე, უბნები შეამონმე, ნაგავი ყრია თუ არა... მართლაც, ცოტას კი არ დაიღლებოდი...

ინსპექტორმა სალიმმა ბედნიერი პატარა მოხელის გამომეტყველება მიიღო, რომელმაც მონონება დაიმსახურა:

– ასეთი დაღლილობის შემდეგ მუნიციპალიტეტში, ცალკე ერთ ოთახში სავარძელში მოხერხებულად მოკალათება — ალბათ დასასვენებლად — ურიგო არ იქნება. ბაზარსა და დუქან-დუქან ხეტიალს თავს დააღწევ...

ამას როცა ამბობდა, თვალებში სიხარული უკრთოდა იმ ადამიანის მსგავსად, შურისძიების წყურვილი რომ მოიკლა...

სალიძი თოქგოზს სახეზე ნაცრისფერი დაედო. „ღმერთო ჩემო, მახეში გამაბა ამ ღორმა... ასეთ ხათრიან კაცად განგებ მომაჩვენა თავი...“ კბილი კბილს დააჭირა. ახლა ოსტატურად რაიმე ხრიკი უნდა გამოეყენებინა, თორემ დაიღუპებოდა. ერთი ხელფასით როგორ იარსებებენ?

– ისა... ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოთ, ჩემო ბატონო. დიდად გმადლობთ, ჩემზე ასე რომ ზრუნავთ, მაგრამ პატივი დამდეთ და მომიტევეთ. ჩვენს სქელ სელიმს ყოველ ზამთარს რევმატიზმი ანუ-ხებს. დასვენებისათვის მას უფრო მეტი ესაჭიროება. მისი სტაჟი ჩემსაზე ნაკლები არ არის... ჩვენ შორის განსხვავება დაახლოებით ექვსი თვეა. თქვენ ხომ უკეთ იცით, არა? იმ კაცის ხელწერა, რომელიც მაგიდის თავში უნდა დაჯდეს, ლამაზი უნდა იყოს. ინსპექტორ ჰალილის ხელწერა ყველა ჩვენგანისას სჯობს. ის ჩვენზე ახალგაზრდაა... ცხონებულმა მამაჩემმა, ღმერთმა ნათელში ამყოფოს, ჩვენს განათლებას ცოტა ხელი შეუშალა. თუ ამ სიკეთეს ჩემს ამხანაგებს გაუკეთებთ, ორივე მხარისათვის კარგი იქნება.

ბატონი სადეთინი მისი ამ ტანჯვის საპასუხოდ უფრო კარგ ხასიათზე დგებოდა.

– ჩემო ძვირფასო, დღეში ორ გვერდს ან დაწერ ან ვერ დაწერ. ცუდია? ხელწერასაც გამართავ. მაინც კარგი იქნება, ხელფასიც გაგზავნავ. ერთი მე ეგ წარდგინება დაწერო...

კალამი აიღო და წერას შეუდგა. სალიძი წამოდგა, მაგიდას მიუახლოვდა:

– ღვთის გულისათვის, ბატონო სადეთინ, თქვენი ყმა ვიქნები; მე ერთი გაჭირვებული კაცი ვარ. მაგიდას თუ მივუჯექი, გავგიჟდები. მოდი, რა, ამ საქმეს მე ნუ დამავალბებ... დროდადრო მიწყენინებია შენთვის, მაგრამ სულ ვნანობდი. საკოსტუმე ქსოვილი ვერ შევაკერინე, ვერც შევაკერინებ... თუ გინდა, მოგცემ, მისი ფერი მოგწონა...

ბატონმა სადეთინმა ერთი წამით წერა შეწყვიტა. სალიძს თვალებში დიდხანს უცქირა, არაფერი უთქვამს, წერა გააგრძელა. ინ-

სპექტორმა სალიჰმა იგრძნო, რომ საქმე მხოლოდ საკოსტუმე ნაჭრით არ დამთავრდებოდა.

– ჩვენს მენველ თხას მაძღრისად ვერ ვკვებავთ. ცოლი ყოველ დღე გულს მიწვრილებს, საიდანაც მოიყვანე, იქ წამიყვანეო. ღვთის წაყლობით, დღეში ოთხ ლიტრ რძეს იწველება... თუ გნებავთ, თხას ამ სალამოს გამოგიგზავნიო.

ყელში რალაც გაეჩხირა, ყლაპვა გაუჭირდა. ბატონი სადეთინი არ წერდა. მაგრამ კალამი ისევ ხელში ეჭირა.

– ჭის წყალმა, ღმერთია მონამე, მოიმატა, თქვენც გეყოფათ, ჩვენც. დაუყოვნებლივ დავაყენოთ ტუმბო, ბატონო სადეთინ!

– ბატონმა სადეთინმა კალამი დადო, სალიჰმა შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, უკან დაიხია და მის სკამთან დაიჩოქა:

– ძალიან გთხოვთ, ბატონო სადეთინ, სამსახურში დაწინაურება არ მინდა. დამანებე თავი. ვინანალებ ასე ბაზარში, დუქან-დუქან... თუ ღმერთი გნამს... წვრილშვილის პატრონი ვარ, ბატონო სადეთინ, წვრილშვილის პატრონი!..

თურქულიდან თარგმნა მარინე შონიამ



მხატვარი – თამარ თამარაძე

ემიგრანტული პოეზია

ხათუნა შავგულიძე, ინგლისი, ლონდონი

დავიბადე თბილისში 1962 წელს. 1985 წელს დავამთავრე თსუ უცხო ენების ფაკულტეტი ინგლისური ენის განხრით. 2000 წლიდან ვცხოვრობ ლონდონში. მეუღლესთან და შვილებთან ერთად. ვასწავლიდი ქართულ სამაბათო სკოლაში პატარა ქართველებს საქართველოს ისტორიას. გამოცემული მაქვს ორი კრებული: „ფიქრის რაშები“ და „ჩვენ დავბრუნდებით“, ამჟამად ვმუშაობ მესამეზე. დანარჩენს ლექსები იტყვიან.



ერთხელ, ბოდბეში...

ერთხელ, ბოდბეში ვნახე მერცხალი,
ნინოს ტაძარში შემოფრთხილდა
და გულისპირი მისი ფერმკრთალი,
ტაძარში უფრო ფერმკრთალი ჩანდა.
იყო აგვისტო, უკვე გვიანი...
გულს განშორების ფიქრები ღლიდა
და წმინდა ნინოს სახე-ღვთიანი,
განსაცვიფრებელ სიმშვიდეს მგვრიდა.
ტაძრად სანთლების ნათება თოვდა,
სარკმელთან იჯდა შავი მერცხალი,
პატარა ფრთები, მეჩვენა, თრთოდა
და გულისპირიც ჰქონდა ფერმკრთალი...
უცებ, მხუილით გაკრთა ფრთიანი,
მოძებნა კარი, შემდეგ - ცისკიდე,
თან გაიყოლა მაღლი - ღვთიანი
და წმინდა ნინოს მზერის სიმშვიდე.
მას მთები ჰქონდა გადასავალი,
მკრთალ გულისპირზე დარდმა ითოვა...
ალბათ ტაძრიდან, როგორც საგზალი,
პატარა ფრთებით მაღლი ითხოვა.

27.11.2014

სულში შენახული საქართველო (ისტორიული)

მაშინ მარტყოფის ცას სისხლი წასკდა,
ლამის წაილეკა საქართველო.
ყველა შაჰის ხმალი ჩვენზე გატყდა,
ჩვენზე დაილენა, სანატრელო...
მაშინ ქართლ-კახეთი აიყარა,
ფუძემ გლოვის ცეცხლი წაიკიდა,
მაშინ ძმათა გზები გაიყარა,
მაშინ გენი გროშად გაიყიდა...
ტყვეთ წინ გზა გოლგოთად აღიმართა,
ო, რა მძიმე იყო უფლის ჯვარი...
ირგვლივ ცოდვის როკვა გაიმართა,
განა ვინმე იყო განმკითხავი?..
უცხოობის ძრწოლა გაიარეს,
ზიდეს ქართველებმა დროთა ტვირთი,
სულში საქართველო ჩაიხატეს
და არ შორდებოდათ მასზე ფიქრი -
ცისარტყელის გაღმა რომ გაშლილა,
სადაც გული მიქვლად დარჩენიათ,
ნენეს თმები, მკერდზე ჩამოშლილი,
სიზმრებს ტკბილ სურნელად შერჩენია...
ჰოდა, დაიხსომე, სანატრელო,
დღესაც ქართველებად იზრდებიან -
სულში შენახული საქართველო
ყველა დამპყრობელზე ძლიერია!

2015

„ის ერთი“

ძვირფასო, მითხარ, რომ შენთვის ვარ „ის ერთი“
სულსაც რომ მიანდობ, სიცოცხლე გიხარის...
ვიცოდე, არასდროს, ვიცოდე - არცერთი
შენს გულში სულ მცირე ფიქრადაც არა ღირს.
მინდა, რომ გხიბლავდე და კრძალვით მკითხავდე:
„მითხარი, გამენდე, ხომ ისევ ჩემი ხარ?“
რომ მძლავრი ხელებით მაგ მკერდზე მიკრავდე,
ვიცოდე, რომ ჩემთვის შეშლილი, შლეგი ხარ!
რომ ყველა მიჯნური - მითიურ-ღვთიური,
მაგ შენი თვალების ალებში სახლობდეს
და ყველა გრძნობები არამქვეყნიური
შენს სულში ღვიოდეს და ჩემთვის მთვრლობდეს.
ძარღვებში აღძრული ღვთიური ხანძარი
იმ ძალით იწვოდეს, დელგმაც ვერ აქრობდეს
და შენი თითები იმ ძარღვით გამთბარი
მხოლოდ მე, მხოლოდ მე, მხოლოდ მე მათბობდეს!
გეძინოს? მე ვიყო ზმანება - ზღაპრული,
რომ გამოღვიძებას გამობდე და ნანობდე...
გელვიძოს? მე ვიყო ის ტურფა ასული,
ვის გამოც ოცნებას აროდეს არ თმობდე.
და ბოლოს, როს დაგვძლევს სიბერე — ტიალი,
ღიმილით გამცნობ, რომ ცხოვრება გავიდა...
შემომხვევ მაგ ხელებს უზომო ტრფიალით
და ვიგრძნობთ სიცოცხლე ამ წუთად რომ ღირდა...
მერე კი, ანაზდად ჩრდილები დათოვენ,
მსურს, ვიყო ის კვალი, ბარდნარს რომ მარგლიდა...
შენ ეპიტაფიად ამ სიტყვებს დატოვებ:
„აქ არის ის ქალი, ცხოვრებად რომ ღირდა!“

ამ ქუჩის გადაღმა (ემიგრანტული)

ამ ქუჩის გადაღმა ისეთ ბაღია,
ფოთლები კრთებიან ნიმფების სინაზით...
აქ შეყვარებულთა ხეივნის თალია,
სევდისფრად ნაფერი სიზმრებით სეზანის.
კენკავდნენ მტრედები ნამს,
ცრემლთან ნაზავებს და
მარტოსულობდა გვიანი მაისი...
აქ, ალბათ ებრძოდნენ ღამეებს - ნამთვრალევს
და შლიდნენ მოლბერტებს მონე და მატისი.
და განა ეს ბალი მართლაც ჰგავს ერმიტაჟს?
სად მომცრო სკვერი და სად დიდი მატისი...
უბრალოდ, ყოველდღე აქ ვინმე ემიგრანტს
ფურცლებით დაჰქონდა ოცნება თავისი...

8.4.2016

მზეო

გაზაფხულო, რად მაქციე ზურგი?
საით ნახველ, საით ნახველ, მზეო?..
ცაო, ნუ ხარ მოქუფრული, მუქი,
იაპრილე, გთხოვ, აპრილის თვეო...
დავიღალე ამ ქარების ქროლოვით,
სულს მოსწყინდა ნამქერებით ძრწოლვა,
მარტოსულს და ზამთრისაგან ლტოლვილს
მენატრება ნუშის ფიფქის თოვა...
ახლა თბილისს თუ დასცქერი, მზეო,
უთხარ, ამ გულს იმედებით ვმოსავ...
უთხარ, რომ კვლავ მისი ფესვით ვზეობ
და მის ყველა კუთხე-კუნჭულს ვლოცავ.
უთხარ, უთხარ, როცა წვიმა აწვიმს,
ერთი წვეთი, ვინძლო, ჩემს ცრემლს ჰგავდეს
და როდესაც თმას სხივებად გაშლი,
მის ერთ ლერში ჩემი გული ჩავდე...

- 36 -

მაგრამ ცივა, ძლიერ ცივა ამ სულს,
თუმცა ფესვი კვლავ ქართულად ზეობს...
გთხოვ, თბილისში ოქროს წვიმად მოსულს,
ერთი სხივი მეც მაჩუქე, მზეო...

9.04.2016

გახსოვს?..

განა, რა წლები გადამავიწყებს
მიმოქარგული ველების ამბავს?
შენ ჩემთვის კრეფდი მინდვრის ყვავილებს,
მე შენთვის მეცვა ცისფერი კაბა.
მნათობი ფეხქვეშ გვიფენდა ალებს
და მერცხლებს ჰქონდათ თვალები ღილის...
შენ მხოლოდ ჩემთვის ინთებდი თვალებს,
მე უსასრულოდ გჩუქნიდი ღიმილს...
და გვაოცებდა: „რადამ გაგვყაროს?..“
ღრუბლებზე იწვა ოცნება ჩვენი...
შენ ჩემთვის გსურდა მთელი სამყარო,
მე შენთვის მსურდა სიცოცხლეც ჩემი.
და განა, წლები დაიყვავილებს
ველთა ნაამბობ იმ ტროფობის ამბავს?
მახსოვს, მიკრეფდი ცისფერ ყვავილებს...
გახსოვს? მე მეცვა ცისფერი კაბა...

2016

როცა წამოველ

როცა წამოველ, ვარდი ყვაოდა,
უკმევდა გუნდრუკს სანატრელ თბილისს,
ღია სარკმელთან ჩიტი გალობდა
და უნებურად მტაცებდა ღიმილს...
უძილო ღამე, ასე ჩვეული,
არას შველოდა იარას გულის
და მთვარე - მთვრალი, ჩემებრ ეული,
მტკვარში ახრჩობდა იდუმალ სურვილს...

ჩემი ქალაქი ჯერ ისევ თვლემდა
და თან ჰყვარობდა ლაჟვარდს - ამომსვლელს...
მტკვარი თვის სუნთქვას ჯებირებს ჰფენდა,
ვარდი ჰყვავდა, როცა წამოველ...

30.05.2014

ლადო ასათიანს

რად ვეტრფი იმ დროს... თბილისის იმ მზეს,
ან იმ წარსულზე რისთვისღა ვდარდობ?
როს რუსთაველზე ჭადრების მწკრივებს
მიუყვებოდა ჭაბუკი ლადო.
როცა დაქროდა ნოემბრის ქარი,
როცა აწვიმდა ქაშვეთის გუმბათს
და ის შავთვალა თავადის ქალი
სდევდა ჭაბუკის ფიქრსა და გუმანს...
ივლისის ხვატი ქუჩებს თენთავდა
და მთანმინდაზე გრილოდა უფრო...
პოეტის გულიც იქვე ფეთქავდა
და დაფრინავდა ღრუბლებში უფროოდ...
ჰოდა, ოცნებაც გაშლიდა აფრას
და ჰეე... მარაბდის მოჩანდა ველი...
ქარად მქროლავი თეთრონის ფაფარს
სისხლით ღებავდა გმირი ქართველი!..
გაზაფხულზე კი, აკვირტებული
ტყემლები ურცხვად იხსნიდნენ უბეს...
ყაყაჩო, ახლად გაღვიძებული,
ველარ მალავდა ალისფერ ტუჩებს.
თოვდა ლექსებად ლადოს ფიქრები
და უამებდა სხეულს, ნაავდრალს,
და მონატრების თეთრი ფიფქები
დასტრიალებდა თავზე „ბარდნალას“.
მე ვეტრფი პოეტს, ლექსებად დაღვრილს,
დადიანივით რომ გრძნობდა მამულს,
ვეტრფი უიღბლო, უაბჯრო რაინდს
და საქართველოს ერთგულ ტრუბადურს!

8.01.2015

ქალის სევდა – შემოდგომის სევდა...

აი, უკვე მერამდენე შემოდგომა
მეპარება ცბიერ ფერთა მღელვარებით...
მის დაშაქრულ ფერებს ახლავს ჩუმი კვდომა -
კვდომა ყვითელ ფოთლის ჟამთა ელვარების...
ყვითელ ფოთლის, ჩურჩულით რომ მესალმება,
ყოველ დილით რაღაც ახალს რომ მიამბობს,
თითქოს ჩქარობს და შრიალით მევედრება,
კიდევ ერთხელ ყურადღება რომ მივაპყრო...
რადგან იცის, რადგან ელის, დაჰბერს ქარი,
სუსტ კუნწულას მოაცლის და დააცილებს...
გაიღება სხვა სამყაროს ცივი კარი
და მის უთქმელ ამბავს ვერვინ დაასრულებს...
ხომ გინახავთ, გადანვერილ ნათლის ჩრდილი,
ქალბატონის ცისფერ თვალებს როგორ ფარავს?
უხმო, უტყვი სინანული და ჩივილი
მის კდემას და მიხრა-მოხრას თან რომ ახლავს?..
ახალგაზრდულ ციალებს და ფერთა ელვას
არ აბრუნებს არც ლოცვა და არც ვედრება...
სილამაზეშემოძარცვულ ქალის სევდას
შემოდგომის სევდა როგორ შეედრება?
მაგრამ მაინც... ფერთა კვდომის ეს მოტივი
ქალბატონს და ყვითელ ფოთოლს ერთად არხევის...
გადანვერილ ნათლის ჩრდილით შემოსილი
მოუთხრობელ ლამაზ ამბავს მომაგონებს...

1.09.2014

ემიგრანტული პოეზია

მარიამ (ცარო) ხიტალიშვილი, საბერძნეთი, ათენი

დავიბადე და გავიზარდე დუშეთის რაიონის სოფელ არანისში (ყინვალთან ახლოს). ჩვეულებრივი, სხვებისგან არაფრით გამორჩეული ბავშვობა მქონდა... ხან მილხინდა, ხან მიჭირდა, ხან მტკიოდა და ხანაც მიხაროდა... საბერძნეთში წამოსვლამდე (და თითქმის მთელი სიცოცხლე) ქართულ ხელოვნებას და კულტურას ვემსახურებოდი. მეგონა, ჩემი სიყვარული სანუკვარი საქმისადმი არასოდეს დასრულდებოდა, მაგრამ... საქართველოში შექმნილმა ეკონომიკურმა სუსხმა მეც, ასიათასობით ქართველთან ერთად, ემიგრანტობას მაზიარა... ათენში 2007 წელს ჩამოვედი... უკვე ცხრა წელია, რაც აქ ვარ, მაგრამ დღესაც ისე მიჭირს აქ ყოფნა, როგორც ჩამოსვლის პირველ დღეებში... ემიგრაციაში ყოფნის დროს დაიბეჭდა ჩემი ორი წიგნი. უფლის რწმენით და იმედით მჯერა, უკან სამშობლოში დაბრუნებასაც შევძლებ!



„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე“ ვაჟა-ფშაველა

ღ-მერთო, მიცოცხლე სამშობლო,
მ-უდამ ამაყად მდგარი,
ე-რი, ბერი და ქვეყანა,
რ-ოგორც ბერმუხა მძლავრი.
თ-ბილისს ფარავდეს სიონი,
ო-შკის, ხახულის ჯვარი!
ს-ამება ყოვლადწმინდისა,
ა-მღერებული ზარი,
მ-რეელი შეკრული ერთ მუშტად,
შ-იშით უფალთან მდგარი,
ო-ლონდაც ვნახო სამშობლო,
ბ-ედნიერი და წყნარი,
ლ-ამაზი ჩემი ქვეყნისა,
ო-ლონდ არ მქონდეს ჯავრი.
მ-ცხეთას სდიოდეს მირონი,
ი-ესოს ლოცავს ჯვარი,
ც-რემლი შეაშრეთ დედებსა,

ო-ლონდ არ დაშრეს მტკვარი,
ც-ა იყოს მუდამ უღრუბლო,
ხ-ალხი მშვიდი და წყნარი,
ლ-ოცავს სამშობლოს მინა-წყალს
ე-რთი უბრალო ქალი...

5.01.2013

ალარასოდეს

თუ უფლის ნებით დაბრუნების ოცნება ახდა,
იმ დიდ ტკივილებს აქ დავტოვებ, რაც გულში მახლდა...
გზას გავუყვები სიხარულით სახლისკენ სავალს...
თან გავიყოლებ სამშობლოსათვის სანთელს და საგზალს.
თუ მელირსა და ფეხი დავადგი სამშობლოს საზღვარს,
ალარასოდეს არ ვიფიქრებ მე არსად წასვლას...

28. 11. 2015

გამაძლებინე

უფალო, ღმერთო, გევედრები, გამაძლებინე!
მძიმე წუთების, დღეების, თვეების დამთავრება შემაძლებინე!
დავიჩოქე და ფეხზე ადგომა შემაძლებინე!
უხმო ტკივილის მოთმინება გამაძლებინე!
არაფერს არ გთხოვ, ტკივილის დროს გალიმება შემაძლებინე!
სამშობლოს გარეთ, უცხო მინაზე გამაძლებინე!
ჩემი ცრემლებით ატირება შემაძლებინე!
მარტოდ დარჩენილს უამრავ ხალხში გამაძლებინე!
შენი რწმენით და შენი იმედით
უფალო, ღმერთო, გევედრები, შემაძლებინე,
მოთმინება შემაძლებინე...

27 08 2013

თარგმანი

ბელ კაუფმანი (1911-2014)

დაიბადა ბერლინში, გერმანიაში 1911 წლის 10 მაისს. ის იყო დიდი ებრაელი მწერლის, შოლე მალე-ჩემის შვილიშვილი. მან ბავშვობა გაატარა ოდესასა და მოსკოვში. 1923 წელს მისი ოჯახი საცხოვრებლად გადავიდა ამერიკის შეერთებულ შტატებში. მაშინ ბელი 12 წლის იყო. ბელ კაუფმანმა წარმატებით დაამთავრა კოლუმბიის უნივერსიტეტი მაგისტრის ხარისხით ლიტერატურაში. კაუფმანი წერდა მოკლე მოთხრობებს. არის მრავალი ჯილდოს მფლობელი. გარდაიცვალა 2014 წელს.



პარკში

შუადღე გადასული იყო. მზე ანათებდა. თბილოდა. ქალაქის ხმაური ხეების გამო პარკამდე ვერ აღწევდა. ქალმა წიგნი სკამზე დადო, მზის სათვალე მოიხსნა და კმაყოფილებით ამოისუნთქა. მორტონს ცალი მკლავი ცოლისთვის შემოეხვია და ჟურნალ „ტიმის“ კითხულობდა; მათი სამი წლის ვაჟი, ლერი, სილაში თამაშობდა. სუსტი ნიავი ქროდა და ლოყებზე თმები ნაზად ელამუნებოდა. კვირას, ექვსის ნახევარზე, პარკის კუთხეში მიმალული პატარა სათამაშო მოედანი თითქმის ცარიელი იყო. არც საქანელები და აინონა-დაინონა ირხეოდა. სასრიალოც ცარიელი იყო. მხოლოდ ორი ბავშვი ჩაცუცქულიყო სილაში ერთმანეთის გვერდით. რა კარგია, გაიფიქრა ქალმა და კმაყოფილებით გაიღიმა. მზეზე უფრო ხშირად უნდა გასულიყვნენ. მორტონს ქალაქის ფერი ედო სახეზე, კვირაობით იყო გამოკეტილი უნივერსიტეტში. ცოლმა ქმარს ხელი ნაზად მოუჭირა და კმაყოფილმა ლერის დაძაბულ სახეს შეავლო თვალი, რომელიც სილაში გვირაბს თხრიდა. მოულოდნელად მეორე ბიჭი წამოდგა და ფუნთუშა მკლავის ერთი მოქნევით სწრაფად გადააყარა ლერის სილით სავსე ნიჩაბი თავზე, მაგრამ ოდნავ ასცდა. ლერიმ თხრა განაგრძო; ბიჭი კი იდგა, ნიჩაბალმართული, ზანტად და მშვიდად.

„აბა, აბა, პატარავ!“ - ქალმა თითი დაუქნია მას და თვალებით ბიჭის დედას ან ძიძას დაუნყო ძებნა, - „სილა არ უნდა შევაყაროთ

ერთმანეთს. შეიძლება ვინმეს თვალში ჩაუცვივდეს და დააზიანოს. ამ მშვენიერ სილაში ლამაზად უნდა ვითამაშოთ“. ბიჭი თვალის დაუხამხამებლად შეჰყურებდა ქალს. ის დაახლოებით ლერის ასაკის იყო, მაგრამ შესაძლოა ათი გირვანქით უფრო მძიმე. ის იყო პატარა, ახოვანი და ძლიერი. მას არც ლერის სიმარჯვე და არც მასავით მგრძნობიარე სახე ჰქონდა. სად იყო დედა? ერთი ქალი და გორგო-ლაჭებზე შემდგარი გოგონა პარკის გასასვლელისაკენ მიდიოდნენ, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მაღალ კაცს მთელი სკამი დაეკავე-ბინა და კვირის ვულგარული ჟურნალი სახესთან ახლოს მიეტანა. ქალის აზრით, ის ბავშვის მამა უნდა ყოფილიყო. მაგრამ კაცს მისთვის არც კი შეუხედავს, ქალმა მზერა მოაცილა.

ამ დროს, ისევე სწრაფად, როგორც უნინ, პატარა ჩასუქებულმა ბიჭმა სილით სავსე ნიჩაბი ლერის ამჯერად თმასა და შუბლზე გადააყარა. ლერიმ დედას ახედა. მისგან მოელოდა რეაქციას, არ იცოდა, ეტირა თუ არა. ქალს დედობრივმა ინსტინქტმა უკარნახა, წამომხტარიყო, შვილთან მისულიყო, ჩამოეფერთხა შვილისთვის სილა თმიდან და დაესაჯა მეორე ბიჭი, მაგრამ თავი შეიკავა. ყოველთვის უნდოდა, ლერის თავი თვითონ დაეცვა.

„პატარავ, ასე ნუ იქცევი, - უთხრა მან ბიჭს მკაცრად და სკამზე გადაიხარა, - სილა არ უნდა შეაყარო“.

სკამზე მჯდომმა კაცმა პირი ისე აამოძრავა, თითქოს უნდა გადაეფურთხებინა, მაგრამ ნაცვლად ამისა ალაპარაკდა. ქალისთვის არც კი შეუხედავს, მხოლოდ შვილს მიმართა ხმამაღლა: „სწორი ხარ, ჯო, რაც გინდა, ის გააკეთე, ეს სილა ყველასია“.

ქალმა მუხლებში უეცარი სისუსტე იგრძნო და ქმარს შეხედა. მორტონი მიხვდა, რაც ხდებოდა. ფრთხილად დაიდო „ტაიმსი“ მუხლებზე და თავისი ლამაზი, გამხდარი სახე უცხო მამაკაცისაკენ მიაბრუნა. მორცხვად, ბოდისის მოხდით გაუღიმა, ისე, როგორც ალბათ სტუდენტს შეუსწორებდა შეცდომას და ჩვეული კეთილგონიერებით დაილაპარაკა.

„მართალი ბრძანდებით, - თავაზიანად მიმართა, - მაგრამ სწორედ იმის გამო, რომ ეს სილა ყველას ეკუთვნის...“

კაცმა იუმორისტული ჟურნალი დაბლა დასწია და მორტონს შეხედა, თავიდან ფეხებამდე ნელა, დაჟინებით შეათვალიერა. „ხო?“ - მის ქედმაღლურ ხმაში მუქარა გაისმა: „ჩემს პატარას ისეთივე უფლება აქვს, როგორიც თქვენსას და თუ მას უნდა მიმოფანტოს სილა, ის ამას გააკეთებს. და თუ თქვენ ეს არ მოგწონთ, მაშინ ჯან-

დაბამდის გზა ჰქონია თქვენს პატარას“. ბავშვები თვალეზღაფყე-ტილები და პირდაღებულნი უსმენდნენ, პატარა ხელებით ნიჩბებს ჩაბლაუჭებოდნენ. ქალმა შეამჩნია, მორტონს ყბაზე კუნთი დაეჭიმა. ის იშვიათად ბრაზდებოდა და ძნელად გამოდიოდა წონასწორობიდან. ქალს ცრემლებით ავესო თვალეზღაფყე ქმრის უსასოობისა და უმწეო გააფთრების გამო, რომელიც მორტონისათვის უცხო იყო.

„ერთი წუთით, - მორტონმა თავაზიანად მიმართა კაცს, - თქვენ უნდა გაიგოთ...“

„ოჰ, მოკეტე!“ - უთხრა კაცმა.

ქალს გულმა ძალუმად დაუნყო ცემა. მორტონი ნახევრად წამოინია, ტაიფსი მინაზე ჩაცურდა. მეორე კაციც ნელ-ნელა წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა მორტონისაკენ და შეჩერდა. უშველზელი ხელები გულზე დაინყო და დაელოდა. ქალმა მოცახცახე მუხლები ერთმანეთს მიადო. რისი გაკეთება შეეძლო მათ შესაჩერებლად? სურდა, ქმარი სახელოთი მოექაჩა და შეეჩერებინა, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო ეს არ გააკეთა. მორტონმა სათვალე მოირგო. ძალინ ფერმკრთალი იყო. „სასაცილოა, - თქვა ყოყმანით, - უნდა გთხოვოთ...“

„ხო?“ - თქვა კაცმა, რომელსაც ფართოდ გაეშალა ფეხები, ნელა ირწეოდა და აშკარა ზიზლით უყურებდა მორტონს: „შენ და კიდევ ვინ?“

ერთი წუთით ორივემ გამომწვევად გადახედა ერთმანეთს, შემდეგ მორტონმა ზურგი შეაქცია კაცს და მშვიდად უთხრა ცოლს: „მოდით, წავიდეთ აქედან!“ უხერხულად, თითქოს კოჭლობით გაიარა სილაში, შემდეგ შეჩერდა, ლერი ხელში აიყვანა და ნიჩაბი აიღო.

და უცებ ლერის სიცოცხლე დაუბრუნდა. გაოცებული გამომეტყველება სადღაც გაქრა, ნიხლების სროლა და ტირილი დაინყო. გაბმულად ყვიროდა: „არ მინდა სახლში წასვლა, თამაში მინდა, არ მინდა ვახშამი, არ მინდა ჭამა“. ცოლ-ქმარი ბავშვს გასასვლელისაკენ მიათრევდა. გასასვლელთან რომ მისულიყვნენ, იმ სკამთან უნდა ჩაეველოთ, სადაც ის უცნობი მამაკაცი გამხლართული იჯდა. ქალი ფრთხილობდა, არ შეეხედა მისთვის, რომ არ გამოენვია. ერთი ხელით ქალს ლერის სილიანი, გაოფლიანებული ხელი ეჭირა, ხოლო მეორეთი კი მორტონს ექაჩებოდა. მან ქმართან და ბავშვთან ერთად თავანუელმა ჩაუარა სათამაშო მოედანს.

ქალმა შვება იგრძნო, რომ შეტაკება თავიდან აიცილეს, რომ არავინ დაშავდა, მაგრამ გულის სიღრმეში, რაღაც მძიმე გრძნობა დარჩა და იგრძნო, რომ ეს უფრო მეტი იყო, ვიდრე ის შემთხვევა,

სადაც ისინი დამარცხდნენ. ქვეცნობიერად მიხვდა, რომ ამ რალაცამ მეტად პირადული, ნაცნობი და მნიშვნელოვანი შეცვალა მასსა და მორტონის ურთიერთობაში. უცებ მორტონმა დაილაპარაკა: „ეს არაფერს დაამტკიცებდა“.

„რაა?“ - იკითხა ქალმა. „ჩხუბი, ეს ჩხუბი ხაზს გაუსვამდა იმ ფაქტს, რომ ის ჩემზე დიდია“.

„მხოლოდ მოსალოდნელი შედეგი, - გააგრძელა კაცმა, - იქნებოდა რაა? გატეხილი სათვალე, გაცდენილი ორი სამუშაო დღე და რისთვის? სამართლიანობისთვის, ჭეშმარიტებისთვის?“

„რა თქმა უნდა“, - დაუდასტურა ცოლმა. მან ნაბიჯს აუჩქარა. ერთადერთი, რაც სურდა, ეს იყო სახლში მისულიყვნენ და ჩვეული სამუშაოთი დაკავებულიყო, თუმცა ამ შემთხვევაში მიძიმე გრძნობა, რომელიც გულზე დასწოლოდა, აიძულებდა, უფრო მაგრად ჩასჭიდებოდა ლერის ხელს. ბავშვი კვლავ ტიროდა. აქამდე ქალს ყოველთვის ებრალებოდა ქმარი დაუცველი სხეულის, სუსტი მკლავების, ვიწრო, მოგრძო ფრთის მსგავსი ბრტყელი მხრების, უსუსური და სუსტი ფეხების გამო, მაგრამ ახლა ქალს სახეზე გულისწყრომა აღბეჭედოდა.

„მორჩი ტირილს, - უთხრა შვილს მკვახედ, - შენს გამო მრცხვენია!“ ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სამივე ტალახის კვალს ტოვებდა ქუჩაში. ბავშვი უფრო ხმამაღლა ატიროდა. რომ ჩარეულიყო, რალაცისთვის რომ ებრძოლა... - ფიქრობდა ქალი, - კიდევ რისი გაკეთება შეეძლო? ქმარი მიეშვა და ის კაცი ეცემა? ან ყველაფერი ელონა და კაცისთვის რამე შეეგნებინებინა? პოლიციისთვის ეხმო? „ოფიცერო, პარკში ერთი კაცი თავის შვილს აქეზებს და ჩემსას სილას აყრის...“ ყველაფერი სისულელე იყო და არ ღირდა საფიქრელად.

„ღვთის გულისთვის, გააჩერე ბავშვი“, - სთხოვა გაღიზიანებული მორტონმა ცოლს. „როგორ ფიქრობ, რას ვცდილობ?“ - უპასუხა ქალმა. ლერიმ უკან დაინია, ფეხი აითრია.

„თუ შენ არ შეგიძლია ბავშვის დასჯა, მაშინ ამას მე გავაკეთებ“, - მორტონმა ნაჩქარევი გადანწყვეტილება მიიღო და ლერისკენ გადადგა ნაბიჯი. მაგრამ ის ცოლის ხმამ შეაჩერა. არასასიამოვნო, ცივმა და ზიზღით სავსე ხმამ, რომელმაც თავად ქალიც კი შეძრა: „მართლა? - გაიგონა თავისი ნათქვამი, - შენ უნდა დასაჯო, შენ და კიდევ ვინ?“

ინგლისურიდან თარგმნა თამილა თელიაშვილმა



მხატვარი – ნანა ყორანაშვილი

თარგმანი

ფრედერიკ ბრაუნი (1906 – 1972)

ამერიკელი მწერალი, დაიბადა ქალაქ ცინცი-ნატში, ოჰაიოს შტატში, ამერიკის შეერთებულ შტატებში. ცნობილია, როგორც მისტიკური, დეტექტიური, ფანტასტიკური, მეცნიერული და მოკლე, 1-3-გვერდიანი მოთხრობების ავტორი. მის მოთხრობებს გასდევს იუმორი და პოსტმოდერნული მსოფლმხედველობა. მას ეკუთვნის ასევე გასართობი და პროვოკაციული მოთხრობები, მათ შორისაა მოთხრობა „სოლიფსისტი“.



სოლიფსისტი

ვოლტერ ბ. იეჰოვა, ვისი ხსენებისთვისაც ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, რადგან ეს მართლაც მისი სახელია, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე სოლიფსისტი იყო.

სოლიფსისტი, იმ შემთხვევაში, თუ არ იცით ამ სიტყვის მნიშვნელობა, არის პიროვნება, რომელსაც სწამს, რომ ის ერთადერთია, დანარჩენი ადამიანები და მთლიანად მთელი სამყარო კი ზოგადად მხოლოდ მის წარმოდგენაში არსებობს.

ერთ დღეს ვოლტერ ბ. იეჰოვა პრაქტიკოსი სოლიფსისტი გახდა. სულ რაღაც ერთი კვირის განმავლობაში მისი ცოლი სხვა კაცთან ერთად გაიქცა, მან სამსახური დაკარგა და მაშინ, როცა შეეცადა შავ კატას მისთვის გზა არ გადაეჭრა, ფეხი მოიტეხა.

საავადმყოფოში წოლისას ვილტერმა გადაწყვიტა, ყველაფრისთვის წერტილი დაესვა. ფანჯრიდან დაჟინებით უყურა ვარსკვლავებს. ჯერ მათი გაქრობა მოისურვა, მერე კი მის გარშემო მყოფი ადამიანების. გამოუვიდა! ვარსკვლავები გაქრნენ. საავადმყოფო კი მისთვის უჩვეულო სიჩუმემ მოიცვა. შემდეგ მსოფლიოს ჯერიც დადგა და იგრძნო, როგორ დაფრინავდა სივრცეში. მან საკუთარ სხეულს ისე იოლად დააღწია თავი, რომ გადაწყვიტა, საბოლოო ნა-

ბიჯი გადაედგა და არსებობა შეენწყვიტა. არ გამოუვიდა! გაიფიქრა, ნუთუ არსებობს რაიმე წინააღმდეგობა სოლიფსისტისთვის?

- დიახ! - უპასუხა ხმამ.

- შენ ვინ ხარ? - იკითხა ვოლტერ ბ. იეჰოვამ.


- მე ის ვარ, რომელმაც შექმნა სამყარო და რომლის არსებობის შეწყვეტაც შენ ზუსტად ახლა მოისურვე. ახლა კი, როცა შენ ჩემი ადგილის დაკავება გინდა, - ამოიხრა ხმამ, - მე შემოდლია შევწყვიტო არსებობა, მოვიპოვო სიმშვიდე და ნება მოგცე, შენს თავზე აილო ყველაფერი.

- შენ იცი, როგორ უნდა შეწყვიტო არსებობა? მეც ზუსტად ამის გაკეთებას ვცდილობ!

- დიახ, ვიცი, - თქვა ხმამ, - შენ ისე უნდა მოიქცე, როგორც მე. შექმენი სამყარო, დაელოდე სანამ ვინმე ნამდვილად არ იწამებს, რისიც შენ გწამდა. ყოველივე ამის შემდეგ შეგიძლია, გადადგე და შენი საქმე სხვას გადააბარო, ახლა კი, მშვიდობით! - თქვა ხმამ და გაქრა. ვოლტერ ბ. იეჰოვა მარტო დარჩა სამყაროში, მან მხოლოდ ერთი რამის გაკეთება შეძლო. შექმნა ზეცა და დედამინა!

ამას შვიდი დღე მოანდომა.

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლონდარიძემ



მხატვარი - ნანა ყორანაშვილი

ლიტერატურული შრომითობების ისტორიები

ირინა ჯიშკარიანი

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, დაამთავრა თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ფილოლოგიის ფაკულტეტი. მუშაობდა ამავე ინსტიტუტის რუსული ლიტერატურის ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებლად. 2009 წლიდან მუშაობს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ბორის პასტერნაკი და საქართველო

რუსულ პოეზიაში საქართველომ განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა. ჩვენი ქვეყანა რუს პოეტებს პირველ რიგში იზიდავდა თავისი გასაოცარი თქმულებებითა და ლეგენდებით, საუკუნოვანი ტრადიციებით, წარმტაცი და განუმეორებელი ბუნებით და, რა თქმა უნდა, სტუმართმოყვარეობით.

საქართველო და კავკასია რუსული ლიტერატურისათვის ალექსანდრე პუშკინმა აღმოაჩინა, შემდეგი მისი ტრადიციები მიხეილ ლერმონტოვმა გააგრძელა. საქართველოს თემა რუსულ პოეზიაში ამ კორიფეთა შემდეგაც გაგრძელდა და შემდგომი განვითარება XX საუკუნეშიც ჰპოვა ანდრეი ბელის, კონსტანტინე ბალმონტის, ბორის პასტერნაკის, ნიკოლაი ზაბოლოცკის და სხვათა შემოქმედებაში. დღეს თქვენს ყურადღებას ბორის პასტერნაკზე შევჩერებთ.

დიდი რუსი პოეტი, მწერალი და მთარგმნელი, ლიტერატურის დარგში ნობელის პრემიის ლაურეატი ბორის პასტერნაკი განსაკუთრებული გრძნობით იყო განწყობილი საქართველოსადმი. ის პირველად 1931 წლის ზაფხულში ჩამოვიდა თბილისში. პაოლო იამვილის სახლში შეხვდა და გაიცნო „ცისფერყანწელები“ — ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნიკოლოზ მინიშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე და ქართული ხელოვნების სხვა მოღვაწენი, მათ შორის ლადო გუდიაშვილი.

მომდევნო დღეებში სტუმარ-მასპინძლები ესტუმრნენ ქალაქის გარეუბნებს, მცხეთას და ჯვრის მონასტერს. მთებს შორის მოქცე-

ულმა თბილისმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა რუს პოეტზე, რის შედეგადაც შეიქმნა ლექსი „სალამოვდებოდა...“. აგვისტო პასტერნაკმა კოჯორში გაატარა. აქ მუშაობდა ახალი ლექსების კრებულის ხელნაწერზე, რომელშიც შევიდა კოჯორში დაწერილი ორი ლექსი.

ამავე წლის სექტემბერში, აბასთუმნის, ბორჯომისა და ბაკურიანის შემდეგ პასტერნაკი ოჯახთან და პაოლო იაშვილთან ერთად ქობულეთში გაემგზავრა. სიმონ ჩიქოვანი იხსენებდა: „ბორის ლეონიდის ძე და ზინაიდა ნიკოლაევნა თავის ვაჟთან ერთად პაოლო იაშვილმა ჩამოიყვანა. სასტუმროში მოაწყო, სადაც მე და ბესო ჟღენტი ვცხოვრობდით. პოეტი, რომელსაც მე უკვე მაშინ ვთვლიდი უდიდეს ლირიკოსად, აღმოჩნდა უალრესად მომხიბლავი და პოეტური ბუნების მქონე ადამიანი... პასტერნაკები სამთავრობო სასადილოს მამაგრეს, ხოლო მე და ბესო დავდიოდით დამსვენებლებისათვის განკუთვნილ დარბაზში. კვების საკითხი მაშინ რთულად იყო. ბორის ლეონიდის ძე მაშინვე მიხვდა ამას, და ყოველ დღე, როდესაც სასადილოდან ბრუნდებოდა, ჩემთვის და ბესოსთვის პური მოჰქონდა. თუ ვერ გვნახავდა, ფანჯრის რაფაზე ტოვებდა. ეს წესად იქცა... მთელი თვე ერთად ვიყავით. პაოლო თბილისში დაბრუნდა, ჩვენ დავრჩით... ის (პასტერნაკი) დიდ ნაწარმოებზე მუშაობდა, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ეს იყო პოემა „ტალღები“...

თბილისში ერთად ვბრუნდებოდით ... სადგურზე ერთმანეთს დავცილდით. ამის შემდეგ დიდხანს არ შევხვედრივართ ერთმანეთს“.

მოსკოვში გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე გამომცემლობა „ზაკნიგნი“ პასტერნაკმა მიიტანა ლექსების ხელნაწერი სათაურით - „ახალი ლექსები“. აქედან სამი ლექსი საერთო სათაურით - „თბილისი“, დაიბეჭდა თბილისის ერთ-ერთ გაზეთში, მათ შორის „სანამ კავკასიონს ვებლატებით“.

1932 წელს, როდესაც პასტერნაკი ოჯახთან ერთად სვერდლოვსკის მახლობლად ისვენებდა, პაოლო იაშვილისთვის მიწერილ წერილში იგი აღნიშნავდა: „აქ ჩვენ კიდევ ერთხელ თავიდან განვიცადეთ თქვენთან ერთად გატარებული ზაფხული... ჩვენ არაფერს არ ვადარებდით ერთმანეთს, არც ბუნებას, არც ხალხს. მაგრამ, თითქოს მოლაპარაკებულები ვიყავით, ერთხმად დავასახელებთ კოჯორი. ... და მერე ვიხსენებდით თბილისს, ოქროყანას, ქობულეთს, ნალდერს და ბაკურიანს ... იმიტომ, რომ ეს არ არის მხოლოდ სამხრეთი და კავკასია, ყოველთვის დაუშრეტელი და განსაცვიფრებლად ლამაზი, არ არის მხოლოდ ტიციანი და შანშიამეილი, ნადირაძე და მი-

ნიშვილი, გაფრინდაშვილი და ლეონიძე — შესანიშნავი და შეუდარებელი ადამიანები. ეს რალაც უფრო მეტია, და თანაც ისეთი, რაც ამ ქვეყანაზე იშვიათად გვხვდება“.

საქართველოში სამთვანი ყოფნის შედეგად მიღებულმა შტაბეჭდილებებმა, ქართულ თვითმყოფად კულტურასა და ისტორიასთან მჭიდროდ შეხებამ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა პასტერნაკის ცხოვრებაში. 1932 წლის 6 აპრილს მისი თაოსნობით მოსკოვში ჩატარდა ქართული პოეზიისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. ამით მან გამოხატა თავისი პატივისცემა ქართველი პოეტების — ნიკოლოზ ბარათაშვილის, პაოლო იაშვილის, ტიცვიან ტაბიძის და სხვათა მიმართ. 30 ივნისს პასტერნაკი წერდა პაოლო იაშვილს: „რაც არ უნდა ჩავიფიქრო, უახლოეს მომავალში საქართველოს გვერდს ვერ ავუვლი“.

„საქართველომ პასტერნაკი მოხიბლა არა მხოლოდ თავისი ეგზოტიკურობით და აღმოსავლური კოლორიტით, არამედ მაღალი სულიერებითა და ღრმა ორგანულობით, რომლის ფესვები იკვეთება ეროვნული კულტურის თავისებურებებში. პასტერნაკმა საქართველოს თვითმყოფადობა და განსაკუთრებულობა დაინახა არა იმდენად მისი ლამაზ ბუნებასა და ქართველი პოეტების განუმეორებელ ნიჭიერებაში, რამდენადაც მის ორგანულ კავშირში მშობლიურ, ხალხურ ნიადაგთან და ქვეყნის ისტორიასთან. პაოლო იაშვილისადმი 1932 წლის 30 ივლისს მიწერილ წერილში პოეტი იძლევა საქართველოს ახალ ფილოსოფიურ ხედვას როგორც ქვეყნისა, რომელმაც ეროვნული და ისტორიული ტრადიცია დაუკავშირა დღევანდელობას, ლეგენდა და მითი — რეალობას, პოეზია - პროზას... საქართველო პასტერნაკისთვის გახდა ერთ-ერთი ჰიპოსტასი მისი სული-სა... მისი პოეზიის ერთ-ერთი მთავარი თემა, რომელმაც დიდი გავლენა იქონია მის პოეტურ ბედზე“, - წერს ქართულ-რუსული ურთიერთობების მკვლევარი მ. ქმონდზერი.

საქართველოს თემა პასტერნაკის შემოქმედებაში პირველად 1917 წელს გაჩნდა წიგნში „ჩემი და - ცხოვრება“ („Сестра моя – жизнь“). ამაზე მეტყველებს წიგნის ლერმონტოვისადმი მიძღვნილი და ლექსი „დემონის ხსოვნას“. პირველად საქართველოს ასეთი გაცნობა ბევრ რუს პოეტს ახასიათებს და რუსულ ლიტერატურაში საქართველოს აღქმის კიდევ ერთ ტრადიციას წარმოადგენს.

1932 წელს პასტერნაკმა გამოქვეყნა წიგნი „მეორედ დაბადება“, სადაც შევიდა არაერთი ნაწარმოები, საქართველოში მოგზაურობის

შედეგად რომ შეიქმნა, მათ შორის ციკლი „ტალღები“. მაგრამ ქართული თემა პასტერნაკის შემოქმედებაში ამით არ ამოწურულა. 1936 წელს მან შექმნა კიდევ ორი პოეტური ნაწარმოები — „მხატვარი“ და „მგზავრის ჩანახატები“. ეს უკანასკნელი მან „თბილისელ მეგობრებს“ - ტიცვიან ტაბიძეს და პაოლო იაშვილს მიუძღვნა.

მეორედ დიდი რუსი პოეტი 1933 წელს ჩამოვიდა საქართველოში, ამჯერად საბჭოთა მწერალთა პირველი ყრილობის მოსამზადებელი საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობაში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ ნიკოლაი ტიხონოვი, იური ტინიანოვი, ოლგა ფორში, პეტრე პავლენკო და ვიქტორ გოლცევი. მაგრამ პასტერნაკის ჩამოსვლის მიზეზი სხვა იყო. 1933 წლის ზაფხულში პასტერნაკმა გააფორმა ხელშეკრულება ქართველ პოეტთა ლექსების თარგმანის გამოცემაზე. მაგრამ მანამდე იგი თარგმნიდა მისთვის ნაცნობი ევროპული ენებიდან. ამჯერად კი სრულიად უცხო ენასთან აღმოჩნდა პირისპირ. ქართული ენის შესწავლამ, რომელიც მან 1931 წელს დაიწყო, მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა მისცა ქართული გრამატიკის შესახებ, უნარი წაეკითხა და გაეგო, მაგრამ ენის იმ დონეზე ცოდნა, რომელიც საჭირო იყო იმისათვის, რათა ლექსი რუსულად ეთარგმნა, მას არ გააჩნდა. ტიცვიან ტაბიძისა და პაოლო იაშვილის რამდენიმე ლექსი, მათ მიერვე წაკითხული, მან ჯერ კიდევ 1931 წელს ჩაინერა და 1933 წლის ოქტომბერში გააგზავნა ყურნალში „ამიერკავკასიის ლიტერატურა და ხელოვნება“.

პასტერნაკს სჭირდებოდა ახალი საავტორო პნკარედების მოპოვება, და სწორედ ამ მიზნით ჩამოვიდა იგი თბილისში 1933 წლის ნოემბერში. მეგობრებთან შეხვედრამ, საქართველოში მოგზაურობამ, ნიკოლაი ტიხონოვთან ურთიერთობამ, რომელთან ერთადაც ცხოვრობდა სასტუმროში, გიორგი ლეონიძის ოჯახში მასპინძლობამ დიდი ბედნიერება მოუტანა რუს პოეტს. მაგრამ, ამავე დროს, მისთვის შეუძმწნეველი არ დარჩენილა, რომ მისი მეგობრები ტაბიძე და იაშვილი დაუმსახურებლად განიცდიდნენ შევიწროებას და არ აღმოჩნდნენ იმ ავტორთა შორის, რომლებსაც ოფიციალური მხარდაჭერა ჰქონდათ. „მით უფრო საჭირო იქნება მათთვის ჩემი მხარდაჭერა“, — წერდა პასტერნაკი ერთ-ერთ წერილში.

მეგობრებისადმი მხარდაჭერამაც არ დააყოვნა. 1934 წლის დასაწყისში პასტერნაკმა პაოლო იაშვილისა და ნიკოლოზ მინიშვილისგან მიიღო მათ მიერ სტალინისადმი მიძღვნილი ლექსების პნკარედები. ამ ლექსების თარგმანი იმავე წლის მარტში დაიბეჭდა ყურნალეში

„Новый мир“ და „Красная новь“. ამავე წელს პასტერნაკის მიერ თარგმნილი ქართული პოეზია დაიბეჭდა ჟურნალებში «30 дней» (N 1), «Молодая гвардия» (N 2), გაზეთებში «Литературная газета» და «Известия», ასევე ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ თარგმანი. კრებული „საქართველოს პოეტები“ 1935 წელს გამოვიდა თბილისში, ხოლო მოსკოვში კრებული - „საქართველოს ლირიკოსები“. 1935 წლის თებერვალში მოსკოვში ჩატარდა კონფერენცია „საბჭოთა საქართველოს პოეტები“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პოეტებმა. პასტერნაკმა თავისი თარგმანები წაიკითხა.

1937 წლის 22 ივლისს თავი მოიკლა პასტერნაკის უახლოესმა მეგობარმა პაოლო იაშვილმა. იმავე წლის აგვისტოში პასტერნაკი წერდა მის ქვრივს: „თამარა გეორგიევნა, ჩემო კარგო, საბრალო, ძვირფასო, ეს რა ხდება!.. ნუთუ ვერასოდეს ვერ ვნახავ ამ საოცარ სახეს, მის მაღალ ზეშთაგონებულ შუბლს ... ვერ ვეზიარები მის ნიჭს, მის განუმეორებელ ალღოს, რომელიც ასეთი იშვიათი და ძვირფასია ყველა დროში, და არა მხოლოდ ქართულ ლიტერატურაში. რარიგაც არ უნდა მიჭირდეს ამ ბოლო დროს არსებობა, თქვენი გულისთვის შეუძლებელს შევძლებ...“

იმავე წელს დააპატიმრეს პასტერნაკის კიდევ ერთი მეგობარი — ტიციან ტაბიძე. პასტერნაკი მის ოჯახს მრავალი წლის განმავლობაში უწევდა მატერიალურ და მორალურ მხარდაჭერას. ასევე რეპრესირებული იქნა მისი კიდევ ერთი ქართველი მეგობარი, პოეტი ნიკოლოზ მინიშვილი. მიუხედავად ამ სახელების ირგვლივ შექმნილი ვაკუუმისა, პასტერნაკი ბოლომდე დარჩა თავისი მეგობრების ერთგული.

1937 წლის დეკემბერში პასტერნაკი თბილისში მიიწვიეს. აქ ტარდებოდა მწერალთა კავშირის გამგეობის მორიგი პლენუმი, რომელიც შოთა რუსთაველის იუბილეს დაუკავშირეს, მაგრამ პასტერნაკმა მონაწილეობაზე უარი განაცხადა. „როგორ შემეძლო საქართველოში წასვლა, როდესაც იქ ტიციანი არ იყო? მე ის ისე მიყვარდა“, — უთქვამს ანატოლი ტარასენკოვისთვის, რუსი პოეტისა და კრიტიკოსისთვის.

მესამედ პასტერნაკი საქართველოში ჩამოვიდა სიმონ ჩიქოვანის მიწვევით 1945 წლის 19 ოქტომბერს ნიკოლოზ ბარათაშვილის გარდაცვალებიდან 150 წლისთავის აღსანიშნავ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად. სიტყვით გამოვიდა რუსთაველის სახელობის თეატრში და წაიკითხა თავისი თარგმანები. ბორის პასტერნაკის ვა-

ჟი თავის წიგნში წერდა: „ნინა ტაბიძე იხსენებდა, რომ იუბილეში მონაწილეობის მიღების წინაპირობად პასტერნაკმა მისი (ნინას) დარბაზში ყოფნა დაასახელა. ტიცვიანის დაპატიმრების შემდეგ იგი პირველად გამოჩნდა ხალხში. პასტერნაკი კითხულობდა და განსაკუთრებულად საზგასმით მიმართავდა მას... განშორებისას ნინა ტაბიძემ აჩუქა მშვენიერი საპერბო ქალაღდის მოზრდული დასტა, რომელიც ტიცვიანის შემდეგ დარჩა. მასზე დაინერა „დოქტორ ჟივაგოს“ თეთრად გადანერილი ხელნაერი... მოგვიანებით პასტერნაკს არაერთხელ უთქვამს, რომ ეს ნინას რომანია“.

1946 წელს პასტერნაკმა დაწერა ორი სტატია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ და „რამდენიმე სიტყვა ახალი ქართული პოეზიის შესახებ“. ამ უკანასკნელში მას არაფერი უთქვამს პ. იაშვილისა და ტ. ტაბიძის შესახებ, ვინაიდან მათი სახელების ხსენება აკრძალული იყო, მაგრამ მან მოგვცა მათი შესანიშნავი ფსიქოლოგიური პორტრეტები 1956 წელს დაწერილ ნარკვევში „ადამიანები და გარემოებანი“, რომელიც მხოლოდ 1967 წელს დაიბეჭდა ჟურნალში „Новый мир“. 1953 წლის 7 აგვისტოს პასტერნაკი წერდა ნინა ტაბიძეს: „ჩემო ძვირფასო მეგობარო! თქვენ იცით, მე უკვე დიდი ხანია, აღარ მჯერა, რომ ტიცვიანი ცოცხალია. ის იყო ისეთი განსაკუთრებით დიდი, განსაკუთრებით თავისებური და ნათელი ადამიანი, რომ მისი არსებობის დამალვა შეუძლებელი იქნებოდა... თქვენმა კვლავ გაცოცხლებულმა იმედმა, რომ ჩვენ შეიძლება ის კვლავ გვენახა, ერთი წუთით ჩემს გულშიც დაბადა იმედის ნაპერწკალი. თუ ის ცოცხალია, აუცილებლად დაბრუნდება ჩემსა და თქვენს ცხოვრებაში...“

ბოლოს პასტერნაკი საქართველოში 1959 წლის თებერვლის ბოლოს ჩამოვიდა. აქ მან 10 დღე დაყო. ეს მეტად რთული პერიოდი იყო რუსი პოეტისა და მწერლის ცხოვრებაში. პასტერნაკზე ძალიან დიდი ზენოლა ხორციელდებოდა. მიზეზი ამისა იყო 1957 წელს საზღვარგარეთ, კერძოდ კი იტალიაში, გამოქვეყნებული რომანი „ექიმი ჟივაგო“ (საბჭოთა კავშირში ეს წიგნი დაბეჭდვამდე აკრძალეს). ამ ფაქტმა საბჭოთა პრესის მწვავე კრიტიკა გამოიწვია. პასტერნაკს სპეციალურად გამართულ სხდომებზე აკრიტიკებდნენ, იუდას, კაცთმოძულეს, ცინიკოსს, ცილისმწამებელს, მოლალატეს უწოდებდნენ. იგი აიძულეს, უარი ეთქვა ნობელის პრემიაზე და „პრავდაში“ გამოაქვეყნებინეს მოსანანიებელი წერილი, რომელშიც მას მხოლოდ ერთი პატარა აბზაცი ეკუთვნოდა. „ექიმი ჟივაგო“ საბჭოთა კავშირში მხოლოდ 1988 წელს გამოვიდა. 1989 წელს კი

სტოკჰოლმში გარდაცვლილი ავტორის კუთვნილი დიპლომი და მე-
დალი ნობელიანტის შვილს გადაეცა.

1958 წლის 29 ოქტომბერს თბილისშიც გაიმართა მწერალთა
სხდომა, რომელზეც სიტყვით გამოვიდნენ ირაკლი აბაშიძე, ალიო
მირცხულავა, ბესარიონ ჟღენტი, შალვა დადიანი, კარლო კალაძე,
კონსტანტინე ლორთქიფანიძე, გრიგოლ აბაშიძე, რევაზ მარგიანი,
იოსებ ნონეშვილი, გიორგი ნატროშვილი, კომპოზიტორები: ანდრია
ბალანჩივაძე, ალექსი მაჭავარიანი. პოეტის საქციელი დაგმეს (ალ-
ბათ, აიძულეს, დაეგმოთ) მისმა მეგობრებმაც, სიმონ ჩიქოვანმა და
გიორგი ლეონიძემ და მხარი დაუჭირეს პასტერნაკის მწერალთა
კავშირიდან გარიცხვას.

ამ დროისათვის მას საქართველოში, და არა მხოლოდ საქარ-
თველოში, ყველა ჰონორარი შეუჩერეს, მათ შორის ერთი წლის წინ
გამოცემული ნიგნისთვის „ლექსები საქართველოზე, ქართველი
პოეტები“.

ამის მიუხედავად, 1959 წლის თებერვლის ბოლოს იგი მაინც ჩა-
მოვიდა საქართველოში. მას კვლავ სურდა ახალგაზრდული წლების
გახსენება, სურდა, მისულიყო იმ სახლებში, სადაც ადრე მისი ან
დალუპული მეგობრები ცხოვრობდნენ. თვითონ ცხოვრობდა ტიცთან
ტაბიძის ქვრივის ბინაში. პასტერნაკის თხოვნით, ნინა ტაბიძე ცდი-
ლობდა, საიდუმლოდ შეენახა მისი ჩამოსვლა. მხოლოდ ლადო გუ-
დიაშვილის სახლში მოუწყვეს მას შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა
მეგობართა ვიწრო წრე.

ლადო გუდიაშვილი იხსენებდა: „პასტერნაკი ჩემთან ადრეც ყო-
ფილა, მაგრამ იმ დღეს მან პირველად წამიკითხა ბარათაშვილის მი-
სეული თარგმანები... „საყურე“ და „ცისა ფერს“. ძალიან ამაღელ-
ვებელი იყო. არანაკლებ ღელავდა თვითონ პასტერნაკიც... რამდენი
ასეთი, პოეტური შთაგონებით სავსე საათები მახსოვს პასტერნაკ-
თან დაკავშირებით! როცა თბილისში ჩამოდიოდა, ჩემთანაც უსა-
თუოდ მოვიდოდა ხოლმე. ჩემი ერთი კეთილი მეგობარი ისიც იყო.

იგი ხომ მთელი თავისი ცხოვრებითა და პოეზიითაა დაკავშირე-
ბული საქართველოსთან... ეს კარგად ჩანს მარტო იმ პირად წერი-
ლებშიც კი, რომლებიც მას ქართველი მეგობრებისათვის გამოუგ-
ზავნია... რაც შეეხება მის შემოქმედებას... მან ხომ ამ მხრივაც ძა-
ლინ ბევრი გააკეთა ქართული კულტურისათვის... იგი ერთი პირ-
ველთაგანი იყო, ვინც ქართველ პოეტებს თარგმნიდა... ამ თარგმა-
ნებმა კიდევ უფრო გააღვივეს სხვა ერების ინტერესი და პატივის-

ცემა ქართული პოეზიისადმი, საქართველოსადმი. მახსოვს, ბოლო შეხვედრის დროს მითხრა: საქართველო იმიტომ არსებობს, რომ ადამიანებმა სიხარულის შეცნობა შეძლონ... ყველაზე მეტად საქართველოში და ქართველ მეგობართა შორის მიყვარს ყოფნაო.

ისე, როგორც ყველა შეხვედრა, ეს დღეც დაუვიწყარი დარჩა ჩემთვის: წინასწარ დამირეკა. მოვალ, თუ ჩემი აწენილი ბედით არაფერს დაგიშვებო. ევგენი ევტუშენკოსთან ერთად იყო... კარგა ხანს ისხდნენ... ბორისი კითხულობდა ლექსებს, ლაპარაკობდა პოეზიაზე, მხატვრობაზე, იხსენებდა გარდასულ დღეებს, ოცინანი და ოცდაათიანი წლების თბილისს. ტიცინანს, პაოლოს... დაღლილი, ნალვლიანი სახე ჰქონდა. აღარ მგონია, რომ ოდესმე კიდევ მომიხდეს აქ ჩამოსვლაო, — ამბობდა... მართლაც, მალე გარდაიცვალა...“ - იხსენებდა ლადო გუდიაშვილი. როდესაც სამშობლოში ბრუნდებოდა და მატარებლის კიბეზე იდგა, მას წინა ტაბიძისთვის ხმამაღლა უთქვამს: „წინა! თქვენს სახლში მომძებნეთ. მე იქ დავრჩი!“

ქართველი ხელოვნების მოღვაწეებთან 30-იან წლებში დაწყებული მეგობრობამ, ურთიერთობამ და მიმონერამ 30 წელს გასტანა, საქართველო კი მისი მეორე სამშობლო გახდა. იგი წერდა წინა ტაბიძეს: „როცა მე აღარ ვიქნები, რა დარჩება? ჩემი ცხოვრება... და რა იყო მასში მთავარი? მუსიკისა და სკრიპინისადმი სიყვარული, ორი-სამი ახალი ნოტი ჩემს შემოქმედებაში, რუსულ სოფელში გათეული ღამე, რევოლუცია, საქართველო...“

ეს ხანმოკლე ათწლიანი შესვენება პასტერნაკისთვის შვებისმომგვრელი აღმოჩნდა. ქალაქში სეირნობის დროს მას დაებადა ახალი წიგნის დაწერის იდეა, რომლის მთავარი თემა წმინდა წინოს დროინდელი საქართველო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

ბორის პასტერნაკი პოეტური თარგმანის დიდოსტატი იყო. პოეტური თარგმანი მისი შემოქმედების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა. მისი აზრით, თარგმანი დამოუკიდებელ მხატვრულ ნაწარმოებს უნდა წარმოადგენდეს. ორიგინალთან მსგავსება მას არ იზიდავდა. „ასეთი თარგმანები, — წერდა იგი, იმედებს არ ამართლებს“. ქართველი სიმბოლისტი პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „პასტერნაკი ასლს კი არა, ორიგინალის პორტრეტს ქმნის. თქვენ თითქოს საკუთარ ორეულს ხედავთ, რომელიც გაცვებთ იმით, რომ მასში საკუთარ თვისებებს ამჩნევთ. რა თქმა უნდა, უცხო ენამ, მისმა მელოდორობამ სრუ-

ლიად შეცვალა იგი, მაგრამ თქვენ მაინც იმ ჯადოქრის მაღლიერი ხართ, რომელმაც სხვა სამოსში გამოწყობილი რუსული პოეზიის მდიდარ სამყაროს გაზიარათ“.

ქართული პოეზიის თარგმნა პასტერნაკმა 1933 წლიდან დაიწყო, როდესაც მეორედ ეწვია საქართველოს. ამ დროიდან 50-იანი წლების მინჭურულამდე პასტერნაკმა თარგმნა ვაჟა-ფშაველას „გველის-მჭამელი“ (1934), ნიკოლოზ ბარათაშვილის, აკაკი წერეთლის, ტიცციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, იაკობ გოგებაშვილის, კოლაუ ნადირაძის, გიორგი ლეონიძის, სიმონ ჩიქოვანის, ნიკოლოზ მინიშვილის, ირაკლი აბაშიძის ლექსები, რომლებიც ორი კრებულის სახით 1935 წელს გამოვიდა მოსკოვსა და თბილისში. ესენია „ქართველი ლირიკოსები“ და „საქართველოს პოეტები“ (ნ. ტიხონოვთან ერთად). თარგმანების მომზადებისას პასტერნაკს ეხმარებოდნენ მისი ქართველი მეგობრები, რომლებიც საავტორო პნკარედებს აწვდიდნენ მას. ტიცციან ტაბიძე წერდა: „თანამედროვე ქართველი პოეტების პასტერნაკისეულ თარგმანებს შინაარსობრივი სიზუსტე ახლავს, თითქმის შენარჩუნებულია ყველა სახე და სიტყვათა განლაგება და, რაც მთავარია, მასში ისმის მელოდია. საოცარია, რომ ყველაფერ ამას მან მიაღწია ისე, რომ ქართული ენა არ იცოდა“ .

პოეზია სრულყოფილად არ ითარგმნება, ამიტომაცაა, რომ იშვიათია დედნის შესატყვისი პოეტური თარგმანები. ტიცციან ტაბიძისადმი მიწერილ ერთ წერილში ბორის პასტერნაკი წერდა: „მართლა მოგეწონათ? მე კი მეექვსება: ყოველგვარი თარგმანი, უხეიროც და კარგიც, ერთგვარი ძალადობაა დედნის მიმართ. ჩემი თარგმანი პირველთა რიგს უფრო მიეკუთვნება. ალბათ, დაგიმახინჯეთ ლექსები“.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია პასტერნაკის მიერ თარგმნილი ბარათაშვილი. რუსი პოეტი, პროზაიკოსი და მთარგმნელი იური ლიფშიცი სტატიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ცისა ფერს“ (2009) ბორის პასტერნაკის თარგმანში“ წერს: „ლექსი „ცისა ფერს“, რომელიც ნ. ბარათაშვილმა დაწერა 1841 წელს, ხოლო ბ. პასტერნაკმა თარგმნა არა უგვიანეს 1938 წლისა, დიდი ხანია, რუსეთში გენიალური ქართველი პოეტის სავიზიტო ბარათად იქცა. მასზე გაფიქრებისას, მესხიერებაში უნებლიეთ ამოტივტივდება სტრიქონები: «Цвет небесный, синий цвет / Полюбил я с малых лет...». ბარათაშვილის სხვა ლექსები რუსეთში ნაკლებად ახსოვთ, მაგრამ „ცისა ფერს“ რუსული პოეზიის თითქმის ყველა თაყვანისმ-

ცემელმა იცის... დღემდე არც ერთ რუს კრიტიკოსს აზრადაც არ მოსვლია ორიგინალის შედარება მის თარგმანთან. ამის სამი მიზეზი არსებობს. პირველი — პასტერნაკის გენიალური ტექსტია... მეორე ისაა, რომ პროფესიონალ ლიტერატურათმცოდნეებს არ სურთ, საკუთარი რეპუტაციის შელახვა რუსი კლასიკოსის კრიტიკით... მესამე მიზეზი კი შეიძლება იყოს ის, რომ პასტერნაკის არქივებში შეიძლება არ ინახებოდეს სწორედ ის პნკარედი, რომლიდანაც თარგმნა რუსმა პოეტმა ქართველი პოეტის ლექსი“. სტატიამი იური ლიფშიცმა სწორედ ეს მიზანი დაისახა და, უნდა ითქვას, არც თუ ურიგოდ გაართვა თავი.

პასტერნაკს გაუმართლა ქართველ მთარგმნელებშიც. მისი რომანი „ექიმი ჟივაგო“ ორჯერაა თარგმნილი ქართულად აკაკი ბრეგაძისა და ნოდარ ნონიაშვილის მიერ. სხვადასხვა დროს პასტერნაკის ლექსები თარგმნეს სიმონ ჩიქოვანმა, თამაზ ჩხენკელმა, მორის ფოცხიშვილმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა („სანამ კავკასიონს ვებღატებთ“), ირაკლი სურგულაძემ, თედო ბექიშვილმა, ტარიელ ჭანტურიამ, ჯემალ აჯიაშვილმა, ანდრო ბუაჩიძემ, ბათუ დანელიამ, ესმა ონიანმა („ბარდნიდა, ბარდნიდა მთელს დედამიწაზე“), სერგო წურწუშიამ („ყო ცნობილი, არ არის კარგი“) და სხვებმა. პასტერნაკის, რილკესა და ცვეტაევის მიმონერა ნაირა გელაშვილმა გადმოაქართულა, მისი „ადამიანები და გარემოებანი“ კი - გიორგი მარგველაშვილმა.

ბორის პასტერნაკის შემოქმედება დღესაც პოპულარულია საქართველოში, რომელიც მან მთელი გულითა და სულით შეიყვარა და რომელიც მისთვის მეორე სამშობლოდ იქცა. ორენოვან გარემოში გაზრდილი უფროსი თაობის ადამიანები მას აფასებენ, როგორც XX საუკუნის უდიდეს პოეტს. სხვები მას ქართველი ხალხის ერთგულ მეგობრად და რუსულ-ქართული კულტურული ტრადიციების ღირსეულ გამგრძელებლად მიიჩნევენ. ის, თუ როგორ ეხმარებოდა იგი რეპრესირებული მეგობრების ოჯახებს, დაუვინყარია. „ქართველი პოეტების (იაშვილი და ტაბიძე) ბედი, — წერდა იგი, — ცვეტაევის ბედთან ერთად ჩემთვის ყველაზე დიდი უბედურება იყო“. ეს მხოლოდ ლიტონი სიტყვები არ არის.

სახელმწიფო ენის სწავლებლისათვის

ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე

1966 წელს დაამთავრა საგარეჯოს №1 საშუალო სკოლა, 1972 წელს - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის კავკასიოლოგიის განყოფილება. 1986-1994 წლებში მუშაობდა თსუ აკაკის კაბინეტში. 1992 წლიდან არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგი. 2005-2007 წლებში იყო თსუ მესხეთის (ახალციხის) ფილიალის ქართული ენის კაბინეტისა და უცხო ენათა კათედრის გამგე. დღემდე ხელმძღვანელობს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.



ჰირისა და ჰირის ნიშანთა სწავლების თანმიმდევრობა

ზმნა ქართული ენის მორფოლოგიის ყველაზე რთული ნაწილია. ქართული ენის სწავლებისას ზმნური ფორმების წარმოება არაქართველთათვის მთავარ სიძნელეს წარმოადგენს.

„ქართულ ენას რომ სწავლობდა, ცნობილმა ლინგვისტმა ჰუგო შუხარდტმა აღიარა, რომ ვინც ქართული ზმნა იცის, მან თითქმის იცის ქართული ენა“. თუ რა მნიშვნელობა აქვს ზმნას ქართულ ენაში, მან შესანიშნავად გამოხატა შემდეგი სიტყვებით - „ზმნა ქართული ენის სულიაო“ (დ. მელიქიშვილი, „ქართული ზმნის უღლების სისტემა“, 2001, გვ. 5).

ქართული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა ძირითადად აგლუტინაციური ბუნებისაა: ყოველ გრამატიკულ კატეგორიას თავისი მორფოლოგიური ნიშანი შეესაბამება. ამის გამო ფორმა ადვილად იშლება გამჭირვალე მნიშვნელობის მქონე მორფემებად, თვით ძირეულ მორფემამდე (მაგ: გადა-მ-ა-ტან-ინ-ებ-დ-ე-ს). ეს თითქოს უნდა აადვილებდეს ზმნის შესწავლას, მაგრამ ზმნის აღწერისა და შესწავლის სირთულეს ქმნის მთელი რიგი გარემოებანი:

„ფლექსიური ტიპის ფაქტები, როგორც არქაული მოვლენების ნაშთები (მაგ. ფუძის ხმოვნის აბლაუტი: ვგრეხ-ვგრიხე; S პირის სუფიქსური გამოხატვა და დიფერენცირება დრო-კილოთა ფორმების მიხედვით, ასევე, S-ში მრავლობითი რიცხვის ნიშანთა განსხვავებულობა: წერ-ს; წერ-ა; წერ-ენ; წერ-ეს; ინოვაციები (მაგ. პასივის მოდელის საბოლოო ფორმირება ანმყოში S-ა სუფიქსით (შენდებ-ა, თბებ-ა ნაცვლად ძველი -ს სუფიქსისა - შენდები-ს, თბები-ს, რომელიც არ განსხვავდებოდა გვარების მიხედვით), ასევე აბლაუტიან ზმნებში ფლექსიური ტიპის ზმნებიდან თანდათან სუფიქსურ სისტემაზე გადასვლის ტენდენცია (გლიჯ-ს, გლიჯ-ავ-ს, გლი-ჯა)“ (დ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 6).

ქართული ზმნის სწავლებისას სირთულეს ქმნის, ასევე, ზმნის პირის გამოხატვის სისტემაც. სუბიექტური პირის გარდა ზმნაში გამოხატება ობიექტური პირიც. პოლიპერსონალიზმი, თავის მხრივ იწვევს ქართული სინტაქსური სტრუქტურა-მექანიზმის (სახელსა და ზმნას შორის პირისა და ბრუნვების მიხედვით მართვისა და რიცხვში შეთანხმების მექანიზმის) განსხვავებას სხვა ოჯახის ენების ზმნისა და სახელის სინტაქსურ-მორფოლოგიური ურთიერთობების სტრუქტურა-მექანიზმებისგან...

ასევე კონვერსია-ინვერსია. მათი სინტაქსურ-მორფოლოგიური გამოვლინება ერთმანეთისგან განსხვავებული სინტაქსური კონსტრუქციებით (დ. მელიქიშვილი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 7).

ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ მორფოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც უცხოა ევროპული თუ სხვა ენებისათვის (მაგ. დრო, კილო, გვარი, გარდამავლობა). კორელაციები: დესტინაციური რელაცია, ვერსია, ქცევა, კაუზატიური რელაცია (კონტაქტიანი ფორმები), ლოკატიური რელაცია (ადგილმდებარეობა); ასევე აქტივისა და პასივის ფორმაცვალებაობა; მიდრეკილება სიმეტრიისაკენ. სისტემის მდგრადობის ძირითადი პირობაა ანალოგიის პროცესი, მაგრამ სისტემის შიგნით მოქმედებს საპირისპირო პროცესებიც, რომლებიც არღვევენ სისტემის რგოლებს და ენის განვითარების მანძილზე კვლავ და კვლავ სიმეტრიისკენ მიისწრაფვიან დაუსრულებლად და ასე ხდება სისტემის უნიფიცირება, რღვევა და კვლავ განწონასწორება.

ქართული ზმნის მრავალმხრივი ფორმალურ-სემანტიკური გენერაციისა და რეგენერაციის უზარმაზარი პოტენცია ბადებს სემანტიკური ხასიათის ახალ-ახალ ნიუანსებს, რაც თავის მხრივ

ფორმათა გადააზრების (რეინტერპეტაციის) და ფორმანტების ისტორიულად ჩამოყალიბებული ფუნქციების შეცვლას იწვევს: ზოგი კატეგორია იკარგება და მისი ნიშანი სხვა ფუნქციას იძენს (მაგ. ინკლუზივის კატეგორიის გვ/გუ პრეფიქსმა I ობ. პირის მრავლობითი რიცხვის გამოხატვის ფუნქცია შეიძინა) (დ. მელიქიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 8). ასევე აქტივისა და პასივის ქონება; III სერიის მწკრივთა წარმოება; ინვერსია სისტემის გარეთ დარჩენილ ზმნათა ფორმაცვალებადობა უღლების თავისებურებანი.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი ართულებს ქართული ზმნის უღლებადი ფორმების ერთ მთლიან სისტემაში მოქცევას, მის აღწერას და რა თქმა უნდა, სწავლებასაც.

როგორც ვნახეთ, ქართული ზმნის უღლება ქმნადობის პროცესშია. სხვადასხვა რგოლი ტრანსფორმაციას განიცდის, მაგრამ ამ ქაოსში გამოიყოფა მდგრადი და სტაბილური, მყარი და სიმეტრიული ფორმალურ-სემანტიკური სისტემა, რომელზე დაყრდნობითაც შევეცადეთ, შეგვექმნა ჩვენი აზრი ზმნის კატეგორიათა შესწავლის შესახებ.

ზმნის სწავლებისას უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის ქართული ენის ცოდნის დონე. იგი უნდა ფლობდეს სულ მცირე ცოდნის I საფეხურს, როდესაც მოსწავლემ იცის საკომუნიკაციო მეტყველება, სასაუბრო ენა, კითხულობს ტექსტს და მის ლექსიკურ მარაგს 500-600 სიტყვა შეადგენს. იგებს ან ადვილად ხვდება ტექსტის შინაარსს.

ასეთ შემთხვევაში წინასწარ ვასწავლით გრამატიკის ელემენტებს. კერძოდ, მოსწავლემ იცის, რომ ქართულ ენაში საგანს თავისი სახელი აქვს და მოგვიგებს კითხვებზე - ვინ და რა?. ვინ? კითხვა ადამიანს დაესმის, დანარჩენს კი - კითხვა რა?. რომ საგანი შეიძლება იყოს ერთი და მრავალი. სიმრავლეს გამოხატავს -ებ სუფიქსი. იციან ადამიანთა სახელები, რომ მათ საკუთარი ჰქვია. ასევე საგანი შეიძლება იყოს პირველი (I), მეორე (II) და მესამე (III). მოსწავლე უკვე ეცნობა არი-ს ფორმას. მაგალითად: ეს მუხა არის. ის თათიას ძმა არის... ეს მუხაა, ის თათიას ძმაა. ეს უკანასკნელი კი გვიბიძგებს, მოსწავლეს მივანოდოთ ინფორმაცია, რომ „არი“ ფორმა ზმნაა, რომელიც გამოხატავს მოქმედებას და მდგომარეობას და რომ აქვს პირი - I, II და III. I პირს შეესაბამება სიტყვა მე, II პირს - შენ, III პირს -ის (ეს, ეგ, იგი).

აუცილებლად ვუხსნით:

„ის“ გამოხატავს III პირს - საგანს I პირთან მიმართებით, რომ ის არის პირველი პირისგან მოშორებით: „ის არის“.

ეს გამოხატავს III პირს - საგანს, რომელიც I პირთან ახლოს იმყოფება: „ეს არის“.

ეგ გამოხატავს III პირს - საგანს, რომელიც II პირთან ახლოს იმყოფება: „ეგ კაცი“.

იგი გამოხატავს III პირს - საგანს, რომელიც ძალიან შორს იმყოფება.

ასევე ვუხსნით (დაფაზე ვწერთ) მე, შენ, ის (ეს, ეგ, იგი) მრავლობითი რიცხვის ფორმებს:

- | | | |
|----------|-----------|-------------------|
| I პირი | მე-ჩვენ | |
| II პირი | შენ-თქვენ | |
| III პირი | { | ის - ისინი |
| | | ეს - ესენი |
| | | ეგ - ეგენი |
| | | იგი - იგინი/ისინი |

პირი შეიძლება იყოს მოქმედი ანუ სუბიექტი (სუბიექტური) და სამოქმედო - ობიექტი (ობიექტური).

იგინი ფორმა ლიტერატურული ფორმა არ არის და მის მაგიერ იხმარება „ისინი“. შემდეგ პირის მიხედვით ვცვლით ზმნას მხოლობით და მრავლობით რიცხვში.

- | | |
|-------------|------------------|
| I მე ვ-არ | ჩვენ ვ - არ — თ |
| II შენ ხ-არ | თქვენ ხ - არ - თ |

- | | | | | | | |
|-----|---|-----|-------|---|-------|---------|
| III | } | ის | არი-ს | } | ისინი | არი -ან |
| | | ეს | | | ესენი | |
| | | ეგ | | | ეგენი | |
| | | იგი | | | ისინი | |

ვადღევთ ინფორმაციას, რომ I პირს არა მხოლოდ ამ ზმნაში გამოხატავს ვ- პრეფიქსი მხ. რიცხვში და ვ-თ აფიქსები მრავლობით რიცხვში;

II პირს გამოხატავს ხ- ჩვენ შემთხვევაში და ასევე ჰ- ან ს- პრეფიქსი სხვა ზმნებში, ან შეიძლება სულაც არ ჰქონდეს ნიშანი. ვიდრე მოსწავლე კარგად დაეუფლება გრამატიკას, მანამდე მართივად, მექანიკურად შევასწავლოთ, რომ II პირის ფორმა იგივე I პირის ფორმაა ვ- ნიშნის გარეშე.

ვადღევთ ინფორმაციას, რომ I პირს არა მხოლოდ ამ ზმნაში გამოხატავს ვ- პრეფიქსი მხ. რიცხვში და ვ-თ აფიქსები მრავლობით რიცხვში;

II პირს გამოხატავს ხ- ჩვენ შემთხვევაში და ასევე ჰ- ან ს- პრეფიქსი სხვა ზმნებში, ან შეიძლება სულაც არ ჰქონდეს ნიშანი. ვიდრე მოსწავლე კარგად დაეუფლება გრამატიკას, მანამდე მარტივად, მექანიკურად შევასწავლოთ, რომ II პირის ფორმა იგივე I პირის ფორმაა ვ- ნიშნის გარეშე. (სქემა №1)

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
I ვ-	ვ- ---- -თ
II ჰ-, ხ-, ს-, 0 -----	ჰ-, ხ-, ს-, 0 ---- -თ
III ----- ს-, ა-, -ო	---- -ნ, -ენ, -ნენ, -ან, -ეს

სქემა №1

მიღებული ინფორმაციის გასამტკიცებლად შესასწავლი ტექსტებიდან უნდა მოვაძებნინოთ სავარაუდო ზმნები, რომლებშიც გამოკვეთილი იქნება პირის ნიშნები (მნიშვნელობებს ვუთარგმნით) და ჩავანერინებთ მათ მიერვე შექმნილ ლექსიკონებში, შეძლებისდაგვარად ვაუღლებთ სამივე პირში, მხოლობით და მრავლობით რიცხვში, ვინაიდან ჯერ გრამატიკას, როგორც საგანს, არ ვასწავლით, ამიტომ პირის ნაცვალსახელების პარალელურად გავაცნობთ კუთვნილებით ნაცვალსახელებსაც წარმოდგენილი სქემის მიხედვით (სქემა №2):

- | | |
|------------------|-----------------------|
| I მე – ჩემი | ჩვენ – ჩვენი |
| II შენ – შენი; | თქვენ – თქვენი |
| III { ის – იმისი | { ისინი – იმათი |
| { ეს – ამისი | { ესენი – ამათი |
| { ეგ – მაგისი | { ეგენი – მაგათი |
| { იგი – მისი | { ისინი//იგინი – მათი |

სქემა №2

ახსნილი ახალი მასალის გასამტკიცებლად შევადგენინებთ მარტივ წინადადებებს:

- ნანა თათიას დაა|| ნანა თათიას და არის.
- მე ფატის ძმა ვარ.
- შენ იმედოს სიძე ხარ.
- ის იაა || ის ია არის.
- ჩვენ სტუდენტები ვართ.

თქვენ სტუდენტები ხართ.

ისინი სტუდენტები არიან.

ვინაიდან მოსწავლემ იცის, რომ ქართულ ენაში საგნის აღმნიშვნელ სიტყვას დაესმის კითხვები - ვინ და რა?, ამიტომ ვასწავლით კითხვითი ფორმითაც; ვმართავთ დიალოგს:

- ნანა თათიას ძმაა? - არა, ნანა თათიას ძმა არაა|| ძმა არ არის.
- აბა, ვინ არის ნანა? - ნანა თათიას დაა || და არის.
- მე ფატის ძმა ვარ? - შენ ფატის ძმა ხარ. ან
- არა, შენ ფატის ძმა არ ხარ.
- შენ იმედოს სიძე ხარ? - დიახ, მე იმედოს სიძე ვარ.

(ამ შემთხვევაში, როცა II პირს მივმართავთ, ვამახვილებინებთ ყურადღებას იმაზე, რომ მან პასუხი I პირის ფორმით უნდა გაგვეცეს). კარგ შედეგს იძლევა, როდესაც დიალოგს ვმართავთ ჯგუფში. აუცილებელია ყველა მოსწავლის ჩართულობა.

- ის იაა? - არა, ის ია არ არის||ის ია არაა.
- დიახ, ის იაა||ის ია არი(ს).
- ჩვენ სტუდენტები (ვ)არ(თ)?
- დიახ, თქვენ სტუდენტები (ს)არ(თ).
- არა, თქვენ სტუდენტები არ (ს)არ(თ).

აქვე უნდა გაეგვას ხაზი, აუცილებლად უნდა ავუხსნათ: როცა II პირს კითხვას დაუსვამს III პირი, ის პასუხს I პირის ფორმით გასცემს.

- თქვენ სტუდენტები ხართ?
- დიახ, ჩვენ სტუდენტები ვართ.
- არა, ჩვენ სტუდენტები არ ვართ.

ზმნის სწავლებისას პირისა და მათი გამოხატვის ფორმის პარალელურად ვაძლევთ ინფორმაციას სახელებში მრავლობითობის -ებ ელემენტის შესახებ და სახელისა და ზმნის დამოკიდებულების ნათელსაყოფად წარმოვუდგენთ სქემას:

მს. რიცხვი	მრ. რიცხვი
I. მე გოგო ვ-არ	ჩვენ გოგო-ებ-ი ვ-არ- თ
II. შენ გოგო ს-არ	თქვენ გოგო-ებ-ი ს-არ-თ
III. ის გოგო არი-ს	ისინი გოგო-ებ-ი არი-ან

პირის ნიშანთა სწავლებისას ვაძლევთ ინფორმაციას უარყოფის გამომხატველ სიტყვებზე: არ, ვერ,.. და ვასწავლით, რომ ქართულშიც, ისევე როგორც ყველა ენაში, ზმნას აქვს უნარი, გადმოგვცეს სხვადასხვა შინაარსი - დადებითი, უარყოფითი, ბრძანებითი, კითხვითი ან თხრობითის ფორმებით.



შალიკაშვილების ჯვართამაღლების ეკლესია ახალციხეში

ქალაქ ახალციხის რაბათში არსებული ჯვართამაღლების ეკლესია აგებულია შუა საუკუნეების სამხრეთ საქართველოში დანიშნავებული ფეოდალური გვარის – შალიკაშვილების კუთვნილი საკმაოდ დიდი ფართის გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრის შუა ეზოში. აღნიშნულ ციხე-სიმაგრეს მოსახლეობა სხვადასხვა სახელით — „ურთის ციხე,“ „ყულების ციხე,“ „ხანდრის გორის ციხე“ – მოიხსენიებს, ხოლო მის ტერიტორიაზე არსებულ სალოცავს, რომელიც სხვადასხვა წყაროში ჯვართამაღლებისა თუ წმინდა ჯვრის სახელზე აგებულად ითვლება, XIX საუკუნის მეორე ნახევარშიც კი, კოკოლას (რადგან მის აგებას კოკოლა შალიკაშვილს მიაწერენ) ეკლესიას უწოდებდნენ.

ცნობილია, რომ შალიკაშვილების ფეოდალური გვარი საკმაოდ დანიშნავდა XVI საუკუნის სამხრეთ საქართველოში. მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი, ცნობილი პიროვნება კოკოლა შალიკაშვილი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იმდროინდელი რეგიონის პოლიტიკურ ცხოვრებაში. სხვადასხვა დროს ათაბაგის კარზე მას მაღალი თანამდებობები ეკავა და საკუთარი ციხე-სიმაგრისა (რომელიც საისტორიო წყაროებში ურთის ციხის სახელითაა ცნობილი) და ეკლესიის პატრონიც იყო. ვახუშტი ბაგრატიონი, როცა შაჰთამაზის შემოსევებს აღწერს, აღნიშნავს: „მოგვიცდა კოკოლა, ახჩის ქუაზნი წარგვიხუნა... ამის კოკოლას თვისი ძმისწული გურგაქ უკუუდგა და მანუჩარს მიერთო ქაჯისციხითა და ფიცითა დიდითა. არამედ კუალად სტეხა ფიცი და უკუდგა მანუჩარისაგან. მოვიდა მანუჩარ

ზავისათვის, მან არ ჰყო ზავი და ფოსო დაუნვიათ... ბ~ ოქტომბერს გურგარქ შემორიგდა და ველი მისცა. გავბრუნდით, კოკოლას კერძი ურთის ციხე წავართვით და დავარღვიეთ, სიმაგრე დავნვით და ეკლესია დავტოვეთ⁵.

აღნიშნული სალოცავი კოკოლას ეკლესიის სახელით მ. თამარაშვილსაც აქვს დაფიქსირებული. მისი გადმოცემით, როდესაც შაჰყულიანმა (ჭილიმუზაშვილმა) მოინდომა დაკეტილი ღვთისმშობლის კათოლიკური (პატრების) ეკლესიის მითვისება, მას წინააღმდეგობა გაუწიეს ადგილობრივმა კათოლიკე მღვდელმსახურებმა. ამასთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს: „**შავგულიანმან** ამოგზავნა თავისი ღვდლებთაგანი პირველი პოლიციის კაცებითა, რათა წაიკითხონ ის ქვა სომხურად დაწერილი, რომელიც ატანია აღმოსავლეთის კერძით კედელში თქვენს გ~ პატრებიანთ ეკლესიისა ღვთისმშობლის სახელზედ აღშენებულსა, და ოსე ორ სამ გზის ამოსვლითა რათა დაამტკიცონ მათ, რომ ჩვენი არის და არა პატრებისა... ცდილობენ, რათა ამ სახით ხელში გაიტარონ ეკლესია და გააღონ; იმავე ეკლესიისათვის ჰქმნა გამოძიება ამავე ალექსოვმან (ამ საქმესთან დაკავშირებით თბილისიდან საგან-გებოდ ჩამოსული გამომძიებელი — თ. ი.) კათოლიკთაგან, სომეხთაგან, და თათრებისგანაც და ამათ გაქი კარგად დაემტკიცებინათ ვ-ც ალიბეგის, და ალიბეგის შვილსა თქმითა, რომ ჩვენ მამაპაპით ვიცით, რომ ეგ ეკლესია პატრებისა ყოფილა ძველთაგანვე და ჩვენც ასე გვინახამს მუდამ პატრების ხელში, რომელთ კარგი მონასტერიც აქუნდათ საყდრის გვერდით ცხრაოდიანი და იქ ცხოვრობდნენ და კიდევ ექიმობდნენ. იმ საყდარს ეტყოდნენ პატრების საყდარს. ზეთ კოკოლას საყდარსა და ციხეზე ახლოს ბაზრის პირზე მყოფ საყდარს ეტყოდნენ ფრანგების საყდარსა. ღელეში ერთი პატარა საყდარი არის იმას სომხების საყდარს ეტყვიან⁶. ამ ამონარიდიდან ნათლად ჩანს, რომ იმ დროისათვის კათოლიკეებს ორი (პატრებისა და ფრანგების) ეკლესია ჰქონდათ. მათგან პატრების ეკლესია, პატრების არყოფნის გამო, დაკეტილი ყოფილა. რაც შეეხება **ჯვართამაღლების ეკლესიას**, მას მისი ამშენებლის, ცნობილი ფეოდალური გვარის წარმომადგენლის **კოკოლა შალიკაშვილის** სახელის მიხედვით, **კოკოლას**

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, გვ. 720.

⁶ მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა საქართველოში თბ., 1902, გვ. 541.

ეკლესიად მოიხსენიებენ, რომელიც არც კათოლიკეებს და, მით უმეტეს, სომხებს არ ეკუთვნოდა.

ჯვართამაღლების ეკლესიაში კათოლიკური წირვა-ლოცვა, როგორც ჩანს, XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან უნდა დაწყებულიყო. ამის დასტურია მის სამრეკლოზე არსებული წარწერა: „1881 — აღაშენა ესე სამრეკლო ელისაბედ მურვანოვის ასული აზნაუროვის ქვრივმა“.

რაბათის ჩრდილო-სამხრეთით ხანდრის გორად ნოდებულ სიმაღლეზე მდებარე ციხე-სიმაგრის გალავან-ციტადელი შემორჩენილი იყო გვიანობამდე და მისი მცირეოდენი ნაშთები დღესაც შეიმჩნევა. XIX საუკუნის 80-იან წლებში ერმაკოვის მიერ გადაღებულ ფოტოზე ნათლად ჩანს, რომ იმ დროისათვის ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო სამგოდოლიანი საკმაოდ დიდი ტერიტორიის მქონე გალავან-ციტადელი, რომლის შუაშიც საკმაოდ კარგად შენახული **ჯვართამაღლების ეკლესია მოჩანს მოგვიანებით სამხრეთით მიშენებული სამრეკლოს გარეშე.**

ჯვართამაღლების ეკლესია XX საუკუნის 30-იან წლებში მოინახულა გიორგი ბოჭორიძემ და ვრცელი აღწერილობაც დაგვიტოვა. მისი მონაცემებით: „ახალციხის ქართული კათოლიკური **ჯვრის ეკლესია** განახლებულ-გადაკეთებული შენობაა. მისი აღმოსავლეთი ნაწილი ძველია, დასავლეთი ახალი. მთელი ეკლესიის ზომა 22,5 X 11,5 მ. ახალი ეკლესია ნაშენია სულ თლილი ქვისაგან. ძველი ეკლესია გუმბათიანი შენობაა. ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან არის აშენებული. შიგნით იგი საკურთხევლად არის ქცეული და მას დასავლეთით მიშენებული აქვს ახალი შენობა, ზომით (გარედან ძველი ეკლესია დღეს ჩანს) 7 X 9,25 მ. მის დასავლეთ ნაწილს ფარავს ახალი შენობა, ძველად უნდა ყოფილიყო 10,25 X 9,25 მ. ნაშენია ნაწილი თლილი, ნაწილი ნატეხი ქვისაგან. იგი დარღვეულია ყოველ მხარეს. გუმბათის ძირის ნახევარი ძველია, ნაგებია თლილი ქვისა და კირისაგან, ზევითა კი ახალი — ხისაა მრავალი სარკმლით, ძველი ნაწილი გარედან გალესილი ყოფილა კირით, რომლის წარწერიანი და ჩუქურთმებიანი ქვებიც დაფარული ყოფილა, ახლა კირი ნაწილობრივ მოცლილია, მოჩანს წარწერა და ჩუქურთმები. ჩრდილო-სამხრეთ მხარეს, მაღლა საქარეზე და მის ოდნავ ქვევით, არის ორი ქანდაკება ცხვრის თავის გამოსახულებით. აღმოსავლეთით კი ზევით ერთი შენახულა, მეორე მოტეხილია. ამ მეორე ქვის მარჯვნივ არის ქვა ჯვრების გამოსახულებით, მის ძირს ზედ მიდებით ოდნავ მარჯვნივ სამხრეთით არის ქვა 5-სტრიქონიანი სომხური

წარწერით. ქვედა სარკმელი ყოფილა, ახლა ამოღებულია. სარკმლის დასწვრივ ძირს გარდიგარდმო დადებული საფლავის ქვაა კაცის თავის გამოსახულებით ჩაღრმავებული. ამ ქვის მარჯვნივ, პატარა მანძილზე, ზევით ნაწილობრივ მოჩანს ქვაჯვრის (??) გამოსახულებით და სამხრეთით ერთი სტრიქონი წარწერა, ამავე კედელზე სამხრეთისაკენ მალლა უდევს ქვა 5-სტრიქონიანი სომხური წარწერით; მის ძირს სამხრეთ კედელთან სხვა წარწერიანი ქვაა, დაფარული კირით, მოჩანს მარტო ერთი სტრიქონი.

გუმბათის გარდა, რომელიც ახლა სულ გადაკეთებულია, ძველ ეკლესიას სარკმლები ჰქონია აღმოსავლეთით 1, სამხრეთით 1, ჩრდილოეთით 1, აღმოსავლეთის სარკმელი ახლა აშენებულია. ძველი ეკლესიის სამხრეთით მოჩანს ძველი საძირკველი, ეკლესიის სამხრეთის კარიბჭე. სამრეკლოს იატაკად დაფენილი მაღალი საფლავის ქვაა წარწერით. ასეთივე ქვები მოწყობილია ამავე მხარეს საძირკველთან ერთ პირად. წარწერებიდან ზოგი დაზიანებულია⁷. აქვე აქვს მას მოტანილი 54 საფლავის ქვების ქართულენოვანი წარწერები და იმ სიძველეთა სია (ვერცხლის ბარძიმი, ხატები, სასანთლე, საცეცხლური, ვერცხლის ჯვარი და სხვა), რომლებზედაც ქართული წარწერებია⁸.

როგორც ჩანს, მოგვიანებით, უკვე სომხურ ტიპიკონზე გადასული ქართველი კათოლიკეების მიერ XIX საუკუნის II ნახევრიდან ხდება ეკლესიის რესტავრაცია-გადაკეთება. საინტერესო ის არის, რომ ეკლესიის კედლების აღდგენაში ძირითადად ქართულწარწერიანი საფლავის ქვები უხვად აქვთ გამოყენებული (ჩვენ ასეთი 20-ზე მეტი ქვა დავაფიქსირეთ).

მართალია, 1767 წელს ახალციხიდან რომში გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნულია, **ჯვართამაღლების ეკლესიაში** კათოლიკე მღვდელი ატარებს წირვა-ლოცვასო, მაგრამ არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ კაპუცინების მოსვლამდე (1733 წელი) ყოვლად წმიდის კათოლიკური ეკლესია მუსლიმებმა გადაწვეს და მის აღდგენას, მრევლის დაკარგვის შიშით, აქ სხვა მოღვაწე პადრეებმა შეუშალეს ხელი⁹, რის გამოც კაპუცინებმა მართლმადიდებლისაგან დაცლილ წმ. ჯვრის ეკლესიაში დროებით დაიდეს ბინა. ამ პერიოდიდან ჩნდება ეკლესიის ეზოში სომხურ ტიპიკონზე მდგარი ქართველ კათოლიკეთა ქართულწარწერიანი საფლავები. მართალია, წარწერები - ეპი-

⁷ . ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, თბ., 1992, გვ. 166-167.

⁸ . ბოჭორიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 177-178.

⁹ . მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 416-417.

ტაფიები ქართულ ენაზეა შესრულებული, მაგრამ სახელების უმრავლესობა სომხურადაა გადაკეთებული (ასე, მაგალითად: ტირაცუ აკოფაი, ბაღდასარა, კეჩხუანთ მათეოსას ცოლი, ერეცი ტერ იოანე, გრიგორ თოქმაჩი, პოლოსას ძე ტირაც, პოლოსას ძე, გასპარა, პეტროზას მეუღლე სარაი, არუთინ მურვანოვის ძე სტეფანე და ა. შ.) მოყვანილი მასალები იმაზე მეტყველებს, რომ **ჯვართამაღლების ეკლესია**, როგორც მართლმადიდებლური სალოცავი, აგებული უნდა ყოფილიყო, თუ უფრო ადრე არა, შუა საუკუნეებში მაინც, ფეოდალური გვარის – შალიკაშვილების მიერ.

ჯვართამაღლების ეკლესია XIX საუკუნის I ნახევარში კათოლიკური რომ არ იყო, ეს ნათლად ჩანს მისიონერების წერილებიდანაც. 1815 წელს უფროსი პატრი ფილიპე რომში გაგზავნილ წერილში აღნიშნავს: „ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა მონასტერი, რომელიც ევროპის წესისამებრ მოწყობილია. აქაური მისიონისათვის ძალიან საჭიროა, რადგან პატრები, უწინარეს თბილისში მოსვლისა, აქ დგებიან. გვაქვს აგრეთვე პატარა ეკლესია ყოვლად წმიდა მარიამისა“¹⁰. იგივე პატრი 1830 წელს გაგზავნილ წერილში კვლავ აფიქსირებს: „ახალციხეში გვაქვს ერთი პატარა ღვთისმშობლის ეკლესია. ეხლა კი ეს ეკლესია მეტად დაზიანებული, ერთ გვერდზე ჩამონგრეული და გაშიშვლებულია“¹¹. ამ წერილებიდან ნათლად ჩანს, რომ იმ პერიოდისათვის პატრებს მხოლოდ ერთი ე. წ. **პატრების ეკლესია** ჰქონიათ.

ბ. არველაძის შენიშვნით, ახალციხის ჯვართამაღლების ეკლესია, „სავარდოსა და იოანე ნათლისმცემლის ეკლესიებთან ერთად, თავიდანვე იყო ქართული... ამ ეკლესიის ქტიტორების შესახებ ცნობა არ არის შემონახული, მაგრამ იგი ეკუთვნის ქართული არქიტექტურის კლასიკური პერიოდის ძველთა რიცხვს (X-XIII სს.). ახალციხის წმ. ჯვრის ეკლესია არაერთხელ იქნა იავარყოფილი მტრისაგან. მაგრამ მრევლი არასოდეს მოჰკლებია, რადგან სწრაფად აღუდგენიათ“¹². მისი განახლება მომხდარა 1660 წელს, „განსაკუთრებულათ 1750 წელს. ამ ეკლესიის მრევლმა რიგიანი ველარა მოისაზრა და ძველის ალებულს ეკლესიას ძველადვე მიმატებული მშვენიერი ჩუქურთმისანი ქვებით აღშენებული ეკლესია დააქციეს და მის მაგიერ უბრალო სადა რბილი ქვის ეკლესია ალაგეს, საკურთხეველი და ამის ძველი

¹⁰ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 503.

¹¹ მ. თამარაშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 516.

¹² ბ. არველაძე, როცა უღაო სადაო ხდება, თბ., 2005, გვ. 173.

გუმბათი კი ძველის ეკლესიის არის, რაც მცირედ გადააკეთეს“ - აღნიშნავდა ზ. ჭიჭინაძე¹³.

სომხურმა ეკლესიამ თავისი ქმედებით იმდენი მოახერხა, რომ „XIX საუკუნის II ნახევრიდან, მეფის რუსეთმა ევროპიდან საქართველოში კათოლიკე მისიონერების შემოსვლა აკრძალა და აქ მცხოვრებ ქართველ კათოლიკეებს წირვა-ლოცვა სომხურ რიტზე დაუნესა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო არა ანტიკათოლიკური, არამედ ანტიქართული – ერის სულიერი გახლეჩვის მზაკვრული პოლიტიკა“¹⁴. იმდროინდელი რუსეთის ხელისუფლების მიერ გატარებულმა ამგვარმა შორსგამიზნულმა პოლიტიკამ სომეხ მღვდელმსახურებს საშუალება მისცა, ფართოდ გაეშალათ თავიანთი საქმიანობა. კათოლიკობის ნიღაბს ამოფარებული სასულიერო პირები, ამ სარწმუნოების გამოყენებით, ქართველ კათოლიკეებში მშობლიური ენის, ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული თვითშეგნების საბოლოოდ ჩაკვლასა და ძირძველი ქართული ეკლესია-მონასტრების მიტაცება-დაპატრონებას ცდილობენ¹⁵.

ჯვართამაღლების ეკლესია სომხურ ტიპიკონზე ნაკურთხი ქართველი კათოლიკე მღვდლის პავლე შაჰყულიანის (ჭილიმუზაშვილის) ძალისხმევით, XIX საუკუნის II ნახევრიდან სომხურ ტიპიკონზე მდგარ ქართველ კათოლიკეთა ხელში გადადის და მათ წირვა-ლოცვა უკვე სომხური ტიპიკონით უტარდებოდათ. მიუხედავად ამისა, მრევლი რომ ქართულენოვანი იყო, ამაზე მეტყველებს 1881 წელს მიშენებული სამრეკლოს ზემოთ მოტანილი წარწერა. ეს ეკლესია სომხურ-კათოლიკური ან სომხურ-მონოფიზიტური რომ ყოფილიყო, მაშინ სამრეკლოს ამშენებლის ვინაობა და მისი აშენების თარიღი არა ქართულ, არამედ სომხურ ენაზე იქნებოდა გაკეთებული.

ჯვართამაღლების ეკლესია და მის გარშემო არსებული სასაფლაო, თავისი ქართული ეპიტაფიებით, როგორც კულტურის ძეგლი, ავად თუ კარგად მეტ-ნაკლებად დაცული იყო საბჭოთა პერიოდშიც კი (შემოვლებული ღობე, შედგენილი პასპორტი). 1980 წელს შედგენილ პასპორტში (№46) აღნიშნულია: „ეკლესია დიდი ზომისაა. გადა-

¹³ ზ. ჭიჭინაძე კათოლიკეთა ეკლესიები საქართველოში, თბ., 1902, გვ. 16.

¹⁴ თ. იველაშვილი, ბ. არველაძე, მარდის იოანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია, თბ., 2009,

¹⁵ თ. იველაშვილი, კათოლიკობა საქართველოში, თბ., 2009.

ხურვა და კამარა ჩაქცეულია, კედლების ზეთავები — მონგრეული. სამხრეთის ფასადის შუაწელში მიდგმულია სამრეკლო.

შიდა სივრცე სწორკუთხა გეგმისაა, დარბაზი საკმაოდ განიერია. აღმოსავლეთის ნაწილს თაღები სამ ტოლ ნაწილად ყოფს, რომელთაგან გვერდითები პოსტფორიუმებია, შუა საკურთხეველში გასასვლელი. ეს უკანასკნელი მოდგმულია გარედან ფასადზე და ოდნავ ჩამოუვარდება სიგანით მთელს ფასადს. საკურთხეველი თითქმის მთლიანად დანგრეულია. დარბაზი ძალზე განათებული იყო. ეს ხერხდებოდა ხშირად განლაგებული და განიერი სარკმლების წყალობით.

სამხრეთის და ჩრდილოეთის კედლებს თაღები მიუყვება. ინტერიერის კედლები უხეშად დამუშავებული ქვებითაა ნაშენი და შელესილია.

ფასადები მეტ-ნაკლებად დაზიანებულია. დასავლეთის ფასადს მთლიანად შენარჩუნებული აქვს კარგად დამუშავებული ქვის პერანგი (გარდა ფრონტონის კედლებისა). აქ დეკორატიულ ელემენტებად გვევლინებიან გაერთიანებული სათაურები, რომლებიც რიტმულად უვლიან თავს ორ სარკმელს და კარებს, აგრეთვე - პროფილირებული კარნიზი, რომელიც გამოყოფს ფრონტონს და კედელს ერთმანეთისაგან.

სამხრეთის ფასადს ცენტრში მიდგმული აქვს ორსართულიანი სამრეკლო. პირველი სართული წარმოადგენს ოთხ სვეტზე დაყრდნობილ კარიბჭეს, მეორე — რვასვეტიან, კაპიტელებით შემკულ სარკმელს, რომელსაც რვაფერდა ჩარდახოვანი ლორფინებით გადახურული სახურავი აქვს. სამრეკლოზე ჯვარია აღმართული. პერანგი აქაც შენარჩუნებულია. ეკლესიის ჩრდილოეთის ფასადი შედარებით დაზიანებულია: ცენტრალური ნაწილი მთლიანად გაძარცვულია პერანგისაგან, სარკმლის ღიობები განგრეულია.

აღმოსავლეთის ფასადი, ფაქტობრივად, არ არსებობს. მასზე მიდგმული საკურთხეველის ნანგრევები გაძარცვულია პერანგისაგან.

ეკლესიის მიჯრით, დასავლეთით პირამიდალურ საფეხურებად აღმართული სასულიერო პირის მდიდრულად შემკული აკლდამაა მოთავსებული. აქვე გამოჩენილი ქართველი მოღვაწის მღვდელ ივანე გვარამაძის („ვინმე მესხის“) საფლავის ქვაა¹⁶.

XXI საუკუნის დასაწყისში ვატიკანიდან შემოგზავნილმა პადრემისრებმა, არა ყოფილი „პადრეებისა“ და „ფრანგების“ კათოლიკური ეკლესიების, არამედ ადრე აშენებული მართლმადიდებლური ჯვართ-

¹⁶ საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლები, პასპ. №48.

ამაღლების ეკლესიის მიპატრონება სცადეს და არაკანონიერი გზით კიდეც მიაღწიეს მიზანს. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ის, რომ 2009 წლამდე ეკლესიას და მის გარშემო არსებულ სასაფლაოს ისტორიული ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული და შეძლებისდაგვარად დაცულიც იყო. შემოსულმა კათოლიკე პადრებმა ამ ტაძრის საბოლოო მითვისება გადაწყვიტეს. მათ ამ საქმეში აქტიურ დახმარებას უწევდა ქალაქის იმდროინდელი გამგებლი დავით ალთუნაშვილი. მისი უშუალო მონაწილეობითა და დახმარებით გარკვეულმა პირებმა (ვინ, უშუალოდ, მაშინდელ გამგებელს უნდა ჰქოთხონ) ეკლესიას, მის გარშემო არსებულ ძველ სასაფლაოს ისტორიული ძეგლის სტატუსი მოუხსნეს და მხოლოდ ივანე გვარამაძის სასაფლაო დატოვეს, როგორც ისტორიული ძეგლი. ამით ხელ-ფეხი გაუხსნეს შემოსულ ემისრებს და მათ 2010 წლის გაზაფხულზე დაიწყეს აღნიშნული ეკლესიის გადაკეთება-გადმოკეთება. მის გარშემო არსებული სასაფლაო, როგორც ისტორიული ძეგლი, მთლიანად გაანადგურეს (ქართულ წარწერიან საფლავის ქვებს, ცხვრისა და აკვნის ქანდაკებებს ზოგს მინა გადააყარეს, ზოგი სად წაიღეს ღმერთმა უწყის, ზოგი „შემომტვრათ“ და ა. შ.) და მასზე სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა დაიწყო.

საინტერესოა, მათ, თუ მართლა ქრისტიანები არიან და ქრისტიანული მრწამსით მოქმედებენ, რატომ გაანადგურეს სამსაუკუნოვანი ქართულწარწერიანი საფლავის ქვები, რომელთა ისტორიული ღირებულება კომუნისტებმაც კი აღიარეს და ხელი არ ახლეს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა – რა მიზანი ამოძრავებთ მათ? ზემოთ მოყვანილი მასალებიდან გამომდინარე, ამ საუკუნის დასაწყისში შემოსულ პირებს არა **ჯვართამაღლების ეკლესიის**, არამედ **პატრებისა** და **ფრანგების** ეკლესიებად წოდებულ წმ. მარიამისა და იოანე ნათლისმცემლის კათოლიკური სალოცავების აღდგენა-განახლებაზე უნდა ეზრუნათ. მაგრამ მათ ეს შეგნებულად არ გააკეთეს, რადგან ეს ეკლესიები გვიან XVIII საუკუნეშია აგებული, ჯვართამაღლებისა კი – XII-XIV საუკუნეებში, ამიტომ მას საქართველოში კათოლიკობის „დაძველების“ მიზნით მიეპატრონენ.

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ისტორიული ძეგლებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიზნით კონსტიტუციაში საგანგებო მუხლია შეტანილი: „საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ზრუნავდეს კულტურული

მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებაზე. კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფო იცავს კანონით“ (მუხ. 34.2).¹⁷

საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალიურ მართლმადიდებულ ეკლესიას შორის კონსტიტუციური შეთანხმების საფუძველზე:

1. „სახელმწიფო ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებულ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომელზეც ისინია განლაგებული.

2. ზემოაღნიშნულ ნაგებობათა დაცვის ზომები, მათი მოვლა-პატრონობისა და სარგებლობის წესები განისაზღვრება შესაბამისი სახელმწიფო სამსახურის მიერ მოქმედი კანონმდებლობით და ეკლესიასთან შეთანხმებით.

„კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ მოქმედ კანონში მითითებულია: „ადგილობრივი თვითმმართველობის და მმართველობის ორგანოები განსაზღვრულ უფლებამოსილებათა ფარგლებში ახორციელებენ კულტურული მემკვიდრეობის დაცვას“ (მხ. 12). მათ უფლება აქვთ, არ დაუშვან „დეპარტამენტის წერილობითი თანხმობის გარეშე უძრავი ძეგლის, მისი ნაწილებისა და ფრაგმენტების გადაკეთება, გადაადგილება და დაშლა, ხოლო უძრავი ძეგლის დამცავ ზოლში - მიწის სამუშაოების ჩატარება, მიცვალებულთა დაკრძალვა, მრავალწლიანი მცენარეების დარგვა და მოსპობა“ (მუხლი 25).

„1. აკრძალულია უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა.

2. უძრავი ძეგლის ან მისი ნაწილის გადაკეთება, გადაადგილება ან დაშლა დასაშვებია იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს:

ა) უძრავი ძეგლის გადარჩენა;

ბ) გადაუდებელი აუცილებელი მდგომარეობა;

3. უძრავი ძეგლის დაკარგული არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ აღსადგენი არქიტექტურული ფორმებისა და ელემენტების სრული იდენტიფიკაციისა და ზუსტ მეცნიერულ მონაცემებზე დაფუძნებული საპროექტო დოკუმენტაციის ბაზაზე“.¹⁸

¹⁷ საქართველოს კონსტიტუცია, თბ. 1995

¹⁸ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №1, თბ. 2006

საქართველოს სისხლის სამართლის კანონით „ისტორიის, კულტურის ან ბუნების ძეგლთა ანდა ისტორიული ან კულტურული ფასეულობის მქონე საგნის ან დოკუმენტის განზრახ დაზიანება ან განადგურება ისჯება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე“ (მუხ. 257). მაგრამ, სამწუხაროდ, ეს კანონი ჩვენს ქვეყანაში დღეს, ფაქტობრივად, არ მოქმედებს.



ჯვართამაღლების ეკლესია ურთის ციხის გალავნის ნარჩენებს შიგნით XIX საუკუნის პირველ ნახევარში (ერმაკოვის ფოტომასალა).



ჯვართამაღლების ეკლესიის ნგრევა 2010 წელს.



გადათხრილი და განადგურებული საფლავები.



ასე გამოიყურება რესტავრირებული ჯვართამაღლების ეკლესია დღეს, სადაც დედათა მონასტერია გახსნილი და იტალიიდან ჩამოსული ორი და ერთი ქართველი მონაზონი ცხოვრობს.



კითხვები ქალაქის მერს

ქალაქ ახალციხის მერი გიორგი კობაძე დაიბადა 1960 წლის 28 თებერვალს ფსიქოლოგისა და მედიცინის მუშაკის ოჯახში. ახალციხის №1 საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში აგრონომიის ფაკულტეტზე გააგრძელა. 1981-1985 წლებში იყო სანერგე მეურნეობის აგრონომი. 1991 წელს გიორგი კობაძე აირჩიეს ქალაქ ახალციხის საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარედ. 1995 წელს სწავლა გააგრძელა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს ახალციხის ფილიალში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე. 1996-1999 წლებში იყო ახალციხის სატელევიზიო კომპანია იმპერია „მე-9“ არხის დირექტორი. 2014 წელს პირდაპირი წესით არჩეულ იქნა ქალაქ ახალციხის მუნიციპალიტეტის მერად. ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

ქალაქის მერს რამდენიმე კითხვით მივმართეთ.

– ბატონო გიორგი, „არავის“ გასულ ნომერში არტაანის მერს ფარულ ქოქსოის ვკითხეთ, რას აკეთებდა ქალაქის მერია სტუდენტთა დასახმარებლად. ბატონმა ფარულმა გვითხრა, რომ მერია წელიწადში ერთჯერადად ქალაქ არტაანში მცხოვრებ 150 სტუდენტს ეხმარება. ამ მხრივ ჩვენი ქალაქის მერიის გამოცდილება როგორია?

– ჩვენ გვქონდა და გვაქვს სტიპენდიები სტუდენტთათვის. ეს ტრადიცია გაგრძელდება. ეს არის ის დახმარება, რომლითაც გვინდა წავახალისოთ ის სტუდენტები, რომლებიც მაღალი აკადემიური

მოსწრებით გამოირჩევიან. გასულმა წლებმა გვიჩვენა, რომ გარკვეულ სფეროებში კვალიფიციური კადრების დეფიციტია. არა მაქვს საუბარი ფილოლოგებზე, პედაგოგებზე. ჩვენ არ გვყავს სპეციალისტები ისეთ დარგებში, როგორც არის, მაგალითად, ინფრასტრუქტურა. გვიჭირს ინჟინრების მხრივ, ასევე მენეჯმენტის კუთხით. ამიტომ, ვცდილობთ, წავახალისოთ სტუდენტები. მე და უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ მერაბს გვქონია საუბარი ამ თემაზე. ის დარგები უნდა განვითარდეს, რომელიც ჩვენ და, ზოგადად, სახელმწიფოს სჭირდება. ვიცი, რომ უნივერსიტეტი ამ მიმართულებით წინ მიდის და ბევრ სასიკეთო ნაბიჯებს დგამს. მერიის მხრიდან სტიპენდიების გაცემა გაგრძელდება.

- სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის საკითხზე თქვენთან, თქვენს წინამორბედებთან, მხარის გუბერნატორთან არაერთხელ გვისაუბრია. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თითქოს არის მზაობა, მაგრამ სიტუაცია უცვლელია. საუბარია რუსთაველის ქუჩა №124-ში მდებარე მესაზღვრეთა შტაბის ტერიტორიაზე არსებულ შენობა-ნაგებობებზე. კონკრეტულად, უნივერსიტეტი საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციისათვის მიზანშეწონილად მიიჩნევს ყოფილი ყაზარმისა და სასაილოს შენობებს.

- ამ საკითხზე 2014 წლიდან ინტენსიურად ვმუშაობთ. ვერ ვიტყვი, რომ ამაზე ჩემთვის ვინმეს ეთქვას პირდაპირი უარი, მაგრამ მოდის საბუთები უარით. პირად საუბრებში ნებისმიერ დონეზე არის მზაობა. საკითხი ყველა ინსტანციაში გვაქვს დაყენებული, ვისაც ეს ეხება. მხარში გვიდგას მხარის გუბერნატორი ბატონი აკაკი მაჭუტაძე. მისი და ჩემი აზრი აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს. გვინდა, რომ ამ ტერიტორიაზე სერიოზული საქმე გაკეთდეს. არა მხოლოდ სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის თვალსაზრისით, არამედ გვინდა, რომ ამ ადგილას გაკეთდეს კულტურის სასახლე, სხვადასხვა დაწესებულებებისთვის შენობა-ნაგებობები. გვინდა, რომ იქ ცენტრალურ მოედანზე ეკლესია აშენდეს. ბევრი რამ არის ჩვენ მიერ მოფიქრებული. ასევე, იქ არის ადგილები, სადაც შეიძლება გაშენდეს საცხოვრებელი კორპუსები. ასევე განხორციელდეს ინფრასტრუქტურული სხვადასხვა პროექტი.

- აღნიშნული შენობა-ნაგებობები არის ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე. იყო საუბარი ამ შენობა-ნაგებობების მერიის ბალანსზე

გადმოცემასთან დაკავშირებით. როდესაც უარი მოგდით, მიზეზად რა სახელდება?

– მიზეზი არასოდეს სახელდება. ჩვენ „არა“ სხვა საკითხებზეც მიგვიღია, განმარტების გარეშე. ვიტყვი იმას, რომ ეს შენობები ყოველ წელს უფრო და უფრო ნადგურდება. კარგავს პირვანდელ სახეს და მათზე უფრო მეტი უნდა დაიხარჯოს, ვიდრე, ვთქვათ, შარშან დავხარჯავდით. მომავალ წელს უფრო მეტი იქნება დასახარჯი, ვიდრე წელს უნდა დავგეხარჯა. ეს პრობლემაა და ბოლოს ცუდ შედეგს მივიღებთ, შენობები დაინგრევა.

– **სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ბატონი ვალერი სილოგავას სახელი მიენიჭა რუსთაველის ქუჩიდან ზარზმელის ქუჩისკენ მიმავალ ქუჩას (აღმართს). (ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 09 ივნისის №23 განკარგულება). თუმცა, ამის შესახებ მანიშნებელი ნიშანი არსად არ არის განთავსებული. რას გვეტყვით ამასთან დაკავშირებით?**

– საერთოდ ეს პრობლემა მთელ ქალაქში არსებობს. მთელ ქალაქშია მანიშნებელი ნიშნები და სახლების ნუმერაცია ხელახლა გასაკეთებელი. როგორც ვიცი, რამდენიმე ქუჩა განახლდა, მაგრამ ეს საკითხი მოსაგვარებელია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ პრობლემას მივხედოთ.

– **კონკრეტულად ზემოთხსენებულ საკითხთან დაკავშირებით რას გვეტყვით?**

– გეტყვით, რომ ეს მიმანიშნებელი ნიშანი, სულ მალე იქნება.

– **ასევე იყო საუბარი აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის დამაარსებლის, ბატონი ევგენი ხარაძის სახელი მინიჭებოდა ქალაქ ახალციხეში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ მშენებარე სკვერს. თქვენი წინამორბედის პასუხი იყო, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დასამთავრებელი იყო გარკვეული ტექნიკური დოკუმენტაცია, ამიტომ, საკრებულომ მაშინ ვერ მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ?**

– მინდა გითხრათ, რომ ეს ცოტა ხანგრძლივი პროცესია. ადრე, მსგავსი საკითხები მარტივად წყდებოდა. პირდაპირ შეეძლო მაშინდელ ხელმძღვანელობას, რომ მიენიჭებინა ამა თუ იმ ობიექტისთვის გამოჩენილი და ღვანლმოსილი პიროვნების სახელი. ახლა ამ სა-

კითხს სჭირდება ბევრი დასკვნა. ეს ცოტა რთული საკითხია, ცოტა დროში გაინელება ეს პროცესი.

- ანუ, გვაძლევთ დაპირებას, რომ ზემოთხსენებულ სკვერს მიენიჭება ბატონი ევგენი ხარაძის სახელი?

- დიახ. არ არის პრობლემა. ღირსეული ადამიანის სახელი, რატომ არ უნდა მივანიჭოთ ერთ-ერთ სკვერს. დიდი სიამოვნებით.

- „არავის“ მეხუთე ნომერში დაიბეჭდა ფოტოები, რომლებიც სხვადასხვა ობიექტზე არაქართულ წარწერებს ასახავს. ეს ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულ მოთხოვას, სახელმწიფო ენის დაცვასთან დაკავშირებით. როგორია მერიის როლი მსგავსი პრობლემების მოგვარების საკითხში?

- ჩვენი ფუნქცია და ჩვენი ზედამხედველობის სამსახური ამ ობიექტებს დააჯარიმებს, ვინაიდან ეს არის კანონის დარღვევა. ამ წუთში აღნიშნული სამსახური ნაგვის დაყრის კუთხით მუშაობს და ამ საკითხსაც აუცილებლად მიეხედება და რეაგირება იქნება.

- 2014 წელს მუნიციპალიტეტებს ქალაქი ახალციხე გამოეყო და შეიქმნა ქალაქ ახალციხის მერია. ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, გაამართლა აღნიშნულმა მოდელმა?

- მერიები საქართველოს 12 ქალაქშია შექმნილი. ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი შედეგი მივიღეთ. რომ ავიღოთ ბიუჯეტის თვალსაზრისით, მთლიანად ახალციხის რაიონის ბიუჯეტი იყო დაახლოებით 11 მილიონი, დღეს ქალაქ ახალციხეს აქვს 14- მილიონიანი და მუნიციპალიტეტს აქვს ცალკე 12-მილიონიანი ბიუჯეტი. ე.ი. 26 მილიონამდე გაიზარდა ბიუჯეტი. მეორე, პატრონი გაუჩნდა ყველა მხარეს. დასამალი არ არის, რომ მაშინ, იმ 12 მილიონიდან, 80 პროცენტი იხარჯებოდა ქალაქზე. სოფლებისკენ მცირედი მიემართებოდა. ახლა, კი ეს 12 მილიონი, თავიდან ბოლომდე მიმართულია სოფლების კეთილდღეობისაკენ. დაიგო გზები, მიეხედა ინფრასტრუქტურას და, რაც მთავარია, პატრონი გაუჩნდა ყველას თავის ადგილზე. ახალციხის ძალიან ბევრი ქუჩა გაკეთდა. დარწმუნებული ვარ, რომ სხვა შემთხვევაში ეს ვერ გაკეთდებოდა. სხვადასხვა საჭიროებას, რომლებიც მნიშვნელოვანია, უფრო ვინრო რაკურსით და გამდიდრებელი მინით ვაკვირდებით. ეს ნიშნავს იმას, რომ კარგად ჩანს ყველა ის პრობლემა, რომელიც ჩვენს ქალაქთან დაკავშირები-

თაა. რაც მთავარია, დეცენტრალიზაცია, რომელიც აუცილებელია და ეს მოთხოვნა არის როგორც ევროკავშირის, ასევე ეს არის ცხოვრებისეული მოთხოვნა, დეცენტრალიზაცია აუცილებლად უნდა მოხდეს და ადგილობრივი ხელისუფლება უნდა გაძლიერდეს, ვინაიდან ადგილობრივ პრობლემებს უფრო მიეხედოს, რა თქმა უნდა, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად.

- რას უსურვებდით ჟურნალ „არავს“?

- ვიცი, რომ ჟურნალს საკმაოდ ბევრი მკითხველი ჰყავს. „არავს“ ვუსურვებ მეტ წარმატებებს. ყურადღებით ვადევნებ თვალ-ყურს ჟურნალის ყოველ ნომერს. „არავის“ მეხუთე ნომერი, რომელშიც ის ფოტოებია განთავსებული, რომელზეც ვისაუბრეთ, ვერ ვნახე, რადგან ამერიკაში ვიყავი და ველარ გადავავლე თვალი. ამ შემთხვევაში, ჩვენ ამ საკითხს აქამდე მივხედავდით. ამ ადამიანებს მოუწევთ ჯარიმების გადახდა იმიტომ, რომ ეს არასწორია. ჩვენ ენას უნდა მიეხედოს. საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული ენა და ეს დაცულია კანონით. კანონი კი ყველამ უნდა შესრულოს.

- ქალაქის მერიას თუ აქვს ხარჯები, მაგალითად რომ დააფინანსოს „არავის“ გამოცემა?

- ეს რთულია, რადგან საბიუჯეტო კოდექსი განერილია თავიდან ბოლომდე. იქ არის მუხლები, რომლითაც ასეთ რაღაცებს ვერ ვაფინანსებთ. ჩვენ შეგვიძლია, თუ არ მეშლება, ერთჯერადი დახმარება გამოვყოთ. სხვა მხრივ, რა თქმა უნდა, პრესის განვითარებას ხელი უნდა შევუწყოთ.

- დიდი მადლობა, ბატონო გიორგი, საინტერესო საუბრისთვის.

ინტერვიუერი – ლია ზაზაშვილი

კრიტიკა

ანდრო ბედუკაძე



დედა და „ქართვის დედა“

II ნერილი*

ილია ქავჭავაძის „უნიის“ არა აქვს კონკრეტული დროის მნიშვნელობა, ეს „უნი“ ზოგადი წარსულია. ბარათაშვილთან კი ალფრთოვანების სიტყვები კონკრეტულ ეპოქას მოიაზრებს. „ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო“ - ეს სტრიქონები მოსდევს სოფიო ლიონიდის ნათქვამს:

**„რა ხელს-ჰყრის პატივს ნაზი ბულბული,
გალიაშია დატყვევებული?“**

.....
**ესრეთ რას არგებს კაცსაც დიდება,
თუ მოაკლდება თავისუფლება?“**

აქ ეპოქა დაზუსტებულია, ეს ერეკლეს ხანაა. იქაური მანდილოსანი მსჯელობს ამგვარად, დღეს კი:

**„რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ?
ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი
მამულს ასული ახლა თქვენგვარი?“**

* პირველი ნერილი დაიბეჭდა „არავი“ №5-ში, გვ.39-46.

ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!“

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილს მიაჩნია, რომ გადაგვარების მიზეზი „ჩრდილოეთის ქარია“ და თავისუფლების დაკარგვას შეგუებული ადამიანი. ვის შეუძლია ქვეყანაზე იფიქროს, იბრძოლოს მისი კეთილდღეობისათვის და თუ საჭირო შეიქმნება, თავიც განიროს - ღირსებით სავსე ადამიანს. ასეთი ადამიანი კი ღირსეულმა ქალმა, ღირსეულმა დედამ უნდა გაზარდოს. ბარათაშვილმა იცის, რომ ამგვარი ქალები მის დროს აღარ არიან, სანატრელნი გამხდარან, დედაც ხომ დედამ უნდა გაზარდოს.

როგორც დავინახეთ, ბარათაშვილმა იცის მიზეზისაგან გამონვეული შედეგი, მაგრამ არ იცის, რა ეშველება ყოველივე ამას. ილიამ, როგორც ბარათაშვილის „მოკანანახემ“, დაწერა „ქართვის დედას“. ამ ლექსში ყველას მოგვინოდა, რომ „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი“. გასაგებია, ვიცით, რომ დედა „უწინ მამულსა უზრდიდა შვილსა“. დრო შეიცვალა და აუცილებელია:

„ჩვენ უნდა ვსდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს“.

ეს სხვა ვარსკვლავი აღარ გულისხმობს ხმლის ქნევას, ასპარეზი მკლავის ნაცვლად შრომასა და განათლებას დასთმობია. ისევ მიმართვა დედისადმი: **„საზრდოდ ხმარობდე ქრისტესა მცნებას: ძმობას, ერთობას, თავისუფლებას“**, რათა მან შეძლოს „ბედთანა ბრძოლა“. ეს ყველაფერი კი საჭიროა იმისათვის, **„რომ წინ გაუძღვეს ჭეშმარიტება, უკან ჰრჩეს კვალი განათლებული“**. ქრისტეს მცნებით ნასაზრდოებ კაცს რამ შეიძლება უწინამძღვროს, თუ არა ჭეშმარიტებამ, ოღონდ ილია აქ თავსატეხს გვიტოვებს - რა იგულისხმება ჭეშმარიტებაში? ლექსის პათოსიდან გამომდინარე, ალბათ, მამულისადმი პატიოსანი მსახურება, საერთოდ სიკეთისათვის პატიოსანი გარჯა.

ილია ერთსა და იმავე საკითხს, თემას ხშირად უბრუნდება ლექსით იქნება ეს, პროზად თუ წერილების სახით. ასეა ამ შემთხვევაშიც. ლექსი „იავნანაც“ ამის დასტურია. **„დედის ნანასთან, ქვითინი მთისა“ მას (სამშობლოს) უმზადებდა მომავალ გმირსა“** - ეს სტრიქონები სხვა ნაწარმოებიდან „ქართვის დედადანაა“ ამოღებული. დედის ნანაა სათნო, - ამბობს ილია და უკვე ამ ნაწარმოებში განმარტავს, თუ როგორი უნდა იყოს ეს ნანა.

ილიას ეს ლექსი დაწერილია 1959 წლის 13 აპრილს პეტერბურგში. ლექსის მერვე სტრიქონშივე ავტორი ახსენებს „ქართველთადმი

ღვთიურ ვალს“... და იმასაც შენიშნავს, რომ შენ ჯერ პატარა ხარ, ამ ვალის გაცნობიერება არ შეგიძლია და „**მამ, რაღამ შეგაშინა?**“, შემდეგ, როცა გაიზრდებიო, - დედა მიმართავს შვილს, - „**ყრმობის სიზმრები ბრძოლაზედ გაგაცვლება, არ შემიდრკე მაშინა**“. ეს „არ შემიდრკე მაშინა“ სამგზის მეორდება. ამ დაჟინებული „არ შემიდრკე“ შემდეგ დედა ამბობს, რომ შვილი ქვეყნისათვის არ დაენანება, მე ისე არ წავხდებიო. შენც მამულისთვის სიკვდილი რომ დაგეზაროს, „შენ ისე არ წახდები“, კაცი კაცად თუ მოკვდები, „ნუგეშს ვიცემ მაშინა“, მამულისათვის სიკვდილით მას თუ იხსნი, „გაიხარებ მაშინა“ „მამულის მსხვერპლო“.

ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ლექსი 1859 წელსაა დაწერილი და ქვეყნისათვის თავშეწირვის თემა, ბრძოლის თემა, ძლიერი მკლავის თემაა წინა პლანზე წამოწეული. ოღონდ „სურამის ციხისგან“ განსხვავებით ეს ძალადობის შედეგი კი არ უნდა იყოს, არამედ ნებაყოფლობითი აქტი, რომელსაც ილიასეული ნანათი აღზრდილი ადამიანი განახორციელებს.

როგორც ვნახეთ, „ნანა“ უნდა იყოს მსხვერპლად შესანიერი შვილის აღმზრდელი. ისეთი ადამიანისა, რომელიც თვითონ შეიძლება შეენიროს ქვეყანას და ამისათვის სხვების ძალდატანება არ დასჭირდება. ასეთი რამ მხოლოდ ღირსებით სავსე პიროვნებას შეუძლია. როგორია „ოთარაანთ ქვრივის“ მთავარი გმირის, ოთარაანთ ქვრივის მიერ გაზრდილი შვილი? არის კი გიორგი ისეთი პიროვნება, რომელიც შემკობილია ყველა იმ თვისებით, რაც სურს „ნანას“ მთქმელ დედას, ანდა ქართველის დედას? თავის დროზე კიტა აბაშიძე გიორგის არჩილთან მსახურობისას გამოჩენილ ერთგულებაზე წერდა, რომ მის ამგვარ საქციელს მამამბლობის ელფერი დაჰკრავსო.

ვფიქრობთ, რომ კრიტიკოსი გიორგის საქციელის შეფასებაში ცდებოდა. მამამბელი ადამიანი თავისი მამამბლობისათვის ყოველთვის ელის ჯილდოს - სიტყვიერს, ნივთიერს... გიორგი სამაგიეროს არავისგან არ მოითხოვს თავისი, სხვათათვის უცნაური ქმედებისათვის. პირიქით კია, იგი ყოველთვის რისკის ქვეშ აყენებს თავის პიროვნებას. მოვუსმინოთ რას ამბობს ილია: „**ეს ხასიათი დასჩემდა გიორგისა. დედისავით, - თავისი იყო თუ სხვისა, - თუ ცუდი რამ იყო, გამოეკიდებოდა. ბევრს ამისათვის არ მოსწონდა გიორგი. კაცო, რა უნდა, სხვის საქმეში რად ერევაო? არა ერთი და ორი იძახდა ამას სოფელში. ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია, მაგრამ არც თითონ იშლიდა, არც დედა უშლიდა. ამას წინად - სულ ორი კვირა არ იქნება - კი-**

ნალამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია. ერთი უცნაური და დაუჯერებელი ამბავი ჩაიდინა“.

ნახეთ: „ამ ხასიათმა ბევრი ხიფათი შეამთხვია“, „კინალამ სოფლის სასამართლომ გომურში არ ჩაამწყვდია“. მამამებელი ადამიანი ამგვარ რამეს მოიმოქმედებს, რომ საკუთარ თავს ავნოს? პირიქით კია, მამამებელი კაცი საკუთარი სარგებლობისათვის ირჯება.

გიორგის მიერ შექმნილ ბალს ყველა სამოთხედ აღიქვამს და ეს მართალიცაა. სამოთხის ბალი სიყვარულს შეუძლია გააშენოს, ისეთ სიყვარულს, რომელიც თვითონ არაფერს ითხოვს ის თვითკმარია. გიორგიმ იცის, რომ კესოსგან სიყვარულს, სიყვარულის სანაცვლოდ, ვერ მიიღებს. იცის, ცაში ვარსკვლავს ვერ შესწვდება და სიკვდილის წინაც არაფერს ნანობს, რადგან მან შეძლო თავად სიყვარულისათვის გარჯილიყო და არა საპასუხო გრძნობისათვის. ასეთი კაცი პირმოთნე, მამამებელი ვერანაირად ვერ იქნებოდა.

გიორგი მიდის, დედისაკენ აღარ მოიხედავს. წინ ბუნება ეძახის, უფრო ძლიერი, ვიდრე მშობლისადმი სიყვარულია. გიორგის ამგვარი საქციელი ყველა შვილის ხვედრია. ქვრივს ერთი საყვარელი და საყრდენი მამაკაცი აღარ ჰყავს, მეორეც გაურბის და მისი მზერა სხვა ქალისთვისაა განკუთვნილი. დედა მარტოობისთვისაა განწირული. აქ ერთმანეთის არავის ესმის: გიორგისა კესოს, კესოსი გიორგის, ქვრივს შვილისა, შვილს დედისა. ვაჟი და ქალიც მშობლისა დრომდის არიან, მერე კი ერთმანეთისა. ლალატობს გიორგი დედას? არა. ის, რაც მთავარია, არ ლალატობს ბუნებას, კაცურ, ადამიანურ ბუნებას. ადამიანურ ბუნებას არც ქვრივი ლალატობს შვილის მიმართ ასეთ განცდებში მყოფი და ვერ გაუგია, რომ მშობლიური სიყვარულისათვის ჯილდო მხოლოდ კარგი შვილია და არა ვალის გადამხდელი, მშობლიური ვალის გადამხდელი შვილი. ამგვარი რამ არა მარტო არ ხდება, არაბუნებრივიცაა.

„ოთარაანთ ქვრივის“ ყველა პერსონაჟი თითქოს მორტოობისთვისაა განწირული, მათ ერთმანეთისა არ ესმით, ვერ უგებენ ერთმანეთს და ამიტომაც ტრაგიკულნი არიან. ვფიქრობ, ამგვარი შეხედულება ზედაპირულია, რისი ფიქრის საფუძველსაც მოთხრობს შემდეგი ადგილი გვაძლევს: როდესაც არჩილი და კესო საუბრობენ გიორგის სიკვდილის შემდეგ, ეგრეთწოდებულ ხიდრატეხილობის პრობლემაზე, არჩილი ამბობს ამგვარ რამეს: **„გული რა არის? მარტო ერთადერთი კაცი რომ ყოფილიყო ქვეყანაზედ, გულიც არ იქნებოდა. გული მადლია, და მადლი მარტო ორს შუა ჰსაქმობს. ორნი მაინც უნდა**

**იყვნენ, რომ მაღლი მოჰხდეს, იმიტომ, რომ მაღლი ერთისაგან განირ-
ვაა და მეორესაგან შენირვა ერთსა და იმავე დროს“.**

მაღლის გამწირვლებიც არიან ნაწარმოებში და შემწირველებიც, ოღონდ არ ხდება ამის დაფასება, აშკარა აღიარება. იქნებ საჯარო-
დაც არ მიაჩნია მაღლის გამცემს ამ მაღლის აღიარება?! მთავარი აქ
ხომ გაცემია მაღლისა. ოთარაანთ ქვრივი იმაზეც კი ბრაზობს, თუ
ვინმე მაღლისათვის მაღლობას ეტყვის. ის იმისათვის სულაც არ
ირჯება, ვინმემ ეს დაუფასოს. თავისთავად გაცემამაშია თვითემარობა
და არა აღიარებაში. გიორგიც თავისი დედის შვილია, იდეალია იგი
მწერლისათვის. მერე რაა, რომ მისი საქციელი სხვათათვის უცნაუ-
რობისა და ახირებულობის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი მომავლის
შვილია, მას ჭეშმარიტება უძღვის წინ, უკან კი კვალი რჩება გა-
ნათლებული. მან თავისი სიკვდილით სინათლის მომტანი ცრემლი
აღძრა. დედამ აღზარდა ისეთი შვილი, როგორსაც უნდა დაეყრდნოს
სოფელი, ქვეყანა. ახალ დროს აღარ სჭირდება ხმალი, ბრძოლის
ველი სხვა სიბრტყეზეა გადანაცვლებული, ამიტომაც ქვეყანას
გიორგის მსგავსი მეზობლონი სჭირდება.

„სურამის ციხის“ ზურაბმა თავისი ტრაგედიით ვერ მოიტანა იმ-
ედი, წყვილი ვერ განანათლა. გიორგის ტრაგედიამ იმედი შვა, სი-
ნათლე დაბადა. ზურაბი დედამ გაზარდა, გიორგი - ქართველის დე-
დამ.

გიორგი სოსიაშვილის პროზის მხატვრული საეციფიკა*

გიორგი სოსიაშვილი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა მწერალი, უკვე ცნობილი პროზაიკოსია. მას 25 წიგნზე მეტი აქვს დაწერილი, აქედან უმეტესობა მხატვრულ ნაწარმოებთა კრებულია. ძნელია, პროზაში ასე ადრეულ ასაკში მიაღწიო დიდებასა და წარმატებას. ეს პოეზიაში უფრო მარტივია. პოეტური ნიჭით დაჯილდოებულმა კაცმა შეიძლება, სიყმანვილეში შექმნას შედეგები და მოიპოვოს აღიარება, რადგან იქ რითმები, მხატვრული სახეები, ფრაზეოლოგიზმი, ბუნებრივი პოეტური შემართება წყვეტს ძირითად შემოქმედებით პრობლემას. 15 წლის პოეტი შეიძლება გახდეს პოპულარული, როგორც ეს ნ. ბარათაშვილის და გალაკტიონის შემთხვევაში გვაქვს. ბარათაშვილმა 15 წლისამ დაწერა „შემოღამება მთანმინდაზე“, ხოლო გალაკტიონმა „რაც უფრო შორს ხარ“.

პროზაში საჭიროა არა მარტო სამწერლო ნიჭი, არამედ დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება, რაც ბატონ გიორგი სოსიაშვილს უხვად აქვს. ის შიდა ქართლის მკვიდრია, იმ გეო-პოლიტიკურ არეალში გაიზარდა და ცხოვრობს, სადაც თავისი თვალთ ნახა ქართველთა ტრაგედია: ქართველთა სისხლი, მშობლიური მიწა-წყლიდან აყრილ ქართველთა დევნა. სად უნდა ნახო შენი ერის ასეთი ტკივილი, სად უნდა დაინახო ის ეროვნული, ოჯახური და პიროვნული უბედურება, რაც მშობლიურ მხარეში იხილა მწერალმა. ის სოფელ დიცში ცხოვრობს და თავისი სახლის სარკმლიდან უყურებს მავთულხლართების მიღმა დარჩენილ საქართველოს. ეს არის მისი შემოქმედების მთავარი პრობლემა, ეს გვაძლევს სამუალებას გავიაზროთ, თუ როგორ შეძლო ნიჭიერმა ახალგაზრდა მწერალმა ავტორიტეტის მოპოვება თანამედროვე პროზაში.

გიორგი სოსიაშვილის შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია 2000-იანი წლების ქართულ მწერლობაში. მისი პროზა საინტერესოა თანამედროვე ეროვნული პრობლემატიკითა და თემატიკით, ადამიანის სულიერი ცხოვრებისა და რელიგიურ-ტრადიციული

* წაკითხულია მოხსენებად მწერალთან შეხვედრაზე სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

საკითხების ასახვით. მის შემოქმედებაში შიდა ქართლის მრავალ მტკივნეულ ფაქტებსა და მოვლენებს ეცნობა მკითხველი, რომელთა ფონზე ნათლად ჩანს მწერლის პროზაული შემოქმედების განვითარების გზა.

სამწერლო სტილი და ენა უმეტესწილად განსაზღვრავს მწერლის ორიგინალობას. გ. სოსიაშვილს თავისი ხედვა და სპეციფიკური მიდგომა აქვს. ის უშუალოდ წერს საკითხზე. ასეთი უშუალობა, თხრობის სიმშვიდე, აუღელვებელი ტონი განაპირობებს გ. სოსიაშვილის სამწერლო სპეციფიკას, ამ გზით აღწევს იგი მკითხველის ყურადღების მობილიზებას. შინაარსი იზიდავს მკითხველს, აიძულებს ჩაუკვირდეს და ფინალში გაიაზროს ნაწარმოების ძირითადი იდეა. ასეთი მეთოდები აქვთ ჩვენს დიდ კლასიკოსებს მ. ჯავახიშვილს, ო. ჩხეიძეს, გრ. რობაქიძეს, მეტ-ნაკლებად, ალექსანდრე ყაზბეგს. პროფესორ რევაზ მიშველაძის აზრით, გიორგი სოსიაშვილი მ. ჯავახიშვილის და ო. ჩხეიძისა ტრადიციების გამგრძელებლად შეიძლება ჩაითვალოს. თუ დაეუკვირდებით მისი შემოქმედების თემატიკას და იმ მხატვრულ სივრცეს, სადაც მიმდინარეობს მოქმედება ოთარ ჩხეიძის მოთხრობებსა და მ. ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“, გავიაზრებთ მათში ასახულ ცხოვრებასა და რეალურ სინამდვილეს, დავინახავთ, რომ მათ შორის გარკვეულ კავშირია. მწერლობა არ წყდება მშობლიურ ძირებს და ტრადიცია გრძელდება მომდევნო თაობაში.

გ. სოსიაშვილი თავისი წინამორბედებით ობიექტური და გულმართალი მწერალია. მისი პროზა მხატვრული, მეტაფორული, გასაგები და ნათელია. სიმართლის თქმა შემოქმედის უპირველესი პრინციპია. ეს განაპირობებს მისი შემოქმედების დამაჯერებლობას.

მისი ობიექტურობა ყველაზე მეტად გამოვლინდა მოთხრობაში „ბელადის ბედისწერა“, რომელიც ისეთ საკითხს ეხება, რომ ძალიან ძნელია, ქართველმა კაცმა და თანაც გორელმა, თავი შეიკავოს და არ ჩაერიოს ბელადზე კამათში, არ გამოთქვას თავისი აზრი. სწორედ აქ ჩანს, მწერლის ობიექტურობა და მხატვრული ოსტატობა. ავტორი თავის მიერ ასახულ სიუჟეტში არ ერევა, არ გამოხატავს თავის პირად აზრს. მან მიუყვარძოებლად, ბელადისადმი სიმპატიანტიპატიის გარეშე აღწერა რეალურად მომხდარი ამბავი, დამაჯერებლად და ობიექტურად ასახა 2008 წლის სიტუაცია, საზოგადოების განწყობილება ბელადისადმი, მისი ადგილი თანამედროვე ქართულთა ცნობიერებაში.

კრებულში „მზის გადაღმა“ მწერალმა შიდა ქართლის პრობლემა სხვაგვარად გაიაზრა. აქ ფილოსოფიურადაა დანახული მის მშობლიურ მხარეში დატრიალებული ეროვნული ტრაგედია, ფილოსოფიურია სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემისა და იმ ტრადიციების ხედ-

ვა, რომლებიც შიდა ქართლში არსებობდა. თვითონ სათაურიც „მზის გადაღმა“, მზის მიღმა სამყაროზე მიგვანიშნებს, ანუ, იმ სამყაროზე, იმ ქვეყანაზე. მკითხველი დაუკვირდება ამ წიგნს და ყოფითი ცხოვრების უკან დაინახავს ცოცხალი ტრაგედიის მძაფრ პასაჟებს, რომელიც ფილოსოფიური სიღრმეებიდან არის გაშუქებული. ასევე საინტერესოა გ. სოსიაშვილის „ნატყვიარი“. მოთხრობა, რომელიც ძალიან კარგად ავითარებს გრიგოლ რობაქიძის ტრადიციას, რომელიც „ჩაკლულ სულში“ გვხვდება. რომანში ასახულია 1920-იანი წლების ტიპიური შემთხვევა, სადაც ხატს მაუზერით ცხრილავს ერთ-ერთი რევოლუციონერი კომკავშირელი. ეს ნამდვილი ამბავია, ასეთი რამ ერთგან და ორგან არ მომხდარა იმ პერიოდში. გრ. რობაქიძემ სინამდვილე დააფიქსირა. გ. სოსიაშვილმა მოთხრობაში „ნატყვიარი“ აჩვენა, თუ რა დაემართა ისეთი კაცის ნაშიერს, რომელმაც ხატი დაცხრილა: მის შვილიშვილს პირსახეზე ის ადგილები სტკივა, რომელზეც მისმა უმსგავსო წინაპარმა ტყვიები ესროლა ხატს. ამის გამო მას და მის მემკვიდრეებს მწარედ მიეზლოთ. ხალხური გადმოცემის მიხედვით, ცოდვა უფლის წინაშე თაობიდან თაობაზე გადადის. ამას გვეუბნება ხალხური სიბრძნე:

**„ცოდვას ნუ იზამ ხუცესო,
საქმე არა ჰქნა უნესო...
თორემ შენ თუ ვერ მოგწვდება,
შენ შვილიშვილს უნევსო“.**

გიორგი სოსიაშვილმა თავის შემოქმედებაში აჩვენა ის ტკივილი და უბედურება, რომელიც 1990-იანი წლებიდან 2008 წლამდე პერიოდს მოიცავს. ეს არის არა მარტო ქართველების, არამედ ოსებისა და აფხაზების ტრაგედია. დღეს შიდა ქართლის თემაზე ძალიან ცოტა იწერება. გიორგი სოსიაშვილი ერთა-ერთი პირველი მწერალია, რომელიც შეეხო ამ საკითხს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობა „ჩვიდმეტნი“, რომელმაც მხატვრული სრულყოფილებით ასახა ცხინვალის რეგიონის უბედურება. აჩვენა ისიც, რომ ამ დროს, 2008 წელს, ქართული ჯარი ზნეობრივად საბრძოლო წყობით უფრო სრულყოფილია, ვიდრე 1993 წელს. ისინი სამშობლოს დამცველები არიან. ამის მაგალითია ის ჩვიდმეტი გმირი, რომლებიც შინდისთან დაიღუპნენ. ამ მოთხრობით მწერალმა ძეგლი დაუდგა მათ. ყოველ წელს თავადაც მიდის და ნახულობს მათ საფლავებს. მოთხრობაში ასახულია აგრეთვე ის ქართველი გლეხი კაცი, რომელიც დარჩა თავის სოფელში გამოკეტილ სახლებს შორის. ეს არის ნაწარმოების ერთ-ერთი პერსონაჟი მახარე, რომელიც უნიკალური ქართული სახეა 2000-იანი წლების ჩვენს მწერლობაში. თუ

შევადარებთ წინა თაობის მწერალთა პერსონაჟებს, დავინახავთ, რომ მახარეს სახით ბატონმა გიორგიმ შექმნა ოთარ ჭილაძის რომანის „ყოველმან ჩემმა მპოვნელმან“ პერსონაჟის ქაიხოსრო მაკაბელის საპირისპირო სახე. ქაიხოსრო მაკაბელი გაიქცა თბილისიდან მტრის შემოსევის დროს, დატოვა ოჯახი, სადაც ხოცავდნენ მის დედას, მამას, დას. ის კი გაიქცა. ამიტომ მას თან დასდევს შიში, გადარჩენილის სიკვდილის შიში. მახარე კი იქ დარჩა, თავის სოფელში, იქ ცხოვრობს იმიტომ, რომ მას უყვარს თავისი მიწა, ის შრომობს, სახლს ვერ ტოვებს, საქონელს ვერ ტოვებს. მას ნაშრომი აქვს იქ, კარგი ღვინო აქვს - ლომიაური. ესეც ტრადიციაა, რა თქმა უნდა, ღვინის ხსენება შემთხვევითი არ არის. ხატის ღვინო, რომელიც ქვევრიდან მიართვა ქართველ მეომარ ბიჭებს, ზიარების მანიშნებელია. ისინი იღუპებიან მეორე დღეს, მათ მიიღეს ზიარება ხატის ღვინით, ლომიაურით, მათ მიიღეს პური მახარესაგან მიძღვნილი და ნაზიარებნი მეორე დღეს დაიხოცნენ. მახარე ახორციელებს ო. ჭილაძის მიერ გილგამეშის ეპოსიდან გამორჩეულ ქაიხოსრო მაკაბელის ქმედების საპირისპირო დებულებას: „მე მირჩევნია გულზე მეყაროს, ვიდრე ფეხებქვეშ ურუქის ქვები“. მახარე უდიდესი გმირია, ის ყოველ დღე ელოდება სიკვდილს და მაინც იქ არის, ეს არის გმირობა და ვაჟკაცობა. გმირობა არ არის მარტო ის, რომ არ ეშინია ადამიანს, რომ ეშინია და მაინც იქ დგას, ეს არის გმირობა (ამ აზრს იზიარებს ჯეკ ლონდონის პერსონაჟი მგელი ლარსენი). მახარე, როგორც მტრის მიერ ოკუპირებულ სოფელში ჩარჩენილი ქართველი გლეხის სახე, საინტერესოდ არის წარმოჩენილი: „კოჟრიანი თითებიტ ცრემლები მოიწმინდა და მიეგება ქართველ ბიჭებს“. ავტორი ხაზს უსვამს კოჟრიან ხელებს, თითებს, რაც იმას მიგვანიშნებს, რომ ის შრომობს მიწაზე. ასეთი მეურნეობა და ასეთი განწყობა რომ სხვებსაც ჰქონოდათ, იქნება, არ აყრილიყვნენ და ის მიწები ასე ერთი ხელის აღებით არ დაგვეკარგა. ძნელი იყო მათთვის ამის გაკეთება, მაგრამ ამის თქმა აუცილებელია.

2000-იანი წლების ქართულ პროზაში ერთ-ერთი ბრწყინვალე მხატვრული სახეა მახარე, რომელიც 2008 წლიდან მტრის გარემოცვაში ცხოვრობს, მაგრამ სიცოცხლის ფასადაც არ ტოვებს თავის სახლკარსა და თავის სოფელს. ახლა ბატონ გიორგი სოსიაშვილს შეუძლია განავითაროს „ჯაყოს ხიზნებში“ ასახული პრობლემა დღევანდელ ეტაპზე.

სიყვარულის საკითხი თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში *

თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში მრავალ საკითხთან მნიშვნელოვანი ადგილი აქვს მიკუთვნებული სიყვარულის საკითხსაც. თითოეულ ლექსში, თუ ცალკეულ სტრიქონებში, ნათლად ჩანს პოეტთა ინდივიდუალობა, ხასიათი, რაც სათქმელთან მიმართებით იკვეთება და აჩვენებს იმ პრობლემებს, რომელიც შემოქმედის გონებაში არის დასადგურებული და მხატვრულ შეფერადებას ითხოვს; მათი საფიქრალი რეალობასთან მჭიდრო კავშირშია, რამაც შემოქმედის სულიერი სამყარო და, ზოგადად, წუთისოფლის სულიერ-მატერიალური ტკივილი ერთმანეთს უნდა შეარწყას, გაამთლიანოს და იზრუნოს უკეთესი გზის დასახვისათვის; პოეტთა ნაფიქრ-ნააზრებში უნდა აისახოს ის, რასაც უშუალოდ გრძნობენ, განიცდიან, ყოველივე ემოციურობით იტვირთება, რითაც ესთეტიკურობას იძენს, მხატვრულად იდუმალიც ხდება და უფრო რეალისტურიც, მეტი დამაჯერებლობა რომ შეიძინოს. საფიქრებელია, რომ პოეტები არიან განსაკუთრებული საფიქრალით მოცული და სულიერებით აღვსილი, სხვაგვარად ვერ შეძლებდნენ საკუთარი გულის წუხილის, დარდის ასე სიღრმისეულად და მეტყველად გადმოცემას, რაც თანამედროვე რეალობითაა ნასაზრდოები.

ახალგაზრდა პოეტთა შემოქმედებაში არ წყდება ის მთავარი ხაზი, რაც გასდევს ქართულ მწერლობას ოდითგანვე. სიყვარულის საკითხი ყველა ეპოქაში, მართალია, განსხვავებულად აღიქმებოდა – ზოგისთვის ღმერთი, ზოგისთვის ქალი – პიროვნება ან სამშობლო იყო სათაყვანებელი ობიექტი, ან შეიძლება სამივე ერთად, მაგრამ საფუძველი ერთია – ღვათებრივი სიყვარული, რომლის განცდის და გათავისების გარეშე სხვა სიყვარული შეუძლებელია; თანამედროვეთა მხატვრული სიტყვა გამოირჩევა უშუალობით, რეალისტური ელფერით, სავსე, ბუნებრივობით. მათში ისეა მოძალებული ეროვ-

* სტატია აგრძელებს ავტორის „არავი“ №5-ში გამოქვეყნებულ ნაშრომს.

ნული განცდა, რომ ბუნებრივად გადაიზრდება სიყვარულის განცდაში, რაც, რა თქმა უნდა, ანარეკლია იმ ცხოვრებისა, რომელიც თითოეულმა შემოქმედმა განვლო და მასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული, თითქოს ისეთი დეტალებიც კი იკვეთება, რაც მათ ნათელ, მაგრამ ტკივილიან სიცოცხლეს ასახავს.

XXI საუკუნის პოეტთა შემოქმედებაში წარმოდგენილია თითოეული პოეტი-მოაზროვნის განსაკუთრებული ხედვა, ინდივიდუალური პოეტური აზროვნება. მათ პოეტურ სამყაროში მაღალ სიმალღეზეა აყვანილი ქალის და სამშობლოს სიყვარულის თავისებური განცდა, მუხტი ერთგვარად შესამჩნევია, მაგრამ, ამავე დროს, ღმერთის სიყვარული არ არის დავინწყებული.

თანამედროვე პოეტთა მსოფლმხედველობა წარსულს არ სწყდება, პირიქით, ფესვები, საფუძველი შენარჩუნებულია, მასზე დაფუძნებით სთავაზობენ მკითხველს თანამედროვეობის პრობლემების გააზრებას, რათა უფრო შთამბეჭდავი გახადონ თავიანთი ნაფიქრნააზრები. თანამედროვე პოეტთა ლექსები არათუ კლასიკური და სატრფიალო ლირიკის ნიმუშებია, არამედ მათ მიერ დასახული სიყვარული ადამიანის ამამალლებელი გრძნობაა, სისადავით და სულიერი სინმინდით შეზავებული. მათი სიყვარულის განცდა, ბევრ შემთხვევაში, რეალობის ფარგლებს სცილდება და ირეალურ სამყაროშიც გადაინაცვლებს, ხან კი ამ ნუთისოფლის ხედვის სივრცეში რჩება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ ნუთისოფლის ფერფლით არის დაფარული, პირიქით გვესახება, მისი ფერით და შემოსილობით მეტი სულიერი ღირებულება და ჭეშმარიტი ელფერი ეძლევა. ირეალურიდან ჩნდება და ამოიზრდება რეალური, რაც სინამდვილეს ასახავს, იძლევა მეტ მხატვრულ შესაძლებლობებს, თემატიკას, ლიტერატურულ-ესთეტიკურ გემოვნებას, პოეტთა მხატვრული გარდასახვისა და ღირსებების გამოვლენას; საკუთარი განცდები ორგანულად დაკავშირებულია ეროვნულ ცნობიერებასთან, რაც ბუნებრივია და ზომიერი. თითოეული ლექსის ყოველი სტრიქონი ყოფიერების ასახვით არის გაყენილი და მხატვრული ოსტატობით ახდენენ სინამდვილის გარდაქმნასა და გარდასახვას; ლექსები გამოირჩევა ფილოსოფიური სიღრმით, ფსიქოლოგიური ნიაღვრებით, მძლავრი ემოცია რომ ახლავს, რადგან ემოციისა და განცდის გარეშე არც ერთი ლექსი, თუ ცალკეული სტრიქონი არ ამოიკითხება მათი შემოქმედებიდან, ამიტომ ნათლად იკვეთება თანამედროვე პოეტთა მხატვრულ-ინტელექტუალური მრწამსი; იგრძნო-

ბა ორიგინალური მიდგომა ყოველი საკითხისადმი, რომელიც თანამედროვე ყოფიერების ნიალიდანაა ამოზრდილი, თუმცა ფესვები ადრეულ ეპოქებშია ჩასახული, მეტიც, ადამიანის გაჩენის პერიოდიდან, კერძოდ, შესაქმის ეპოქიდან იწყება ადამიანის არსზე ფილოსოფიური ფიქრი, განსჯა... სიყვარულის პრობლემა ღმერთის არსებიდან იღებს დასაბამს, ამოზრდილია მარადიულის ნიალიდან, გადმონაცვლებული წარმავლობაში და მარადიულისა და წარმავლობის წყალობით ისევ მარადიული და უკვდავი არსებობით იმოსება; სწორედ ეს ჯაჭვი ამთლიანებს სამყაროს, სამყაროს ერთიანობას განსაზღვრავს, სამივე ჟამს კრავს და კვლავ სიცოცხლის დასაბამი ხდება. ეს განცდა, ფილოსოფიური ხედვა სიყვარულისა ჩანს ყველა ეპოქაში, შემოქმედნი დაუფარავად მსჯელობენ მასზე და უკვდავების წყაროდ სახავენ;

XXI საუკუნის პოეტთა შემოქმედებაში სიყვარულის საკითხის შემოტანა კიდევ ერთხელ იმაზე მეტყველებს, რომ ის სიცოცხლის მამოძრავებელია და მარადიულობის მიმნიჭებელი. მათ შემოქმედებაში სიყვარულის სათნოება ერთგვარად ტრაგიკულ ელფერს ატარებს, რადგან შთამომავლობამ, რომლის წარმომადგენლები თვითონ არიან, სიყვარული ვერ მიიღო წინააღმდეგობების, დაბრკოლებების გარეშე. სიყვარულის გრძნობის იქით ისინი თითქოსდა გრძნობენ ავს, ტრაგედიით სავსე სამყაროს ჭვრეტენ, სადაც ბოროტება დასადგურებულა, რაც კიდევ აძლიერებს მათი სიყვარულის გრძნობას. მათი ფსიქოლოგია ამ სულისკვეთებითაა გაჟღენთილი და ბევრ შემთხვევაში ეს განცდები შეყოვნებითა და დუმილითაა ნასაზრდოები, ლოცვის დროს რომ იყურებს მოკვდავი და შინაგანი მზერა ღმერთისკენ არის მიმართული... სიყვარული ლოცვასავით არის გამჯდარი მათ სულში, შემდეგ აღსარებასავით გამოთქვამენ საკუთარი ლექსის სტრიქონებში, სხივებს რომ ჰფენს მათ ნაფიქრ-ნააზრევს.

სიყვარულის სათნოება ადამიანის არსებობის განმსაზღვრელია, ძალ-ღონეს რომ ჰმატებს და უკვდავებას უბრუნებს ცოდვა-მონანიების შემდეგ. ამავე დროს, აღსანიშნავია ისიც, რომ ისინი ცდილობენ, არა მარტო უბრალოდ გამოთქვან და იმსჯელონ სიყვარულის საკითხზე, არამედ ამოხსნან კიდევ. თანამედროვე ეპოქის ხალგაზრდა პოეტთა შემოქმედებაში სხვადასხვა კუთხითაა წამოჭრილი, დანახული და ახსნილი სიყვარულის პრობლემა, მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ ყველანი ერთ საფუძვლამდე მიდიან – სანყისი ღმერთის სიყვარულია: „ღმერთი სიყვარული არს და რომელი

ეგოს სიყვარულსა ზედა, ღმერთი მის თანა ჰკიეს და იგი ღმრთისა თანა“ (I იოანე, 4, 16).

XXI საუკუნის ახალგაზრდა პოეტები ცდილობენ, ახლებურად გაიაზრონ ეს საკითხი და განსხვავებულ ქრილში დაგვანახონ, კერძოდ, ადამიანმა დაუზოგავად უნდა გამოიყენოს სიყვარული – ღმერთის და შემდეგ მოყვასის სიყვარული, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიცოცხლე გაფერმკრთალდება და სიცოცხლის ჟამიც შემოკლდება. სიყვარულმა უნდა განწმინდოს ცოდვები, ლოცვად შეამზადოს და გაუნათოს მოახლოებული აღსასრული, მარადიულობასთან რომ არის წილნაყარი.

აღსანიშნავია ისიც, რომ XXI საუკუნის ახალგაზრდა პოეტთა მსოფლმხედველობრივ მრწამსში სიყვარულის თემის წინ წამოწევა უთუოდ ეპოქისეულია, თითქოს უიმედო, სულიერი სიცარიელით გამორჩეული და ტკივილით აღსავსე, რაც საკმაოდ მძიმე ეპოქამ განსაზღვრა და, ამავე დროს, საზოგადოების მოთხოვნებსაც პასუხს აძლევენ. სიყვარულმა უნდა დაძლიოს და შეანელოს ეპოქისეული პრობლემები და გამოსავლის ძიებაშიც ჩართოს და უჩვენოს ხსნის გზაც. ამიტომ მათი აზროვნების სივრცეში ღმერთი, ეკლესია იკავებს ადგილს, სადაც განათავსებს ცოდვით სავსე ადამიანსაც, განუკუთვნებს შესაფერის ადგილს და აყენებს ქემშარიტებისაკენ მიმავალ გზასავალზე, რომელსაც იგი უზენაესისაკენ მიჰყავს.

ახალგაზრდა პოეტთა ნააზრევში შეიძლება ერთდროულად სიყვარულის ძალის ორი მხარე დაინახოს მკითხველმა – არარომანტიკულიც და სულის შემძვრელიც – ეს ორი მხარე შემოქმედში, პიროვნებაში გვერდიგვერდ არსებობს და მისი სიცოცხლის აუცილებლობას განსაზღვრავს. **როინ აბუსელიძის** ლექსში „ნინოს“ ვკითხულობთ:

**„კედლის კალენდარზე ზამთრის
ფორმატია,
თეთრი სუფლიორიც მალე
მოგვაკითხავს,
შენ კი იმით ჰგავხარ ახლა
რომანტიულს,
წვეთიც რომ არ არის შენში
რომანტიკა.**

... მაგრამ, გეფიცები, რაც შენ

**შემიყვარდი,
სიცხეს გულის მხარეს აღარ
ვიზომავ და...“ (გვ. 12).**

მოყვანილ სტრიქონებში სიყვარულის განცდა არარომანტიკული, უფრო სწორად, ხორციელებისაგან დაცლილია, შთამაგონებელია და სულის სიმშვიდის მომპოვებელია, წვიმის წვეთებივითაა, რომელიც უცბად გადმოიღვრება და ჩაედინება ადამიანის სხეულში გულის გასათბობად და სულიერ სიმშვიდეს ამკვიდრებს.

ზოგიერთი პოეტის ლექსში სიყვარულის გაურკვეველობაც შეიძლება ამოვიკითხოთ, სიყვარულის ობიექტი არაა განსაზღვრული, რაც დაბნეულობას იწვევს, თუმცა ფიქრი მიზანმიმართულია და კონკრეტული ობიექტის დაპყრობისაკენ არის მიქცეული. **დიანა ან-ფიმიადის** ლექსში „პანდორა“ იკითხება:

**„სიცხე გაქვს,
თითქოს საბნის ნაცვლად მინა – სამკეცად,
მე კი სიყვარულს ერთხელ ვხსნი და
მუდამ ვამტკიცებ:**

**ვამბობ, მიყვარხარ,
ვამბობ, არავინ მინდა მეტი,
ვამბობ, შენ გარდა,
ვამბობ, შენ გარდა ყველა მინდა,
ვამბობ, არ ვიცი.**

...

**ვამბობ, მიყვარხარ...
და ვხსნი სიყვარულს, ვხსნი დაგმანულ ბაგეს და ვფანტავ
სიტყვებს, ვირუსებს, კანფეტების ვერცხლისფერ ფანტებს“ (გვ. 14).**

ავტორის ფიქრში სიყვარული დუმილის პირობებში უფრო სხვა-ნაირია, სხვა ელფერის მატარებელი, უფრო სიცოცხლით სავსე, სიტყვიერმა ქსოვილმა კი იგი გააფერმკრთალა, უბრალოება შესძინა და გაურკვეველობის სივრცეში მოაქცია, ვერცხლისფრად შეღება, ნისლით დაფარა და გაიფანტა მხედველობის მიღმა...

ნისლით დაფარული და გახუნებული სიყვარული ტრაგიკულია, სიკვდილს უტოლდება და ერთი შეხედვით არარაობად იქცევა, მაგრამ მასში ისევ სიყვარული ძევს, რადგან მის გარეშე, ღმერთის მიერ განგებულ-განწესებული ფენომენის – სიკვდილის გარეშე, რისი დადასტურებაც მაცხოვრის სიკვდილი და კვლავ აღდგომაა,

სწორედ სიყვარულის შემწეობით მოხდა. როგორც ლექსის სტრიქონებში ვკითხულობთ:

**„სიზმარი ცხადს და
ცხადი სიზმარს
ისე ამძიმებს...“ (გვ. 16)**

ეს მძიმე ხვედრი ნუთისოფლის სივრცეში გაბნეული, სანთლის ფითილის მსგავსად იწვის და იმავე სანთლის წვით, მისი ნათლით, რომელიც უფალთან მიილტვის, მისივე დახმარებით და თანაშემწეობით, მისი სიყვარულით ერთიანდება და გვარდება.

**„მე შეგიყვარე
მაშინ, როცა
ალარ მიყვარდი,
ოქრო – სპილენძად,
ვერცხლი – რკინად,
რკინა – მოვკალე.
შენ – ჯერ ცოცხალი,
ლექსის ბოლო ხაზთან მიხვალ და
გაიგებ –
სანამ შენ მომკლავდი –**

მანამ მოგკალი“ (დიანა ანფიმიადი, „მითოლოგემა“, გვ. 16).

ადამიანის ცხოვრების გზა – დაბადებიდან სამარის კარამდე სიყვარულით არის შემსუბუქებული და გაძლიერებული. ეს გზა გრძელიც არის და მოკლეც, რთულიც და იოლიც, მაგრამ ყველა შემთხვევაში ამოუხსნელი და შეუცნობელი, როგორც თვითონ ღმერთი, რადგან სიყვარული ღმერთისაგან იღებს სათავეს: **„ღმერთი სიყუარული არს“** (I იოანე, 4, 16), ამიტომაცაა ამოუხსნელი ძალა, სიცოცხლის მასულდგმულებელი სათნოება, საიდანაც იღებს სათავეს ყველა დანარჩენი სათნოებანი: სასოება, რწმენა, რასაც ქადაგებს პავლე მოციქულის ეპისტოლე: **„ხოლო ან ესერა ჰგიეს სარწმუნოებაჲ, სასოებაჲ და სიყუარული, სამი ესე; ხოლო უფროჲს ამათსა სიყუარული არს“** (I კორინთ. 13, 13); ... სიყვარული ცხოვრების ყველა გზას კრავს და ამთლიანებს.

სიყვარულის ფილოსოფია სიკვდილთან ჭიდილს ნიშნავს, მასთან დაპირისპირებით თუ კავშირით უფროა შესაძლებელი მისი გაგება. სიკვდილი ადამიანის სხეულზე ყველაფერს შლის, თუმცა ნაკვალევი მაინც რჩება – იგი ხომ ღმერთის სიყვარულით არის დასადგურებული და იძლევა მის ახსნას იმ კუთხით, რომ არსებობა მთლიანად

– სულიერ-ხორციელი ასპექტით – სწორედ ღვთიურია, უზენაესია; „იგია საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“, – როგორც ამბობს გენია შოთა რუსთველი; საზეოა არა მარტო სიყვარული, არამედ მოკვდავის ცხოვრება, რადგან ხორციელი კვდომის შემდეგ სხვაგვარად იცვლება, სულიერ არსებობაში გადადის და, სწორედ ამაში მდგომარეობს სიყვარულის არსი: ღმერთი თავის შექმნილს თავადვე იბრუნებს სიყვარულის შემწეობით.

დიანა ანფიმიადის ლექსში „სიყვარულის ახსნა“, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ორი უდიდესი ფენომენის გვერდიგვერდ არსებობა გვაქვს – სიყვარულის და სიკვდილის, საიდანაც ჩანს, რომ სიკვდილი ადამიანში აძლიერებს ემოციებს და სიყვარულის შეგრძნება, მეტად გათავისება, ნვდომა, ამოუხსნელისაკენ სწრაფვა უფრო იკვეთება, ადამიანი ცდილობს, უკეთ ჩაულრმავდეს და შეიმეცნოს მისი ძალა და უზენაესობა. მოვიყვანთ რამდენიმე სტრიქონს დასახელებული ლექსიდან:

„თვალი დახუჭა ქალმა და მოკვდა.

...

სული კვამლივით ამოუშვა მღუმარე სახლმა,

ცეცხლი კი ჩაქრა,

ცეცხლი ჩაქრა,

ჰო, ჩაქრა ცეცხლი.

კაცი მოვიდა ცოტა გვიან

(როგორც ყოველთვის),

ხელი მიითბო ჩამქრალ ცეცხლზე,

მის საწოლთან სკამი მიიდგა,

დაიხარა მკვდრისკენ და

უთხრა.

უთხრა:

– ამხსენი სიყვარული,

მიდი, ამხსენი სიყვარული,

მიდი, ამხსენი სიყვარული...

და ამ მხრებზე ზეცას შევიდგამ...

თვალი დახუჭა ქალმა და მოკვდა“ (გვ. 18).

ეს ქვეყანა, მინიერება ფერმკრთალ და გახუნებულ სიყვარულს, შეიძლება უსიყვარულობას, სიყვარულის მოკლებას ანიჭებს ადამიანს:

**„და ჩემს ქუჩაზე, სადაც ქალაქი
უსიყვარულო ბინდებს გვპირდება,
დგას მონუმენტი მწერლის მაღალი,
დგას არა ბინდი, დგას შებინდება“** (დათა გულუა, „ვინ მომპარა
მზე“, გვ. 46),

მაგრამ იმავე ლექსში სიყვარულის დაბრუნების, კვლავ განახლებ-
ის გზაცაა მოძებნილი: სიყვარულს გადაარჩენს კიდობანი, მთელი
კაცობრიობის მხსნელი წარღვნის ჟამს:

**„თუმცა ჩემს გულში ნევს კიდობანი,
მე ამ გოდოლმა დამიხსნა სული,
მას სიყვარულის აქვს ჭრილობანი,
მას ხორცის წარღვნის ატყვია წყლული“** (გვ. 47).

კაცობრიობის დაცემის შემდეგ ხდება ღმერთისგან მოვლენილი
წარღვნა. სიმართლისათვის, სისრულისათვის და სწორ გზაზე სია-
რულისათვის ღმერთმა წარმხოცელი წარღვნის წყლებში ცოცხლად
გამოატარა ნოე და შექმნა იგი განახლებული კაცობრიობის მამამ-
თავრად (კიკნაძე ზ., საუბრები ბიბლიაზე, 1989: 23).

„უფლის რჩევით ნოეს მიერ აშენებული კიდობანი უნდა ყოფი-
ლიყო ხსნის ჭურჭელი; ამავე დროს, კიდობანი იყო ყველაფრის შე-
საკრებელი, რაც ღმერთმა გააჩინა ცისქვეშეთში. მასში უნდა შენახ-
ულიყო ადამიანი და ყველაფერი, რაც ადამიანისთვის იყო გაჩენი-
ლი... წარღვნის დამთავრების შემდეგ ხელახლა უნდა შობილიყო
დაბადებული, ძველი ქმნილება. წარღვნის წყლები... ინარჩუნებენ
განმწმედელ ძალას...“ (კიკნაძე, 1989: 23-24).

მაცხოვარმა კაცთა სიყვარულის გამო უსამართლოდ მიიღო ჭრი-
ლობები და ჯვარს აცვეს იგი. ადამიანებმა ვერ გაიგეს იესოს მისია,
თავისი ცოდვილი სხეულით კიდევ უფრო შესცოდეს, მაგრამ ძე
ღმერთმა მაინც შეიყვარა ადამიანი და თავისი ჯვარცმით შეაცნო-
ბინა მას არსებობის მთავარი წყარო. **„რომელმან სიყვარული მოი-
გოს, უშფოთველად თავს-იდებს მტერთა მიერ მოწვეულსა მწუხარე-
ბასა და ტკივილსა“** (მუხლი მე-4) (მამა აბბა თალასე, საქართველოს
ეკლესიის კალენდარი, 1989: 416). **„სულისა და ჳორცთა მაცხოვარი
ქრისტე არს, რომლისა კუალსა უკუეთუ ვინ შეუდგეს, იწსნების ბო-
როტისაგან“** (ნმიდა მამა აბბა თალასე, 1989: 419).

ამქვეყნიური სიყვარულის განცდა მძიმეა, ტკივილიანი, შორი...
წუთისოფლის სიყვარულით ხდება მოძიება და მკვიდრობა სხვა გზი-
სა, რომელიც ამქვეყნიურს გადალახავს და სხვა სახლს, სიყვარუ-

ლის სხვა სახლს მოაძიებინებს ადამიანს, რომელიც უკეთ გაითბობს გაყინულ სხეულს, სიყვარულდაკლებულს:

„... ჩემს საყვლოში ნუ გაითბობ გაყინულ ხელებს – ახლა სხვა გზა გაქვს, სხვა სახლი და სხვა მისამართი“ (სალომე ბენიძე, „გამოსამშვიდობებელი ბარათი“, 34).

იმავე ლექსში ვკითხულობთ:

**„ხეებს ტოტები დაელლებათ, ამბობენ ასე,
და კიდევ უფრო გაჭირდება გზების გაგნება,
იარე ფრთხილად, მაშინ, როცა ადიხარ მთაზე,
ადამიანებს, გაყინულებს, ქცეულთ საგნებად
არ ედარდები, შენ კი მალლა მიინევ ისევ...“ (გვ. 35).**

ადამიანთა გულგრილობის არეალშიც კი იძებნება გზა, გზა გამოსავლისა, რომელიც მალლა მთისკენ, ღმერთისკენ, მისი სიყვარულისკენ მიემართება, საითკენაც სვლისას სიფრთხილგა საჭირო, მაგრამ, რაც მთავარია, ადამიანმა სწრაფვა მაინც უნდა გამოხატოს.

ბიბლიური მსოფლმხედველობით, მთა ღმერთის ადგილია, სადაც საღვთო სიყვარული არის დასადგურებული და მხოლოდ იქ შეიძლება დაიბრუნოს ადამიანმა ამქვეყნად დაკარგული სიყვარული. აქ დაკლებული სიყვარული საუფლოში ღმერთის სიყვარულით აღივსება და დამორებულ არსებათ კვლავ ერთმანეთს აპოვნინებს. წმიდა მამა აბბა თალასე (VII საუკ.) თავის ნაშრომში „სიყვარულის, მარხვის და სულიერი მოქალაქობის შესახებ“ გვმოდღვრავს: **„მხოლოდ სიყვარული ხოლო შეგუაერთებს დამბადებელსა ღმერთსა და ურთიერთარს ერთობითა“.**

სალომე ბენიძე ლექსის დასასრულს წერს:

**„დაყრუვდა სივრცე და ამქვეყნად ვუყვარდით ვისაც,
არ არის სხვა გზა, დაგვივიწყონ უნდა იმათვე,
ამბავი ჩვენი ქვეყნად მხოლოდ ჩვენ ორმა ვიცით,
ჩვენ ორმა ვიცით ჩვენი ყოფნის მთელი სიმართლე“ (გვ. 35).**

პოეტს წუთისოფლის სივრცე დახშულად მიაჩნია. სივრცე, სადაც ნაკლებად ესმით სიყვარულისა, ამიტომ სჯობს მათ განერიდოს, სიმართლე იმაშია, რომ მხოლოდ ღმერთის სიყვარული არის ახალი გზა, უფრო სწორედ, განახლებული, აღდგენილი, დავინწყებულის დაბრუნება – კვლავ მიბრუნება ღვთაებრივი სიყვარულისკენ.

**„იარე ფრთხილად, მაშინ, როცა ადიხარ მთაზე,
ადამიანებს, გაყინულებს, ქცეულ საგნებად**

არ ედარდები...“ (გვ. 34).

საღვთო გზაზე, მაღალ მთაზე ასვლით, რომელიც ღმერთის სიყვარულთან მიახლოებას მოასწავებს, მხოლოდ ასე შეიძლება მოიძიოს ახალი გზა მოკვდავმა, რადგან წარმავალ წუთისოფელში ყოველივე მარტივი, განქარვებადი და წარმატებადი, როგორც თვითონ ადამიანი:

„რაც შენ ნახვედი, მე ვარ ორი, ასე მგონია

და თან, ჯამი ვარ ამქვეყნიურ სიმარტივეთა...“ (სალომე ბენიძე, ლექსი „ომის ბალადა, ანუ ჩემი ჯარისკაცი ქმარი“) (გვ. 28).

წუთისოფელში დამკვიდრებული სიყვარული სიჩუმესთან, უიმედობასთან, სიცოცხლის ხანმოკლეობასთან, სიკვდილთან იგივედება, რადგან ეს გრძნობა შეიძლება უცბადვე წარიშალოს:

„და გელოდები, სასაკლავოს სუნით გაჟღენთილს,

შენი სიცოცხლის და სიკვდილის ჩუმი მხლებელი“ (დასახ. ლექსი, გვ. 28).

თუმცა, სიყვარული უკვალოდ არ ქრება, იგი კვლავ სიცოცხლის მოლოდინში გადაიზრდება, რასაც სიკვდილი შობს; ეს მოლოდინი უძიროა, უკიდევანო:

„მე ყოველ დილით შენს მოლოდინში ვახლდები

და ყოველ ღამით მარტოობაში ვბერდები“ (გვ. 29).

საყვარელ ადამიანთან ყოფნა საიქიოშიც სანატრელია სიყვარულის დასტურად:

„დაე, უკუნმა მიიბაროს ჩემი სხეული,

ქმრად მექცეს მინა, თუკი გვერდით არ მეყოლები“ („ომის ბალადა...“, გვ. 31).

საყვარელ ადამიანთან ყოფნის სურვილი ასახულია **ალექსანდრე ლორთქიფანიძის** ლექსში „არავინ“, სადაც გამოხატულია მხოლოდ და მხოლოდ ორი ადამიანის ყოფნა და არსებობა, მაგრამ ამ ცოდვით სავსე მინაზე სიყვარულიც კი ნისლისფერია, ნისლადაა ქცეული, მძიმეა და გაურკვეველ-ამოუცნობი, როგორც თვითონ ღმერთი.

„... აწებებ თითებით ჰორიზონტს მინასთან, იცი და ეჭვდები,

და არ გავს ეს სივრცე, სულ არ გავს იესოს,

ჯვარცმამდე ნანამებს,

და უფრო ნისლია, და უფრო აშკარად თმებზე გებეჭდება

ჰაერი. ჰაერი. და წვიმა. ბურუსი. ბურუსი. ჰაერი.

და მიჭირს გატარო ასეთი მძიმე და მძიმე და ნამდვილი,

და ხშირად მჭირდება მეტი დრო, მეტი დრო და თითქმის

სხვა ერა...“ (გვ. 88).

საყვარელ ადამიანთან განშორებით თუ დაშორებით სიყვარულის სათნოება არ ნელდება, რაც ტკივილს იწვევს: „...მუდამ ავად ვარ...“, – წერს **სალომე ბენიძე**, მაგრამ იმავე სიყვარულის შემწეობით ამ ტკივილებს ძლევს:

**„რაც შენ წახვედი, მე ვიძინებ სწორედ იმ მხარეს
შენ რომ გეძინა ჩვენს საწოლში და იმ მანძილებს,
ჩვენ რომ გვაშორებს, დიდი ხნის წინ როგორც მოთხარი,
ვამოკლებ ფიქრით და ტკივილებს ჩვენსას ვაძინებ“** („ომის ბალადა...“) (გვ. 27).

სიყვარულის გარეშე, ტრფობის ობიექტის გარეშე:

**„მარტოობა ოთახში, მარტოობა რთულია.
რალაც ნისლის მაგვარი შემოიჭრა ფანჯრიდან,
რომ არ გამომელნია შენი სიყვარულიდან,
ეგ თვალები დამჭირდა, ეგ ღიმილი დამჭირდა.**

უთქმელი განშორება ჩემთვის არაფერია:

შენ ხომ ზღვაში დაკარგულ მარგალიტის ფასი ხარ.

მინას ორსულობისგან მთები გამობერვია,

იცი, რა ლამაზი ხარ, იცი, რა ლამაზი ხარ?“ (გიორგი ზანგური, „უძრავი ქალაქი“, 57-58).

მოტანილი ლექსის სტრიქონებში ირეკლება წმინდა რომანტიკული გაგება სიყვარულისა, ტრფობის ობიექტთან განშორება სულიერ მარტოობას იწვევს, რასაც ანელებს მთელი სახე-სიმბოლოების დახმარებით გამოხატული სუნთქვა. ამ შემთხვევაშიც გამოყენებულია თვალები, ზღვა, მარგალიტი... პარალელებს აქ აღარ მოვიყვანთ, აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ ძველი და წინარე ეპოქების სული სიყვარულის გაგების კუთხით არა თუ დავინწყებული, არამედ სხვაგვარად ნირშეცვლილი სახით გვევლინება თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში.

ტრფობის ობიექტის იდუმალად ტარება, ან მასთან განშორება, ბოლომდე არაა გამოსავალი, ის უფრო მარტოობას იწვევს, გამძაფრებამდე მისულს:

„შენ ამბობ: „იქ სადღაც, ზეცაში, ღმერთები თეთრ ღრუბლებს კერავენ;“

მე გულში გიხუტებ და ისევ იღიმი და ისევ მარტო ვარ“ (ალ. ლორთქიფანიძე, „არავინ“, გვ. 88).

ტრფობის ობიექტად ქალის დასახვა კიდევ უფრო ძლიერია გიო არაბულის ლექსში „არ გეგონოს, რომ მიყვარდე, ქალავ“, რომელ-

შიც ჩანს სიყვარულის ტკივილიანი განცდა, გულში ჩამარხული, სულის სიღრმეშიც რომ ვერ ეტევა, ტკივილმა შთანთქა და დაიტია სიყვარული – ეს კი ძლიერ სიყვარულზე მეტყველებს, მწარე მარწუხებად გარდაქმნილა, როგორც სანამებელი იარაღი და მხოლოდ სტრიქონებად ქცეულა:

**„არ გეგონოს, რომ მიყვარდე, ქალავ,
მე მხოლოდ ყვითელ დალალებს ვეტრფი,
ეს გული რამდენ ტკივილებს მალავს,
რამდენი ვთქვი და რამდენი ვერ ვთქვი.**

**სიყვარულისა რა გითხრა, ქალავ,
თუ ველარ ვუძლებ მწარე მარწუხებს,
შენდამი ტრფობას ჩემს გულში ვკრძალავ,
ვკრძალავ და უფრო ძლიერ მანუხებს“ (გვ. 23).**

შორეულ, გაუმხელელ ტრფობაზე საუბარი ნინო ნადირაძის ლექსში „ჩამოიყვანე ეგ ცხენები“, სადაც მეტი სიმძაფრე, მონატრება, სურვილი, სიყვარულის წყურვილი ჩანს ორთა სულის შეერთებისა, რომელიც მხოლოდლა მონატრებად და აუხდენელ ოცნებად ქცეულა, რაც ისევ მარტოობის პრობლემას აღძრავს:

**„... მთას გვირგვინით დაუდგია დარდი და ნისლი,
მე მეფის თეთრი ასულივით გიმზერ შორიდან,
ულმერთოვ, ერთხელ შემხედავდე, მზერას რომ ისვრი
მწვანე ველებზე. ჩვენს შუაა მთელი შორეთი...“ (გვ. 96).**

აქაც რომანტიკული აუხდენელი სიყვარულია, რასაც ახლავს დარდი, ღვთიური მადლის სიმცირე, შორეთი, უსაზღვროება, მიუწვდომლობისგან გამონვეული დუმილი, რომელიც ბევრს იტევს, მეტყველია, მაგრამ გამოუთქმელი, თუმცა სიცოცხლის დაბრუნება უნერია, სისპეტაკით და სინმინდით აღვსებული, რომელიც ღმერთის მიერ მონიჭებული სიყვარულითაა გაძლიერებული.

და მაინც, ზოგი თანამედროვე პოეტის შემოქმედებაში ამქვეყნიური სიყვარული შენელებულია, ცოტა ღვთაებრიობას არის დამორებული, ამიტომ ჩანს, რომ წყვილთა პაემანი მოწყენილია, სევდიანი, სიხარულს და იმედს მოკლებული:

**„არგრძნობის ქალაქში
სიყვარულს არ ცნობენ,
არ ცნობენ იმ ნაცნობ ხეივანს,
სადაც გაზაფხულზე კოცნები ანცობენ**

და ნუში კვირტობას ზეიმობს“ (გიორგი ზანგური, „ჩემს დედამიწელებს“, გვ. 59).

ნამდვილ სიყვარულს დრო ვერ შლის, რადგან მარადიულია, უკიდევანო... დროის დინება მხოლოდ უგრძობ სიყვარულს ახლავს, წარმავალია და ცრემლით, დარდით სავსე, თუმცა ესეც შეუცნობელია და, რადგან დარდი სდევს თან, ე. ი. ისიც არ იკარგება უკვალოდ. ცრემლი – განშორებისა, ცრემლი – სინანულისა, მის გაცნობიერებას უწყობს ხელს და იწვევს ადამიანის კათარზისს უკეთეს გზაზე დასაყენებლად. იმავე ავტორის ლექსში - „ჩვეულებრივი დღე“ სიყვარული ასეთია:

„... უნდა მიყვარდეს მე შენი ჩვეულებრივი კოცნები

ტურზე რომ დამადნება და არაფრის გემოს მიტოვებს“ (გვ. 60).

მოტანილი სტრიქონების მიხედვით, სიყვარული ერთგვარად სახესიმბოლოდაა ქცეული, გაგებულია არა სიღრმისეულობით, არამედ უბრალოებით შემოსილი, დროებითი გატაცება სიცოცხლის გასაიოლებლად და გასაძლებლად, „ჩვეულებრივად“, – ავტორის სიტყვებით. თუმცა ახსნას თვითონვე იძლევა ლექსის ბოლო სტროფში:

„ჩვეულებრივად რას ნიშნავს? ჩვეულებრივად – ეს როგორ?

უჩვეულობის გარეშე? მაშინ სიცოცხლე რად მინდა?!

თუ შემეყვარდა ისე რა, ჩვეულებრივად ეს გოგო

და არ ვაჩუქე მაისი აყვავებული ატმიდან...“ (გვ. 60).

ჩუმი, გაუბედავი სიყვარულია გადმოცემული ქეთი თუთბერიძის ლექსში „როცა მიდიან“:

„თითქმის ჩურჩულით გეუბნები „მინდა გიყვარდე...“

ჩურჩულით...

თითქმის...

გველშაპივით ცეცხლს აფრქვევენ შენი ბეჭები,

შენ აღარ გესმის ჩემი ენა“ (გვ. 64).

ამ სტრიქონებში საუბარია გარდასულ სიყვარულზე, რომელიც ბედის უკუღმართობამ უფსკრულად, გამყოფ გზად აქცია „აქ“ დამრჩენსა და „იქ“ წასულს შორის, მათ ერთი ენა აღარ ასაზრდოებს, მაგრამ ეს სიყვარული მაინც იარსებებს ღვთაებრივი სიყვარულის ძალით და მადლმოსილებით, რადგან ის არის ყოველგვარი დაბრკოლების გადამლახავი და შეენევა ადამიანს მის დაძლევაში: **„ყოვლისა წინა ურთიერთას სიყუარული განმარტებული გაქუნდინ, რამეთუ სიყუარულმან დაფარის სიმრავლე ცოდვათა“ (I პეტრე, 4, 8).**

ნუთისოფლის ცოდვით სავსე წყვდიადი შთანთქავს ყოველგვარ სათნოებას, მათ შორის, სიყვარულსაც და პოეტს ამქვეყნად არსებობა, გაურკვეველ უდაბნოდ ქცეულ ნუთისოფელში ყოფნა და მისი გამართლება მხოლოდ მეორე ადამიანის, ანდა მეტი, უფლის არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი. ადამიანი ხომ მუდამ ეძებს მეორეს, „სხვას“, უფალი კი მუდამ ადამიანის გვერდით იმყოფება და ამაშია სიცოცხლის არსი, რომელსაც სიყვარული იძლევა:

**„სათნოება ჩაუყლაპავს მორევს,
გაუხლიჩავს წყვდიადს სულის სინაზე.
შენც აქ ხარ და მეცოდები, თორემ
მე რა მინდა ამ უდაბურ მინაზე?!**

... სითბოს ვითხოვ, ღმერთო, სულით ობოლს

სხვა რა მინდა ამ უდაბურ მინაზე?!“ (ანა ლოლუა, „მე რა მინდა ამ უდაბურ მინაზე“, გვ. 84).

მოყვანილი ლექსის სტრიქონებში იკვეთება სხვის გვერდით ყოფნის, მისადმი ზრუნვის, სიყვარულის განაწილების შეგრძნება, რათა დაიძლიოს სულიერი მარტოობა უდაბური, გაურკვეველი მინის ამოსავსებად. ეს კი ღმერთისადმი ვედრებით გამოითქმის, ლოცვასავით არის წარმოთქმული ღვთაების მიმართ, რათა მეტად იქნას უზუნაესამდე მიტანილი მინიერი ადამიანის სათხოვარი, ნუთისოფლის სიყვარულის სიცარიელემ რომ წარმოშვა და მხოლოდ მისი შემწეობით შეიძლება მოკვდავში, წარმავალ ადამიანში სათნოების აღდგენა და განახლება; სტრიქონები მკითხველს შეახსენებს, რომ მინიერ გარემოში არსებობა ღვთაებრივი სიყვარულის გარეშე შეუძლებელია;

ღვთაებრივი სიყვარული და მასთან მიახლოებული ამქვეყნიური სიყვარული უკვდავების ტოლფასია:

**„ჩემს წითურ თმაში თავი ჩარგე,
ვნების მახეში,
მერე რა, თუკი
უკვდავება მართლაც მითია,
დროს თუ აქვს სახე,
ხელთათმანი ვტყორცნოთ სახეში
და ერთმანეთით დავტკბეთ,
სანამ ცეცხლი გვინთია“** (ნინო ნეკერიშვილი, „ევოლუცია“) (გვ. 107).

უკვდავებას სწორედ სათნობანი აძლევენ დასაბამს: „**უკუდავე-
ბასა შობს სათნობად და გულისწყმისყოფად, რომელთაგან დაკლებად –
დედა იქმნების სიკუდილისა**“ (ნმიდა მამა აბბა თალასე, 1989: 419).

უფლისადმი ვედრება, სიყვარულის გამართლებისათვის, იმ ბე-
დისწერის მინიჭებისათვის, რომ იქნებ დაიბრუნოს სატრფოსთან
შეხვედრა, ამისათვის შენდობის თხოვნა უზენაესისადმი გამოხატუ-
ლია **ნინო სადღობელაშვილის** მიერ ლექსში „ხვალ“:

**„ამ ხეთა ჩრდილები დაინდე, უფალო,
გაშალე მინდვრების ეტრათი...
დავბრუნდეთ პირველი პაემნის ადგილას,
უფალო, მომყევი ეტლამდე“** (გვ. 122).

დაკარგული და, ამავე დროს, დაუვინყარი სიყვარული, მეხსიე-
რებაში რომ აღბეჭდილა და დავინყებას არ მიეცემა, გამოხატულია
ნინო ქევხიშვილის ლექსში „ტრიპტიხი: ანარეკლები“:

**„როგორ ტყუილად გვაიძულებდნენ ჯერ კიდევ ცოცხლებს
ზამთრის უძიროდ ცივ ჰაერში საფლავის გათხრას –
ფესვების გადგმას მაინც არსად დავაპირებდით:
ადგილებს, როგორც სიყვარულებს, ეჩვევი. კარგავ“** (გვ. 139).

სასურველი სიყვარულის წადილი, რომელიც მხოლოდ ოცნებად
ქცეულა, იკითხება **გიორგი შალამბერიძის** ლექსში „სახლი მინდოდა
მქონოდა, უბრალო, ხის და ისლის“. სანამ ლექსის სტრიქონებს და-
ვიმონწმებთ, მანამ შევნიშნავთ, რომ დასახელებულ ლექსში სიყვა-
რულთან ერთად გულისტკივილით გადმოცემულია სიცოცხლის არ-
სებობის საზრისი, მისი უცილობელი მხარეები, რომელთა დაუფლე-
ბა და მოპოვება ყველა ადამიანისთვის სირთულეებთან არის დაკავ-
შირებული. პერსონაჟი–ავტორისთვის ყოველივე ოცნებად ქცეულა:
უბრალო სახლი, სასთუმლად – ნუშის ბაღნარი, საბნად – თიბათვის
ნისლი, ბალი, სამსხვერპლო კრავები... სურვილი აქვს, ააშენოს სა-
ლოცავები, კირში გადადუღებული, ვაზს გააშენებდა საღვთოდ, აა-
გებდა სამრეკლოებს, საიდანაც ზარის ხმა იქნებოდა მუდამ ადამია-
ნის ფიზიკობისათვის, ააშენებდა წისქვილს, სადაც პურს მოიწვედა,
უმთავრეს მადლსა და საზრდოს:

**„... მერე ვნახავდი საცოლეს – ცისფერთვალებას, ლამაზს,
შემოვაკრავდი საჩუქრად ოქროდავერცხლილ ქამარს
და ჩემი მატყლის საბანზე ავინყვიტავდი ალერსს,
შვილებს სახელად მივცემდი ლაზარეს, თომას, პავლეს“** (გვ. 141).
შვილებს:

**„მოვწყვეტი დედის ძუძუდან, რძემდე ვასმევი ღვინოს
და სასაფლაოს საყდარში შუბლზე ვაცხებდი მირონს“ (გვ. 141)**
და საოცარი ფრაზები:

„... კვდომის ვაცნობდი ლაზათს“, სადაც ჩანს, რომ ავტორს სურს შვილებს, უპირველესად, გამირული სული ჩაუნერგოს და, რაც მთავარია, ასწავლოს და გააცნობიერებინოს სიცოცხლის ფილოსოფია და არსი.

დასახელებულ ლექსში სიყვარულის რამდენიმე ასპექტი იკვეთება: ღმერთის სიყვარული, სალოცავებით, ვაზით, მირონით, მზის სხივით და კვდომის ანუ სიცოცხლის არსით გამოხატული, სატრფო ქალი, რომლის გვერდით სიყვარულის ნაყოფს – შვილებს გააჩენდა და სამშობლოს, მომავლის სიყვარული – აღზრდიდა შვილებს, რომელთაც ეყვარებოდათ ერი და სამშობლო.

კატო ჯავახიშვილის სიყვარული დუმილის დამრღვევია, სიჩუმის ამამეტყველებელია, სიცოცხლის წყაროა:

**„დაგვჩა რამ?! მანც დარჩენისთვის მედღეხვალე
ეს სიყვარული დუმილს გვირღვევს, რომ არ დავმუნჯდეთ.
დაგვჩა კი ძალა, რომ უბრალოდ ხელი მომხვიო,
გადასასვლელზე გადავიდეთ სწორი ნაბიჯით
მომავლისაკენ, გამიზნულად, იქნებ უმიზნოდ
მეტად ქარიან ან პირიქით მშვიდ, წყნარ ამინდში
გამოიტირო ყველა წუთი, იქნებ უსიზმრო
მქონდა ძილი და არ მინდოდა შორს რომ გამეშვი.**

...

**ალილუია!.. სიბნელეა. ის ლოცვა გახსოვს?!
ზურგებით დგომა შემოდგომის თავსხმა წვიმაში
და დუბლი ერთი, მერამდენედ შორით და ახლოს.
– ამ წელს სიყვარულს ვერ დაგიბრუნებ,
ნაკიანია“ („დუბლი“, გვ. 151-152).**

თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში არეკლილია სიყვარულის გამოვლენის ყოველგვარი სახე, რაც ეპოქის სულისკვეთების ამსახველია, ამ ჩარჩოთი არის განპირობებული, მაგრამ ისიც უთუოდ აღსანიშნავია, რომ ყოველგვარი სიყვარულის დასაბამი და საფუძველი ღმერთის სიყვარულია, უსაზღვროებისკენ და მარადიულისაკენ რომ უბიძგებს ადამიანის სიცოცხლეს...

**XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის
დამდაბის ქართული ლიტერატურის ძირითადი
ტენდენციები ***

XX საუკუნის ქართველ მწერალთა რიცხვს ისეთი სახელები შეემატა, – განსაკუთრებით 20-30-იანი წლებში, – რომელთა მემკვიდრეობა იმდროინდელ პრესასა და ცალკეულ ბეჭდურ გამოცემებში ჩარჩა, ხოლო ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვის ოსტატთა სახელები ლიტერატურას შემორჩა. „რამდენი ხნით რჩება ადამიანი სხვათა მესხიერებაში? ოჯახის წევრები, ვთქვათ, რამდენიმე თაობის მესხიერებაში რჩებიან; ასე თუ ისე მნიშვნელოვან საქმეთა აღმსრულებელნი – უფრო დიდხანს, იმის თანახმად, თუ საზოგადოებრივ-ისტორიული თვალსაზრისით რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მათ მიერ აღსრულებული საქმენი“, – წერდა ჭაბუა ამირეჯიბი. XX საუკუნის ქართულ მწერლობაში თავიანთი მხატვრული სიტყვით უკვდავი ადგილი დაიმკვიდრეს სიმონ ჩიქოვანმა („სიმღერა დავით გურამიშვილზე“, „ვინა სთქვა“, „ცხრა ძმა ხერხეულიძეს“), ირაკლი აბაშიძემ (განსაკუთრებით ლექსების ციკლით „რუსთაველის ნაკვალევზე“ და „პალესტინა, პალესტინა“), ლადო ასათიანმა („კონანისის ყაყაჩოები“, „სალალობო“, „ბარდნალა“, „არ ვიცი, ასე რამ შემაყვარა“, „საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი“), ალექსანდრე საჯაიამ („ცისარტყელა“, „ძველი ჩონგური“, „თოვლი თოვს“), მირზა გელოვანმა („მე დავბრუნდები“, „ცხრაკარა“, „მე თქვენ გიგონებთ კრძალვით და რიდით“, „მე არ ვარ გმირი“, „იყოს ეს ლექსი უკანასკნელი“), მიხა ხელაშვილმა („ქაქუცა ჩოლოყაშვილს“, „ლექსო, ამოგთქომ, ოხერო“, „ლაშარის ჯვარი“, მინისგანა ვარ შობილი“), რომლებიც ნაადრევად გაეცალნენ წუთისოფელს და უკვდავი ლირიკული სტრიქონები დაგვიტოვეს; დემნა შენგელაიამ („ბათა ქექია“, „სანავარდო“, „განძი“),

* სტატია აგრძელებს „არავის“ წინა ნომრებში (№3,4,6) გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს

პოლიკარზე კაკაბაძემ, რომლის კომედია „ყვარყვარე თუთაბერი“ უკვდავ დრამატულ ნაწარმოებთა რიგს განეკუთვნება. მიუხედავად აქ ჩამოთვლილ მწერალთა მემკვიდრეობის მაღალი ლიტერატურული ღირებულებისა და მნიშვნელობისა, მათი განხილვის საშუალება ამჟამად არ გვაქვს. მინდა ყურადღება შევამჩნეო მხოლოდ ერთზე, რომელიც ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლის „პალესტინა, პალესტინა“ მშვენებაა - „ხმა კატამონთან“. ეს ლექსი ქართველი კაცის სულიერი აღსარებაა, ქართული ენის საგალობელია, რომელიც ენის ღირსებას წარმოაჩენს და მის მარადიულობას უმღერის.

**„ო, ენავ ჩემო, დედაო ენავ, შენ ჩვენი ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამო,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ ერთი შემრჩი სამარის პირთან...“
შენ ერთს, შენ ვერ გთმობ
სამარის პირთან...“**

„ხმა კატამონთან“ იოანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲს“ სულიერი გადაძახილია, ქართული ენის სადიდებელი ჰიმნია.

XX საუკუნის 60-იან წლებში, ცოტა ადრეც, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთაც პირობითად ხან XX საუკუნის სამოციანელებს უწოდებენ, ხანაც „ცისკრელებს“: ანა კალანდაძე, ნოდარ დუმბაძე, თამაზ და ოთარ ჭილაძეები, ჭაბუა ამირეჯიბი, მურმან ლებანიძე, რეზო ინანიშვილი, რეზო ჭეიშვილი, ოტია იოსელიანი, შოთა ნიშნიანიძე, გურამ რჩეულიშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, გურამ გეგეშიძე, გურამ დოჩანაშვილი, ვახტანგ ჯავახაძე, ემზარ კვიციანიშვილი, გივი გეგეჭკორი. დასახელებულთაგან მხოლოდ ზოგიერთზე შევამჩნევთ ყურადღებას, რადგან სტატიის მოცულობა და შინაარსი მაინც შემოსაზღვრულია.

ქართულ პოეზიაში ანა კალანდაძემ (1924-2008) განსაკუთრებული სულიერი სამყარო, სუნთქვა და მხატვრული სიტყვა მოიტანა. ანა კალანდაძის პოეზიამ გამოჩენისთანავე უდიდესი ყურადღება დაიმსახურა ლექსის იშვიათი სინატიფით, დახვეწილობით, ლაპიდარული სტილითა და პოეტური აზროვნების მაღალი კულტურით. განსაკუთრებულ ხიბლსა და სილამაზეს ანას ლექსებს ანიჭებს ძველი ქართული ლიტერატურული ტენდენციებისა და ბიბლიური სახისმეტყველების მოხდენილად მოხმობა. მისი პოეზიის ყოველი

ნიმუში სისადავით, სიტყვისა და განცდის ჰარმონიულობით გამოირჩევა: „თუთა“, „ბეთანიის გზაზე“, „ჟუჟუნა წვიმა მოვიდა“, „კარში გამო ჭიაჭია მარია“, „ისევ გახსენი გული ჩემი“. საქართველო და მისი ისტორია ისეთი ლირიზმით აღსავსე სტრიქონებით არავის წარმოუსახავს, როგორც ეს ანამ წარმოგვიდგინა; მის ლექსებში გარდასულ დროთა სურნელი და მისი ცხოველი მოგონება შეიგრძნობა: „შენ ისე ღრმა ხარ, ქართულო ცაო“, „ასეთი დარი თუ იყო მაშინ“, „საქართველოო ლამაზო“, „მრავალჟამიერ“, „ფეხი დამადგით“, „მოდოდა ნინო მთებით“, „მას ალავერდის დიდებულ ტაძარს“ და მრავალი სხვა.

ანა კალანდაძის პოეზიაში ძველი ქართული ლიტერატურისა და ქრისტიანული მსოფლმხედველობის სურნელი ტრიალებს. საგანგებოდ მინდა გამოვყო დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი უსათაურო ლექსი – „ფეხი დამადგით...“, რომელიც გვირგვინოსან მეფესთან დიალოგის სახით, მიმართებით წარმოაჩენს გვირგვინოსანი მეფის სულიერ სამყაროს, ბუნებას და რითაც დავითისავე „გალობანის“ ერთგვარ რემინისცენციად წარმოგვიდგება, პოეტი მეფის აღსარების თანაგანმცდელად აღიქვამს თავს, რითაც ეს ნაწარმოები დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ილია ჭავჭავაძის სტატიის აზრობრივ და შინაარსობრივ გაგრძელებად გვევლინება. ამიტომ დავით აღმაშენებლის ღვანლის შესაფასებლად, სულიერი ზეაღსვლის სიმბოლურ-სახისმეტყველებითად გასააზრებლად, რომელიც „დაუსრულებელ საუკუნეთა“, „ზეშთა საუკუნეთა“ მკვიდრად იქცა, მინდა ილია ჭავჭავაძის დაუვინყარი სიტყვაც დავიმონმო: „ამ დიდებულმა მეფემ ერთად მოუყარა თავი ქართველობას, მტერი გაუფრთხო და გაუფანტა, და დღეს თუ ჩვენ ჩვენს ბინაზედ ვართ, – ეს იქნება იმისი ღვანლი, იმისი სამსახურიც უფრო იყოს... კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, ამბობს ჩვენი ერი, ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო. ეს ანდერძი ქართველისა ისე არავის შეუსრულებია, როგორც დავით მეფესა. აქ აღმაშენებლის სახელი დარჩა, როგორც მეფეს, და იქ, როგორც დიდბუნებოვანმა კაცმა – ნაიყოლია სახელი წმინდანისა, დიდების გვირგვინით შემკობილი“ (ჭავჭავაძე, 1984: 608). ანა კალანდაძის ლექსის სტრიქონები ილიასეულ შეფასებასაც ეხმიანება და ლირიზმით გაჯერებული სიტყვებით მეფის სულიერ ხატს წარმოსახავს:

**„ფეხი დამადგით,
გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,**

წყალობა ჰყავით...

**საქართველოს ყოვლის მპყრობელმან
ვისურვე, დავით...**

**ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი
ყურძნის მტევნებით...**

**– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,
მიუტევი?**

**ღირსმსახურებდი ქართულ მინა-წყალს,
რაი გადარდებს?**

**გასწიე იგი „ნიკოფსიითგან
დარუბანდამდე“...**

**თუ, ეს მაღალთა თავმდაბლობაა
ოდით და ოდით?**

**თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,
რალა ქმნან ცოდვილთ**

**სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის
ვერსით მპოველთა?**

**– გულზე დამადგით, ფეხი დამადგით
გულზე ყოველმან...“**

დავით აღმაშენებლის ქართველი მემატიანე და უცხოელი ისტორიკოსები დავითს მეფის იდეალად, მისაბაძად წარმოგვიდგენენ და მასში უარყოფითს ვერაფერს ხედავენ. თავად დავით აღმაშენებელი კი, დავით წინასწარმეტყველის მსგავსად, თავის საგალობელში საკუთარ თავს ცოდვით დამძიმებულ, კაცობრიობის ცოდვათა მტვირთველად სახავს, რაც მას, როგორც ადამიანს, როგორც მეფეს, როგორც ჰიმნოგრაფს სულიერი სრულყოფილებით, სისავსით შემკულ პიროვნებად წარმოგვადგენინებს. დავით აღმაშენებლის საგალობელში ასახულია სამყაროს შექმნის ბიბლიური ისტორია და კაცობრიობის მიერ გავლილი გზა, ადამიანის შექმნიდან მოყოლებული, პირველქმნილი ადამიანის ცოდვით დაცემა და შემდგომ ადამიანთა სწრაფვა პირველსახის დასაბრუნებლად, რისთვისაც აუცილებელია სინანულის განცდა, აღსარების სურვილი, იმის მოთხოვნილება, რომ პირველქმნილი ადამიანის მიერ ჩადენილი ცოდვა მისი ცოდვაა. საგალობელში ინდივიდუალური განცდა და სინანული ზოგადსაკაცობრიო დონეზეა აყვანილი, რაც თვით ავტორის შინაგანი სამყაროს სიმდიდრის, ზნეობრივი პასუხისმგებლობის, სულიერი განწმენდისა და ამაღლების, განღმრთობის

საწინდარია. დავით აღმაშენებლის პიროვნება, მისი ფიქრი, განცდა, ღირსება წარმოაჩინა მისმა საგალობელმა, რომლის კონცეფცია პოეტმა ქალმა სრულად გაიაზრა და მეფეს მრავალმნიშვნელობიანი კითხვით მიმართა: **„ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო, მიუტყეები?“** ეს კითხვა ქრისტიანული ცნობიერების მქონე ადამიანის კითხვაა, რადგან არ არსებობს ცოდვა, რომელიც ადამიანმა მოინანიოს და არ მიეტევოს. ანა კალანდაძის ლექსი დავით აღმაშენებლის საგალობლის მსოფლმხედველობითა და სულისკვეთებითაა ნაკვები. ისიც უნდა გავიხსენოთ, რა აწერია გელათის მონასტრის შესასვლელში მდებარე დავითის საფლავს (ამჟამად შესასვლელი აღმოსავლეთის კარიბჭიდანაა და არა იმ მხრიდან, სადაც დავითის საფლავია), ეს ფსალმუნის სიტყვებია: **„ესე არს განსასუენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ესე მთნავს აქა დავემკდრო მე“** (მდრ.: ფს. 131, 14). აუცილებლად უნდა ითქვას, რომ არც ერთი საისტორიო წყარო არ გვეუბნება იმას, რასაც ანა კალანდაძის ლექსში ვკითხულობთ: **„ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმან, წყალობა ჰყავით... ფეხქვეშ გაცვითთ საფლავის ლოდი ყურძნის მტევნებით“**, თითქოს დავით აღმაშენებელმა ანდერძად დატოვა, გელათის მონასტერში შემსვლელთ მის საფლავზე ფეხი დაეხვიებინათ და ისე შესულიყვნენ ტაძარში. ამ ტრადიციას სათავე ანა კალანდაძის ლექსით დაედო, რაშიც უდიდესი ჩანაფიქრია: დავით აღმაშენებელი ისტორიულ ჭრილში სულიერ კავშირს ამყარებს ყოველ ქართველთან, ვინც გელათში შედის და მის საფლავს ფეხს დაადგამს, თვით დავით აღმაშენებელი მომავალ თაობებთან და ყოველი ადამიანი დავითთან სულიერ კონტაქტს ამყარებს.

ანა კალანდაძის სულიერი სამყარო წარმოჩნდა ასევე ლექსში „მოდოდა ნინო მთებით“, რომელიც ქართული ლირიკის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს და რომელშიც წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლისა და ქრისტიანული რელიგიის ქადაგების მნიშვნელობაზეა საუბარი. ალეგორიაც თვალში საცემია, როდესაც წმინდანის შემოსვლის დროზე ამახვილებს ყურადღებას:

**„თოვლი იდო ჯავახეთის მთათა ზედა
და ტყეებში ქარიშხლები ბლაოდნენ.
მოჰკიოდა, ქარი ღრუბლებს მოჰკიოდა
და ფარავნის ტბასა ზედა ძრწოდა ქარი...“.**

ქართული ეკლესია წმინდა ნინოს საქართველოში შემოსვლას 1 ივნისს აღნიშნავს, ზაფხულის პირველი თვეს, ძველი სტილით ეს

მაისია, ვარდობის თვე. ამ დროს ჯავახეთში თოვლის ხილვა სიმბოლურ ხასიათს იძენს და ანა კალანდაძეც სწორედ ამიტომ ამახვილებს ყურადღებას წმ. ნინოს საქართველოში შემოსვლის დროზე. დრო საკრალიზებულია, გასიმბოლურებულია.

ლირიკულობის საოცარი ნიმუშია ანა კალანდაძის „თუთა“, რომელშიც ბუნება და ადამიანი ერთიანობაშია წარმოდგენილი და ღრმა ფსიქოლოგიზმით დატვირთული. დავიმოწმებ ლექსს:

**„ლამის სახლში შემოიჭრას თუთა,
ლამის თავზე გადამისვას ხელი,...
დამიძახებს, თვალს ჩამიკრავს მუდამ
ხე მაღალი, ხე ზურმუხტისფერი.
რა ჩურჩული ესმით ჩემთა ყურთა!
რა ჩურჩული! დამდაგველი, მწველი.
ლამის სახლში შემოვიდეს თუთა,
ლამის წელზე შემომხვიოს ხელი“....**

ანას ლექსებმა ის ტკივილიანი მძიმე პერიოდი გამოვლო, რომელიც ჩვენს ქვეყანაში სუფევდა, მაგრამ მისმა ლექსებმა მკითხველისაკენ გზა შექმნისთანავე გაიკვალა და სიმღერებადაც იქცა. ჩემი აზრით, ანას ლექსი „საქართველოო ლამაზო“ საქართველოს ჰიმნადაა შექმნილი და ჩამოქნილი.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის ლიტერატურაში, როგორც საზღვარგარეთ, ისე ჩვენშიც, რემითოლოგიზაციის მეთოდის შემოტანის შედეგად მწერლის მხატვრული სამყაროს აღქმა ახლებურ დამოკიდებულებას მოითხოვს. განსაკუთრებული ადგილი დაიმკვიდრა მითოსმა, მითოპოეტურმა სააზროვნო სისტემამ, რომელიც ალეგორიით, სიმბოლურობით იყო დატვირთული. ამ პერიოდის ლიტერატურაში მწერლის მხატვრულ სამყაროში რეალური ცხოვრების გადატანა სხვადასხვა მიზეზთა გამო საკმაოდ რთული აღმოჩნდა, რისთვისაც მწერლობამ ალეგორიულ და სიმბოლურ მეთოდებს მიმართა. ამიტომ XX საუკუნის 60-70-იანი წლები ქართული მწერლობისათვის მეტად ნაყოფიერი და მნიშვნელოვანი იყო, რადგან შესაძლებელი გახდა ადამიანის, ერის, საქვეყნო სატიკივარისა და საფიქრალის ტროპული მეტყველებით გადმოცემა. სწორედ ამ დროს შეიქმნა რამდენიმე მნიშვნელოვანი რომანი, ქართული რომანი, რომლებმაც იმთავითვე მიიქციეს ყურადღება. ესენია: ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, ოთარ ჭილაძის „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, გურამ დოჩანაშვილის

„სამოსელი პირველი“, ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, ნაირა გელაშვილის „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“, გურამ გეგეშიძის „ცოდვილი“ და სხვ. როდესაც მხატვრულ სიტყვას ცენზურის მახვილი ჩამოეხსნა, ქართულ ლიტერატურაში ეს თხზულებები უკვე გამოქვეყნებული იყო და ქართველი მკითხველი იმ ურთულეს წლებშიც კი მწერლის მართალი სიტყვის წაკითხვითა და მოსმენით განებივრებული გახლდათ. ფაქტობრივად, მწერლის უჯრაში დაუბეჭდავი მხოლოდ მცირე, უმნიშვნელო რამ აღმოჩნდა. ამ რომანების გამოქვეყნება ადვილი არ იყო, მაგრამ არც დაუძლეველი.

ჭაბუა (მზეჭაბუკ) ამირჯიბის (1921-2013) ურთულესი ცხოვრებისეული გზა მის რომანებსა და მოთხრობებში აისახა. „დათა თუთაშხია“, „გორა მბორგალი“, „გიორგი ბრწყინვალე“ ერთმანეთისაგან საკმაოდ განსხვავებული მხატვრული თხზულებებია, რომელთაგან იშვიათი პოპულარობით „დათა თუთაშხია“ სარგებლობს. იგი პირველად ჟურნალ „ცისკარში“ იბეჭდებოდა, 1973 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა. „დათა თუთაშხიას“ დაბეჭდვის გამო მთავრობას „ცისკრელებთან“ ბრძოლა არ დაუწყია. ყველაზე პოპულარული თანამედროვე ქართული რომანის ავტორი, რომელმაც ცხოვრების დიდი ნაწილი საპყრობილეში გაატარა, ხელისუფლებასთან დაპირისპირებას ერიდებოდა და არც ფიქრობდა, „ქართველი სოლჟენიცინი“ გამხდარიყო. რომანი იყო იგავი კაცზე, რომელიც ბოროტებას ბოროტებით არასოდეს დაპირისპირებია და საზოგადოებას უარყოფით სურვილებს არ უღვიძებდა. „დათა თუთაშხიას“ პოპულარიზაციას საქართველოს ხელისუფლებამ თვითონ შეუწყო ხელი. გიგა ლორთქიფანიძისა და გიზო გაბესკირიას მრავალსერიანი ფილმი, რომელიც მაშინდელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური ტელევიზიის დაკვეთით გადაიღეს, ამის გამოხატულება იყო.

რომანს ორი მთავარი პერსონაჟი ჰყავს: აბრაგი — დათა თუთაშხია და მისი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია, რომელიც თავისი კარიერის უმაღლეს ეტაპზე რუსეთის სამეფო კარზე მსახურობდა. თუმცა, რომანი დათა თუთაშხიას სახელს ატარებს. დათა თუთაშხიასა და მუშნი ზარანდიას სახეებში ბიბლიური კანონისა და აბელის ჰიპოდრამა იკითხება. საზოგადოდ, მთელი რომანი ბიბლიური სახის-მეტყველებითა და ხალხური მსოფლმეგრძნებითაა ნასაზრდოები, რასაც მთავარი გმირის გვარიც მოწმობს. რომანის მოქმედება მე-19 საუკუნის დასასრულსა და მე-20 საუკუნის დამდეგს საქართველოში

მიმდინარეობს. სიუჟეტი აგებულია მწვავე სიტუაციებზე და მრავალ ეთიკურ პრობლემას შეეხება. მასში მწერლის პატიმრობისდროინდელი გამოცდილებაა გადმოცემული. წიგნი 4 თავისაგან, კარისაგან შედგება, მსგავსად წმინდა ოთხთავისა. ყოველი კარი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადასვლას ნიშნავს. დათა თუთაშხია თავის ცხოვრების მანძილზე ჭეშმარიტ გზას, უზენაესისაკენ მიმავალ გზას ეძებს, თითოეულ კარში აღწერილია, თუ როგორ იცვლის იგი შეხედულებებს დროთა განმავლობაში. თუთაშხია მეგრულად ორშაბათს ნიშნავს, ხოლო თვით ამ ორფუძიან სიტყვაში ერთ-ერთია თუთა, რომელიც მთვარეს ნიშნავს. მთვარე უძველეს დროში ქართველთა ღვთაება იყო. მომავალში მთვარის ადგილი ქართველთა ზეციურ წარმოდგენებში, ქრისტიანულ რელიგიაში წმინდა გიორგიმ დაიჭირა. შესაძლოა, ამიტომ დაარქვა ავტორმა მთავარ გმირს თუთაშხია (თუთაშხია). იგი მისი წარმოდგენით არის სული კრებსითი. დათა თუთაშხია ერთი ადამიანი არაა, იგი ქართველებში არსებული წმინდა გიორგის სულის ნაწილების კრებსითი სახეა. მთვარე ამ ნაწამოების გასაღებია, რასაც შემდეგი გარემოება მოწმობს: როცა მთვარე კარგად ანათებს, დათას საფრთხე არ ემუქრება. ნაწამოების დასასრულს დათას სიკვდილის წინ მთვარე ღრუბლებშია მიმაღული, რაც თხზულების ცენტრალურ სიმბოლურ სახედ წარმოჩნდება.

რომანში მოთხრობილია მთავარი გმირის მორალური ევოლუციის შესახებ იმ პიროვნებების გადმოსახედიდან, რომლებთანაც დათა თუთაშხიას ოდესმე კავშირი ჰქონდა. სწორედ ამ პირთა მონათხრობებისაგან შედგება რომანი. ჭაბუა ამირეჯიბის რომანის მონათხრობი მწერლის ინდივიდუალურ სტილს სწორედ ამგვარი თხრობის მანერითა და გადმოცემის თავისებურებით ქმნის და აყალიბებს. დათა თუთაშხია დაბადებიდან ვერ იტანს უსამართლობასა და უკანონობას. რომანის დასაწყისიდანვე ვიგებთ, რომ დათას ცხოვრების გზა ერთმა შემთხვევამ შეცვალა. მას შემდეგ აბრაგად გაჭრილმა ტყეში დაიწყო ცხოვრება, რომელიც სასონარკვეთილი ჟანდარმერიის მიერ მუდმივად იდევნებოდა. მთელი რომანის განმავლობაში დათა თუთაშხია მრავალგზის იცვლის ადგილსამყოფელს, რაც დროსივრცული თვალსაზრისით უაღრესად მნიშვნელოვანია. იგი თავის ირგვლივ ბოროტებას ხედავს და ცდილობს, როგორმე დაძლიოს იგი.

დათა თუთაშხიამ კანონგარეშე ცხოვრების გზა იძულებით აირჩია, უსამართლობასთან ბრძოლამ გაააბრაგა და წლების მანძილზე მოახერხა მეფის ჟანდარმერიის წინაშე დამალვა. რომანში დათა

სხვადასხვა სიტუაციაში გვხვდება, მას ავტორი საგანგებოდ აკვირდება, თუ როგორ მოიქცევა ცალკეულ შემთხვევაში. მისმა ბიძამ-ვილმა მუშნი ზარანდიამ, რომლის ოჯახშიც აღიზარდა ობლად დარჩენილი დათა თავის დასთან, ელესთან, ერთად, იმგვარი არჩევანი გააკეთა, რომ სახელმწიფო სამსახურში შესულიყო, ჟანდარმერიის ჩინოვნიკობა ამჯობინა. რომანში მოქმედება ამ ორი ადამიანის რთული, წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობით წარმართება. ნაწარმოებში აღწერილია ამ ორი ადამიანის მიერ არჩეული ცხოვრების გზა და ჭიდილი ერთმანეთთან. მათი სახეების ჩვენებით ავტორმა მკითხველს „დაპირისპირებულთა ბრძოლისა და ერთიანობის“ შესახებ ფილოსოფიური კანონი შეახსენა. მათ მიერ არჩეული გზის მიხედვით ისინი ერთმანეთის მტრებად ითვლებოდნენ, მაგრამ დათას მამიდაშვილისადმი სიყვარული არასოდეს დაუკარგავს, რასაც მუშნისთვის დათას ნათქვამი მონმოხს: **„შენს საკეთებელსაც და ჩემს საკეთებელსაც ჩვენი ძმობის სინძინდე ჯობია, მუშნი“**. ძნელი სათქმელია, ამასვე იტყოდა თუ არა მუშნი ზარანდია. თუმცა, დათასადმი სიყვარული რომ ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, მასთან გაჯობრების გარდა, ამას ისიც მონმოხს, რომ დათას სიკვდილის შემდეგ მუშნიც მალევე კვდება, რადგანაც მას ღირსეული მონინააღმდეგე, მისი ზნეობისა და ქმედებების საზომი, მეტრი უკვე აღარ ჰყავდა, რის შედეგადაც მუშნისთვის ამქვეყნიურმა არსებობამ აზრი დაკარგა, მელანქოლიით დაიტანჯა და საბოლოოდ ამითვე გარდაიცვალა. არც მუშნის მამის სიტყვების დავინწყება შეიძლება: **„წესიერ ოჯახში ერთი თუ გამოვიდა ბოროტი და უხსენებელი, იმ ოჯახის მეორე კაცს არ აქვს უფლება, ერთის ბოროტება მთელი ოჯახისა და მოდგმის სახელად და სალანძღავად აქციოს. ოჯახის სახელი სუფთა უნდა დარჩეს ხალხის და მომავლის თვალში. გასწავლიდით მე თქვენ: შენს სამშობლოში შენი ოჯახის დესპანი უნდა იყო და სამშობლოს გარეთ ერის დესპანი, რადგან შენი საქციელი შინ ოჯახის სახეა და გარეთ — შენი ერის! სწორად ცხოვრება თუ გინდა, ეს არის“**.

მესამე მთავარ პერსონაჟად შეგვიძლია გრაფი სეგედი მოვიაზროთ, რადგან ნაწარმოების საკმაოდ დიდი ნაწილი მისი თხრობისაგან შედგება, საკმაოდ ვრცლად არის გადმოცემული მისი მოსაზრებები ადამიანებსა და მათ ქმედებებზე, რაშიც მწერლის მსოფლმხედველობა და ლიტერატურულ-ესთეტიკური თვალთახედვა ირეკლება. გრაფი სეგედი რევოლუციის შემდეგ სარდაფში ცხოვ-

რობს, სადაც ადამიანთა ფიგურების ძერწვით ირთობს თავს. სიმბოლურად ეს იმას ნიშნავს, რომ იგი ადამიანთა ხასიათს სწავლობს და ძერწავს. რომანში ადამიანების შეცნობის ნადილით შეპყრობილი გრაფი სეგედი, მისი სამსახურებრივი მოვალეობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების მიხედვით, ღირსეულ პიროვნებად არის წარმოდგენილი. მისთვის სამსახურებრივი მოვალეობაა ძირითადი, მაგრამ ადამიანის ფსიქოლოგიური სახის დადგენასაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

რომანის პირველ ნაწილში ერთი ძირითადი თავი მოსე ზამთარაძის მონათხრობს ეთმობა. დათა თუთაშხიამ და მოსე ზამთარაძემ, ორმა აბრაგმა, თავი საირმის ტყვეს შეაფარეს, სადაც უცნაური ისტორია გადახდათ თავს. ბელადად და მამა-მარჩენალად წოდებული არქიფო სეთურისგან ხალხის ხსნის ცდა დატას და მოსეს შემოუტრიალდათ და გალახულები გამოყარეს სოფლიდან. ეპიზოდის ალეგორიული ხასიათი თვალში საცემია. ეს ეპიზოდი ლიტერატურულ ტრადიციებში არსებული მხატვრული სინამდვილის გაგრძელებაა და შეიძლება მან სხვა მხატვრული ნაწარმოებებიც გავახსენოს. ასეთივე ალეგორიულია იგავი ვირთხების შესახებ, რომლებიც შიმშილობის ნიადაგზე ერთმანეთის ჭამას იწყებენ და არსებობისათვის ბრძოლის ბოლოს უძლიერესს გამოავლენენ. რომანის მეორე ნაწილში დათა თუთაშხიამ, მისი ნინა გამოცდილებიდან გამომდინარე, გადაწყვიტა, აღარ ჩარეულიყო კერძო საკითხებში, თუ სრულად არ იქნებოდა დარწმუნებული, რომ მისი ქმედებები სიკეთეს მოიტანდა. მისი ახალი პოზიციის შედეგად ხალხმა მისი წარსულის ყველა კარგი საქმე დაივიწყა, რამაც მისი ფსიქოლოგიური სახის ჩამოყალიბებაში გარდატეხა შეიტანა. რომანის მესამე ნაწილში დათა თუთაშხია, რომელმაც ამ ეტაპზე თავისი გზა, აბრაგისა და ჩვეულებრივი ადამიანის გზა დაკარგა, შეეცადა სამოქალაქო საზოგადოებაში გარეგან, რათა თვითონ განესაზღვრა და გაეაზრებინა ცხოვრების ღირებულება და ფილოსოფია. ის შეუერთდა ადვოკატის, საიდუმლოებით მოცული ქალის, ნანო თავყელიშვილისა და მათ გარშემო შემოკრებილ პატარა საზოგადოებრივ წრეს, ესწრებოდა სხვადასხვა შეკრებებს, ნადიმებს, სადაც ფილოსოფიურ თემებზე კამათი იმართებოდა. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე დათასა და მასთან მყოფ ინტელექტუალთა საზოგადოებას ეწვია საქართველოში მეფის ხელისუფლების ჟანდარმერიის უფროსი გრაფი სეგედი, რომელმაც დათა თუთაშხიას განთავისუფლების დოკუმენტი მიიტანა. უნდა ითქვას,

რომ გრაფი სეგედი დიდხანს გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ვიდრე დათა თუთაშხიას ნაფიქრ-ნააზრევს ჩასწვდებოდა. ამიტომ ამჯობინა დათასთან პირისპირ შეხვედრა. მართალია, იგი ხვდებოდა, რომ დათა ბელადი ვერ გახდებოდა, რადგან ბელადისაგან განსხვავებული თვისებები აღმოაჩნდა, მაგრამ მაინც ბოლომდე დარწმუნებული არ იყო დათას პიროვნული თვისებების მიხედვით შეცნობის სისწორეში.. ამ მხრივ დათას თუ მიხეილ ჯავახიშვილის არსენა მარაბდელს შევადარებთ, მათ შორის არსებულ მკვეთრ სხვაობას უთუოდ შევნიშნავთ, რადგან მათი კანონგარეშე ცხოვრება ერთმანეთისაგან განსხვავებული. მიუხედავად იმისა, რომ ორივენი უსამართლობას ებრძვიან, სხვადასხვა ღირებულებები აქვთ, სხვადასხვა ინტერესები ამოძრავებთ. ეს სხვაობა ეპოქის მახასიათებელი ნიშნებიდან მოდის. არსენა მარაბდელი XIX საუკუნის 20-30-იანი წლებში ცხოვრობდა, დათა თუთაშხია – XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე მცხოვრები ადამიანია. სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ მათ საკმაოდ ბევრი რამ აქვთ საერთო, მაგრამ ამ საკითხებზე მსჯელობა შორს წაგვიყვანს.

რომანის მეოთხე ნაწილში დათა თუთაშხია ჯერ კიდევ ფიქრობდა, რომ ბოროტების დაძლევა მხოლოდ ძალით შეიძლებოდა. მუშნი ზარანდია, ერთ-ერთი რუსული იმპერიული ჟანდარმერიის საუკეთესო თანამშრომელი, თავისი სამუშაოს ერთგული დარჩა, სახიფათო დამნაშავეების, მათ შორის საკუთარი ბიძაშვილის, ძიებას და გაუვნებელყოფას გულმოდგინედ მეთვალყურეობდა. დათამ ბიძაშვილის ინტერესების გათვალისწინებით გადაწყვიტა, ნებით ჩამჯდარიყო ციხეში, სადაც საბოლოოდ მიხვდა, რომ მსოფლიოსთვის ბოროტების არიდების საუკეთესო გზა არის ის, რომ ადამიანი უნდა იყოს კარგი და სიკეთე აკეთოს, რაც ბევრისთვის გაუგებარია და ადამიანისთვის კი ძალიან ძნელად აღსასრულებელი. დათა თუთაშხია მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ბოროტების დამარცხებას ცდილობდა. მთელი ცხოვრება ისე წარმართა, რომ სიკეთის ქმნით ცდილობდა ბოროტების დათრგუნვას, მაგრამ რაც უნდა ეკეთებინა, ბოროტება მაინც მრავლდებოდა. დათამ გაითავისა სახარებისეული სიბრძნე: თუ ერთ ლოყაზე გაგარტყამენ, მეორე უნდა მიუშვირო. ეს ქრისტიანობის ერთ-ერთი მთავარი აზრია, ზნეობრივი კოდექსის ერთ-ერთი უმთავრესი დებულებაა და ავტორმაც „დათა თუთაშხიას“ დედააზრი სწორედ ამაში დაინახა. მას შემდეგ, რაც დათამ ასე თუ ისე მიაგნო თავისი გაგებით ჭეშმარიტებას, მან ამო-

წურა თავისი ამქვეყნიური მისია. იგი ზეცად უნდა ამაღლებულიყო. საამისოდ მას სჭირდებოდა კაენი ან იუდა, რომლის როლიც მუშნი ზარანდიას ხვდა წილად, უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს როლი მუშნიმ მოირგო. ამ თვალსაზრისით რომანში უძღვები შვილის იგავური გააზრებაც იკითხება, თუმცა, კაენისა და იუდას როლის მორგება გაცილებით უფრო მძაფრად წარმოაჩენს დათასა და მუშნის ურთიერთდამოკიდებულებას.

რომანში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდია დათასა და მისი თანამეინახეების საუბარი-მსჯელობა ქართველი ერის, საქართველოს მისიის შესახებ, განსაზღვრულია მოსაზრებები საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ავტორმა თავისი შეხედულებები საქართველოს ისტორიის გააზრების თაობაზე გეოპოლიტიკური კუთხით წარმოადგინა. თითოეულ ეპიზოდში არა მარტო დათა არის სხვადასხვა კუთხით წარმოჩენილი, არამედ მასთან ერთად ჩანს სხვა ადამიანების დადებითი და უარყოფითი თვისებები, რომელთა ფონზე ზოგჯერ დათა მოგვაგონებს „თევზს ცოდვების ოკეანეში, როგორც ამას ქრისტეზე ამბობენ ხოლმე“. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია სანდრო კარიძის მიერ გამოთქმული აზრები ერისა და ხალხის, სამშობლოსა და სახელმწიფოს შესახებ: „ხალხი ხელებია და სტომაქი. ერი – მაღალი ზნეობა და შორსმჭვრეტელობა. ხალხი სულიერსა და ნივთიერ ღირებულებებს ქმნის და ვინაიდან მოთხოვნილება ყოველთვის სჭარბობს შექმნილს, მას აქვს დაუოკებელი მისწრაფება მთლიანად შთანთქას არა მარტო ის, რაც თვითონ შექმნა, არამედ ისიც, რაც მანამდეა შექმნილი და შთანთქმას გადარჩენილი. ერი ცალკეულ პიროვნებებში თუ მათ ერთობლიობაში განხორციელებული ის მარადისი სულია, კრებსითი სულია, რომელიც ნებაყოფლობით კისრულობს მთელი ეთნიკური ორგანიზმის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე პასუხისმგებლობას. ერი დამაოკებელი, მომწესრიგებელი საწყისია, სულიერ და ნივთიერ საუნჯეთა დამგროვებელი, მცველი. ...ცხოვრება სულიერი და ხორციელი სარჩოს მოპოვების პროცესია, ხოლო ზნეობა – ამ პროცესის მომწესრიგებელი ძალა. ერის ცნებასა და ზნეობის ცნებას შორის ტოლობის ნიშანი ზის“. მისი მსჯელობა ქართველი ერის მისიის შესახებ დღესაც არ კარგავს მნიშვნელობას, რადგან ეს თვალსაზრისი ამჟამადაც, ჩვენს თანამედროვეობაშიც, ძალზე აქტუალურია. როდესაც ქართველი ერი იბრძოდა და მომხდურ მტერს სამშობლოს არ ანებებდა, მაშინ მას დიდი მიზანი და ფუნქცია ჰქონდა, დღეს კი

იგი მოგვაგონებს საძოვარზე მიშვებულ ნახირს, რომელსაც მიზნად დასახული აქვს ყოველდღიური სარჩოს მოპოვება. ფუნქცია დაეკარგეთო, გულისტკივილით ამბობს სანდრო კარიძე და თანამოსაუბრეების თანაგრძნობას იმსახურებს. თუ დაფუკვირდებით, მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნების“ მსგავსად, ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიაც“ რომანი-წინასწარმეტყველებაა, რადგან მასში საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, ქართველი ერის, როგორც კაცობრიობის ნაწილის, დათა თუთაშხიას, როგორც ადამიანის მისიაა განსაზღვრული; ყოველმა სახელმწიფომ, ყოველმა ერმა, ყოველმა ადამიანმა უნდა შეძლოს იმის განსაზღვრა, რაზე გადის მისი შესაძლებლობების ზღვარი და რა არის მისი არსებობის მისია, რა დააკისრა მას ღმერთმა. ამიტომ ესაა რომანი ადამიანისა და სამშობლოს მისიის შესახებ. რა არის ადამიანის არსებობის აზრი, თუ არა სიკეთის ქმნა, ერისა და ქვეყნის სამსახური. იმედი, რწმენა და სიყვარულია ის ქვაკუთხედი, რაც დათას ცხოვრებასა და ქმედებას უდევს საფუძვლად.

მართალია, „დათა თუთაშხია“ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში ერთ-ერთ საუკეთესო რომანად რჩება, რადგან მასში თავისუფლებისაკენ მიმავალი ერთ-ერთი გზა ნაჩვენები და ისაცაა მონიშნული, თუ როგორ შეიძლება ეს გზა ერთმა ადამიანმა გაკვალოს. ამიტომაცაა იგი, არსენა მარაბდელის მსგავსად, ზნეობრივი გმირიც და ეროვნული ინტერესებით აღჭურვილი პიროვნებაც, მაგრამ თავისი მიზნის აღსრულება მას მისმა მამიდაშვილმა, მუშნი ზარანდიამ, რომლის სახეში იმპერიული სახელმწიფო მოიაზრება, არ დააცადა. დათას პიროვნულმა ზრდამ, რომელიც რომანის მსვლელობისას მრავალსაფეხურიანადაა წარმოდგენილი, კიდევ უფრო მეტად გააღიზიანა მუშნი და საკუთარი ბიძაშვილი, რომელიც ძმად მოიხსენიება და რასაც ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველება უდევს საფუძვლად, სასიკვდილოდ გაიმეტა. სიმბოლურია რომანის დასასრულიც, სულთმებრძოლმა დათამ, ძმისგან განწირულმა და შვილის გასროლილი ტყვიით სასიკვდილოდ დაჭრილმა, ზღვამდე მიაღწია, რათა არც ძმას და არც შვილს არ მისცემოდა დათაზე შურისმაძიებლის სახელის ტარების საფუძველი, ხოლო შვილს არც მატერიალური უზრუნველყოფისათვის გამოეყენებინა დათას სისხლის სანაცვლოდ აღებული ფული. „გვამს ვერ იპოვნინა...“ ამ სიტყვებით გაეცალა გუდუნას, უკანონო შვილს, დათა თუთაშხია. ზღვა სხვადასხვა კონოტაციის მქონე სიმბოლური სივრცეა და

დათას ზღვაში გადავარდნაც სიმბოლურია, რადგან მითოპოეტური თვალსაზრისით ზღვა, წყალი განახლების, სულიერი გარდასახვის სიმბოლოა. დათას დაკარგვას, უფრო სწორად, ზღვაში მის გადავარდნას ის მნიშვნელობაც აქვს, რომ უსაფლავოდ რჩება და თვითონ, როგორც პიროვნება, ლეგენდის სახით რჩება ხალხის მეხსიერებაში. რომანი ერთდროულადაა ქრისტიანული სახისმეტყველებითა და მითოსური აზროვნებით გაჯერებული თხზულება.

მწერლის სხვა რომანებიც, „გორა მბორგალი“ და „გიორგი ბრწყინვალე“, უაღრესად მნიშვნელოვანი თხზულებებია. „გორა მბორგალი“ დევნილი კაცის ურთულესი ცხოვრების მოწმეს ხდის მკითხველს და დოკუმენტური პროზის მახასიათებელი ნიშნებით შემკული მნიშვნელოვან ადგილს იჭერს ქართულ რომანისტიკაში, რადგან მასში XX საუკუნის ურთულესი პერიოდი, 20-30-იანი წლების ქართველი არისტოკრატი, განათლებული საზოგადოების მძიმე ცხოვრებაა ასახული. ეს ის პერიოდი იყო, როდესაც ადამიანის სიცოცხლე ყოველმხრივ დაუცველი და გაუფასურებული იყო, როდესაც ცოდნა და განათლება, ადამიანის ჭკუა და გონება მისივე უბედურების სათავედ იქცეოდა. გორა ქართველი კაცის განზოგადებული სახეა, რომლისთვისაც ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო იდეალები ერთიან მსოფლმხედველობრივ ჭრილშია აღსაქმელი და რომელსაც მუდამ ახსოვს პაპისეული სიბრძნე: „ღმერთო, არ მომაკლო გასაჭირი, რომ სული ვწვრთო“. ამ რომანშიც იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაა უმთავრეს იდეალად დასახული. გორა მბორგალი ერთგანზომილებიანი მხატვრული სახე არაა, არც მხოლოდ პოლიტიკოსი მებრძოლია, უწინარეს ყოვლისა, იგი ინტელექტუალური პიროვნებაა, რომელსაც უყვარს მწერლობა, საზოგადოდ, ცოდნის სფერო. თავისი მაღალი სულიერებით იმ ესთეტიკურ იდეალებს უახლოვდება, რაზეც ჩვენი წინაპრები და ჩვენი თანამედროვენი ოცნებობენ.

რომანი „გიორგი ბრწყინვალე“ კი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს პერიოდს, მეფე გიორგი ბრწყინვალის ეპოქას აცოცხლებს თავისი პოლიტიკურ-იდეოლოგიური და საზოგადოებრივი ვითარების კვალობაზე. „დათა თუთაშხიას“ მსგავსად, მწერალმა „გიორგი ბრწყინვალეშიც“ მხატვრულ-აღეგორიული და იგავური მეთოდი აირჩია, რათა პიროვნების თავისუფლების, მისი ზნეობრივი არჩევანის, პოლიტიკური დეტერმინაციის პარადიგმა გადმოეცა. მთავარი ისაა, რომ გმირი რომანისა საქართველოს ისტორიაში გან-

საკუთრებულის, უჩვეულოს სახელითაა ცნობილი. გიორგი ბრწყინვალის სახით ქვეყნისა და ერის არსებობისათვის მარადიულ ბრძოლაზე ორიენტირებული პერსონაჟია წარმოსახული, რომლის მთელი მოღვაწეობა ერის ისტორიული მეხსიერებისა და მომავლის რწმენას დაუკავშირდა. იმ დროს, როდესაც თანამედროვე ლიტერატურაშიც გაჩნდა იდეალის, მისაბაძი გმირის გაქრობის საფრთხე, ჭაბუა ამირეჯიბის გიორგი ბრწყინვალე ჭეშმარიტად რაინდული სულის მქონე, ფილოსოფიურად მოაზროვნე და მაღალ ზნეობაზე პროექტირებულ პერსონაჟად წარუდგა მკითხველს. კიდევ ერთი თავისებურება უნდა აღინიშნოს რომანის შესახებ: „გიორგი ბრწყინვალე“ იმგვარადაა ორგანიზებული და კომპოზიციურად აგებული, რომ მისი დასრულება მკითხველის ცნობიერებასა და გონებაშია ნავარაუდები მწერლის მიერ. იგი მხოლოდ ფრაგმენტებს, ეპიზოდებს წარმოაჩენს მეფის ცხოვრება-მოღვაწეობიდან, შორეული ასოციაციებით, რემინისცენციებით, ისტორიულ-კულტურული ალუზიებით ხატავს უზარმაზარ ისტორიულ დრო-სივრცეში ჩამკვიდრებულ პერსონაჟებს, ცხოვრებიდან იღებს სხვადასხვაგვარად აქცენტირებულ სურათებს, რომელთა გამთლიანებასა და ერთმანეთთან დაკავშირებას მწერალი მკითხველის საქმედ მიიჩნევს.

XX საუკუნის 60-80-იანი წლები სიმბოლურ-ალეგორიული რომანის შექმნის ეპოქა იყო. მოვიდა მწერალთა თაობა, რომელმაც თავისი ძირითადი სათქმელი მითოპოეტურ და სახისმეტყველებით საბურველში გაახვია, რათა მკითხველი ადამიანის არსებობის აზრის, საზოგადოების ზნეობის, სამყაროში მიმდინარე მოვლენების, სამშობლოს სავალალო ხვედრის საკითხებზე დაეფიქრებინა. ამ მხრივ გამორჩეული ადგილი **ოთარ ჭილაძეს (1933-2009)** უჭირავს, რომლის რომანები, ლექსები, პოემები, სტატიები, ჩანახატები ის ერთიანობაა, რომელიც მწერლის ლიტერატურულ-ესთეტიკურ და მხატვრულ სამყაროს ქმნის. მთელი მისი მემკვიდრეობა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, მსოფლიო ლიტერატურის კონტექსტშია განსახილველი. ოთარ ჭილაძის კალამს ეკუთვნის რომანები „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“, „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, „რკინის თეატრი“, „მარტის მამალი“, „აველუმი“, „გოდორი“, პოემები „თიხის სამი ფირფიტა“, „ნათეს ნითელი წალები“, ლირიკული ლექსები.

ოთარ ჭილაძის რომანები, პოემები, ლექსები უმეტესად მითოპოეტურ მხატვრულ ხერხებსა და საშუალებებს ემყარება და იყენებს. ამ მხრივ განსაკუთრებულ ადგილს იჭერს „გზაზე ერთი კაცი მი-

დიოდა“, რომლის სათაური ზღაპრის რემინისცენციას აჩენს და რომელშიც მოქმედება არგონავტების მითის საფუძველზეა გაშლილი. თხრობა იმ დროიდან იწყება, როდესაც ვანი ზღვისპირა ქალაქი იყო და იქ მცხოვრებნი – ზღვისპირეთის მკვიდრნი. ზღვა ყველა ვანელის ფანჯრიდან მოჩანდა, რასაც სიმბოლური დატვირთვა აქვს, ზღვა განახლების, სულიერი შობის სიმბოლოდ გაიაზრება მითოსურადაც და ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველებითაც. ზღვა იმასაც მიუთითებს, რომ სამყარო უკიდევანოა, ასევე უკიდევანოა ადამიანთა სულიერი სამყაროც. ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟი ფარნაოზი ისეთივეა, როგორებიც არიან ჭაბუა ამირეჯიბის დათა თუთაშხია, მიხეილ ბულგაკოვის ოსტატი, მარკესის „მარტოობის ასი წელის“ პერსონაჟები აურელიანო, ხოსე არკადიო, საზოგადოდ ბუენდიები, ხოლო ფარნაოზი და მისი შვილი პატარა უხეირო ოდისევსისა და ტელემაქეს პარადიგმით შემოდიან რომანის სააზროვნო სივრცეში. რომანის მთავარი გმირი გაივლის ყველა იმ საფეხურს, რომელთა გარეშე შეუძლებელია ბოროტების დამარცხება და სიკეთის დამკვიდრება, რაც ყოველი ადამიანის ამქვეყნიური არსებობის ქვაკუთხედი, სულიერი მისიაა. რომანში შერწყმულია მითოპოეტური სამყარო, ფოლკლორული სანყისები, ბიბლიურ-ევანგელური სახისმეტყველება, ლიტერატურული ტრადიციები, რომელთა ერთიანობით იქმნება ოთარ ჭილაძის რომანის მხატვრული ქსოვილი.

შეიძლება ეს ჩემი სუბიექტური აზრია, მაგრამ ვფიქრობ, ყველაზე უკეთ მწერლის მხატვრულ სამყაროსა და მსოფლმხედველობას წარმოაჩენს რომანი „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, რომელიც ღრმა სიმბოლურ ქვეტექსტებს შეიცავს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიბლიიდან მომდინარე სახელწოდება რომანისა; ეს სიბრძნე ურუქის მღვდელმა, ზოსიმე მღვდელმა, ნანარმოებში ერთ-ერთმა ყველაზე საინტერესო პერსონაჟმა, წარმოთქვა. რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, რომელიც საკმაოდ პერსონაჟმრავალი თხზულებაა, უმრავლესობას თვითდამკვიდრების და საკუთარი თავის საზოგადოებაში პოვნის პრობლემა აქვს. მის წინაშე დგანან ანა, ქაიხოსრო, ალექსანდრე, ნიკო და ანეტა. ოჯახის ყველა წევრი იმ სივრცით, იმ მორალურ-ზნეობრივი ატმოსფეროსა და ჭეშმარიტი ოჯახური ღირებულებების უქონლობითაა შემოზღუდული, რაც ქაიხოსროს მიერ დამკვიდრებულმა რეჟიმმა წარმოშვა. მთელი ოჯახი, გიორგას გარდა, ცრუმაკაბელთა შთამომავლობაა, ამიტომ მათი საზრუნავი საკუთარი ჭეშმარიტი არსის ძიებაა. რწმენა-

დაკარგული და ღმერთდაკარგული შთამომავლობა თვითდამკვიდრებას თავისებურად შეეცადა: ნიკო — სახლიდან წასვლით, ალექსანდრე — ძმის მოძიებით, ანეტა — შემხუთველი გარემოდან გაქცევით. ცხადია, ავტორი ალეგორიის მხატვრული ხერხით კაცობრიობის რაობის, არსებობის აზრისა და დანიშნულების გარკვევას ისახავს მიზნად. ამიტომ რომანში ხშირია ალუზიები და ენიგმები, რომელთა გახსნა-გამიფვრას მკითხველისაგან დიდი ძალისხმევა სჭირდება.

რომანში აღწერილი სოფელი ურუქი რეალურად არსებული ქართული სოფელი არ არის. სოფლის სახელწოდება შუმერული ეპოსის ერთგვარი ალუზიაა. თუმცა, იგი არც შუმერს არ გულისხმობს, კონკრეტულობის საზღვარს სცილდება და მთელი სამყაროს სახე-სიმბოლოდ გვევლინება, იგი კონკრეტული დროსივრცული ფენომენისაგან დაცლილია. ნაწარმოებში ქრონოლოგიურადაა მოთხრობილია ქაიხოსრო მაკაბელის ოჯახის ოთხი თაობის ისტორია, ამიტომ რომანი მხატვრული საგაა მაკაბელთა ოჯახის შესახებ. ალამაშმად-ხანის შემოსევისას 4 წლის ქაიხოსრო სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა, პატარა ბიჭი დიდი ხნის ხეტიალის შემდეგ ყაზარმას შეეკედლა, სადაც მაიორმა მაკაბელმა იშვილა, გვარიც მისცა და მემკვიდრეობაც დაუტოვა. ასე რომ, ქაიხოსრო ნამდვილი მაკაბელი არაა. რომანი ქაიხოსრო მაკაბელის სამშობლოში დაბრუნებითა და სოფელ ურუქში მამობილისგან მემკვიდრეობით დატოვებულ სახლში დამკვიდრება-დასახლებით იწყება. მალე მიხვდა, რომ უსასრულო სიმარტოვის ღამეების ატანა გაუჭირდებოდა და თვალი დაადგა ქვრივ ანას, რომელსაც თათარი საყვარელი ჰყავდა. ეს ამბავიც სიმბოლურად იკითხება. თხზულების სიუჟეტი ურუქში იშლება. თათარი, რომლის სახელი ნაწარმოების ბოლომდე უცნობი რჩება და რომელიც მტრის სიმბოლოდ მოიაზრება, თავის საყვარელ ქვრივ ანასა და მის 11 წლის შვილს გიორგას სცემდა. ეს ამბავი სოფელში ყველამ იცოდა. ამის თაობაზე გიორგამ თავისზე უფროს მეგობარს მაიორ ქაიხოსრო მაკაბელს შესჩივლა. უნდა აღინიშნოს, რომ მაიორის წოდება სინამდვილეში მას კანონიერად არ მიუღია. ეს იმას ნიშნავს, რომ ქაიხოსრო როგორი მაკაბელიცაა, ისეთივე მაიორია. მან თათარი დაჭრა, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა სოფელი დატოვა. გიორგას ეგონა, რომ ამით ეშველებოდა და დედამისს არავინ შეაწუხებდა, მაგრამ მაიორმა ანა ცოლად შეირთო და ოჯახი მაკაბელების საგვარეულო სახლში დასახლდა. გიორგა მაიორის

მამინაცვლობას ვერ ეგუებოდა და ერთ დროს მეგობარს მტერივით უყურებდა. ქაიხოსროსგან ანას ვაჟი, პეტრე, შეეძინა. წამოზრდილ პეტრეს გიორგას მიმართ შური და ბოღმა ამოძრავებდა, რადგან გიორგა დედის სიყვარულსა და ზრუნვაში მოზიარედ მიაჩნდა. პეტრემ გიორგაზე ადრე შერთო ცოლი, ბაბუცა მიქელაძე. მათ სამი შვილი ეყოლათ: ალექსანდრე, ნიკო და ანეტა. უცოლშვილოდ დარჩენილ გიორგაზე თათარმა შური იძია და მოკლა.

სოფლის ექიმმა ჯანდიერმა ქაიხოსროს უკურნებელი სენი დაუდგინა და მას სახლიდან გასვლაც კი აუკრძალა. ალექსანდრეს და ნიკოს ადრეული სიყმანვილიდან გაუჩნდათ პროტესტი პეტრესადმი, ბოროტი მამისადმი, რომელიც მათ დასასჯელად მუდამ მიზეზებს ეძებდა. ერთხელ ბავშვებმა სალორე ააფეთქეს და სწორედ ამ დროს ალექსანდრემ მარჯვენა ხელი დაკარგა, ნიკო კი უვნებელი გადარჩა. შედეგად ალექსანდრემ განათლების მიღების საშუალება დაკარგა და სოფელში დარჩენა მოუხდა. ნიკო თბილისში გაემგზავრა გიმნაზიაში სწავლის გასაგრძელებლად, თუმცა ურუქში მალევე მოვიდა ცნობა, რომ რევოლუციონერებთან კავშირის დამყარების გამო ციმბირში გადაასახლეს. ალექსანდრემ ოჯახი მიატოვა და საყვარელთან, კოჭლ მაროსთან ერთად უგზოუკვლოდ გადაიკარგა. ჯერ ანა გარდაიცვალა, შემდეგ მას ნიკოს დაღუპვის ამბით გულშენუხებული ბაბუცა მიჰყვა. უდედოდ და უბებოდ დარჩენილი ანეტას აღზრდას ალათია უძღვებოდა, მაგრამ გარდატეხის ასაკში მყოფი გოგონას დამორჩილება გაჭირდა. ქაიხოსრო მოხუცდა. და ბოლოს, მისი გარდაცვალების შემდეგ მაკაბელთა ოჯახში ყველაფერი აირია. ალექსანდრემ უამრავი ბოროტება და სიავე ჩაიდინა. ანეტა სოფლიდან გაიქცა და გზას ასცდა, რაც ალექსანდრემ შეიტყო და შურისძიება განიზრახა, მაგრამ ვერ მოახერხა და ხიფათს გადაეყარა. ალექსანდრემ გაიგო ნიკოს მეგობრების ადგილსამყოფელი და მათთან ჩააღწია, სადაც ნიკოს ობლად დარჩენილი შვილი, მართა, დახვდა. ნიკოს საყვარელი ლიზიკოც, – მათ ქორწინება ვერ მოასწრეს, – გარდაცვლილიყო. ალექსანდრემ ძმისშვილი სოფელში წამოიყვანა და მისი აღზრდა გადამწყვიტა. ალექსანდრე ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა რომანში. ის პირველია, რომელმაც დაინახა თავისი ოჯახის ცოდვები და შეეცადა მისგან განწმენდას. ასევე, მნიშვნელოვანია მართა, ნიკოს გოგონა, რომელიც ალექსანდრემ რომანის დასასრულს იპოვა და ურუქში წაიყვანა. მართა ოჯახის მეოთხე თაობაა, სიმბოლურად იგი ახალი სისხლია, რომელმაც უნდა გამოისყიდოს წინაპრების ცოდვები

და ცხოვრება ახლიდან დაიწყო. ალექსანდრემ მის აღზრდაში მონაწილეობა უნდა მიიღოს, რათა კაცობრიობის, წინაპართა, საგვარეულოს წინაშე, ცრუმაკაბელთა წინაშე, ვალი მოიხადოს.

რომანში ავტორმა დრო-სივრცის მეტაფორის გამოყენებით რამდენიმე, ერთმანეთისაგან განსხვავებული მოდელი დახატა. სივრცული განზომილებები ერთმანეთს მხოლოდ გეოგრაფიულად არ უკავშირდებიან: მაკაბელების კარმიდამო — ურუქი — კახეთი, რომლის ზოგად სახეს თელავი წარმოადგენს, — საქართველო, თბილისი, — რუსეთის იმპერია: კატორღა, ტიუმენი. ყოველი მათგანი იმპერიის შემადგენელი ნაწილია და იმპერიის ზოგად ტიპოლოგიურ ნიშნებს ატარებენ. მაკაბელების ეზო ის სივრცეა, სადაც უარყოფითი ძალა ბატონობს, სადაც ბოროტება, სიძულვილი და უნდობლობა ნორმად ქცეულა. მართალია, ამ სივრცეში არსებობს კეთილი სანყისი ანას, გიორგას, ბაბუცასა და ალათიას სახით, მაგრამ იგი სუსტია და ოჯახში ატმოსფეროს ვერ ცვლის. მაკაბელების სივრცე იმდენად წინააღმდეგობრივი და არამყარია, რომ სიკეთე-ბოროტების ჭიდილი საბოლოოდ მას ბინარული ოპოზიციის სახით წარმოგვიდგენს: ქაიხოსროს ორსართულიანი სახლი უარყოფითი ძალის სიმბოლოა, სახედრის გომური კი — დადებითისა. შესაბამისად ორ ფრთად იყოფიან იქ მცხოვრები ადამიანებიც: ერთ მხარეს დგანან: ქაიხოსრო, პეტრე, ალექსანდრე, ვიდრე ეს უკანასკნელი პიროვნულ იდენტიფიკაციას მოიპოვებდა, მეორე მხარეს — ანა, გიორგა, ბაბუცა, ანეტა, ალათია, ნიკო, ექიმი ჯანდიერი, და იმედი რჩება, რომ მართაც ამ გზას გაჰყვება. გომურს სიმბოლური დატვირთვა აქვს, იგი მაცხოვრის შობის ადგილის, ბეთლემის გამოქვაბულის პარადიგმად აღიქმება, საიდანაც სიკეთე უნდა გამოვიდეს, რასაც გიორგა უდგას სათავეში და ამ ქმედებას წარმართავს. იგი დედის ქორწილის დღიდანვე იწინიებს იმას, რომ დედამისს მაიორი გადაჰკიდა, ხოლო სინანულს სიკვდილით ამთავრებს. გიორგას უარი მაკაბელების ჭერქვეშ ცხოვრებაზე მისი სინანულის გამოხატულებაა. ანა შვილის გარდაცვალების შემდეგ გომურში მკვიდრდება და ქმარს აშკარად უპირისპირდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მადლს ამჯერად უკვე ანა ატარებს და აძლიერებს, რის დამადასტურებელი ქრისტიანული სახე-სიმბოლოებია ჩიტები, რომელთაც ანა აპურებს, და გიორგას სახედარი, რომელიც იერუსალიმში უფლის სახედრით შესვლის პარადიგმად და აღუზიად გაიაზრება. ანა შვილის სამყოფელში, გომურში, ბედნიერია. დამარხვამდე გომურში შეაქვთ ალათიას

გვამიც, რომელიც სიცოცხლეში უანგაროდ გასცემდა სიკეთეს. მაკაბელთა სულიერი აღორძინება გომურიდან იწყება და ნელ-ნელა ფართოვდება*. ანასა და გიორგას სიკეთე მომავალ თაობაში, ნიკოში, ალექსანდრესა და ანეტაში უნდა გადავიდეს. სამივენი სახლიდან გარბიან, რათა იდენტობა, საკუთარი თავის მოპოვება შეძლონ. ასე გადის სიმბოლურად ანასა და გიორგას მადლი ოჯახიდან და მომავალს ეფინება. მხატვრული სივრცის იდენტობის რღვევას რომანში ქაიხოსრო იწვევს, რადგან იგი, უარყოფითი იდენტობის მქონე, სხვასაც წინ ელობება საკუთარი მეობის ძიების გზაზე. მაკაბელებს ღირებულებების შეგრძნება, ალქმა არ აქვთ, რაც მათ სულიერ სიღარიბეს ნიშნავს. მათთვის სიცოცხლე მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაზე ზრუნვა და მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებაა. პეტრეს საფიქრალი ხომ მხოლოდ ღვინის სარფიანად გაყიდვაა, შვილების სიყვარულის მოპოვებაზე არ ზრუნავს. ანას სიკეთე უძღური აღმოჩნდა. ქაიხოსროს უარყოფითმა ძალამ მეტი გააკეთა და ოჯახის არც ერთ წევრს სიკეთედ ჩამოყალიბების საშუალება არ მისცა. მიუხედავად ამისა, რომანის დასასრულს დიდი სულიერი კატაკლიზმების, დაბრკოლებების შემდეგ მაინც ჩნდება იმედი, რომ მართაში განსახოვნდება მაკაბელთა დადებითი მუხტი, რომელიც გოგონას მემკვიდრეობით ბებიებისგან, ანასგან და ბაბუცასგან უნდა რგებოდა, ამაში უშვილოდ გადაგებული გიორგას წილიც მოიაზრება. მართალია, ოთარ ჭილაძის რომანებში ბოროტება ძლიერად ვლინდება და დიდ ადგილს იჭერს, მაგრამ იგი გადაულახავი არაა, საბოლოოდ დიდი ტანჯვის შემდეგ მაინც სიკეთე იმარჯვებს.

XX საუკუნის 60-70-იან წლებში კიდევ ერთი ქართველი მწერლის სახლელა მიიქცია მკითხველი საზოგადოების ყურადღება. ეს **გურამ დოჩანაშვილის** რომანი, „სამოსელი პირველი“ იყო, რომლის სახის-მეტყველებითი ასპექტების წარმოჩენა მოითხოვს რომანის მიმართების შესწავლას ბიბლიასთან და ძველ ლიტერატურულ ტრადიციებთან, რათა უკეთ გავიაზროთ მწერლის მხატვრული ჩანაფიქრი და უკეთ მივწვდეთ იმ მხატვრულ ფენომენს, რომლის გარეშე არც ერთი ნაწარმოები არ იწერება.

* ამასთან დაკავშირებით უთუოდ უნდა გაგვახსენდეს დემეტრე-დამიანეს ერთი იამბიკო, რომელშიც მღვიმის სულიერ დანიშნულებაზეა საუბარი: „მღვიმე ფართობს სამყაროდ“.

გურამ დოჩანაშვილის რომანში რამდენიმე კონცეპტუალური საკითხია დასმული. ესენია: „ალთქმული მიწის“ პარადიგმა, როგორც მთლიანი სამყაროს სილამაზის ფენომენი და რომანის მთავარი გმირის, ანუ პროტაგონისტის, დომენიკოს გზა, რომელსაც იგი გადის შინიდან გასვლის შემდეგ შინ დაბრუნებამდე; ამ ფონზე თავს იჩენს უძღვები შვილის თემა; ვენახის მუშაკთა და მათი საზღაურის შესახებ იგავის ალუზია რომანის მიხედვით, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და გავრცელებულიც საზოგადოდ ლიტერატურაში. ყურადღება უნდა გავამახვილოთ დუმილის ესთეტიკაზე, როგორც პერსონაჟის გამოსახვის მხატვრულ ხერხზე; უნდა განისაზღვროს რომანის მთავარი თემა: ვინ ვართ, საიდან მოვდივართ, საით მივდივართ და სად ვმთავრდებით, ან ვმთავრდებით კი?! გავიხსენოთ დავით გურამიშვილის უკვდავი სიტყვები:

**„ყმანვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო,
ვინ არის, სიღამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“**

ეს ის მარადიული პრობლემაა, რომელზეც პასუხს ყოველი ეპოქის შემოქმედი ეძიებს. გურამ დოჩანაშვილის რომანი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ თხზულებათა შორის, რომელშიც ადამიანის ამქვეყნიური მისიის განსაზღვრაა მწერლის ასახვის მიზნად დასახული. რომანის არსი ღრმად ფილოსოფიურია, ამავე დროს, საღვთისმეტყველო ლიტერატურითა და ფოლკლორითაცაა მოტივირებული.

ცნობილია, რომ მხატვრულ ლიტერატურას, მრავალ სხვა ფუნქციასთან ერთად, კულტურული სივრცის მოწესრიგება აკისრია, ხოლო ყოველ ახალ ნაწარმოებს მოაქვს დროსივრცული კატეგორიებით განპირობებული სიახლე. XX საუკუნის 60-80-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოსული მწერლები – ზაირა არსენიშვილი, ვახუშტი კოტეტიშვილი, იზა ორჯონიკიძე, ბესიკ ხარანაული, ლია სტურუა, ნუგზარ შატაიძე, მაკა ჯოხაძე, გოდერძი ჩოხელი, კოტე ჯანდიერი, ნაირა გელაშვილი, გულო კობიაშვილი, ელა გოჩიაშვილი, თინათინ მღვდლიაშვილი და სხვანი – ცალკე გამოკვლევას იმსახურებენ, მაგრამ ერთ სტატიამი ეს შეუძლებელია.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, პოლიტიკურ-კულტურული ღირებულებების გადაფასების პერიოდიდან მოყოლებული, ქართულ ლიტერატურაში, ტრადიციულის გვერდით, ახალი ტიპის პროზა და პოეზიაც იმკვიდრებს ადგილს. XXI საუკუნეში გამოჩნდნენ ახალი თაობის წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი ლიტერატურულ ტრადიციათა გამგრძელებლად გვევლინება, მაგ., დავით მალრაძე,

თამარ (თამრი) ფხაკაძე, მაკა გოგუაძე, ანა კორძია-სამადაშვილი, მარიამ ნიკლაური, თამარ მიქაძე და სხვანი, ზოგიც – პოსტმოდერნიზმის ლიტერატურული მიმდინარეობის სათავეებთან დგანან: აკა მორჩილაძე, რატი ამალლობელი, ზაზა თვარაძე, დათო ტურაშვილი, თეონა დოლენჯაშვილი, ბესო ხვედელიძე, არჩილ ქიქოძე, ლაშა ბუღაძე და სხვები. მათი მემკვიდრეობის შესახებ მსჯელობა სამომავლო პერსპექტივად გვესახება. ისინი ჯერ კიდევ შემოქმედებითი ძიების პროცესში იმყოფებიან. ამჯერად მხოლოდ პოსტმოდერნიზმის ძირითადი მახასიათებლების შესახებ შეიძლება ითქვას ზოგი რამ, იმის შესახებაც, არის თუ არა საქართველოში პოსტმოდერნიზმი.

საკითხის უკეთ გასააზრებლად აჭიროა თვით **პოსტმოდერნიზმის** არსში გარკვევა. პოსტმოდერნიზმს უწოდებენ ლიტერატურულ ეპოქას, რომელიც XX საუკუნის 60-70-იან წლებში დაიწყო და დღემდე გრძელდება, ზოგი ვერსიით, ათასწლეულთა გასაყარზე, 2001 წელს, დასრულდა და გლობალიზმის ლიტერატურული ეპოქა დადგა. პოსტმოდერნის, როგორც ლიტერატურის განვითარების ისტორიული ეპოქის მთავარი თავისებურებებია ღირებულებების, ნორმების, იდენტობების, კონცეფციების მრავალფეროვნება, პლურალიზმი, რაც გამორიცხავს ერთადერთი, ყველასთვის საერთო ათვლის წერტილის არსებობას, დეცენტრირებას, ეთიკური, ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. ყურადღება მახვილდება იმაზე, რაც აქამდე ხელოვნურად, იძულებითი მეთოდებით იდეენებოდა ან ითრგუნებოდა. მნიშვნელოვანია არა ის, რაც ცენტრშია, არამედ საყურადღებოა ყველაფერი მარგინალური. სწორედ ამგვარი დეცენტრირების შედეგია, მაგალითად, ეკოლოგიური ცნობიერება და ფემინიზმი. პოსტმოდერნულ ეპოქაში არ მოიპოვება ღირებულებების მწყობრი, ყველასთვის მისაღები სისტემა: ტრადიციული დიქტომიების რღვევის შედეგად იშლება ზღვარი გონითსა და მითოსს, კეთილსა და ბოროტს, ლამაზსა და მახინჯს, თეთრსა და შავს, ქალსა და მამაკაცს, ცივილიზაციასა და ბუნებას, ბავშვსა და ზრდასრულს, ცნობიერებასა და სხეულს, ფსიქიატრსა და პაციენტს, სინამდვილესა და სიმულაციას შორის. მოდერნისტული ეპოქისაგან განსხვავებით, თვით სუბიექტიც მოკლებულია უნარს, იყოს სამყაროს ცენტრი, რადგან სამყაროში იმდენივე სინამდვილე, იმდენივე ღირებულებათა სისტემა და იმდენივე ცენტრია, რამდენი ადამიანიც არსებობს. პოსტმოდერნისტებს აღარ სწამთ სამყაროს შეცვლის შესაძლებლობა და ამიტომ მათი მემკვიდრეობა ნაკლებ მეტაფორულ-

ლია. მათი აზრით, ახალს ვერაფერს შექმნი, რადგან თითოეული ახალი ქმნილება ძველის, ზოგჯერ ოდნავ სახეცვლილის, გამეორებაა. ისინი არ ცდილობენ, შექმნან ორიგინალური ნაწარმოებები, კომპოზიციური თუ შინაარსობრივი თვალსაზრისით. თითოეული პოსტმოდერნისტული ტექსტი ერთგვარი მიწვევაა სასიამოვნო თამაშზე უკვე ნაცნობი ლიტერატურული ან სხვა მოტივებით, თემებით, მოქმედი პირებით, სიუჟეტებითა და ა.შ. იგი მოიცავს ციტატებს და აშკარა ან ფარულ ინტერტექსტობრივ მინიშნებებს და იკითხება როგორც უკვე ნაცნობი ტექსტის პაროდია. ნიმუშად აკა მორჩილაძის პროზას დავასახელებდი. პოსტმოდერნისტული ლიტერატურის თავისებურებაა ასევე საზღვრის წაშლა ტრივიალურსა და სერიოზულ ლიტერატურას შორის: პოსტმოდერნისტული ტექსტი ორშრიანია, იგი, ერთი მხრივ, თავშესაქცევ ამბავს მოგვითხრობს, მეორე მხრივ კი - გამომძიებლად აქცევს მკითხველს, რომელმაც თავად უნდა იცნოს და ერთმანეთთან დააკავშიროს ტექსტში მიმოხვეული ინტერტექსტობრივი მინიშნებები. პოსტმოდერნიზმში გამქრალია ის ე. წ. რევოლუციური განწყობა, რომელიც მოდერნისტულ მიმდინარეობებში იჩენდა თავს. პოსტმოდერნიზმი არის სტილების, ჟანრებისა და მიმდინარეობების კომბინაცია, რის გამოც ყველა პოსტმოდერნისტული ნაწარმოებისთვის საერთო თავისებურებების დადგენა შეუძლებელია. პოსტმოდერნისტული ესთეტიკა მიმართულია არა ძველი ნორმების რღვევისა და გადაფასებისკენ, არამედ მათი გახსენებისა და შენარჩუნებისკენ. თუმცა ძველის გახსენება ხორციელდება არა მიამიტურად, არამედ მსუბუქი და ოდნავ ნოსტალგიური ირონიით (მოსაზრებები პოსტმოდერნიზმის შესახებ მოცემულია რუსულენოვანი ლიტერატურის ენციკლოპედიის მასალის მიხედვით).

ცნობილი პოსტმოდერნისტი საზღვარგარეთელი ავტორები – უმბერტო ეკო, იტალო კალვინო, პატრიკ ზიუსკინდი, პოლ ოსტერი, მიშელ ბიუტორი, დენ ბრაუნი და სხვები, – ერთი მხრივ, წარსულის ფურცლებს აცოცხლებენ, მეორე მხრივ, სრულიად ახალ დროსივრცულ სამყაროში მოგზაურობას სთავაზობენ მკითხველს. განსაკუთრებით მინდა გამოვყო ჩემთვის უაღრესად საინტერესო რომანები: უმბერტო ეკოს „ვარდის სახელი“ და „პრადის სასაფლაო“, დენ ბრაუნის საკმაოდ გახმაურებული თხზულება „და ვინჩის კოდი“, რომლებშიც ტრადიციული სიუჟეტური რკალი დეტექტივის სიუჟეტსაა გადაბმული და ხშირად სამყაროში მიმდინარე მოვლენები, პერსო-

ნაუები, ამბები ამოყრავებულია და ფანტასტიკის სფეროში გადადის. საქართველოში, მართალია, პოსტმოდერნიზმის ეპოქაა, მაგ., აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, შოთა იათაშვილი, ლაშა ბულაძე, ზაზა ბურჭულაძე, ზაზა თვარაძე, ირაკლი სამსონაძე, ირაკლი ჯავახაძე და სხვ., მაგრამ მათი თხზულებები მეტაფორულ აზროვნებას მოკლებულია და, შესაბამისად, უფრო დოკუმენტური პროზის, ზოგჯერ ტექსტის გადანერის ხასიათს ატარებენ და წინა პერიოდების მწერალთა მხატვრული მემკვიდრეობის ლიტერატურულ გადამუშავებას გვთავაზობენ. ლიტერატურათმცოდნეობაში მათი ადგილიც განსაზღვრულია, თუმცა მათი კვლევა წინამდებარე სტატიის მიზანი არ არის. მაინც მინდა აღვნიშნო, რომ დასახელებულთაგან ზოგიერთის მემკვიდრეობა წინა ლიტერატურულ ტრადიციებს ეხმიანება და მეტად საინტერესო გააზრებასაც გვთავაზობენ. პოეზიიდან მაგალითად უნდა დავასახელო ზაზა თვარაძის ლექსი „ლურჯი მერანი“, რომელიც მხატვრული და მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით, ერთი მხრივ, ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანთან“ ამყარებს სულიერ კავშირს, მეორე მხრივ, გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენებთან“, ასევე, ლიტერატურული ასოციაციები და ალუზიები მას შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანთანაც“ აკავშირებს.

გაზვიადებულად მიმაჩნია თანამედროვეობაში გავრცელებული ის სკეპსისი, რომანის, როგორც ჟანრის, „გარდაცვალება“ რომ იუნყეობა. ეს, ალბათ, უფრო ხელმოცარულ მწერალთა ხვედრია, რომლებიც „დიდსა ვერ მოჰკვლენ, ხელად აქვს ხოცა ნადირთა მცირეთა“. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ კლასიკად ქცეულ თხზულებათა გადანერა-გადააზრების პოსტმოდერნისტულ ეპოქაში ჩვენს თვალწინ, XXI საუკუნის დასაწყისში შეიქმნა ახალი რომანი, არაორდინარული, სრულიად განსხვავებული სტილით შესრულებული ტრადიციული, კლასიკური ხასიათისა, რომელიც მოდერნისტულ-პოსტმოდერნისტული რომანისაგან განსხვავდება. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ არც მთლიანად დაცილებულია პოსტმოდერნისტულ ხერხებსა და ტენდენციებს. ეს გახლავთ **მაკა გოგუაძის „ერზაცი ისევ ხუმრობს“**.

მაკა გოგუაძემ ქართულ მწერლობაში ახალი სიტყვა მოიტანა; მწერალს ყოველთვის აქვს მკითხველისათვის სათემელი რაღაც ახალი, რადგან ყოველი ეპოქა ახალ ღირებულებებზეა ორიენტირებული. იგი მთელი თავისი არსებით, მსოფლხედვით, განცდით შემოქმედია, მისი რომანიდან კიდევ ერთხელ ნათლად წარმოჩნდება, რომ

სამყარო საოცრად მრავალფეროვანია. მაკა გოგუაძემ თავისი რომანით მკითხველსა და მწერალს შორის სანახევროდ განყვეტილი სულიერი კავშირი აღადგინა და, ასე მგონია, ჩვენი დარღვეული ცხოვრებისეული ეთიკური არსის აღდგენის გზებიც შემოგვთავაზა. ეს რომანი ამის სანინდრად უნდა მივიჩნიოთ. ჩემი აზრით, ის სკეპტიკური დამოკიდებულება, რომელიც ბოლოდროინდელ კრიტიკულ სტატიებსა და აზროვნებაში იჩენს თავს, თითქოს ამბის, ისტორიის თხრობა, როგორც უბრალოდ ყოველდღიური ცხოვრების სილამაზის ასახვა, და თითქოს მხოლოდ „ვეფემისტური ორნამენტული ფორმებით“ მოწოდება იყოს მწერლის მთავარი მიზანი, სრულიად ქარწყლდება მისთვის, ვინც ამ რომანს წაიკითხავს.

მინდა ორიოდ სიტყვით შევებოთ რომანის სათაურს: „ერზაცი ისევ ხუმრობს“. ავტორმა ერთ თავის ინტერვიუში განაცხადა: **„აღამიანს, მეტადრე, შემოქმედს, არ ჰყავს ერზაცზე – არანამდვილზე, სუროგატზე დიდი მტერი“**. მოგეხსენებათ, სათაური ნაწარმოების გასაღებია, ხოლო სახელდების პრინციპი ერთდროულად არის ბიბლიური შესაქმური პროცესის შემადგენელი ნაწილი, ფილოსოფიური და ესთეტიკური კატეგორია. ამიტომაც მაკა გოგუაძის რომანის სახელწოდება მრავალმრიანი და ღრმააზროვანი; იგი, როგორც ხატოვანი და სახეობრივი არსის მქონე, მთელ რომანს მსჭვალავს. სწორედ სათაურით წარმოჩნდება რომანის ძირითადი მხატვრულ-ესთეტიკური და ზნეობრივ-მორალური პრობლემატიკა. რომანის სათაური მრავალ კითხვას აღძრავს: 1. თუ ერზაცი, რომელსაც ნამდვილი საგნის მხოლოდ ზოგიერთი თვისებაა აქვს შერჩენილი და, აქედან გამომდინარე, ყალბია, სუროგატია, ოდესმე შეიძლება გახდეს სერიოზული? 2. ან თუ ყველაფერი ის, რაც ჩვენს ირგვლივაა, ჩვენს რეალურ ცხოვრებაშია, ერზაცია, რაა ნამდვილი? 3. და კიდევ: თუ რომანის სახელწოდებას განვაზოგადებთ და ქართველი ერის ცხოვრებასა და ისტორიას ვიგულისხმებთ, მაშინ რა არის ნამდვილი „ქართლის ცხოვრება“ ან ნამდვილი „ქართველი ერის ისტორია“? ამ პრობლემების მხატვრული წარმოსახვაა მწერლის მიზანი.

„ერზაცი ისევ ხუმრობს“ ერთი ოჯახის საგაა, რომელშიც უმთავრესია მთავარი პერსონაჟის რთული სულიერი ცხოვრება, მისი გარდასახვები, პიროვნებად ჩამოყალიბების ურთულესი პროცესი; აქედან გამომდინარე, გახლენილი, გაორებული პიროვნების, ასევე გახლენილი საზოგადოების გამთლიანების მიზანდასახულობა წარმართავს რომანის სიუჟეტსა და კომპოზიციას. რომანის მთავარი პერ-

სონაჟი სულიერების, მაღალი იდეალებისა და მარადიული ღირებულებების მადიებელია, სულიერი წიაღის, სულიერი მამის მადიებელია, რომელსაც „გულისგული ეუბნებოდა: ძიდან დაქირავებულამდე ჩამოქვეითდიო“. ამიტომ რომანის დასასრული, უფრო ზუსტად, ბოლო ფრაზა: „მზეს რა ამოიყვანდა!“ კონცეპტუალურ ხასიათს იძენს, რომელსაც უთუოდ დაჰკრავს ტრაგიკული ელფერი. იმედის მომგვრელია, რომ ამგვარი რომანები ქართულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ იქმნება. მაკა გოგუაძის რომანი ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს აგრძელებს.

XX-XXI საუკუნეების მიჯნის ქართულ ლიტერატურას საზღვარგარეთაც ჰყავს წარმომადგენლები, რომელთა ნაწილი ქართულად წერს, ნაწილიც – იმ ენაზე, რომელ ქვეყანაშიც ცხოვრობს. მათგან ნინო ხარატიშვილი მინდა გამოვყო და ზოგი რამ მოგახსენოთ. იგი თბილისში დაბადებული ახალგაზრდა პროზაიკოსი და დრამატურგი გახლავთ. ოლონდ გერმანიაში ცხოვრობს და გერმანულად წერს. ნინო ხარატიშვილი საოცრად პოპულარულია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, მისი დრამები დასავლეთის უდიდეს თეატრებში წარმატებით იდგმება, მიღებული აქვს საერთაშორისო ჯილდოები, პრემიები. მისმა რომანმა „ჟუჟამ“ გამოქვეყნებისთანავე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება, იგი ქართულადაც ითარგმნა და გამოიცა. ესაა რომანი ნიგნზე, ლიტერატურაზე, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ლიტერატურა ადამიანის სულიერ-ინტელექტუალურ სამყაროზე. ესაა რომანი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ერთმა ნიგნმა ნებისმიერი ადამიანის ცხოვრება თავდაყირა დააყენოს. ნინო ხარატიშვილმა ორიოდ წლის წინ დაასრულა 1275-გვერდიანი რომანი „მერვე სიცოცხლე“, რომლის ქართულ ენაზე თარგმნა ახლა მიმდინარეობს. მწერლის სიტყვით, ესაა ერთი ოჯახის ისტორია, რომელიც 1900 წლიდან იწყება და 2007 წლამდე მოდის. იგი საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ისტორიას მოიცავს, რაც ძირითად თხრობას გასდევს. მოქმედების ადგილებია თბილისი, პეტერბურგი, მოსკოვი, ლონდონი, ბერლინი, ე.ი. რომანის მხატვრული სივრცე უკიდევანოა. რომანისათვის ავტორს დასჭირდა რუსეთის ბიბლიოთეკებსა და არქივებში მუშაობა.

* * *

ბოლოს მინდა გაგიზიაროთ ჩემი დამოკიდებულება საქართველოში არსებული თანამედროვე სულიერ-ინტელექტუალური ვითარების შესახებ: ავტორიტეტულახულ ნიგნიერებას, განათლებას დღეს ლიტერატურა, ჭეშმარიტად ღირებული ლიტერატურა უნდა დაეხმაროს, მეტიც – გადაარჩინოს. ჭეშმარიტმა შემოქმედმა უნდა

თქვას თავისი ორიგინალური, კულტურის, სულიერების, ინტელექტის გადამრჩენი სიტყვა, რადგან ლიტერატურას, საზოგადოდ კულტურას, ნიგნიერი, განსწავლული ადამიანები ქმნიდნენ და ქმნიან.

ჰერაკლიტეს ცნობილი სიტყვების მიხედვით, ისტორიული მდინარების ყოველი მონაკვეთი განუმეორებელია. სწორედ მისი ამ შეუცვლელი და შეუვალი თვისების მიზეზის გამო ადამიანს მეორედ არ მოუწევს მდინარების იმ ნაკადში, იმ მონაკვეთში ჩასვლა, რომელშიც ერთხელ უკვე ჩავიდა, ვინაიდან ყოველი ახალი ნაკადი და მასში ჩასვლა განუმეორებელია. ეს იმასაც მიუთითებს, რომ ყოველი ადამიანი განუმეორებელია, თუნდაც მას ბევრი საერთო თვისება თუ გარეგნული ნიშანი აკავშირებდეს წინაპრებთან, თანამედროვეებთან თუ მომავალ თაობებთან. ყოველი ადამიანი ინდივიდია, განუმეორებელი ინდივიდი, რომელიც ფიქრობს იმაზე, საიდან მოდის, საით მიდის, რა მოეთხოვება და რა უნდა აკეთოს. მართალია, ამ თვალსაზრისის განზოგადება ძნელია, რადგან თუნდაც ძლიერად გამოკვეთილი ინდივიდი-პიროვნებებიც კი ორად იყოფიან. ასევეა ლიტერატურაც, ნებისმიერი ქვეყნის ლიტერატურა ინდივიდუალურია, რადგან ადამიანების, ქვეყნების ცხოვრებას ასახავს, სამყაროში მიმდინარე პროცესებს ეხმიანება. ამიტომ ლიტერატურა სულიერ საზრდოს აწვდის ნებისმიერ ადამიანს, ვისაც უყვარს წიგნი და კითხვა, ან არ უყვარს, მაგრამ იცის მისი ფასი და ღირებულება. საქმე ისაა, რომ ქართული ლიტერატურა მისაწვდომი უნდა გახდეს მსოფლიოსთვის. დავიმოწმებ რევაზ თვარაძის სიტყვებს, რომ დასაწვდომი იქნება, თუ მსოფლიოსათვის უცნობი დარჩება ქართული ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურა ბევრს დაკარგავს, თუ ქართული ლიტერატურა არ ეცოდინება. ყოველი ქვეყნის ლიტერატურა თავისი ქვეყნის ძველი და თანამედროვე საზოგადოებრივი ვითარების, პოლიტიკური ისტორიის ცოდნას იძლევა, რადგან ყოველი ნაწარმოები იკითხება, როგორც თავისი ეპოქის სულიერი და ინტელექტუალური დონის გამოხატულება, თავისი ერის საზოგადოებრივი ცხოვრების ანარეკლი. ქართული ლიტერატურაც საქართველოს ისტორიის, ქართველი ერის სულიერი და ინტელექტუალური შესაძლებლობების გამოვლინებაა და, შესაბამისად, მისი განვითარება და მსოფლიოსათვის გაცნობა ჩვენი უპირველესი მოვალეობა უნდა იყოს.

ԳՐԱԳՐՈՒ

ქობინობა (რუსთველი 850)

გულიკო ბექაური

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა მესამე კონკურსი უნივერსიტეტში

„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნას არამატერიალური კულტურის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. 2016 წელი შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეა, ამიტომ იუნესკომ ეს წელი შოთა რუსთაველის წლად გამოაცხადა. ამ საიუბილეო თარიღს ვუძღვნით ჩვენს წერილს, რითიც კიდევ ერთხელ გამოვხატავთ უდიდეს სიყვარულსა და პატივისცემას უკვდავი პოემისადმი, რომელიც ყველა დროსა და ეპოქაში მნიშვნელოვანი ძეგლი იქნება, რომელსაც შეუძლია ნებისმიერ ცხოვრებისეულ კითხვას და პრობლემას გასცეს პასუხი.

არასოდეს დამავიწყდება „შოთაობა“, რომელიც იყო ყველაზე დიდი და ეროვნული დღესასწაული სამცხე-ჯავახეთში. გავრბოდი მანქანისკენ, სადაც შოთა რუსთაველის სურათი იყო. ყველას გვინდოდა სურათთან ახლოს ყოფნა, ამიტომ ერთმანეთს ვეჯიბრებოდით, ვის შეხვდებოდა ეს ადგილი. საოცარი სიყვარული დღესაც მომყვება, ის ბავშვური შთაბეჭდილებები დღესაც ცოცხალია და ერთადერთი, რაც ძალიან მინდა, ის არის, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ყველას უყვარდეს, განსაკუთრებით - მომავალ თაობას.

1966 წელი... ასპინძის კულტურის სახლი სავეა ხალხით. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაში პირველობისათვის რამდენიმე კანდიდატი იბრძვის. მიხა ჯვარიძის ხმა ისმის... შეუცდომლად ყვება სტრიქონებს და ერთადერთი გრძნობა, რომელიც ასპინძელებს ეუფლებათ, სიამაყეა, შენი კუთხის ღირსეული ადამიანის მოსმენით გამოწვეული. მაშინ სკოლას ამთავრებდა... აღტაცებული და გახარებული ადევნებდა თვალს კონკურსს... თან პაპის ნათქვამი ახსენდება: „თუ გინდა ცოდნა და განათლება მიიღო, „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ისწავლო“. ეს სიტყვები მთელი ცხოვრება ახსოვდა, პროფესიაც ისეთი აირჩია, პირდაპირ თუ ირიბად ყოველთვის „ვეფხისტყაოსანთან“ იყო დაკავშირებული. ბავშვური შთაბეჭდილებები, ოჯახის დარიგება, ხალხის ემოცია და სიხარული - ის დიდი მოტივი გახდა, რითაც თავს ვალდებულად თვლის, ყველაფერი გააკეთოს

იმისათვის, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ უყვარდეს და ახსოვდეს ხალხს, განსაკუთრებით მომავალ თაობას.

ასე შორიდან მიყვარს ხოლმე იმ აზრზე ფოკუსირება, რომლსაც ვეხები და ვწერ. ვწერ „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაზე და მინდა მადლობა გადავუხადო იმ პიროვნებას, ვინც ამ ტრადიციას საფუძველი ჩაუყარა. ეს ბატონი მერაბ ბერიძეა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი. მიჭირს მასზე საუბარი, მისაყვედურებს კიდევ (არ უყვარს ქება), მაგრამ ეს ჩვენი ისტორიაა და ყველამ უნდა იცოდეს, გაიგოს, შეაფასოს. სერგი მიხალკოვი მახსენდება: „ყველაფერი ბავშობიდან იწყება“...

1999 წელი... ახალციხის უნივერსიტეტის სააქტო დარბაზი... „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაში კონკურსია. ერთმანეთს რამდენიმე ზეპირად მცოდნე ეჯიბრება. ჟიურის თავმჯდომარე, უნივერსიტეტის რექტორი, გამარჯვებულს აცხადებს: „დღევანდელი კონკურსის გამარჯვებულია ანრო ცირეკიძე“. დარბაზში მქუხარე ტაში გაისმა... კომპეტენტურმა ჟიურიმ ობიექტური გადანყვეტილება მიიღო.

2015 წლის დეკემბერში ჩატარებულ კონკურსს წინ უძღოდა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმი, რომელიც, გვჯერა, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ეროვნული კულტურული ფასეულობების დაცვას და პოპულარიზაციას. 2015 წლის 30 სექტემბერს „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიენიჭა. ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობის წინაშე დაგვაყენა, რადგან ამ საქმეში ჩვენი უნივერსიტეტმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. იმავე დღიდან დავიწყეთ მზადება კონკურსის მოსამზადებლად. ჩვენი ფაკულტეტი აქტიურად ჩაერთო საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. დავუკავშირდით მუნიციპალიტეტებს, რესურსცენტრებს, გავავრცელეთ ინფორმაცია თანამედროვე მედია საშუალებებით. მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა სამი კონკურსანტი: ქუთაისიდან ზემფირა გვამბერიძე, ტყიბულიდან ანრო ცირეკიძე, ახალციხიდან თემურ ხუციშვილი. კონკურსი ჩატარდა 10 დეკემბერს.

აქვე მინდა ჟიურის შემადგენლობა მოგახსენოთ: თავმჯდომარე - უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე, წევრები: რექტორის მოადგილეები სასწავლო და სამეცნიერო დრაგმი ნიკო

ახალკაცი, მაკა ბერიძე-კაჭკაჭიშვილი, უნივერსიტეტის პროფესორები: ნესტან სულავა, ქეთევან გრძელიშვილი, დალი ბეთხოშვილი და ვახტანგ ინაური. კონკურსს ესწრებოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი ქალბატონი მაკა თაქთაქიშვილი, რომელმაც სცენაზე მისაღმების დროს აღნიშნა, რომ 2016 წელს რესპუბლიკური ღონისძიება „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაში სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდებოდა. უნივერსიტეტის რექტორატის გადანყვეტილებით გამარჯვებულებისათვის დაწესდა სამი პრემია: I ადგილისთვის - 1000 ლარი, II-სთვის - 800, ხოლო მესამე ადგილისთვის - 600 ლარით.

საკმაოდ დიდი და დაძაბული პაექრობის შემდეგ გამოვლინდა ორი გამარჯვებული, რომელთა შორის არჩევანის გაკეთება შეუძლებელი გახდა. მსჯელობის შემდეგ ყიურომ მიიღო გადანყვეტილება, რომლის თანახმადაც ორივე კონკურსანტი, ანრო ცირეკიძე და თემურ ხუციშვილი, გახდა პირველი ადგილის პრემიის მფლობელი. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნის კონკურსში მონაწილეობა მიიღეს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ განძის რუსთაველის სახელობის სკოლის მოსწავლეებმა, რომლებმაც ქართულ და სომხურ ენებზე ზეპირად წაიკითხეს სტრიქონები „ვეფხისტყაოსნიდან“. სკოლის ქართული ენის მასწავლებელმა ქალბატონმა ნანული ბარჯაძემ ბრწყინვალედ წარმოადგინა ინსცენირება, როგორც გაკვეთილი „ვეფხისტყაოსნაზე“.

კონკურსი იყო მეტად ემოციური, დაძაბული და საინტერესო. 10 დეკემბერი უნივერსიტეტის ისტორიაში ჩაინერა, როგორც ერთ-ერთი დასამახსოვრებელი დღე, რომელმაც კიდევ ერთხელ შეგვახსენა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ იმ მაღალი სულიერი ღირებულებების მატარებელი საუნჯეა, რითაც ყოველთვის იამაყებს ქართველი ერი.

იუნესკოს გადანყვეტილებით, შოთა რუსთაველის 850 წლისთავთან დაკავშირებით, 2016 წელი რუსთაველის წლად გამოცხადება იყო კიდევ ერთი აღიარება და პატივისცემა იმ უკვადავი პოემისა, რომელმაც უდიდესი როლი შეასრულა ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების პროცესში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში საზეიმოდ აღინიშნა ეს დღესასწაული, მათ შორის ჩვენს ქვეყანაშიც და ჩვენს უნივერსიტეტში.

2016 წლის თებერვლიდან დაიწყო მზადება ახალი კონკურსისათვის. ახლა უკვე ჩვენ და კულტურის ეროვნული სააგენტოს წარმო-

მადგენელმა ქალბატონმა მაკა თაქთაქიშვილმა დაავიწყეთ პროგრამის მომზადება და ინფორმაციის გავრცელების კამპანია. მთელი საქართველო ჩაერთო ამ პროცესში, ადგილობრივი თვითმმართველობები, რესურსცენტრები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მეცნიერებათა აკადემია, ლიტერატურისა და ენათმეცნიერების ინსტიტუტები, განათლებისა და მეცნიერების, კულტურისა და სხვა სამინისტროები. საერთო სახალხო აქტივობამ შედეგი გამოიღო - თავდაპირველად 35 კონკურსანტი დარეგისტრირდა ქვეყნის თითქმის ყველა რეგიონიდან, მაგრამ როგორც კი გაიგეს კონკურსის პირობები, 20-მა მათგანმა მოხსნა კანდიდატურა. ქვემოთ მოგახსენებთ იმ 15 მონაწილის ვინაობას, რომლებსაც რეალურად უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ზოგიერთმა ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო და დასკვნით დღეს 9 კანდიდატი ჩამოვიდა ახალციხეში.

**„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსის
მონაწილეთა ნუსხა:**

1. ხუციშვილი თეიმურაზ - ახალციხე
2. ბერიძე ლავრენტი - ახალციხე
3. აფციაური ევგენია - ახალციხე
4. ვანაძე შალვა - ადიგენი
5. აკოფაშვილი პავლე - ადიგენი
6. სალაღია ნანა - ბორჯომი
7. ჩხეიძე ომარ - ბორჯომი
8. ცირეკიძე ანრო - ტყიბული
9. გუმბერიძე ზემფირა - ქუთაისი
10. ლანჩავა ნათელა - ტყიბული
11. ბექაური შალვა - დუშეთი
12. აფციაური გრიშა - დუშეთი
13. სიყმაშვილი თინათინ - ლაგოდეხი
14. ნესუაშვილი მანანა - გურჯაანი
15. ელიტაშვილი მაია - გურჯაანი

ამ ჩამონათვალიდან კონკურსში მონაწილეობა ვერ მიიღეს ევგენია აფციაურმა, ნანა სალაღიამ, შალვა ვანაძემ, ლავრენტი ბერიძემ, ომარ ჩხეიძემ, შალვა აკოფაშვილმა.

უშუალოდ კონკურსის დანყებას წინ უძლოდა უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ფოიეში „ვეფხისტყაოსნის“ თემატიკაზე შესრულებული ნახატების გამოფენა, რომლის ავტორები ნინოზმინდის მუ-

ნიციპალიტიკის, სოფელ განძის რუსთაველის სახელობის სკოლის, ასპინძის მუნიციპალიტიკის სოფელ რუსთავის, სოფელ ოშორის საჯარო სკოლების მოსწავლეები და უნივერსიტეტის დიზაინის მიმართულების კურსდამთავრებული თამარ თამარაძე იყვნენ. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში კი ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტიკების სოფლების: რუსთავის, უდისა და არლის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა რეჟისორ ნოდარ ბეგიაშვილის მეთვალყურეობით პირდაპირ რეჟიმში შეასრულეს ილუსტრაციები „ვეფხისტყაოსნიდან“.

კონკურსში გამარჯვებულთა დაჯილდოება და საზეიმო ცერემონიალი 23 ივნისს, ახალციხის ციხის ტერიტორიაზე გაიმართა, სადაც მონაწილეობა მიიღეს ნინოწმინდის მუნიციპალიტიკის სოფელ განძის რუსთაველის სახელობის სომხური სკოლის მოსწავლეებმა, ახალციხის სასულიერო სემინარიასთან არსებული არლის სამრევლო სკოლის გუნდმა „ირმისამ“ (ხელმძღვანელი მონაზონი ალაპია ბეშაძე), რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა ქართული საგალობლები.

კონკურსში გამარჯვებულები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ბერიძემ და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ანთიძემ დააჯილდოვეს.

როგორც უკვე აღვნიშნე, საბოლოოდ კონკურსში ცხრა კონკურსანტი მონაწილეობდა. მათგან პირველი-მეორე ადგილი კვლავ თემურ ხუციშვილმა და ანრო ცირეკიძემ გაიყვეს, მესამე ადგილზე კი გურჯაანელი მანანა ნესუაშვილი გავიდა.

აქვე მოგახსენებთ კონკურსის ჟიურის წევრებს:

ჟიურის თავმჯდომარე - უნივერსიტეტის რექტორი, **პროფესორი მერაბ ბერიძე**;

წევრები: მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი, **პარმენ მარგველაშვილი**;

ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის განყოფილების უფროსი **ვანო ამირხანაშვილი**;

კულტურის მინისტრის მრჩეველი **გიორგი გეგეჭკორი**;

რუსთველოლოგი, უნივერსიტეტის პროფესორი **ნესტან სულავა**;

რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, ასოცირებული პროფესორი **მაკა კაჭკაჭიშვილი**;

8 საათის განმავლობაში ისინი ყურადღებით უსმენდნენ ზეპირად მცოდნეებს.



2016 წლის 23 ივნისი, კონკურსის მიმდინარეობის პროცესი, მარცხნიდან მარჯვნივ მესამე რიგში: რუსთაველის საზოგადოების თავრე დავით შემოქმედელი, მეორე რიგში: კულტურის მინისტრის მრჩეველი გიორგი გეგეჭკორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილე დავით ლომიტაშვილი, ქალაქ ახალციხის მერის მოადგილე ზაზა თამარაშვილი; პირველი რიგში, კონკურსში გამარჯვებული თემურ ხუციშვილი; სახალხო მთქმელი, ფოლკლორის სახელმწიფო პრემიის ლაურიატი, მოსე ბექაური; კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე დუშეთის მუნიციპალიტეტიდან, ფილოლოგი შალვა ბექაური.

ვუყურებ მოხუცებს, რომლებმაც ზეპირად იციან „ვეფხისტყაოსანი“ და გული სიამაყით მეფლება. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც „ვეფხისტყაოსნის“, თავისი ქვეყნის, ხალხის სიყვარულით გაიზარდნენ და ახლა სურთ ეს სიყვარული მომავალ თაობას, საზოგადოებას და ქვეყანას გადასცენ. კიდევ ერთხელ შეგვახსენონ, რომ არაფერია იმაზე ძლიერი, ვიდრე მოყვასის, შენი ქვეყნისა და ხალხის სიყვარული.

1966 წელი... ასპინძის კულტურის სახლი სავსეა ხალხით. „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად ცოდნაში პირველად ტარდება კონკურსი. მიხაჯვარიძის ხმა გულის სიღრმეში აღწევს... სიყვარულზე, მეგობრობასა და ყველა პიროვნულ ღირებულებაზე აფიქრებს ხალხს. „თუ გინდა ცოდნა და განათლება მიიღო „ვეფხისტყაოსანი“ უნდა ისწავლო“... ასე ამბობდნენ და აფასებდნენ „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენი წინაპრები.

გვჯერა, ეს სიტყვები ყველა დროში აქტუალური და მნიშვნელოვანი იქნება.

ბაბოხმარება

სერგო წურნუშია

„არავი“ – ახალი ჟურნალი ქვეყნის სამხრეთ პარიზშიდან*

ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დანიშნულება ამ რეგიონისა და სრულიად საქართველო-სათვის იმთავითვე გარკვეული, ნატელი იყო და ამის თაობაზე სიტყვას არ გავაგრძელებთ. ჩვენთვის ამჯერად განსაკუთრებული დაინტერესების საგანს ის ჟურნალი წარმოადგენს, რომელსაც უნივერსიტეტი სცემს.

„არავი“ დაურქმევიათ მესვეურებს მისთვის და მორგებულადაც: „არავი არს ქარი სამხრეთით, განმადნობელი ყინვათა“, ასე ჰქონია სულხან-საბას განმარტებული ამ სიტყვის მნიშვნელობა. სწორედ რომ ამგვარი ქარის ქროლვასავით მოაქვს დანარჩენ საქართველოში მესხეთ-ჯავახეთის თბილი და მადლიანი სიტყვა ამ მომცრო ზომის ჟურნალს, რომლის ორი ნუმერიც „განთიადის“ რედაქციასაც გვხვდა საჩუქრად ახალციხის უნივერსიტეტში საქმიანი სტუმრობის დროს.

შეუძლებელი იყო, არ გაგვხარებოდა და შეუმჩნევლად ღიაგვეტარებინა განათლების ამ მნიშვნელოვანი კერის მესვეურთა მცდელობა, მხატვრული სიტყვის ძალითაც შესწეოდნენ თავიანთ მშობლიურ კუთხეს, გაეცნოთ გაეცნოთ მისი შემოქმედებითი ძალები მთელი ქვეყნისათვის.

ცარიელ ადგილას, ტრადიციისა და საძირკველის გარეშე, არაფერი მნიშვნელოვანი არ იქნება და არც „არავი“ მოსულა თავისით. უნივერსიტეტს იმთავითვე, შექმნის დღეებიდანვე ჰქონდა მცდელობა ლიტერატურული ცხოვრების გამოცოცხლებისა და მწერლური ტრადიციის აღორძინებისა.

წლების განმავლობაში არაერთი პოეტური თუ პროზაული კრებული გამოიცა, რამაც თვალსაჩინო გახადა რეგიონის შემოქმედებით ძალა.

* „განთიადი“, 5-6, 2016 წელი, გვ.184-186

იმავედროულად მიმდინარეობდა ინტენსიური მთარგმნელობითი მოღვაწეობა. მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები ითარგმნა უნივერსიტეტის ძალებით ინგლისური, ფრანგული, თურქული, სომხური, ახალბერძნული და სხვა ენებიდან. საბოლოოდ მთარგმნელობით სახელოსნოდ ჩამოყალიბებულმა ჯგუფმა მრავალი საინტერესო თარგმნილი ნიმუში სესძინა ქართულ ლიტერატურულ სივრცეს. ჟერ იყო და გაზეთი „მესხეთი“ იშვა, შემდგომ კი უნივერსიტეტის პირველი კრებული „სიტყვა“.

ურთულეს წლებში კი მხატვრული სიტყვის, პოეზიის ერთგულეობა გახლდათ პედაგოგებისა და სტუდენტების უპირველესი საზრუნავი. სწორედ იმ წლებში ჩამოყალიბდა ლიტერატურული ხუთშაბათობების ტრადიცია, რამაც იმედი ჩაუსახა მის მესვეურებს, რომ შეძლებდნენ სისხლსავსე ლიტერატურული ცხოვრების გაჩაღებას, ააღორძინებდნენ უძველეს ლიტერატურულ ტრადიციებს და აღადგენდნენ დროთა ავბედითობით განყვეტილ მაგისტრალურ ხაზს.

მოდითდნენ სტუდენტთა ახალი და ახალი ნიჭიერი თაობები, აცოცხლებდნენ უნივერსიტეტის ლიტერატურულ გარემოს, იძლეოდნენ იმედს, რომ მათი ძალისხმევით შეიქმნებოდა მძლავრი სამხრეთული ლიტერატურული სკოლა.

სწორედ „სიტყვას“ გამოჩენამ დაავგირგვინა მრავალწლიანი ლიტერატურული მაჯისცემის გამძაფრებისა და შემოქმედებითი ცხოვრების აღორძინებისათვის.

ეს უკვე იყო მნიშვნელოვანი განაცხადი და საფუძველი შემდგომში უფრო მასშტაბური სიტყვის სათქმელად, ამან შეასრულა წარმართული როლი ახალი, ახალი უფრო მნიშვნელოვანი და მასშტაბური ლიტერატურული გამოცემის შესაქმნელად და აი, დადგა დიდი ხნის ჩანაფიქრის აღსრულების დროც: იშვა „არავი“.

ოცდახუთწლიანი ლიტერატურული ცხოვრების შეჯამებად და სამომავლი პერსპექტივის დასასახად გაჩნდა პერიოდული გამოცემის დაარსების აუცილებლობა. მას უნდა შემოეკრიბა რეგიონის გამოჩენილი შემოქმედებითი ძალები - სამეცნიერო ინტელიგენცია, პოეტები, პროზაიკოსები. მეცნიერული ლიტერატურული კრიტიკის, ლიტმცოდნეობითი თუ ისტორიის განხრით შექმნილი ნაშრომების ნაკლებობას უნივერსიტეტი ისედაც არ განიცდიდა.

დღე ამოცანას უსახავს უნივერსიტეტსა და „არავს“ უნივერსიტეტის რექტორი და ჟურნალის რედაქტორი, პროფესორი მერაბ ბერიძე გამოცემის მე-2 ნომრის წინასიტყვაობაში: „დიდი ლიტერა-

ტურე უნდა მოვიდეს. ურრუბლო ციდან წვიმა არ იცის. ჩვენს უნივერსიტეტს აქვს პრეტენზია, რო შექმნას საფუძველი დიდი ლიტერატურის მოსვლისთვის. რომ არ ყოფილიყვნენ სერაპიონ ზარზმელი და გრიგოლ ხანძთელი, არ იქნებოდა რუსთაველი“...

დიდი დაიმედებით შეგვიძლია ვთქვათ, „არავი“ ღირსეულად შეასრულებს მასზე დაკისრებულ ამ საპატიო მისიას – რეგიონის ლიტერატურულ ძალებს, შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულ სტუდენტობას, მეცნიერ-მუშაკებს მისცეს თავიანთი ნაღვანის ქვეყნის მასშტაბიტ გატანის შესაძლებლობა, ამის განცხადების საშუალებას გვაძლევს უკვე გამოცემული პირველივე ნომრები.

ამასთან ერთად „არავს“ ფურცლები უნდა დაეთმო თანამედროვე ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლებისათვის სხვადასხვა რეგიონებიდან თუ დედაქალაქიდან, რათა შექმნილიყო სათანადო ლიტერატურული დონე და მას მიეცა ადგილობრივი შემოქმედებისათვის საკუთარი ძალების რწმენისა და ცნობილ კალმოსანთა გვერდიგვერდ თავის ღირსეულად წარმოჩენისა.

განვლილი გზა, მიღწევები და სამომავლო ორიენტირები, ცხოველი ლიტერატურული ურთიერთობები, შემოქმედებითი დუღილი და სამეცნიერო ნაღვანი შესანიშნავად წარმოჩნდა „არავის“ ორივე ნომრისთვის წამძღვარებულ მერაბ ბერიძის წერილებში – „ზოგი რამ ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან უნივერსიტეტში“ და „სტუმრად უნივერსიტეტში“.

თვალის ერთი გადავლება ც კი საკმარისია ჟურნალის ლიტერატურული პროდუქციით დასაინტერესებლად. მკითხველს არაერთ შესანიშნავ ავტორთან და ნაწარმოებთან მოუწევს შეხვედრა.

ღუბრიკა „პროზა“ წარმოდგენილია გიორგი სოსიაშვილისა და რევაზ მიშველაძის მოთხრობებით: „დამიანეს სტუმარი“ (№1) და „ორმოცდაცხრა“ (№2).

მესხეთის ისტორიის ტრაგიკული ფურცლები, ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მისი მკვიდრების გმირული ბრძოლაა ასახული ზელიძის მალრადის მოთხრობებში „არცა ამბორს-გიყო, ვითარცა იუდა“ და „ქვაკაცა“.

საინტერესოდ იკითხება მე-2 ნომერში დაბეჭდილი ივანე ჯავახიშვილის მონადირეული ჩანაწერები, გიგი ხორნაულის მემუარები, პროფესორ უჩა ბლუაშვილის ნარკვევი XX საუკუნის 20-იანი წლების პოლიტიკური პერიპეტიების შესახებ, რასაც სეენირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა; პროფესორ გიორგი

ბუცხრიკიდის მასალა სამცხე-ჯავახეთის ცნობილი ტერასების სამ-
შენებლო ტრადიციების შესახებ.

პროფესორ ნატო ყრუაშვილის კვლევა მესხეთის პირველი სტამ-
ბის თაობაზე ნათელს ჰფენს პოლიგრაფიული დარგის განვითარების
ერთ ეტაპს საქართველოში.

ყურადსაღებია მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძის წერილი „თანამე-
დროვე ქართული პოეზიის ენისათვის“, რომელშიც ქართველ შემოქ-
მედთა პოეტური ნაღვანია შესწავლილი ენობრივი თვალსაზრისით
„ცისკარი 1852“-ის მასალების საფუძველზე.

რუბრიკით „ლიტერატურული კრიტიკა“ დაბეჭდილია ვახტანგ ინ-
აურის წერილი „ნოდარ დუმბაძე, „მარადისობის კანონი“, ხოლო რუ-
ბრიკა „ესე“ წარმოდგენილია გიორგი მესხის ესეისტური წერილით
„ჯვარცმული დიონისო“, რომელშიც ფრიდრიხ ნიცშეს „ტრაგედიის
დაბადება“ მიმოხილული. „პოეზიაში“ ჟურნალი წარმოგვიდგენს ვაჟა
ხორნაულის, თინათინ მღვდლიაშვილის, მერაბ კვიციანიძის, სალვა კე-
ლოშვილის, მარინა ყიფიანის, ზაირა კელოშვილის ლექსებს.

და მაინც, განსაკუთრებით გამოვყოფთ ჟურნალში წარმოდგენილ
თარგმანებს, რომელთგან არაერთი გამოირჩევა შესრულების დო-
ნით, მაგრამ გვინდა, აქაც გამოვყოთ გრიგოლ რობაქიძის „ორი
ძმა“, გერმანულიდან თარგმნილი ნუგეშა გაგნიძის მიერ, გამოჩენი-
ლი თურქი მწერლის რეშად ნური გუნთეჟინის „ბაჟშვების ჩხუბი“,
მთარგმნელი - მარინე შონია, აგრეთვე - ფრიდრიხ შილერის „ხელ-
თათმანი“, მთარგმნელი - ვასილ მამულაშვილი.

დარწმუნებული ვართ, „არავის“ შემდგომი ნომრები მრავალ ახალ
ავტორსა და ნაწარმოებებს წარმოაჩენს, იგი იქნება ახალი, აქამდე
უცნობი მწერლების ქომაგი და გზის დამლოცავი, გაიყვანს შემოქ-
მედებით ძალებს რეგიონებში, როგორც მას მესვეურები უსახავენ
მიზნად, რათა „ქართული სიტყვა ძალუმად გაისმოდეს ყველგან“.

იმედია „არავი“ დარჩება ერთგული თავისი მისიისა — დაამკვი-
დროს საქართველო იქ, სადაც საქართველოა და ხმამაღლა ახმიანოს
ქართული სიტყვა საქართველოს იმ მხარეში, სადაც ოდესღაც დარ-
წეულა ქართული სულიერებისა და სახელმწიფოებრიობის აკვანი,
რათა მწერლობას შეეძლოს „საკუთარ ფესვებთან ხშირი შეხება,
რომ არ გაცვდეს ეროვნული ემოცია, სულერთი არ გახდეს მწერ-
ლისათვის, ვისთვის წერს იგი და ვინ კითხულობს მის ნაწარმოებს“,
ამავდროულად - დარჩება სამხრეთულ გამოცემად, „რადგან სამ-
ხრეთი ყოველთვის სიტბოს, ერთიანობის სიმბოლო იყო საქართვე-
ლოსთვის“, რათა, „გაღლვეს ყინული, რომელიც თანამედროვე „და-
თითოებულ“ ადამიანთა გულებშია და „არავმა“ სიკეთე მოუტანოს
ჩვენს ქვეყანას“.

ბამონხმეშობა

ავთანდილ მესხი (ავთანდილ ბერიძე)

„არავი არს ქარი სამხრეთით“*

ოცდახუთ წელზე ცოტა მეტი დრო გავიდა, მას შემდეგ, რაც უძველესი ისტორიის მქონე ახალციხეში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაფუძნდა, უნივერსიტეტი, რომელმაც ამ ხნის მანძილზე იმდენი რამ გააკეთა, რისი გაკეთებაც ბევრმა, თითქმის საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სახელმწიფო უნივერსიტეტებმაც, ვერ შეძლო.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი – მძლავრი საგანმანათლებლო კერა დღეს თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მაღალკვალიფიციური აკადემიური დონის კადრებით, არ ჩამოუვარდება ქვეყნის წამყვან უნივერსიტეტებს და ამიტომაცაა, რომ აქ მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები ყოველთვის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც, იმ ფაქტზე, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონის საჯარო თუ კერძო სექტორი, მთლიანად ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებითაა დაკომპლექტებული. გარდა ამისა, ბევრი მნიშვნელოვანი და საპატიო მისიის ავანგარდშიც გვევლინებიან უნივერსიტეტელები – რეგიონში არ ტარდება არც ერთი უმნიშვნელოვანესი მასშტაბური ღონისძიება, რომ მათ თავიანთი ავტორიტეტული სიტყვა არ თქვან. ასევე ნიშანდობლივია, საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მათი მონაწილეობა, რაც უნივერსიტეტის დიდ აღიარებაზე მიუთითებს.

როგორც ჩვენი გაზეთის დაინტერესებულმა მკითხველებმა იციან, რომლის შესახებაც ჯერ კიდევ ჩვენი გაზეთის თებერვლის ნომერში ვიუწყებოდით, ახლახან კიდევ ერთი საინტერესო ფაქტის მომსწრე გახდა რეგიონის მოსახლეობა: ქართული ეროვნული ლიტერატურის განვითარების მიზნით მნიშვნელოვან საგამომცემლო საქმეს ჩაეყარა საფუძველი – გამოვიდა ლიტერატურული და სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „არავი“.

* გაზეთი „ლიტერატურული მესხეთი“, 2016 წ, №8, გვ.11.

ჟურნალის პირველი ნომრის გარე ყდაზე მინანური გვამცნობს: „არავი“ ჰქვია ჩვენს ლიტერატურულ და სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს, სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „არავი არს ქარი სამხრეთით, განმადნობელი ყინვათა“;... „თბილი ქარი მესხეთის სიმბოლოა. მესხეთი – საქართველოსი. ჩვენი სურვილი და მიზანია: ჟურნალი „არავი“ ერთნაირი სიტბოს, სიყვარულის სიმბოლოდ იქცეს“.

და ამ სიტბოსა და სიყვარულისათვის ბრძოლის სიმბოლოს დემონსტრირებად იქცა განვლილი ექვსი თვის – ჟურნალის მხოლოდ მეექვსე ნომრის გამოცემის შემდეგ ფართო მკითხველის – ახალციხის ინტელიგენციისა და უნივერსიტეტელების წინაშე მომხდარიყო მისი წარდგინება.

სიმბოლოურად ჟურნალის წარდგინება არა რომელიმე დიდ აუდიტორიაში, არამედ უნივერსიტეტის ეზოში, ღია ცის ქვეშ მოხდა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ჟურნალ „არავის“ სულისჩამდგმელმა და სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარემ მერაბ ბერიძემ ვრცელი ანალიზი გაუკეთა ჟურნალის საგამომცემლო საქმიანობას და ხაზგასმით ისაუბრა ჟურნალში დაბეჭდილი თითოეული ავტორის შესახებ, რომ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტი-ახალგაზრდების გარდა, განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოს ყველა რეგიონიდან ავტორთა მოზიდვას. ასევე ყურადღება მიაქცია იმ ფაქტს, რომ ჟურნალის თითქმის ყველა ნომერში იბეჭდება უცხოეთში მცხოვრები ქართველების ლიტერატურული ნაწარმოებები და მისი გავრცელების არეალი გასცდა სრულიად საქართველოს.

მერაბ ბერიძემ დამსწრე საზოგადოებას წარუდგინა სარედაქციო საბჭოს მთელი შემადგენლობა, რომელთა მხრებზეც დგას ჟურნალის საგამომცემლო საქმიანობა.

ჟურნალ „არავის“ გამოცემის თაობაზე ისაუბრეს რექტორის მოადგილემ, სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძემ, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა – ვასილ მამულაშვილმა, ვლადიმერ ზედგინიძემ, ახალციხის მერის მოადგილემ ზაზა თამარაშვილმა, გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქტორმა ავთანდილ ბერიძემ და სხვებმა.

პრეზენტაცია და მილოსკეპი*

მერაბ ბერიძე, რედაქტორი: მოგესალმებით ყველას და მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისათვის. დღეს ჩვენმა უნივერსიტეტმა გადამწყვიტა, გაეკეთებინა პრეზენტაცია ჟურნალისა, რომელსაც „არავი“ ჰქვია. „არავი“ საბას განმარტებით, სამხრეთულ თბილ ქარს ნიშნავს. თავის დროზე, ჟურნალის პირველ ნომერში პატარა განმარტებას თან ახლდა მცირე ემოციური დანართი, რომ ჩვენ, სამხრეთელებს, მესხეთიდან, სამცხე-ჯავახეთიდან ჩვენს ქვეყანას გვინდა შევთავაზოთ სიტბო, რომლის დეფიციტიც სერიოზულად გვაქვს დღეს. ამ სიტბოს ჩვენ სხვადასხვა ფორმით გაცემთ, რადგან ჟურნალი საზოგადოებრივი ხასიათისაა, ის არ არის არც წმინდა მეცნიერული, მას სამეცნიერო-პოპოლარული ხასიათიც აქვს, არც ლიტერატურულია მხოლოდ, ლიტერატურულ პრობლემებზე საკმაოდ ვრცელი პუბლიკაციები გვაქვს, მაგრამ მხოლოდ ლიტერატურული არ არის. ამასთან ერთად ჟურნალს აქვს ამბიცია, დაინყოს სამხრეთ საქართველოში, ამჯერად ახალციხეში, ჟურნალის გამოცემის ტრადიცია. ეს პატარა საქმე არ გახლავთ. ვფიქრობ, დღევანდელი ჩვენი დამსწრე საზოგადოებისათვის განსაკუთრებული შესვენება არ არის საჭირო, რომ წიგნის გამოცემის ტრადიცია XX საუკუნის ბოლოს, 1991 წელს, უნივერსიტეტის მაშინდელმა ფილიალმა აღადგინა, როდესაც ადგილობრივ სტამბაში პირველად პატარა „ქართლის ცხოვრება“ გამოიცა ვალერი სილოგავასი. ასევე ურიგო არ იქნება, გავიხსენოთ, რომ ჩვენი გაზეთი, მაშინ „მესხეთი“ ერქვა და დღეს „მესხეთის უნივერსიტეტი“ ჰქვია, გახლავთ პირველი დამოუკიდებელი გაზეთი სამხრეთ საქართველოში. მე პატივს ვცემ იმ შესანიშნავ გაზეთებს, რომელნიც ყველა რაიონში გამოდიოდა მაშინ, მართალია, ისინი იყო პოლიტიკური, პარტიული ხასიათისა, მაგრამ ეს ხაზი მხოლოდ პირველ-მეორე გვერდს ეხებოდა და შემდეგ მშვენიერი ინფორმაციული, პოპოლარული და პატრიოტული სახის პუბლიკაციებიც ჰქონდა, მაგრამ ჩვენ, როგორც დამოუკიდებელი გაზეთი, გამოვედით 1990 წლის დეკემბერში. აი, სწორედ დღეს, ამ ფონზე, ჩვენი უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის დღეს უკვე სახელმწიფო უნივერსიტეტი, იწყებს ჟურნალის გამოცემას.

* პრეზენტაცია გაიმართა 2016 წლის 15 ივლისს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის ეზოში.

არ მეგონა, რომ ყურნალი ამდენი პრობლემის მომცველი იქნებოდა. მე დღეს მართლაც სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის სწორედ ჩვენთვის ძალიან საამაყო და მნიშვნელოვანი. კერძოდ, დღეს „არავს“ თავის 6 ნომერში აქვს უკვე გამოქვეყნებული 900 გვერდი, თითოეული ნომერი დაახლოებით 150-155 გვერდს მოიცავს. არავში არის დღეს 106 პუბლიკაცია, საშუალოდ 9 გვერდზე ერთი პუბლიკაცია მოდის. ეს შეიძლება ისეთი სტატისტიკაა, რომელიც მოსაბეზრებელია ლიტერატურის პრობლემებით დაინტერესებული ადამიანებისთვის, მაგრამ, ვფიქრობ, ეს არის ის სტატისტიკა, რამაც პერსპექტივა უნდა განსაზღვროს ყურნალის მომავლისა. „არავში“ გვაქვს შემდეგი განყოფილებები და ამ ტიპის განყოფილება არის ჩვენთან 34, როგორცაა: **პროზა, პოეზია, ესე, ლიტერატურის კრიტიკა, საინტერესო ადამიანები, ჩვენი წინაპრები, ინტერვიუ, ემიგრანტული პოეზია, ემიგრანტული პროზა, თარგმანები**, ჩვენ ამით ვამაყობთ, რომ დღეს ჩვენი ძალებით შეგვიძლია ვთარგმნოთ სომხურიდან, თურქულიდან, რუსულიდან, თანამედროვე ბერძნულიდან, ასევე ინგლისურიდან და გერმანულიდან. მართალია ჩვენი ძალებით არა, მაგრამ გვაქვს სპარსულიდან შესანიშნავი თარგმანი საადისა და ეს მკითხველს ძალიან მოეწონა... ამასთან ერთად ცალკეა **სამეურნეო ძეგლებზე** პუბლიკაციები, **ენა და პოეზია, ნადირობა, მუსიკალური საკრავები, ლიტერატურის ისტორია, კულტურის ძეგლები, ფსიქოლოგია, მოგონებები, დებიუტი, ამერიკული მწერლობა** ცალკე, **მოდის ისტორია** და ა.შ. ვრცელია ეს ჩამონათვალი და ეს ჩვენი სერიოზული შედეგია. ამჯერად მე მინდა ჩამოვთვალო ის ავტორები, რომლებიც უკვე დაიბეჭდნენ ყურნალში. საქართველოდან: **გიორგი სოსიაშვილი, ვაჟა ხორნაული, ზელიმხან მალრაძე, მერაბ კვიციანიძე, შალვა კელოშვილი, ვახტანგ ინაური, ლალი ბერიძე, მალხაზ ლომსაძე, ლია ზაზაშვილი, ლელა ფერაძე, ვასილ მამულაშვილი, რევაზ მიშველაძე, თინათინ მღვდელიაშვილი, გრიგოლ რობაქიძე, მაია ქუქჩიშვილი, ივანე ჯაფარიძე, გივი ხორნაული, უჩა ბლუაშვილი, გიორგი ბუცხრიკიძე, ნატო ყრუაშვილი, მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე, ირაკლი ვამაყმაძე, ალექსანდრე ტაბატაძე, უჩა ღონღაძე, ჯულიეტა ელბაქიანი, გულიკო ბექაური, თინა იველაშვილი, ნესტან სულავა, გივი ნემსაძე, ტარიელ ფუტყარაძე, ნანა გენაძე, ოთარ მჭედლიშვილი, ნანა ყორანაშვილი, ლერი ნოზაძე, ნუგეშა გაგნიძე, ჯემალ დობორჯინიძე, დათო ტურაშვილი, ანდრო ბედუკაძე, ნანა ჯღარკავა, ქეთინო გრძელიშვილი, დალი ბეთხოშვილი, ნიკო ოთინაშვილი, დარეჯან ყუყუნაძე, მურმან**

ჯგუზურია, ანა ჩიქოვანი, დიანა ანფიმიადი, ზვიად ბერიძე, ჯუმა ჯუმათელი. ექვსი ნომრისთვის, დამერწმუნეთ ეს ცოცხა არ არის და საინტერესო გახლავთ ერთი ფაქტი, რომ ავტორები გვყავს მთელი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, თუმცა ძირითადი ნაწილი მაინც აქაური გარემოა და მათ შორის უმრავლესობა ჩვენი თანამშრომელია, ე.ი. ჩვენ მაინც უფრო საკუთარ ძალებს ვეყრდნობით. ახლა მე ვფიქრობ, ფრიად მნიშვნელოვანია ერთი დამახასიათებელი რამ, რაც ჩვენს ჟურნალს, შეიძლება ითქვას, რომ წარმოაჩინოს, როგორც ამ კუთხით წინ გადადგმულ საინტერესო ნაბიჯის მქონეს. კერძოდ, ჟურნალი გასაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ემიგრანტულ ლიტერატურას. ჩვენ გვაქვს კონტაქტები უცხოეთის ბევრ ქვეყანასთან და იქ მცხოვრებ ქართველებთან. ემიგრანტი პოეტები და პროზაიკოსები, რომლებიც ჩვენთან უკვე დაიბეჭდნენ, არიან: **საბერძნეთიდან, სალონიკიდან** – მარიამ ყიფიანი, ნანა ჩხაიძე; **ათენიდან** – ზაირა კელოშვილი, სპარტაკ ბენიძე, ნანა მეტრეველი, ნინო ქიზიყელი, მანანა ბრაჭული, რუსუდან ჯანელიძე. **იტალიიდან:** სოლომონ ნერგაძე; **გერმანიიდან:** მაია გოგოლაძე-კილიჩი; **აშშ-დან:** ნანა მეფარიშვილი; **კანადიდან:** ნუნუ ლურჯუმალიძე; **ისრაელიდან:** რიმა გურდუხაშვილი. გვინდა ვაჩვენოთ, რომ ქართველი ემიგრანტები კრიმინალები არ არიან, როგორც გვიხატავენ ხშირ შემთხვევაში, ქართველი ემიგრანტები შესანიშნავი, ინტელექტუალური ძალის პატრონები არიან და ჩვენ ამ ძალას ვიყენებთ. ახლა მინდა თარგმანებს შევებო და ის ავტორები წარმოგიდგინოთ, რომლებიც ჩვენი ძალებითაა ნათარგმნი: **ბერძნულიდან გულიასი – მთვარელიძისა და ქუქჩიშვილის** თარგმანი; **გერმანულიდან – გრიგოლ რობაქიძე**, ამაზე ოდნავ გავამახვილებ ყურადღებას... რობაქიძის ერთ-ერთი ძალიან საინტერესო ზღაპარი, რომელიც გერმანულად დაიბეჭდა და არ იყო გამოქვეყნებული ქართულ სინამდვილეში, ჩვენ ვთარგმნეთ, გამოვაქვეყნეთ და შემდეგ სხვა სტატიაც დაიბეჭდა ამ თარგმანის შესახებ. ასევე **კონდრატ ფერდინანდ მაიერი, ჰერმან ჰესე**, გერმანულიდან ეს ყველა თარგმნილია ჩვენი თანამშრომლების – **ლალი ბერიძისა და ლია ნაქაძის** მიერ. **ფრიდრიხ შილერი** თარგმნა **ვასილ მამულაშვილმა**. **ფრიდრიხ ნიცშე**, თარგმნა **გიორგი მესხმა**, ჩვენი პროფესორის უცხოეთში მცხოვრებმა შვილმა, ხოლო გ. რობაქიძის ზღაპარი - **ნუგეშა გაგნიძემ**. თურქულიდან: **გუნ თექინის** ერთი მოთხრობა **მარინა შონიას** თარგმანია, ასევე **მარინა შონიასი** და **ნანა თათოშვილის** მიერ რეშად ნური გუნთექინის მეორე მოთხრობა ითარგმნა. რუსუ-

ლიდან: **დუნაევი, ბერდიაევი ირინა ჯიშკარიანმა** თარგმნა, ასევე **შელდი, ახმატოვა, ახმადულინა, ევტუშენკო, ბუნინი, ცვეტაევა, ანა ჩიქოვანის** შესანიშნავი თარგმანებია, სომხურიდან: **არამ პაჩიანი**, რომელიც ჩვენმა სტუდენტმა **ელზა რაისიანმა** თარგმნა და ორივე ენის სპეციალისტების აზრით, მშვენიერი თარგმანია. სხვათა შორის რამდენიმე დებიუტი შევთავაზეთ მკითხველს და ვფიქრობთ, რომ ამით სწორ გზაზე ვდგავართ. ასევე **საადი** თარგმნა **ალექსანდრე ელერდაშვილმა**. მე მინდა ასევე ერთ ფაქტზე გავამახვილო ყურადღება: ჟურნალი გამორჩეულია იმითაც, რომ ჩვენი საკუთარი მხატვრები გვყავს, ჩვენი ორი თანამშრომელი **ნანა ყორანაშვილი** და **ლელა ფერაძე** ყველა ნომერს ასურათებენ, გრაფიკული ჩანახატები სერიოზულად ამდიდრებს ჟურნალს და ეს ძალიან პრინციპულია. ამასთან ერთად ისინი მხოლოდ მხატვრები არ არიან, თეორეტიკოსებიც არიან და ძალიან მინდა დღეს გაუფსვა ხაზი **ლელა ფერაძის** ინტერვიუებს ხელოვნების მიმართულებით, **ნანა ყორანაშვილის** პუბლიკაციას სამოსთან და მოდასთან დაკავშირებით. ასევე ინტერვიუები, ძალიან საინტერესო როგორც უცხოელებთან, ისე ქართველებთან. უცხოელებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი თურქეთის საისტორიო საზოგადოების პრეზიდენტთან ინტერვიუს, მზადდება არტანის მერთან ინტერვიუ, გერმანელ მწერალთან, სხვადასხვა ინტერვიუები, მათ შორის ჩვენს ვიცე-პრემიერთან, ინტერვიუერი ჩვენი ჟურნალისტი ლია ზაზაშვილი გახლავთ. ეს არის ჩვენი ძალა, რითიც წარვსდებიტ თქვენ წინაშე. „არავი“ დღეს ერთადერთი ჟურნალია, სამეცნიერო-პოპულარული, პოლიტიკასაც რომ „გაკრავს კბილს“, ამასთან ერთად ლიტერატურული, მხატვრული და საზოგადოებრივი, რომლის სარედაქციო საბჭოს უმრავლესობა პროფესორისგან შედგება. ჩვენ „არაველები“ აქ ვართ და მინდა ისინი წარმოგიდგინოთ, თუ ნებას მომცემთ. **ზაირა გელაძე** – „არავის“ მდივანი, ჩემი თანაშემწეა. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ შევქმენით სარედაქციო საბჭოს საზღვარგარეთთან ურთიერთობის ბიურო, რომელსაც კურირებენ **მაია ქუქჩიშვილი** და **ლალი ბერიძე**. ჩვენი მხატვრების, **ნანა ყორანაშვილის** და **ლელა ფერაძის** შესახებ უკვე მოგახსენეთ. ლია ზაზაშვილი, გაზეთ „მესხეთის უნივერსიტეტის“ ჟურნალისტი, ასევე სარედაქციო საბჭოს წევრია. მინდა ბატონი **გიორგი ბუცხრიკიძის** შესახებაც მოგახსენოთ, იგი ეკონომიკის მიმართულებით „ამარაგებს“ ჟურნალს. ბატონი **ვასილ მამულაშვილი** ჟურნალისტია, იგი „არავის“ პირველი ნომრის რედაქტორი იყო. „არავშიც“

და უნივერსიტეტშიც ჩემი მოადგილეა **მაკა კაჭკაჭიშვილი-ბერიძე**. ასევე მინდა წარმოგიდგინოთ უნივერსიტეტის გამომცემლობის თანამშრომლები **ლია გზირიშვილი** და **ნანა კედელაშვილი**.

ბევრი პრობლემა გვაქვს. უპირველესი არის გავრცელების საკითხი. ბუნებრივია, რომ პირველ რიგში ჟურნალს უნივერსიტეტები კითხულობენ. სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერ მოხერხდა ისეთი სისტემის შექმნა, რომ ყველგან მივანდინოთ იგი, სადაც კი არის მასზე მოთხოვნა. დამფინანსებელი არის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. დარწმუნებული ვარ, წლის ბოლოს ჩვენი პროდუქცია დაფარავს მასზე განეულ ხარჯებს. გასაფართოებელი და გადასახალისებელია ბექდვის ტექნიკური მხარე. მოსაგვარებელია ხარისხის პრობლემა. გარკვეულწილად დგას დიზინის საკითხიც. ალბათ გამოჩნდებიან ბიზნესმენები, რომლებიც „არავში“ დაინახავენ პროგრესს, მომავლის ჟურნალს, ჩადებენ უშურვებლად ინვესტიციას და მოგებასაც ნახავენ.

მაკა ბერიძე-კაჭკაჭიშვილი: მოგესალმებით. მსურს გაგახსენოთ გურამ დოჩანაშვილის სიტყვები: „**იყო მკითხველი, ეს თავისთავად სასწაულია. მკითხველი — ეს სწორედ ისაა, ვისაც შეგიძლია ისედაც ვინრო საძილე ტომარაში შეყვარებულებს შორის იწვე და სულაც არ იყო ზედმეტი, ეს — სასაწაულია და მეტსაც გეტყვი, ზედმეტი კი არა, აუცილებელი ხარ, რადგან ავტორმა ასე იწება**“.

ქალბატონებო და ბატონებო, თითოეული აქ მობრძანებული სტუმარი აუცილებელია ჩვენი ჟურნალისთვის და ამიტომ კიდევ ერთხელ დიდ მადლობას მოგახსენებთ მობრძანებისთვის. გამოვთქვამთ იმედს და დარწმუნებულებაც გახლავართ, რომ გახდებით ჩვენი ჟურნალის აქტიური მკითხველები. პირადად, მიუხედავად იმისა, რომ წიგნთან შორს არ გახლავართ, „არავმა“ საკუთარ თავში სხვაგვარი მკითხველი აღმომაჩენინა. თითქოს დიდი დრო არ არის გასული, მაგრამ პატარა ისტორია თითოეულ ნომერს ახლავს. ავტორები ჩვენი ჟურნალისთვის წერენ და ჩვენი პატარა არქივი უკვე ინახავს ცნობილ მწერალთა ხელნაწერებს. დიდი მადლობა თითოეულ შემოქმედს ჩვენთან თანამშრომლობისთვის, მადლობა იდეის ავტორს, ჟურნალის რედაქტორს მისი დაარსებისთვის, რადგან ჩვენთან, სამცხე-ჯავახეთში დაიბადა ჟურნალი, რომელიც ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილის მიუხედავად ეკუთვნის ყველას, ვისაც შეუძლია ქართულ ენაზე წიგნის წაკითხვა. დიდი მადლობა ყველას.

ვასილ მამულაშვილი: იცით, ახლა ჟურნალისტიკა საკმაოდ კრიზისულ მდგომარეობაშია. მე არ მინდა რაიმე გადავაჭარბო, მაგრამ მაინც რეალურად უნდა გითხრათ. ის, რაც დღეს ჟურნალისტიკის მიმართ არის, იმას, რასაც თქვენ უყურებთ, აუცილებლად მოითხოვს მაღალ პროფესიონალიზმს. ბატონი მერაბის მიერ დაარსებული ჟურნალი სწორედ დღევანდელ საქართველოს სჭირდება, არ იფიქროთ, რომ მხოლოდ მესხეთზეა აქ ლაპარაკი. ეს ჟურნალი მესხეთიდან საკმაოდ შორს გავა. მე მინდა მოვულოცო ყველა მესხს იმიტომ, რომ უნივერსიტეტია განათლების ცენტრი არა მხოლოდ მესხეთში, უფრო შორსაც. ამიტომ დღევანდელი ჟურნალი ძალიან დიდ საქმეს გააკეთებს. ძვირფასო მეგობრებო, სტუდენტებს მივმართავ. როდესაც მეორე-მესამე კურსზე არიან ჟურნალისტიკის სპეციალობის სტუდენტები, მათ სჭირდებათ, როგორმე წავიდნენ პრაქტიკაზე. იცოდეთ, ჟურნალისტიკა არ არის თეორია მხოლოდ, ჟურნალისტიკა არის პრაქტიკა. ამიტომ, როდესაც იფიქრებთ, სად წახვიდეთ, სად ნახოთ, რომელ ჟურნალში გაიაროთ პრაქტიკა, რომელ ტელევიზიაში, აი, აქ. მესხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს თავისი ბაზა და არსად წასვლა არ დასჭირდებათ სტუდენტებს. იცით, ჟურნალისტიკა დღეს რომ უყურებენ, ის არ არის, ინტელექტს მოითხოვს. ერთი საიდუმლოება აღმოვაჩინე და გაგიმხელთ: თითოეულ თქვენგანში არის ჟურნალისტი, ანუ ყველა თქვენგანს აქვს ახალი ამბის გადაცემის უნარი. თითოეული ადამიანი ცდილობს, გაუზიაროს სიკეთე სხვას ცხოვრებაში და ახლაც ეს ასეა. მოგესალმებით კიდევ ერთხელ და მე ამ დღეს დავიმახსოვრებ, როგორც უჩვეულო მოვლენას. ეს არის პრეზენტაცია, როდესაც ლაპარაკობენ ჟურნალისტებზე. გმადლობთ ამისათვის.

ჯულიეტა ელბაქიანი: ჟურნალ „არავის“ შესახებ მაშინ გავიგე, როდესაც ის იდეის დონეზე იყო თურმე. ჩვენმა გენიალურმა ლექტორმა ქალბატონმა ნათელა ბერიძემ პირველი კურსის ფილოლოგებს ღია სემინარი ჩაგვიტარა თემაზე - „ჩემი რელიგია“; მეც წარვადგინე ჩემი თემა, რაც ძალიან მოენონა დამსწრე საზოგადოებას, მათ შორის ბატონი მერაბს. მან მითხრა, რომ დაგებქდოთ ესე ჟურნალ „არავში“. იმ დროს არ ვიცოდი, რომ ჟურნალის ნომრები ჯერ არ გამოდიოდა, ახლა კი მიხარია, რომ „სამხრეთით მონაბერი თბილი ქარი“ ჩვენს უნივერსიტეტში იღებს სათვეს. იმედი მაქვს, იგი თავისი სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომებით გააანათლებს და გაახარებს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მის ფარგლებს გარეთ მყოფთ.

წარმატებას ვუსურვებ და მადლობას მოვასხენებ ჟურნალის რედაქტორს – ბატონ მერაბ ბერიძეს და სარედაქციო კოლექტივს. იმედი მაქვს ჩემი თანამშრომლობა ამ ჟურნალთან დიდხანს გაგრძელდება, მის ნომრებს კი ყოველთვის სიამოვნებით გავეცნობი.

ლალი ბერიძე: მოგესალმებით! ყველაზე მეტად რაც გამოგვარჩევს ქართველებს, რასაც ჩვენი უცხოელი მეგობრები აღნიშნავენ, ეს არის თანადგომის უნარი და ეს თანადგომა თურმე სიხარულში უფრო საჭირო ყოფილა. ყველას მინდა დიდი მადლობა მოგასხენოთ აქ მობრძანებისათვის და ამ სიხარულის გაზიარებისათვის. გაგაცნობთ იმ მილოცვებს, რომლებიც გამოგვიგზავნეს „არავის“ მკითხველებმა და ავტორებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

იზა ჩანტლაძე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი: „სიყვარული გზად და ხიდად!..“ სიყვარული — ეს საოცარი გრძნობა, გენიალური შოთას „ვეფხისტყაოსნიდან“, მესხეთიდან, ეფინება სრულიად საქართველოს, რომელიც თურმე „ყინვათა განმადნობელ“ სამხრულ ქარს მოჰყვება, არავი რომ ჰქვია სახელად. იგივე სახელწოდება აქვს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ახლახან გამოცემულ სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს... მთელი სულითა და გულით გილოცავთ ყველას მის დაარსებას, განსაკუთრებით კი ამ დიდებული პუბლიკაციის შექმნის მესაძირკვლეებს, შესანიშნავ ეთნოლინგვისტებს, მრავალი წლის მანძილზე ჩემს უღალატო კოლეგა-მეგობრებს... მზის სხივის სითბო და გამოცემლობის სურნელი ნუმც მოჰკლებოდეს „არავს“!.. დღეის შემდეგ არავის არც დაენეროს და არც წაეკითხოს თქვენს ჟურნალში დაბეჭდილი ერთ-ერთი ლექსის მსგავსი სტრიქონები: „საქართველო დამეკარგა და დავეძებ ქართველს, ილორსა და აჩაბეთში სანთელს ველარ ვანთებ“...

ანა ჩიქოვანი: მოგესალმებით ჟურნალ „არავის“ საზეიმო წარდგენის ორგანიზატორებს, მონაწილეებსა და სტუმრებს!

წელს ქართველ მკითხველს მნიშვნელოვანი საჩუქარი გაუკეთა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტმა - ლიტერატურული და სამეცნიერო პოპულარული ჟურნალი „არავი“. ჟურნალში იბეჭდება არა მარტო ცნობილი და ტიტულოვანი ავტორების ნაწარმოებები, არამედ დამწყებ პოეტთა და მწერალთა შემოქმედებაც, - ეს დიდი სტიმულია მათთვის. ჟურნალ „არავის“ უკვე მეექვსე ნომერი გამოიცა და მას აქვს საკუთარი კონცეფცია და სტილი, რაც ჟურნალის თანამშრომელთა დამსახურებაა.

გულითადად ვულოცავ ჟურნალის რედაქციას, ყველა თანამშრომელს, გულშემატკივარსა და მკითხველს ჟურნალ „არავის“ დაარსებას! გისურვებთ წარმატებას, წინსვალასა და განვითარებას!

ნუგეშა გაგნიძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი გერმანული ფილოლოგიის დეპარტამენტი, პროფესორი: დიდი სიყვარულით მოგესალმებით ჩვენი ქვეყნის უძველესი ქალაქიდან — ქუთაისიდან. მადლიერი და ბედნიერი ვარ, ეს შესძლებლობა რომ მომეცა!

თვალ-ყურს ვადევნებ ყინულის დამადნობელ სამხრეთის თბილ ქარს, რომელსაც ბევრი სიამოვნება და სიხარული მოაქვს თან ... დაგაფიქრებს, საზრუნავს გაგიჩენს

დიდი შრომაა ჩადებული ლიტერატურული ჟურნალის „არავის“ თითოეულ ნომერში და შედეგიც სახეზეა. უკვე 6 ნომერი გამოვიდა, რომლებიც არა მარტო ძველ ავტორებთან შეხვედრას სთავაზობს მკითხველს, არამედ ახალ სახელებს აცნობს მათ. ეს დიდმნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა, ამავდროულად აუცილებელი.

თქვენს უნივერსიტეტს განსაკუთრებული მისია აკისრია საქართველოში, ისევე როგორც ბებერ და მრავალ ჭირგამოვლილ სამცხე-ჯავახეთს. თქვენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის გასაყარზე ყოველთვის თამამად ამბობდით თქვენს სიტყვას. „არავიც“ დიდებულ ტრადიციათა ღირსეულ გამგრძელებლად მიმაჩნია.

წარმატებებს ვუსურვებ ლიტერატურული ჟურნალის „არავის“ რედაქტორს ბატონ მერაბ ბერიძეს, მოადგილეს, სარედაქციო საბჭოს, მხატვრებს, მდივანსა და საგამომცემლო ჯგუფს!

მაია ქუქჩიშვილი: მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, მობრძანებულო სტუმრებო, სტუდენტებო და უნივერსიტეტის თანამშრომლებო!

დღეს ჩვენს უნივერსიტეტში ემოციებით სავსე ისტორიული დღეა! დღეს „არავის“ პრეზენტაციაში არა მხოლოდ ჩვენი ქალაქი ახალციხე, არამედ სრულიად საქართველო და თამამად ვიტყვი, მსოფლიოს ბევრი ქვეყანა ლებულობს მონაწილეობას.

მე, როგორც სარედაქციო საბჭოს საზღვარგარეთთან თანამშრომლობის ბიუროს წამომადგენელმა, დღევანდელი დღისადმი უამრავი მილოცვა მივიღე ემიგრანტი ქართველებისგან საბერძნეთიდან, კანადიდან, იტალიიდან, საფერანგეთიდან, ინგლისიდან, ამერიკიდან, აშშდან, გერმანიიდან, ესტონეთიდან... მინდა გაგაცნოთ ზოგიერთი მათგანის წერილობითი და აუდიო მილოცვა. მადლობა მინ-

და მათ გადავუხადო და ყველა ემიგრანტს სამშობლოში და თავიანთ კერაზე დაბრუნება ვუსურვო.

ნინო ქიზიყელი, ათენი: დღევანდელ დღეს ვულოცავ ჟურნალ „არავის“, მის შემოქმედებით კოლექტივს და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელთა თავდადებული შრომით კიდევ ერთი უძვირფასესი საჩუქარი მიეძღვნა ქართულ ემიგრაციას. ეს უდიდესი ბედნიერებაა, გესაუბროს ცხრა მთას იქიდან შენი სისხლი, სულში იმედად გაგიძლიერდეს და ასე გულიანად მოგეფეროს - ემიგრანტი ადამიანისათვის სასიცოცხლო ჟანგბადის მიწოდების ტოლფასია.

ულრმესი მადლობა თქვენ, რომ ჩვენი სულის ნადენი ერთ უდიდეს და უმდიდრეს საცავში ჩააგროვეთ და რუდუნებით მიაწოდეთ ქართველ ერს, მისი შვილების უხვად ფურცლებზე დადენილი ვარამი. კიდევ ერთხელ განაახლეთ თავდადებისა და ერთგულების ხიდი ქალთა ლაშქართან! ქალთა ლაშქართან, რომელიც საქართველოს დედაბურჯია!

ჟურნალი „არავი“ დღეს დაბადებას ზეიმობს და მინდა ძლიერება, წელთა სიმრავლე და ნაყოფიერი შემოქმედებითი წინსვლა ვუსურვო უნივერსიტეტს, ჟურნალის შემოქმედებით კოლექტივს... ულრმესი მადლობა ამ უძვირფასესი ძღვენისათვის, რომელიც თქვენგან მიგრირებულმა ქართულმა ლაშქარმა მიიღო საბერძნეთში! ქართული, ძარღვიანი სიტყვის კელაპტარი ანთეთ ყველა ჩვენგანის გულში და მაცოცხლებელი სიგრილით გვესალბუნება მარადიული მზის ქვეყანაში თვენგან მონაბერი სამხრეთის ნიავი! კიდევ ერთხელ გილოცავთ დღევანდელ დღეს და შემოქმედებით უკვდავებას ვუსურვებ ჟურნალ „არავს“!

ნანა ჩხაიძე, თესალონიკი: ვულოცავ ჟურნალ „არავს“ მზის სინათლეზე გამოსვლას. წარმატებების გზით ველოს და გაბრწყინებულიყოს. მადლობა ჟურნალის რედაქტორს, რედკოლეგიას განუული მუშაობისათვის. ჟურნალში სხვა რუბრიკებთან ერთად, იბეჭდება ემიგრაციაში მყოფი ხალხის შემოქმედება, რაც საშუალებას იძლევა არა მარტო ჩვენ — ემიგრანტები, სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი თანამოკალმეები გავეცნოთ ერთმანეთსა და ერთმანეთის შემოქმედებას, არამედ საქართველოს მოქალაქეებსაც აძლევს საშუალებას ნაიკითხოს უცხოეთში შექმნილი ლიტერატურა. კიდევ ერთხელ დიდი მადლობა თქვენ, გილოცავთ დღევანდელ დღეს და ვისურვებთ წარმატებებს.

ზაირა კელოშვილი, ათენი: მოგესალმებით და მოგილოცავთ ჟურნალ „არავის“ დაარსებას. როგორც ამ კუთხის შვილი, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რაც ახლა თქვენთან ხდება. სამცხე - ჯავახეთი ოდითგანვე ითვლებოდა განათლების კერად, თქვენი უნივერსიტეტი კი არის ცოდნის ტაძარი. ამ „ტაძარში“ დაარსებული ჟურნალი „არავი“ კი ისეთივე ამაღლებულია, როგორც ეს კუთხე და უნივერსიტეტი.

მოგეხსენებათ, ნოციერ ნიადაგზე მცენარე კარგად ხარობს. ამ ჟურნალის სათავეებთან მდგომი სარედაქციო საბჭოს ყველა წევრი ემსახურებით მომავალი თაობების აღზრდა-განათლებას და პარალელურად იღწვით რეგიონის და არა მარტო, კეთილდღეობისთვის.

მე, როგორც ემიგრანტი პოეტი, მადლობას ვუხედი ქალბატონ მაია ქუქჩიშვილს რომელმაც გადო „ხიდი“ ჟურნალ „არავისა“ და ემიგრანტ- შემოქმედებს შორის.

ასევე უღრმეს მადლობას გიხდით ნდობისათვის, ვყოფილიყავი ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი ათენში. ჩემთვის დიდი ჯილდოა თქვენგან დაკისრებული ეს მოვალეობა, უფალმა შემაძლებინოს, ღირსეულად ვზიდაო იგი.

მადლობა თქვენ, ყველას რომ მიიღეთ და უპატრონეთ ჩვენს პოეზიას ტკივილით, მომავლის რწმენით, სამშობლოში დაბრუნების იმედით გაჯერებულს. ჟურნალი „არავი“ ამ შემთხვევაში ამართლებს თავის სახელს, თბილად დაჰბერა ემიგრანტთა გულეებში სამხრეთის ქარმა და სითბო ჩაგვიღვარა.

მანანა ბრაჭული, თბილისი: „რაჭა-ლეჩხუმ-ჯავახეთი და მესხეთი სასახელო“... ამ სტრიქონის გარეშე ვიცოდი, მავანს უფიქრია, ცოდოა „პატარა ქართველი“, ამდენ ტოპონიმს ვერ დაიმახსოვრებო, ანუ პატარა ქართველს სამშობლოც პატარა მოუხდებაო.

სიმართლეს ვერავინ დამალავს თუ მისი მაძიებელი ჯიუტად ითხოვს მასთან შეხვედრას. ასე შევხვდი მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწის - ალექსანდრე ფრონელის „დიდებულ მესხეთს“, რომელიც წერს: „დღეს მესხეთს ველარ იცნობ, წარსულის აჩრდილი და ნატამალია. ჩონჩხი რა არის, ჩონჩხისთვისაც კი ვერ შეგვიდარებია რუსთველის, ბექას და ალბულას სამშობლო... დღევანდელი მესხეთი ერთი შემზარავი, თვალგადაუნვდენელი და უსაზღვრო სასაფლაოა...“ რამდენჯერ მიტირია ამის წამკითხველს.

დღეს ბედნიერი ვარ! ვიცი, ის „სასაფლაო“ ლაზარესავით მკვდრეთით აღმდგარი საქართველო, სადაც „ქართულითა ენითა

ჟამი შეინირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. დღეს ვიცი, რომ იქ სახელმწიფო უნივერსიტეტი ფუნქციონირებს, გამოდის ყოველთვიური ჟურნალი „არავი“, რომლის ფურცლებიდანაც შემიძლია ჩემი ფიქრი და სიყვარული გავუზიარო ჩემს დიდ სამშობლოს, მადლობა ვუთხრა იმ ადამიანებს, ვინც მესხეთის დღევანდელი შექმნა და იღწვის უკეთესისათვის მადლობა ყველას, ვინც მომეცით საშუალება, მივმართო ჩემს მესხეთს:

მალღებები, გულს უხარია შენი მზე, შენი არავი,

უშენოდ დიდო მესხეთო, არც ქართლელი ვარ, არავინ!

სპარტაკ ბენიძე, მსახიობი, ათენი: რამდენიმე თვის წინ, სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა ჟურნალ „არავის“ ერთი ნომერი. კითხვის მოყვარული კაცისთვის საჩუქრად მივიჩნიე ის გარემოება, რომ გავცნობოდი ახალ სახეებს პროზასა თუ პოეზიაში.

ორიგინალური ვერ ვიქნები ნამდვილად თუ ვიტყვი, რომ რამდენად საჭიროა არსებობდეს ცოცხალი ლიტერატურული ჟურნალი, დღევანდელ ინტერნეტის ეპოქაში.

გამოგიტყდებით, ძირითადად მეც ინტერნეტ ბიბლიოთეკის მომხმარებელი ვარ.

ამის მთავარი მიზეზი, ჩემი ემიგრაციაში ყოფნის ათ წლიანი ცხოვრებაა და ასე უფრო მიადვილდება გავეცნო ახალ და საინტერესო ავტორებს.

თუმცა, როგორც მოგახსენეთ, წიგნთან თუ ჟურნალთან რეალურად შეხება სულ სხვა ემზი აქვს.

ბედნიერი შემთხვევის წყალობით ჩემი რამდენიმე ისტორიან-ჩანახატიც „არავის“ ახალ ნომერში მოხვდა.

ჯერ სახელი ვერ მოვუძებნე და გამიძნელდება გადმოვცე ის, რასაც ახლა ვგრძნობ.

წარმატება მინდა გისურვოთ ჟურნალ „არავის“ სარედაქციო კოლეგიას, დაბეჭდილ თუ დასაბეჭდად გამზადებულ ავტორებს.

მიგულეთ თქვენს მეგობრად, გულშემატკივრად და ერთგულ მკითხველად.

ნუნუ ღურჭუმალიძე: მოგესალმებით კანადიდან ყველას, ვინც ახლა იმყოფება ჟურნალ „არავის“ პრეზენტაციაზე. მე გახლავართ საბერძნეთის ქართველ ქალთა კავშირის თავჯდომარე, ჟურნალ „ემიგრანტი ქალის“ დამფუძნებელი და ემიგრანტი.

მინდა დიდი მადლობა გადავუხადო „არავის“ რედაქციის ყველა წევრს, პირადად მაია ქუქჩიშვილს, რომელმაც შეძლო საბერძ-

ნეთის ქართული ემიგრაციის შემოქმედებითი ნაწილი დაეახლოვებინა საქართველოში მცხოვრებ შემოქმედებთან და მათი ნაწერები კითხვადი გამხდარიყო საქართველოს მოსახლეობისათვის და ასევე საქართველოში მკითხველთათვის შემოქმედება კითხვადი გაეხადა ემიგრაციაში მყოფი ქართველთათვის. მე პირადად დიდი პატივი მხვდა წილად, რომ ჩემი ნაწარმოებები დაიბეჭდა ჟურნალში და გაცნობოდა მათ ქართველი მკითხველი. ვუსურვებ ჟურნალ „არავს“ წინსვლას, წარმატებას და, რომ, ის გამხდარიყოს სამაგიდო ჟურნალი მსოფლიოში მცხოვრები ყველა ემიგრანტისთვის და ასევე ნებისმიერი ქართველისთვის საქართველოში.

მინდა ყველას მადლობა გადავუხადო, ვინც იღწვის ამ ჟურნალისთვის და ასევე თქვენც, ვინც აქ მობრძანდით. ვუსურვებ კიდევ უფრო მეტ წარმატებებს „არავს“. მე ყველანაირად შევუწყობ ხელს ამ ჟურნალის გავრცელებას.

მარინა ყიფიანი: მოგესალმებით საბერძნეთიდან, კუნძულ სანტორინიდან, დღეს ახალციხეში ულამაზესი დღეა, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება ჟურნალ „არავის“ პრეზენტაცია. მინდა მოგილოცოთ ეს დღე, მივულოცო რედკოლეგიის წევრებს და, ასევე, ყველას, ვინც წვლილი შეიტანა ამ ჟურნალის დაარსებასა და გამოცემაში. დღესდღეობით გამოცემულია 6 ნომერი. მინდა მადლობა გადავუხადო კერძოდ ქ-ნ მაია ქუჭიშვილს, რომელიც არის საზღვარგარეთთან ურთიერთობის ბიუროს წევრი. იგი აშუქებს ემიგრანტთა ყოფა-ცხოვრებას. დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმისთვის, რომ ჟურნალის პირველივე ნომერში გამოიცა ჩემი ლექსები. მინდა ეს დღე მოგილოცოთ ექსპრომტად დაწერილი ლექსით:

**„სულიერ შვილის დაბადებას გილოცავთ ყველას,
დაგბედებოდეთ ასპარეზზე ლალად შემოსვლა,
ჩვენი „არავი“ არწივების მაგონებს ფრენას,
მან მწვერვალების დასაპყრობად ფრთა ფრთას შემოჰკრა.
იფრინეთ თქვენი მკითხველების გულიდან გულში,
უხვად არიგეთ სიყვარული, სითბო გულისა.
თქვენი ჟურნალით მეც ვიპოვე სიმშვიდე სულის
და უცხოეთში მკურნალია მწვავე წყლულისა.
დღეს ბედნიერი სალამოა, გლოცავთ აქედან,
ულამაზესი კუნძულიდან - სანტორინიდან.
გიგზავნით გულით ამოხეთქილ სიტყვა საქებარს**

**ამ დღეს თქვენს გვერდით ვყოფილიყავ, ბევრად მიღირდა.
ემიგრანტების გააშუქეთ ყოფა-ცხოვრება.
არვის ეგონოს დალხენილი დღე გვაქვს ყოველი,
ჩვენი „არავი“ საბერძნეთშიც გვემახსოვრება
და მოუთმენლად დაბრუნების ნუთებს მოველით“.**

ზაზა თამარაშვილი: მოგესალმებით ყველას. როდესაც უნივერსიტეტში ვიმყოფები ხოლმე, ყოველთვის განსაკუთრებული ემოცია მაქვს. 21 წელი მქონდა პატივი, მემუშავა უნივერსიტეტში როგორც მათემატიკის კათედრზე, ისე შემოქმედებითი კუთხით. უნივერსიტეტი ერთ-ერთი უმთავრესი საგანმანათლებლო კერაა არა მხოლოდ ჩვენი ქალაქის და ჩვენი კუთხის, არამედ ზოგადად ჩვენი ქვეყნისა. უნივერსიტეტი ყოველთვის გამოირჩეოდა ხოლმე არა მხოლოდ განსაკუთრებული ინიციატივებით, არამედ ამ ინიციატივების საქმეში გადაზრდით და ბოლომდე მიყვანით. მე ვფიქრობ, რომ ეს ერთ-ერთი გამორჩეული საქმეა, რასაც ამ ჟურნალის დაარსება ჰქვია. მინდა მივულოცო უნივერსიტეტს ასეთი მნიშვნელოვანი საქმე და შემოქმედებით კოლექტივს ვუსურვო შემოქმედებითი წარმატება. თუმცა წარმატება უკვე სახეზეა.

გურამ მელიქიძე, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე: მოგესალმებით ქალბატონებო და ბატონებო, ძვირფასო სტუდენტებო, პირველ როგში, მადლობა მინდა მოვასხენო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას ამ მშვენიერ პრეზენტაციაზე მოწვევისათვის. დღევანდელ დღეს კიდევ ერთი საამაყო ფურცელი ჩაინერება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიაში, დაარსდა ყოველთვიური ლიტერატურული, სამეცნიერო პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალი „არავი“ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ჩვენი უნივერსიტეტისათვის.

ალბათ არ მიწყენენ მოწვეული სტუმრები და დამსწრე საზოგადოება თუ, ვიტყვი, რომ განსაკუთრებით ამაყი ვარ ამ მნიშვნელოვან დღეს რადგან მე, პირადად, ბატონი მერაბის ხელმძღვანელობით მონაწილე ვარ ჩვენს კუთხეში უნივერსიტეტის დაარსების და მისი მშენებლობისა.

გახსნის დღიდან მთელი 15 წლის განმავლობაში თავდაუზოგავად ვმუშაობდი ბატონ მერაბთან ერთად, რომ მას ლისრეული და გამორჩეული ადგილი დაემკვიდრებინა თანამედროვე უნივერსიტეტებს შორის როგორც საქართველოში ისე მეზობელი სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც ძალზე მახარებს მისი ყველა წარმატება. მე მახსოვს

პირველი სამეცნიერო ბროშურის გამოშვება. პირველი ალმანახი. აქ დამსწრეთაგან ბევრს ემახსოვრება თუ რამდენ პრობლემასთან იყო დაკავშირებული ასეთი გამოცემების გამოშვება 90-იანი წლების დასაწყისში.

მინდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ახლად-დაარსებულ ჟურნალ „არავის“ მის სარედაქციო საბჭოს და პირადად მის რედაქტორს ბატონ მერაბს ვუსურვო შემოქმედებითი წარმატებები, მკითხველთა ფართო წრე და ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება.

ვასილ კვიციანიძე, სახალხო მთქმელი: მეგობრებო! ბატონო მერაბ! როცა ადამიანი ასაკში შედის, ხშირად გადაავლებს ხოლმე თვალს განვლილ გზას, იხსენებს მისთვის სასურველ თუ არასასურველ დღეებს და ასკვნის, ბედნიერი არის თუ არა!

ამ შემთხვევაში, რადგან უნივერსიტეტის ეზოში ჟურნალ „არავის“ პრეზენტაციაა, დიახ, ბედნიერი ვარ, გავიხსენებ რამდენიმე მომენტს.

ბატონ მერაბ ბერიძესთან, ავთანდილ ბერიძესთან და სხვებთან ერთად, მონაწილე ვარ 1966 წელს შოთა რუსთაველის 800 წლის-თავის აღსანიშნავი იუბილესი ვარძიაში, სადაც ვიყავი ახალციხის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და მოცეკვავე, ჩემს ტექსტსა და რევაზ ლალიძის მუსიკაზე პირველად შესრულდა „სიმღერა ვარძიაზე“ და დღესაც სრულდება. მონაწილე ვარ იმ მღელვარე დღეებისა, როდესაც მერაბ ბერიძის ხელმძღვანელობით ახალციხეში გაიხსნა თბილისის დედა უნივერსიტეტის ფილიალი. შემდეგში დაარსდა გაზეთი „მესხეთის უნივერსიტეტი“ და აი, დღეს ახალი ყოველთვიური ჟურნალი „არავი“.

სარჩევი

<i>პოეზია</i> ემზარ კვიციანიშვილი	3
<i>პროზა</i> კლარა გელაშვილი საბედისწერო ჯვრისწერა	12
<i>თარგმანი</i> ქემალ ბილბაშარი წვრილშვილის პატრონი	23
<i>ემიგრანტული პოეზია</i> ხათუნა შავგულიძე, ინგლისი, ლონდონი	33
<i>ემიგრანტული პოეზია</i> მარიამ (ცარო) ხიტალიშვილი, საბერძნეთი, ათენი	40
<i>თარგმანი</i> ბელ კაუფმანი პარკში	42
<i>თარგმანი</i> ფრედერიკ ბრაუნი სოლიფსისტი	47
<i>ლიტერატურული ურთიერთობების</i> <i>ისტორიებიდან</i> ირინა ჯიშკარიანი პორის პასტარნაკი და სამართველო	49
<i>სახელმწიფო ენის სტატუსებისათვის</i> ნათელა ნაცვლიშვილი-ბერიძე პირისა და პირის ნიშანთა სწავლების თანმიმდევრობა	59
<i>კულტურის ძეგლები</i> თინა იველაშვილი გალიკაშვილების ჯვართამაღლების ეკლესია ახალციხეში	65

<i>ინტერვიუ</i> კითხვები ქალაქის მერს	76
<i>პრეზიდენტ</i> <i>ანდრო ბედუკაძე</i> ლელო და „პარტივლის ლელო“	81
<i>პრეზიდენტ</i> <i>ვანტანგ ინაური</i> გიორგი სოსიაშვილის პროზის მხატვრული სპეციფიკა	86
<i>პრეზიდენტ</i> <i>დალი ბეთხოშვილი</i> სიყვარულის საკითხი თანამედროვე პოეტთა შემოქმედებაში	90
<i>პრეზიდენტ</i> <i>ნესტან სულავა</i>	106
XX საუკუნის II ნახევრისა და XXI საუკუნის დამდგმის ქართული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციები	
<i>ტენდენციები</i> <i>ქრონიკა (რუსთველი 850)</i> <i>გულიკო ბეჟაური</i>	134
„ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად გცოდნეთა მისაბამ კონკურსი უნივერსიტეტში	
<i>ტანამედროვეობა</i> <i>სერგო წურწუშია</i>	140
„არავი“ – ახალი ჟურნალი ქვეყნის სამხრეთ პარიზში	
<i>ტანამედროვეობა</i> <i>ავთანდილ მესხი (ავთანდილ ბერიძე)</i>	144
„არავი არს ქარი სამხრეთით“	
<i>პროგნოზები და მილოცვები</i>	146

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 595-94-02-26, 591-41-12-88
ელ. ფოსტა: jurnaliaravi@gmail.com



„საქართველოში არის სიღარიბე“

„არავი“ ჰქვია ჩვენს ლიტერატურულ და სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალს. სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „არავი არს ქარი სამხრეთით, განმადნობელი ყინვათა“;

„არავის“ დამფუძნებელი – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტია, რომელსაც მადლიერმა სტუდენტობამ „სიყვარულის უნივერსიტეტი“ უწოდა;

„სიყვარული“ – მესხეთიდან, „ვეფხისტყაოსნიდან“ მოდის – თბილ ქარს მოჰყვება: ადნობს ყინულებს და ათბობს გულებს;

„თბილი ქარი“ – მესხეთის სიმბოლოა, მესხეთი – საქართველოსი. ჩვენი სურვილი და მიზანია: ჟურნალი „არავი“ ერთიანობის, სითბოს, სიყვარულის სიმბოლოდ იქცეს.

ISSN 2346-836X

